



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

ნანა მჭედლიძე

დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

საფუძველზე

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ირინე ქურდაძე

თბილისი 2024

აბსტრაქტი

„დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე“ ეხება, ერთი მხრივ, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“) საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) მიერ დადგენილ სტანდარტებს და მეორე მხრივ, ამ სტანდარტების გამოყენებას გადაწყვეტილების დასაბუთებისას საქართველოს საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.

1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან. ევროპული სასამართლო სახელმწიფოების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ამოწმებს და კონვენციური უფლებების ქმედითი, პრაქტიკული და დინამიკური განმარტებით მის დღემდე რელევანტურობას უზრუნველყოფს. კონვენციას უპირატესობა აქვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმართ, კონსტიტუციის ჩათვლით.

საქართველოში, მხარეები აქტიურად იყენებენ კონვენციას მართლმსაჯულების განხორციელებისას თუ საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. ეროვნული სასამართლო კონვენციას იყენებს მხარეთა არგუმენტების საპასუხოდ ან საკუთარი ინიციატივით. მხარეები ხშირად არასწორად განმარტავენ კონვენციურ უფლებებს. თუ ეს ხარვეზები ეროვნულმა სასამართლომ არ გამოასწორა, კონვენციური უფლებები ეროვნულ დონეზე არ იქნება უზრუნველყოფილი ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი შინაარსითა და მოცულობით. ამ მიმართებით ეროვნული სასამართლო ხშირად ცდება. კონვენციის არასწორი განმარტება ხელს უშლის ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფას და აზიანებს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას.

კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების ქრილში, ნაშრომში გაანალიზებულია სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მიღებული გადაწყვეტილებები; გამოკვეთილია კონვენციის

შეფარდების პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები და მოცემულია დასკვნები დასაბუთების სტანდარტების გამოყენებაზე. კვლევის მიზნებისთვის, შეფარდება/გამოყენება ნიშნავს კონვენციური უფლებების განმარტებას ეროვნული სასამართლოების მიერ, ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტების მისადაგებას მათ წინაშე არსებულ ფაქტებსა და არგუმენტებზე და მათზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში. არ არის აუცილებელი, გადაწყვეტილებები ახსენებდეს ევროპულ კონვენციას თუ ევროპულ სასამართლოს. შესწავლილია ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, უნდა ითვალისწინებდეს კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს.

ნაშრომი შედგება შესავლისგან, ლიტერატურის მიმოხილვისგან, მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების განსჯისგან. კვლევის შედეგების განსჯა მოიცავს შემდეგ საკითხებს: კონვენცია, როგორც ევროპის საბჭოს ძირითადი ხელშეკრულება, მისი სტატუსი, დასაბუთების სტანდარტების მიმოხილვა და მათი გამოყენების ვალდებულება; კონვენციის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში აღკვეთის ღონისძიების და არსებითი განხილვის სტადიებზე; კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენება ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. ბოლოს თავმოყრილია დასკვნები და რეკომენდაციები. ნაშრომს დასკვნით ნაწილად ერთვის ბიბლიოგრაფია.

დისერტაციის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვას ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი დასაბუთების სტანდარტების შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხისა და ლეგიტიმაციის ზრდას და სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

Abstract

Reasoning Standards under the European Convention on Human Rights refers, on the one hand, to the standards established in the case-law of the European Court of Human Rights (hereinafter “European Court” or “ECtHR”) based on the Council of Europe Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (hereinafter “ECHR”, “European Convention” or “Convention”) and on the other hand, the application of these standards in the decisions and judgments adopted by the courts of general jurisdiction and the Constitutional Court of Georgia.

The European Convention of 4 November 1950 has been in force for Georgia since 20 May 1999. The European Court scrutinises the observance of the engagements undertaken by the States under the Convention and ensures its relevance to the present day through effective, practical and dynamic interpretation of the ECHR rights. The European Convention has precedence over domestic legislation, including the Constitution.

In Georgia, parties to the proceedings often invoke the ECHR in the administration of justice and in constitutional proceedings. The national court applies the Convention in response to the arguments of the parties or on its own initiative. It is common for parties to the proceedings to interpret the ECHR rights incorrectly. Unless these shortcomings are addressed by domestic courts, the ECHR rights are not secured at the national level within the meaning and scope determined by the ECtHR. Courts of Georgia often err in this regard. Incorrect interpretation of the ECHR affects securing human rights and undermines the legitimacy of domestic court acts.

In terms of ECHR reasoning standards, the dissertation analyses those judgments and decisions that are adopted in criminal, civil, administrative, and constitutional proceedings in Georgia. It identifies both positive and negative aspects in the application of the ECHR reasoning standards and recommends the way of application. For the research purposes, the application implies the interpretation of the Convention rights by domestic courts, application of the ECtHR standards to facts and arguments adduced before domestic courts and decision-making within the margin of appreciation afforded to the State. The court acts should not be necessarily referring to the ECHR/ECtHR case-law in express terms to be covered by the dissertation. Those judgments are

also studied which should be based on the ECHR reasoning standards due to the principle of subsidiarity.

The dissertation consists of the introduction, review of academic literature, methodology and research findings. The research covers the following topics: the ECHR as the key convention of the Council of Europe and its status, overview of the reasoning standards and the obligation to apply them; the application of the ECHR in criminal proceedings at the stage of preventive measures and the trial stage; the application of the ECHR reasoning standards in administrative, civil and constitutional proceedings. At the end, conclusions and recommendations are compiled. A bibliography is attached as the concluding part of the dissertation.

The dissertation aims at contributing to the protection of human rights in Georgia in accordance with the reasoning standards established by the ECtHR and to increasing the quality and legitimacy of courts' reasoning as well as public confidence in the judiciary.

სარჩევი

აბსტრაქტი	I
Abstract	III
გამოყენებული აბრევიატურები და ლათინური ტერმინოლოგია	IX
შესავალი	1
კვლევის საგანი	5
ნაშრომის სტრუქტურა	6
1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
2. კვლევის მეთოდოლოგია	10
2.1. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი	10
2.1.1. <i>Pacta Sunt Servanda</i> , საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ეროვნულ სამართალზე მიმართვის დაუშვებლობა	10
2.1.2. სუბსიდიარობა.....	12
2.1.3. მიხედულების ფარგლები, თვითნებობის დაუშვებლობა, ადამიანის უფლების მართლზომიერი შეზღუდვა	13
2.1.4. ადამიანის უფლებების უნივერსალური განმარტება.....	14
2.1.5. ქმედითი დაცვა.....	15
2.1.6. დინამიკური განმარტება.....	16
2.2. კვლევის მეთოდები და მათი გამოყენება კვლევის მიზნების შესასრულებლად	16
3. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების ვალდებულება	20
3.1. ევროპული კონვენცია, როგორც ევროპის საბჭოს ძირითადი ხელშეკრულება.....	20
3.2. ევროპული კონვენციის სტატუსი.....	22
3.3. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობა, გამოყენების ვალდებულება.....	25

3.4. გადაწყვეტილების დასაბუთება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონტექსტში .	28
4. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სისხლის სამართალწარმოებაში – აღკვეთის ღონისძიების შეფარდება	31
4.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (კონვენციის და კანონმდებლობის ხარვეზები).....	31
4.2. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება.....	36
4.2.1. პატიმრობის დასაბუთებაზე ევროპული სასამართლოს და საერთო სასამართლოების პრაქტიკა	36
4.2.2. გირაოს დასაბუთების პრაქტიკა	44
4.2.2.1. გირაოს შეტანა მესამე პირების მიერ	46
4.2.2.2. გირაოს ოდენობის განსაზღვრა	48
4.2.2.3. გირაოს დანიშვნა საქმეზე, რომელიც არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით	52
4.3. კანონმდებლობის ხარვეზების გამოსწორება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ	57
5. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სისხლის სამართალწარმოებაში – არსებითი განხილვა.....	61
5.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (მტკიცებულებითი სტანდარტის დასაბუთება)	61
5.2. მტკიცებულებების შეფასება.....	66
5.2.1. „ჩადებული“ მტკიცებულებები.....	68
5.2.2. „ჩადებული“ მტკიცებულება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა.....	77
5.2.3. დანაშაულის პროვოკაცია	82
5.2.4. პირდაპირი მტკიცებულების არარსებობა ოჯახში ძალადობის საქმეზე.....	91
5.2.5. მტკიცებულებების შეფასება საპროცესო სამართლებრივ კონტექსტში	96
6. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.....	101
6.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ციტირება).....	101

6.2. ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება	104
6.3. ოჯახში ძალადობა.....	112
6.3.1. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – სიცოცხლის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება	114
6.3.2. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული	116
6.3.3. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოთა უმოქმედობაზე რეაგირების ხასიათი	117
6.3.4. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ	119
6.3.5. ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ.....	120
6.3.6. გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ	121
6.3.7. თბილისის სააპელაციო სასამართლო – ვალდებულებების შესრულების შეფასება	122
6.3.8. თბილისის სააპელაციო სასამართლო – უდანაშაულობის პრეზუმფცია.....	125
6.4. საკუთრების უფლება.....	128
6.4.1. ლეგიტიმური მოლოდინი	128
6.4.2. კომპენსაციის უფლება.....	130
6.5. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება	134
6.6. პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება	136
6.6.1. მოქალაქეობის უფლება.....	136
6.6.2. შრომითი ურთიერთობები	139
6.7. გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა	145
7. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში.....	151
7.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (დასაბუთების სტანდარტის ციტირების ხარვეზები)	151

7.2. გამოხატვის თავისუფლება v. პირადი ცხოვრების დაცულობა.....	155
7.2.1. ფაქტი და შეფასებითი მსჯელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	157
7.2.2. ფაქტი და შეფასებითი მსჯელობა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში	158
7.2.3. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	160
7.2.4. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში	161
7.2.5. პასუხისმგებლობა შეფასებითი მსჯელობისთვის	167
7.3. საკანონდებლო ხარვეზების გამოსწორება საერთო სასამართლოების მიერ.....	169
7.4. საკანონდებლო ხარვეზების გამოსწორება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.....	172
7.5. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სხვა მაგალითები.....	178
7.5.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესები.....	178
7.5.2. მეუღლეთა თანასაკუთრება.....	181
7.5.3. ინფორმირებული თანხმობა.....	185
8. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში.....	188
8.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (საკანონმდებლო ხარვეზები)	188
8.2. კონსტიტუციური სარჩელის შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასება	193
8.2.1. ფორმალისტური მიდგომა და წინასწარგანჭვრეტადობის პრობლემა.....	193
8.2.2. <i>Jura Novit Curia</i>	204
9. დასკვნები და რეკომენდაციები	215
ბიბლიოგრაფია	231

გამოყენებული აბრევიატურები და ლათინური ტერმინოლოგია

CM	მინისტრთა კომიტეტი
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECRI	რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია
<i>Erga omnes</i>	საყოველთაო
<i>Et seq.</i>	და შემდგომ (სქოლიოში გვერდის ან პუნქტის შემდგომ გვერდებზე ან პუნქტებზე მითითება)
<i>Inter alia</i>	მათ შორის
<i>Mutatis mutandis</i>	სათანადო ცვლილებებით
<i>Numerus clausus</i>	ამომწურავად
PACE	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
<i>Ratione materiae</i>	საკითხის შინაარსობრივი თავსებადობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქციასთან
Rec.	რეკომენდაცია
Res.	რეზოლუცია
<i>Ultima ratio</i>	საბოლოო არგუმენტი
<i>Vide infra</i>	იხ. ქვემოთ
<i>Vide supra</i>	იხ. ზემოთ

შესავალი

წინათქმა, საკვლევი პრობლემის არსი, კვლევის აქტუალობა, მიზნები და პრაქტიკული დანიშნულება

„დასაბუთების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე“ ეხება, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის საბჭოს 1950 წლის კონვენციის (შემდგომში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, „ევროპული კონვენცია“ ან „კონვენცია“)¹ საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში „ევროპული სასამართლო“ ან „სასამართლო“) მიერ დადგენილ სტანდარტებს და მეორე მხრივ, ამ სტანდარტების გამოყენებას საქართველოს საერთო სასამართლოების და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა შედარებით მოგვიანო ეტაპია.² მე-20 საუკუნე, განსაკუთრებით, მისი მეორე ნახევარი, ადამიანის უფლებათა ხანად არის წოდებული.³ კონვენცია 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის⁴ შემდგომ რიგით მეორე საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტია, რომელიც ადამიანის უფლებების ჩამონათვალს ითვალისწინებს. კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს ადგენს ევროპული სასამართლო, რომელიც კონვენციური უფლებების შინაარსსა და მოცულობას და კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა შესატყვის ვალდებულებებს განმარტავს. კონვენციის და სასამართლოს ეს ურთიერმიმართება ასახავს, თუ როგორ განვითარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისოსამართლებრივი დაცვა მისი ისტორიის მანძილზე – ადამიანის

¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია.

² Tomuschat C., Human Rights: Between Idealism and Realism, Oxford/New York: Oxford University Press, 2003, 7.

³ Baxi U., The Future of Human Rights, 2nd ed., Oxford/New York: Oxford University Press, 2003, 1.

⁴ Universal Declaration of Human Rights, United Nations General Assembly Resolution 217 A, 10.12.1948, <www.un.org/>[22.2.2024].

უფლებები, როგორც სასამართლო შემოქმედების პროდუქტი.⁵ წინამდებარე ნაშრომშიც ამ დაცვის ეროვნული სასამართლოების მიერ უზრუნველყოფის შეფასებაა.

კონვენცია მიღებული იქნა ევროპის საბჭოს ფარგლებში და როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება, საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.⁶ კონვენცია ითვალისწინებს რიგ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს და ხელშემკვრელ მხარეებს აკისრებს მათი უზრუნველყოფის ვალდებულებას ყველასთვის თავიანთ იურისდიქციაში.⁷

კონვენციით დაფუძნებულია საერთაშორისო აღსრულების მექანიზმი. ევროპული სასამართლო შეიქმნა, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ კონვენციით და დამატებითი ოქმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.⁸ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.⁹ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეუძლია კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე კონვენციის ქმედითი იმპლემენტაციის შესახებ ახსნა-განმარტებების მიცემა მოსთხოვოს.¹⁰

ევროპული სასამართლოს მიდგომა კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს,¹¹ რომლის თანახმად, კონვენციით შექმნილი სისტემა ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიაა.¹² შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს საერთაშორისო სასამართლოზე უკეთ შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი საჭიროებები. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან უფლებადარღვეული პირებისთვის ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებები და მიხედულების

⁵ Baxi U., *The Future of Human Rights*, 2nd ed., Oxford/New York: Oxford University Press, 2003, 20-21.

⁶ იხ. <www.matsne.gov.ge>[22.2.2024].

⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია, მუხლი 1.

⁸ იქვე, მუხლი 19.

⁹ იქვე, მუხლი 46.

¹⁰ იქვე, მუხლი 52.

¹¹ იქვე, პრეამბულა.

¹² Council of Europe, *Explanatory Report to Protocol No. 15 Amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms*, Council of Europe Treaty Series – No. 213, Strasbourg, 2013, §7 *et seq.*

ფარგლებში ადასრულონ კონვენცია. ევროპული სასამართლოს ფუნქციაა, შეამოწმოს რამდენად შესაბამისობაშია შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების გადაწყვეტილებები კონვენციასთან, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლების გათვალისწინებით.¹³

ევროპის საბჭოს 2023 წლის ბოლოდროინდელი რეკიავიკის დეკლარაციაც, სხვა პოლიტიკური დეკლარაციების მსგავსად,¹⁴ განამტკიცებს სუბსიდიარობისა და მიხედულების ფარგლების პრინციპებს და ეროვნული ხელისუფლებისა და ევროპული სასამართლოს საზიარო პასუხისმგებლობას კონვენციით შექმნილი სისტემის სათანადო მუშაობისთვის.¹⁵ რეკიავიკის დეკლარაციით, ევროპის საბჭოს მიდგომა რჩება იგივე – კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს აკისრიათ წამყვანი და უპირატესი ვალდებულება, ყველასთვის, თავიანთი იურისდიქციის და მიხედულების ფარგლებში, უზრუნველყონ კონვენციური უფლებები და თავისუფლებები, ხოლო ევროპული სასამართლო დამატებითი მექანიზმია, ამ ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად.¹⁶

ეროვნული სასამართლოები ითვლებიან ადამიანის უფლებათა პირველ გარანტორებად, რომლებიც კონვენციის სრულ, ქმედით და უშუალო აღსრულებას უზრუნველყოფენ.¹⁷ შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენებას და მის საფუძველზე გადაწყვეტილებების დასაბუთებას.¹⁸ ცხადია, სუბსიდიარობის პრინციპი ვრცელდება ადმინისტრაციულ უწყებებზეც. ეროვნული სასამართლოების მსგავსად, არც ისინი უნდა შემოიფარგლონ უფლებაში

¹³ იქვე, §§8-9.

¹⁴ *Inter alia*, Council of Europe, Brighton Declaration, High Level Conference “On the Future of the European Court of Human Rights”, 2012, §3, 12.b), 11, <www.coe.int.org>[22.2.2024].

¹⁵ Council of Europe, Reykjavík Declaration, Reykjavík Summit of the Council of Europe: “United Around Our Values”, CM(2023)57, 2023, Reykjavík, §7, <www.coe.int.org>[22.2.2024].

¹⁶ იქვე, §4.

¹⁷ Council of Europe, Brussels Declaration, High-level Conference: “Implementation of the European Convention on Human Rights, Our Shared Responsibility”, 2015, Brussels, 5, <www.coe.int.org>[22.2.2024].

¹⁸ იქვე, §3.

ჩარევის კანონიერების შემოწმებით და უნდა ხელმძღვანელობდნენ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებით.¹⁹

კონვენცია აქტიურად გამოიყენება საქართველოში მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას. ეროვნულ სამართალწარმოებაში კონვენციაზე უთითებენ დაინტერესებული პირები, ადვოკატები, პროკურორები, სამართალწარმოების მხარე სახელმწიფო უწყებები და ხშირად, საკუთარი ინიციატივით, თავად სასამართლო. მხარეები ხშირად არასწორად განმარტავენ კონვენციურ უფლებებს და დასაბუთების სტანდარტებს, უთითებენ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მათ არგუმენტებთან შემხებლობა ნაკლებად აქვს.²⁰ ხშირად ეროვნული სასამართლოც ცდება. კონვენციის არასწორად განმარტება, ევროპული სასამართლოს სტანდარტების არასწორად გამოყენება, ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ცალსახად უარყოფითი შედეგის მოტანის გარეშე, ყველა შემთხვევაში, აკნინებს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს და ლეგიტიმაციას უკარგავს მას.

ეროვნული სასამართლოს მიერ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების მართებულად გამოყენებას დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს. კონვენციის საფუძველზე გადაწყვეტილებების დასაბუთება არის საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულება,²¹ რომლის შესრულებაც ხელს უწყობს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტების მიხედვით დაცვას, გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის და ლეგიტიმაციის ზრდას, სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას. ნაშრომი, გარკვეულწილად, იმასაც

¹⁹ იხ. ჯორბენაძე ლ., სახელის უფლება და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 309.

²⁰ ეს ხარვეზები იდენტიფიცირდა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კვლევისას. იხ. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²¹ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003, 24.

ემსახურება, რომ საქართველომ შედარებით მცირე, მაგრამ გარკვეული წვლილი შეიტანოს ევროპული სასამართლოს გადატვირთვის პრევენციაში, რაც ევროპის საბჭოს დიდი წუხილის საგანია.²²

კვლევის საგანი

ზემოთ აღნიშნული მიზნების უზრუნველსაყოფად, ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, შესაბამისად, სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასა და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ბოლოდროინდელ წლებში მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებისას კონვენციის გამოყენება ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების კრილში და ამ გამოყენების დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

ნაშრომის კვლევის საგანი, ერთი შეხედვით, ფართოა, იმ თვალსაზრისით, რომ ზოგადად, კონვენციის და არა რომელიმე კონვენციური უფლების იმპლემენტაციას ეხება. უპირატესობა მიენიჭა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების ზოგად თემას, ერთ ან რამდენიმე უფლებაზე არსებული სტანდარტების გამოყენების მწირი მაგალითების და შესაბამისად, უფლების შეზღუდული პერსპექტივიდან განხილვის საპირისპიროდ.

ნაშრომის მიზნებისთვის „გამოყენებაში“ იგულისხმება ეროვნული სასამართლოს მიერ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების შინაარსის და მოცულობის განმარტება, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების მისადაგება განსახილველ ფაქტობრივ გარემოებებთან და გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოს სახელით, შესაბამისი მიხედულების ფარგლებში, გადაწყვეტილებაში განხილული რელევანტური და საკმარისი გარემოებების საფუძველზე. ზოგჯერ, ყურადღება ექცევა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ციტირების ტექნიკურ კომპონენტსაც.

²² Council of Europe, Copenhagen Declaration, 2018, Copenhagen, §42 *et seq.*, <www.coe.int.org>[22.2.2024].

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შედგება შესავლისგან, ლიტერატურის მიმოხილვისგან, მეთოდოლოგიისა და კვლევის შედეგების განსჯისგან. კვლევის შედეგების განსჯა მოიცავს შემდეგ საკითხებს: კონვენცია, როგორც ევროპის საბჭოს ძირითადი ხელშეკრულება, მისი სტატუსი, დასაბუთების სტანდარტების მიმოხილვა და მათი გამოყენების ვალდებულება; კონვენციის გამოყენება სისხლის სამართალწარმოებაში აღკვეთის ღონისძიების და არსებითი განხილვის სტადიებზე; კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენება ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. ბოლოს თავმოყრილია დასკვნები და რეკომენდაციები. ნაშრომს დასკვნით ნაწილად ერთვის ბიბლიოგრაფია.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის საგნიდან გამომდინარე, ნაშრომში, ძირითადად, განხილულია, ერთი მხრივ, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები,²³ მეორე მხრივ, საქართველოს სასამართლოების ბოლოდროინდელ წლებში მიღებული აქტები,²⁴ მათ შორის შესაბამისობის თუ წინააღმდეგობის გამოსაკვეთად. განხილულია საქართველოს რელევანტური ნორმატიული აქტები.²⁵ სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა შინაარსი და მოცულობა და დასაბუთების აუცილებელი კომპონენტების შინაარსობრივი დატვირთვა. ზოგჯერ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განვითარების ტენდენციების გამოსაკვეთად, გამოყენებულია ევროპული სასამართლოს სამდივნოს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები.

კვლევის საგანზე არსებობს უმნიშვნელოვანესი ნაშრომები, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის კონვენციასთან შესაბამისობაზე მკვლევარების მუშაობას დაუდო საფუძველი.²⁶ მიუხედავად ხნოვანებისა, ისინი სახელმძღვანელო

²³ იხ. <<https://hudoc.echr.coe.int>>[22.2.2024].

²⁴ უზენაესი სასამართლოს აქტები – <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>>[22.2.2024]; პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების აქტები – <<https://ecd.court.ge/Decision>>[22.2.2024]; საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები – <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts>>[22.2.2024].

²⁵ იხ. <<https://www.matsne.gov.ge/>>[22.2.2024].

²⁶ *Inter alia*, ფუტკარაძე ი., საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და მოქალაქეთა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ადამიანი და კონსტიტუცია, 3/1998 (10); კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998 (327); კორკელია კ., საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელიას და ი. სესიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2001 (20); კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004 (404); კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004 (244); კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2003 (559); კორკელია, კ., ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება, თბილისი, პეტიტი, 2007 (140); ჭელიძე ლ., საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, (83); ქურდაძე ი., საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი

ღირებულებას ინარჩუნებს ნაშრომის კვლევის სფეროში და ყოველთვის დარჩება მოწინავე წყაროდ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ადრინდელ გადაწყვეტილებებში კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების დინამიკა კარდინალურად განსხვავებულია. მაგალითად, 2003 წლის კვლევაში „პრაქტიკის შესწავლის შედეგად აღმოჩენილია ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენების 41 შემთხვევა“ და დასკვნის თანახმად, „კონვენციის გამოყენების გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ძირითადად უმნიშვნელოა“.²⁷ სადისერტაციო ნაშრომში ნაკლებად, მაგრამ მაინც არის პარალელები ადრინდელ გადაწყვეტილებებთან.

როგორც ევროპული სასამართლოს პრაქტიკის განვითარების, ისე საქართველოს სასამართლოების მიერ კონვენციის უფრო აქტიურად გამოყენების გათვალისწინებით, ნაშრომი მნიშვნელოვან სიახლეს ითვალისწინებს.

ნაშრომს წინ უსწრებს 2017 წლის კვლევა – „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები“, რომელიც ევროპის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა.²⁸ კვლევა ფოკუსირებულია ავტორის მიერ, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, საერთო სასამართლოებისთვის გაწეული ექსპერტული დახმარების შედეგად გადაწყვეტილებებში ასახული კონვენციის დასაბუთების სტანდარტების განხილვაზე. პროექტი ხორციელდებოდა 2012-2016 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა პროექტის ფარგლებში, კონვენციის

სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეფციების განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2008 (10); კორკელია კ., როგორ უზრუნველვყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით, თბილისი: GTZ, 2010 (148).

²⁷ კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004, 129, 132.

²⁸ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

სტანდარტებზე მოსამართლეებთან სამუშაო შეხვედრები საქართველოს მასშტაბით ტარდებოდა²⁹ და 2017 წლის კვლევა ამ მუშაობის შედეგებს ასახავს.

2017 წლის კვლევა, ჯერ კიდევ პროექტის სახით, ფართოდ იქნა განხილული საერთაშორისო კონფერენციაზე³⁰ და შემდეგ ორჯერ – საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მოსამართლეთა კორპუსთან ერთად.³¹ კვლევაზე მუშაობის დასრულების პერიოდისთვის, სასამართლო კორპუსს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა მიღებული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებზე, დასაბუთების ხარვეზებისა და რეკომენდაციების თვალსაზრისით. წინამდებარე ნაშრომი ამ ახალი განვითარების გათვალისწინებით უფრო მეტ პრაქტიკულ დანიშნულებას იძენს.

2017 წლის კვლევა არ ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას, სადისერტაციო ნაშრომი კი საკონსტიტუციო სასამართლოს აქტების ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობას მიმოიხილავს. სიახლეა საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში კონვენციის გამოყენების ვალდებულების საკანონმდებლო რეგლამენტაციის შეფასების თვალსაზრისითაც. ნაშრომში გამოთქმულია რეკომენდაცია საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში *jura novit curia* პრინციპის გამოყენებაზე და შეფასებულია სასამართლოს ფორმალისტური მიდგომები.

²⁹ იხ. *inter alia*, <https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/461-adamianis-uflebata-evropuli-konvecia-da-misi>[22.2.2024].

<https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/treningi-adamianis-uflebata-evropuli>[22.2.2024].

<https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/722-trenerta-treningi-adamianis-uflebebis-temaze>[22.2.2024].

<https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/691-2016-03-22-european-convention-of-human-rights>[22.2.2024].

<https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/456-adamianis-uflebata-evropuli-konvencia-da-misi/>[22.2.2024].

³⁰

<<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168065309b>>[22.2.2024].

³¹<<https://rm.coe.int/1680707df1>>[22.2.2024],

<<http://supremecourt.ge/print/?page=news&id=1408&lang=geo>>[22.2.2024].

2. კვლევის მეთოდოლოგია

2.1. ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია *pacta sunt servanda* და საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ეროვნულ სამართალზე მიმართვის დაუშვებლობა, სუბსიდიარობა, მიხედულების ფარგლები და მასთან დაკავშირებული თვითნებობის დაუშვებლობის და ადამიანის უფლებების მართლზომიერი შეზღუდვის პრინციპები, ადამიანის უფლებების უნივერსალური განმარტების დოქტრინა, კონვენციის ქმედითი დაცვის პრინციპისა და დინამიკური განმარტების პრინციპი.

2.1.1. *Pacta Sunt Servanda*, საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ეროვნულ სამართალზე მიმართვის დაუშვებლობა

Pacta sunt servanda საერთაშორისო ხელშეკრულების მის მონაწილეთათვის სავალდებულო ძალასა და მონაწილეთა მიერ მის კეთილსინდისიერად შესრულებას ნიშნავს. ამასთან, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის თანახმად, „ხელშეკრულების მხარემ არ შეიძლება მიუთითოს თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებზე მის მიერ ხელშეკრულებების შეუსრულებლობის გასამართლებლად.“³²

პრინციპი *pacta sunt servanda* საერთაშორისო სამართლის საყრდენი სვეტია.³³ არსებობს მოსაზრებაც, რომ ამ პრინციპს მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა აქვს, რადგან საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულო ძალა თავად ვენის კონვენციის ლოგიკური შედეგი ვერ იქნება.³⁴ ყველა შემთხვევაში, პრინციპს წინამდებარე

³² სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია, მუხლები 26, 27; პატარაია დ., საერთაშორისო საჯარო სამართალი, წიგნი პირველი, თბილისი: თსუ, 2023, 323.

³³ Schmalenbach K., Article 26. *Pacta Sunt Servanda*, Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, O. Dörr and K. Schmalenbach (eds.), Berlin, Heidelberg: Springer, 2012, 427.

³⁴ იქვე, 428.

ნაშრომისთვის გადამწყვეტი დანიშნულება აქვს, რადგან მის საფუძველზე, სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ დაემორჩილოს მისთვის სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას, არამედ კეთილსინდისიერი ქმედებებით აღასრულოს იგი, ხელშეკრულების მიზნისა და დანიშნულების გათვალისწინებით.³⁵

ვენის კონვენციის 27-ე მუხლი განიხილება „*pacta sunt servanda*“-ს კონკრეტულ გამოვლინებად მკაფიოდ განსაზღვრული შინაარსით.“³⁶ მისი მიზანია, გამორიცხოს საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობა ისეთი „ტრივიალური არგუმენტით“, როგორიცაა განსხვავებული შიდასახელმწიფოებრივი რეგლამენტაცია.³⁷ 27-ე მუხლიდან გამომდინარეობს სახელმწიფოს ვალდებულება, საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოიყვანოს წინააღმდეგობრივი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. ეს პრინციპი განამტკიცებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის სამართლის ძირითად დანაწესს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ვერ გაექცევა საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.³⁸

კვლევაში გამოკვეთილ რიგ შემთხვევაში, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ შეესაბამება კონვენციას. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ პრინციპებს ემყარება კანონმდებლობის შეცვლის რეკომენდაციები. აგრეთვე, ნაშრომში შეფასებულია, რამდენად ანიჭებენ საქართველოს სასამართლოები აღნიშნული კოლიზიის დროს უპირატესობას კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენებას.

³⁵ იქვე, 428, 446.

³⁶ ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1.2022, 127.

³⁷ Schmalenbach K., Article 27. *Internal Law and Observance of Treaties*, Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, O. Dörr and K. Schmalenbach (eds.), Berlin, Heidelberg: Springer, 2012, 453; ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1.2022, 128.

³⁸ Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, UNGA Res 56/83, 12 December 2001, UN Doc A/RES/56/83. Schmalenbach K., Article 27. *Internal Law and Observance of Treaties*, Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, O. Dörr and K. Schmalenbach (eds.), Berlin, Heidelberg: Springer, 2012, 454. ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1.2022, 110.

ზემოაღნიშნული ორი პრინციპის მოქმედება პირობადადებულია იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, როგორც მაგალითად, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შემთხვევაში. ამ დროს, გარდა იმისა, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ წყაროთი, რომელიც ადამიანის უფლების უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, მოქმედებს ადამიანის უფლებათა მართლზომიერი შეზღუდვის პრინციპიც, რომლის შემადგენელი აუცილებელი პირველი კომპონენტია უფლების შეზღუდვა კანონის საფუძველზე.³⁹

2.1.2. სუბსიდიარობა

სუბსიდიარობის პრინციპი კონვენციის მე-15 ოქმის ძალაში შესვლის შედეგად კონვენციის პრეამბულაში აისახა და ნიშნავს, რომ კონვენციური უფლებების უზრუნველყოფის პირველადი ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ევროპულ სასამართლოს მხოლოდ დამხმარე დანიშნულება აქვს.⁴⁰ ეროვნული სასამართლოები, როგორც ადამიანის უფლებათა უწინარესი გარანტორები იმდაგვარად უნდა განმარტავდნენ და იყენებდნენ შიდასახელმწიფოებრივ სამართალს, რომ კონვენციური უფლებები და თავისუფლებები სრულად განხორციელდეს.⁴¹ ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს მხარის კონკრეტული, რელევანტური და მნიშვნელოვანი არგუმენტები⁴² და იმსჯელოს შესატყვის კონვენციურ უფლებებსა და თავისუფლებებზე. განსაკუთრებული

³⁹ *Vide infra*, მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე დიდი პალატის მიერ შეჯერებული სტანდარტი „თავისუფლების უფლებაში ჩარევა უნდა იყოს მართლზომიერი და კანონით დადგენილი სამართალწარმოების შესაბამისად“.

⁴⁰ Council of Europe, Explanatory Report to Protocol No. 15 amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe Treaty Series – No. 213, Strasbourg, 2013, §7 *et seq.*

⁴¹ *Grzęda v. Poland* [GC], no. 43572/18, ECtHR, 15.3.2022, §324.

⁴² *Mont Blanc Trading Ltd and Antares Titanium Trading Ltd v. Ukraine*, no. 11161/08, 14.1.2021, §§82, 84.

სიმკაცრითა და ყურადღებით ფასდება შესაბამის უფლებაში ჩარევის მართლზომიერება.⁴³

ნაშრომში გაანალიზებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში დაბრკოლებები, რომლებიც ეროვნულ დონეზე კონვენციის სრულ და ქმედით იმპლემენტაციას უშლის ხელს და სუბსიდიარობის პრინციპზე დაყრდნობით, შემუშავებულია შესატყვისი რეკომენდაციები.

2.1.3. მიხედულების ფარგლები, თვითნებობის დაუშვებლობა, ადამიანის უფლების მართლზომიერი შეზღუდვა

გარდა იმისა, რომ კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვის უპირატესი ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება, იმავდროულად, სახელმწიფოს აქვს გარკვეული დისკრეცია, ანუ მიხედულების ფარგლები, თუ როგორ დაიცვას კონვენციით გარანტირებული უფლებები, ხოლო ევროპული სასამართლო ამოწმებს, სათანადოდ უზრუნველყო თუ არა სახელმწიფომ ადამიანის უფლება, რადგან სხვადასხვა უფლებასთან მიმართებით სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია.⁴⁴ მართალია, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განმარტება და შეფარდება ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა,⁴⁵ დარღვევად ფასდება კანონის აშკარად თვითნებური განმარტება და შეფარდება, ანუ როდესაც ეროვნული სასამართლოს მიერ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გამოყენება აშკარად დაუსაბუთებელია.⁴⁶ ევროპული სასამართლო ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის თანმიმდევრულობას, სხვადასხვა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნებას

⁴³ *Fabris v. France* [GC], no. 16574/08, ECtHR, 7.2.2013, §72; *Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg*, no. 76240/01, ECtHR, 28.6.2007, §96.

⁴⁴ Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., *Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 9, 14-17.

⁴⁵ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], no. 13279/05, ECtHR, 20.10.2011, §49.

⁴⁶ *Andelković v. Serbia*, no. 1401/08, ECtHR, 9.4.2013, §24.

მოითხოვს.⁴⁷ კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოების პასუხისმგებლობაა, მიიღონ თანმიმდევრული გადაწყვეტილებები.⁴⁸ ქვეყნის უზენაესი სასამართლოს ფუნქციაა არათანმიმდევრული განმარტების შემცველი გადაწყვეტილებებით გამოწვეული წინააღმდეგობის და ბუნდოვანების მოგვარება.⁴⁹ ადამიანის უფლებების მართლზომიერი შეზღუდვის პრინციპიდან გამომდინარე,⁵⁰ კონვენციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა მოხდეს ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტების მიხედვით.

შესაბამისად, ნაშრომში გაანალიზებულია, რამდენად იცავენ საქართველოს სასამართლოები კონვენციურ უფლებებთან მიმართებით ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულ მიხედულების ფარგლებს, უზრუნველყოფენ თვითნებობისგან დაცვას და რამდენად საკმარისად ფასდება უფლებაში ჩარევა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოკვეთილი რელევანტური გარემოებებით. ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე, შემუშავებულია შესატყვისი რეკომენდაციები.

2.1.4. ადამიანის უფლებების უნივერსალური განმარტება

უნივერსალობა ადამიანის უფლებათა აუცილებელი კომპონენტია, როგორც წარუვალობა, განუსხვისებლობა და განუყოფლობა.⁵¹ ადამიანის უფლებათა თეორიაში უნივერსალობა გულისხმობს ადამიანის უფლებების განზოგადებულობას.⁵² ყველას ერთი და იგივე ადამიანის უფლებები აქვს და დაუშვებელია განსხვავება რაიმე ნიშნისა

⁴⁷ *Svilengacánin and Others v. Serbia*, nos. 50104/10, 50673/10, ECtHR, 12.1.2021, §82.

⁴⁸ *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], no. 13279/05, ECtHR 20.10.2011, §55.

⁴⁹ *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], no. 76943/11, ECtHR, 29.11.2016, §123.

⁵⁰ იზორია ლ., ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 11 *et seq.*

⁵¹ Pataria D., *International Law: Text, Cases and Materials*, London/New York: Routledge, 2022, 467; Vienna Declaration and Programme of Action, 25.6.1993, World Conference on Human Rights, <www.ohchr.org>[22.2.2024].

⁵² Goodhart M., *Universalism, The Essentials of Human Rights*, R.K.M Smith and C. Van den Anker (eds.), London: Hodder Arnold Publishing, 2005, 353.

თუ სტატუსის მიხედვით.⁵³ ეს უფლებები ნებისმიერ დროს, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ყველა ადამიანზე ვრცელდება.⁵⁴

კონვენცია, როგორც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციური მექანიზმი, სავალდებულოა საქართველოსთვის, როგორც მისი მონაწილე სახელმწიფოსთვის. ეს ვალდებულება მოქმედებს როგორც მართლმსაჯულების, ისე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებისას.⁵⁵ ის, რომ ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევის კონვენციასთან შესაბამისობას, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას,⁵⁶ არარელევანტურია – ადამიანის უფლება ერთნაირად უნდა იქნეს განმარტებული, მისი უნივერსალური ბუნებიდან გამომდინარე.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია, რამდენად შეესატყვისება ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებების განმარტება ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციური უფლებების განმარტებას, უფლების შინაარსისა და მოცულობის თვალსაზრისით და გათვალისწინებულია შესატყვისი რეკომენდაციები.

2.1.5. ქმედითი დაცვა

ნაშრომი განიხილავს საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებებს და ითვალისწინებს შესატყვის რეკომენდაციებს კონვენციის ქმედითი დაცვის პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმადაც, კონვენცია ვრცელდება კერძო პირთა

⁵³ იქვე, 354.

⁵⁴ ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, 2/41/2014, 74.

⁵⁵ *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, nos. 1828/06, 34163/07, 19029/11, ECtHR, 30.1.1998, §§27 *et seq.* ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 191-192.

⁵⁶ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 1.1.

ურთიერთობებზე და სახელმწიფო უნდა ასრულებდეს პოზიტიურ ვალდებულებებს კონვენციის შესასრულებლად, რათა მისი იმპლემენტაცია თანამედროვე საჭიროებებსა და საფრთხეებზე იყოს მორგებული.⁵⁷

2.1.6. დინამიკური განმარტება

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენცია არის „ცოცხალი აქტი“, რომელიც თანამედროვეობის ქრილში განიმარტება.⁵⁸ შესაბამისად, ნაშრომში შეფასებულია, რამდენად იყენებს ეროვნული სასამართლო, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენებისას, ევროპული სასამართლოს მუდმივად განვითარებად პრაქტიკას.⁵⁹

2.2. კვლევის მეთოდები და მათი გამოყენება კვლევის მიზნების შესასრულებლად

ნაშრომი ეფუძნება გადაწყვეტილებების შედარებითსამართლებრივ ანალიზს, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ადამიანის უფლებების შინაარსისა და მოცულობის განმარტებას. ნაშრომში გამოყენებულია ტელეოლოგიური და ევოლუციური განმარტების მეთოდები, კვლევის დედუქციური და ინდუქციური მეთოდები.

კვლევის მიზნების შესასრულებლად, ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზებულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა ევროპული სასამართლოს განჩინებებთან და გადაწყვეტილებებთან და შეფასებულია საქართველოს სასამართლოს მსჯელობის შესაბამისობა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებთან

⁵⁷ Florczak-Wątor M., The Role of the European Court of Human Rights in Promoting Horizontal Positive Obligations of the State, *International and Comparative Law Review*, 17/2/2017, 45.

⁵⁸ *Tyrer v. the United Kingdom*, no. 5856/72, 25.4.1978, §31.

⁵⁹ იხ. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004, 51.

როგორც დადებითი (შესაბამისობა), ისე უარყოფითი (წინააღმდეგობა) ასპექტების თვალსაზრისით.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა საერთო სასამართლოების მიერ სისხლის, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების შეფასებას.

ვინაიდან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ახორციელებს საკონსტიტუციო კონტროლს და არა მართლმსაჯულებას, ის, გარკვეულწილად, ევროპული სასამართლოს მსგავს საქმიანობას ახორციელებს. განსხვავება ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს საკანონმდებლო ნორმის შესაბამისობას კონსტიტუციასთან, ხოლო ევროპული სასამართლო ამოწმებს არა აბსტრაქტულად საკანონმდებლო ნორმის შესაბამისობას ევროპის ადამიანის უფლებათა კონსტიტუციასთან, არამედ ნორმის შეფარდების პროცესში კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა-არდარღვევის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობა შეფასებულია იმ კონტექსტში, თუ როგორ განმარტავს იგი კონსტიტუციური უფლებების შინაარსსა და მოცულობას (რითიც შემდგომ საერთო სასამართლოები ხელმძღვანელობენ) და რამდენად შესაბამისობაშია ეს განმარტებები ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან. აგრეთვე, კრიტიკულად გაანალიზებულია საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასაშვებობის ეტაპზე კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენება, წინასწარგანჭვრეტადობის უზრუნველყოფის და გადამეტებული ფორმალიზმისგან დაცვის თვალსაზრისით.

ნაშრომში, ცხადია, ვერ იქნებოდა შესწავლილი ეროვნული სასამართლოს ყველა აქტი, სადაც კონვენცია თუ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოხსენიებულია, ან ეს მითითება არ არის, მაგრამ შესატყვისი საკითხი ევროპული სასამართლოს იურისდიქციაში *ratione materiae* ხვდება. იგივე მიზეზის გამო, ნაშრომი ვერც სტატისტიკური თვალსაზრისით იქნება ფასეული. ნაშრომში, კონკრეტული მაგალითების განხილვის გზით, ევროპული სასამართლოს შესაბამის სტანდარტზე მითითებით და ეროვნული სასამართლოს მსჯელობის სანიმუშო თუ ხარვეზიანი

ასპექტების წარმოჩენით, გაანალიზებულია ეროვნული სასამართლოს მიერ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენება.

ცხადია, ასევე შეუძლებელი იქნებოდა, კონვენციით გარანტირებულ ყველა უფლებასთან მიმართებით დასაბუთების სტანდარტების განხილვა. განხილულია დასაბუთების გარკვეული სტანდარტები სისხლის, ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. მაგალითები შერჩეულია გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის, საკითხის აქტუალობის და დასაბუთების ხარისხის მიხედვით.

ნაშრომი შეძლებისდაგვარად ფარავს რეგიონების სასამართლოების გადაწყვეტილებებს. გასათვალისწინებელია გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის გამოწვევები. შესაბამისად, ნაშრომში ზოგიერთი სასამართლოს პრაქტიკა შედარებით ვრცლად არის წარმოჩენილი.

ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია დასაბუთების სტანდარტები იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით, რომლებსაც ევროპული სასამართლო ეყრდნობა კონვენციის ნორმების განმარტებისას. აღნიშნული მიდგომა ემყარება სუბსიდიარობის და მიხედულების ფარგლების პრინციპებს. ეროვნული სასამართლო უნდა განმარტავდეს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, როგორც განმარტავს ევროპული სასამართლო და ითვალისწინებდეს დასაბუთების მაქსიმალურად მიმსგავსებულ სტანდარტს. შესაბამისად, დასაბუთების ხარისხი ფასდება სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გამოყენებითაც.

ზოგჯერ მოცემულია ევროპული სასამართლოს სტანდარტი და შემდეგ გაანალიზებულია ეროვნული სასამართლოს დასაბუთების მასთან შესაბამისობა, ზოგჯერ – პირიქით, ევროპული სასამართლოს სტანდარტის განხილვა, ეროვნული სასამართლოს დასაბუთებასთან მისი მისადაგება და სტანდარტის გამოყენების მართებულობის ანალიზი მოსდევს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთების მიმოხილვას.

ნაშრომში განხილულია სამივე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილები, თუმცა ნაშრომის მიზნებისთვის ინსტანციურობას მნიშვნელობა არ გააჩნია და გადაწყვეტილებები შეფასებულია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რამდენად მართებულად იყენებს ეროვნული სასამართლო კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს. იმავე მიზეზის გამო, არ არის შედარებული ერთი კონკრეტული საქმის განხილვა სამი ინსტანციის სასამართლოში.

ნაშრომში არ არის შეფასებული ეროვნული სასამართლოების დასკვნების მართებულობა. სადისერტაციო ნაშრომში კრიტიკულად გაანალიზებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში კონკრეტულ საკითხთან მიმართებით გამოკვეთილ მსჯელობასთან ეროვნული სასამართლოს იმ არგუმენტების შესაბამისობა, რომლებსაც ეროვნულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება.

3. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების ვალდებულება

3.1. ევროპული კონვენცია, როგორც ევროპის საბჭოს ძირითადი ხელშეკრულება

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ კონვენციის მიღების ერთ-ერთი მიზანი სახელმწიფოებისთვის ევროპის საბჭოს წევრობაში მოაზრებული ვალდებულებების განმარტება იყო.⁶⁰ მათში ყოველთვის მოიაზრებოდა ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვა, რის გამოც, ევროპის გაერთიანების მამოძრავებელ ძალად ადამიანის უფლებების დაცვისკენ სწრაფვა მიიჩნევა.⁶¹

ამ მოსაზრებას ამყარებს კონვენციის პრეამბულაში ევროპის საბჭოს მიზნის ფორმულირება – ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მეტი ერთიანობის მიღწევა, რის ერთ-ერთ საშუალებადაც დასახელებულია „უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი ხორცშესხმა.“⁶² პრეამბულის თანახმად, ქმედითი პოლიტიკური დემოკრატია და ადამიანის უფლებათა საერთო გაგება და უზრუნველყოფა არის ის, რითიც ხორციელდება უფლებების და თავისუფლებების საუკეთესო დაცვა.⁶³ კონვენციის ძირითადი მიზანიც სახელმწიფო ხელისუფლების შესაძლო თვითნებობისგან პირის დაცვაა.⁶⁴ ადამიანის უფლებათა საერთო გაგება აკავშირებს ევროპულ სახელმწიფოებს თანაზიარი პოლიტიკური ტრადიციებით, იდეალებით, თავისუფლებისა და სამართლის

⁶⁰ Harris D.J., O’Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 3.

⁶¹ ჰაინრიხი ბ., ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, გ. თუმანიშვილის, ბ. ჯიშკარიანის, ე. შრამის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 99.

⁶² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია, პრეამბულა.

⁶³ იქვე.

⁶⁴ გოცირიძე ე., მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, თბილისი: ჯისიაი, 2006, 25.

უზენაესობის საერთო მემკვიდრეობით.⁶⁵ არსებობს მოსაზრებაც, რომ კონვენცია კონკრეტულად ევროპულ ღირებულებებს არ ემყარება.⁶⁶

კონვენცია 1953 წლის 3 სექტემბერს შევიდა ძალაში,⁶⁷ ხოლო საქართველოსთვის ის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.⁶⁸ 45 სხვა ევროპულ სახელმწიფოსთან ერთად, საქართველო ვალდებულია, ყველასთვის, თავისი იურისდიქციის ფარგლებში, უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.⁶⁹ 2022 წლის 16 მარტამდე, ევროპის საბჭო 47 წევრ სახელმწიფოს ითვლიდა. 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის წამოწყების გამო, 2022 წლის 15 მარტს, საპარლამენტო ასამბლეამ ერთხმად დაასკვნა, რომ რუსეთი აღარ უნდა ყოფილიყო ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო, რადგან მისი ქმედებები ორგანიზაციის ძირეულ არსს ეწინააღმდეგებოდა.⁷⁰ 2022 წლის 16 მარტს, მინისტრთა კომიტეტის საგანგებო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რუსეთის ფედერაციას ევროპის საბჭოს წევრობა შეუწყდა.⁷¹ მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით განისაზღვრა რუსეთის ფედერაციის წევრობის შეწყვეტის, *inter alia*, სამართლებრივი შედეგები, რაც მოიცავს კონვენციის მოქმედების ძალის და ევროპული სასამართლოს იურისდიქციის შეწყვეტას სახელმწიფოსთვის, რომელიც ევროპის საბჭოს წევრობის მოთხოვნებს აღარ აკმაყოფილებს. იმავდროულად, რუსეთს შეუნარჩუნდა უფლება, იყოს ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული რიგი სხვა ხელშეკრულების მონაწილე.⁷²

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ Orakhelashvili A., The Idea of European International Law, The European Journal of International Law, 17/2/2006, 340.

⁶⁷ იხ. <www.coe.int/en/web/conventions>[22.2.2024].

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია, მუხლი 1.

⁷⁰ PACE, Opinion 300 (2022) on Consequences of the Russian Federation's Aggression Against Ukraine, 15.03.2022, §1, <<https://pace.coe.int/en/files/29885/html>>[22.02.2024].

⁷¹ Committee of Ministers of the Council of Europe, Decision CM/Del/Dec(2022)1428ter/2.3 on Consequences of the Aggression of the Russian Federation Against Ukraine, Procedure Under Article 8 of the Statute, 16.3.2022, <https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=0900001680a5d7d9>[22.02.2024].

⁷² Committee of Ministers of the Council of Europe, Resolution CM/Res(2022)3 On Legal and Financial Consequences of the Cessation of Membership of the Russian Federation in the Council of Europe, 23.2.2022,

აღნიშნულ მოვლენათა განვითარებაც ადასტურებს კონვენციის წამყვან როლს და დაანიშნულებას ევროპის საბჭოში. საქართველოსთვის, როგორც ამ ორგანიზაციის წევრისთვის, კონვენციის სათანადო იმპლემენტაცია ნაკისრი საერთაშორისოსამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულებებიდან უმთავრესია.

3.2. ევროპული კონვენციის სტატუსი

ევროპული სასამართლო კონვენციის ეროვნულ დონეზე მოქმედებას სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 27-ე მუხლის შესაბამისად განმარტავს⁷³ და აფასებს მის მიერ დადგენილ სტანდარტებთან კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (კონსტიტუციის ჩათვლით) საფუძველზე კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევის შესაბამისობას.

მაგალითად, საქმეზე *რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ მსჯავრდებულებისთვის კონსტიტუციით ხმის მიცემის ავტომატური და განურჩეველი შეზღუდვა კონვენციის დარღვევად შეაფასა და თავისუფალი არჩევნების უფლების დარღვევა დაადგინა.⁷⁴ აქედან მარტივად კეთდება დასკვნა – კონვენციას უპირატესი ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიმართ, კონსტიტუციის ჩათვლით. ევროპულმა სასამართლომ არც კი ჩათვალა საჭიროდ კონსტიტუციის დებულების განხილვა, რომელიც კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართებას ეხება. ამ დებულებაზე დაყრდნობა არც მოპასუხე სახელმწიფოს უცდია. მნიშვნელობის დონის მიხედვით მესამე კატეგორიის ამ საქმეზე გადაწყვეტილება კომიტეტმა მიიღო.

თუმცა საკითხის ერთი შეხედვით სიმარტივის მიუხედავად, იურიდიულ ლიტერატურაში მასზე აზრთა სხვადასხვაობაა. არსებობს განმარტება, რომ

<<https://rm.coe.int/resolution-cm-res-2022-3-legal-and-financial-conss-cessation-membershi/1680a5ee99?msclkid=60a33447ab8d11ec9c8f9bc54d5831c1>>[22.02.2024].

⁷³ *Regner v. the Czech Republic* [GC], no. 35289/11, ECtHR, 19.09.2017.

⁷⁴ *Ramishvili v. Georgia*, no. 48099/08, ECtHR, 31.5.2018.

საერთაშორისო ხელშეკრულებას აქვს უპირატესი ძალა „შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ აქტებთან“ მიმართებით, გარდა კონსტიტუციისა.⁷⁵ სხვა მოსაზრების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ „კოლიზიის შანსი კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალს, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებას შორის მცირეა“, სახელმწიფომ უპირატესობა საერთაშორისო ხელშეკრულებას უნდა მიანიჭოს.⁷⁶ ეს ბოლო მოსაზრება განმტკიცებულია ვენის კონვენციის 27-ე მუხლით და სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეჟიმით.⁷⁷ იურიდიულ ლიტერატურაში ასევე არის განხილული რამიშვილის საქმეზე დაყრდნობით კონკრეტულად ევროპული კონვენციის უპირატესი ძალა საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით.⁷⁸

სხვა შემთხვევაში კეთდება აქცენტი (და ეს დამაჯერებელ არგუმენტად არის შეფასებული⁷⁹) კონსტიტუციის მე-4.5 მუხლის (ადრინდელი რედაქციის მე-6.2 მუხლი) სიტყვაზე „შეესაბამება“, რითაც კანონმდებელი გულისხმობს კონსტიტუციის ყველა შემთხვევაში შესაბამისობას საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და ნორმებთან.⁸⁰ აღსანიშნავია საინტერესო მოსაზრება, რომელიც ამ არგუმენტის ჭრილში ადამიანის უფლებათა საყოველთაობას და უნივერსალურობის თეორიას განიხილავს.⁸¹

⁷⁵ იხ. მაგალითად, კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 157.

⁷⁶ ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1.2022, 109.

⁷⁷ იქვე, 110.

⁷⁸ ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 200-201; Zarandia T., Mchedlidze N., Protection of the Right to Property under Georgian Legislation and the European Convention on Human Rights, TalTech Journal of European Studies, 1/2024, 59.

⁷⁹ ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, 2/41/2014, 74.

⁸⁰ ქურდაძე ი., საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეფციების განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2008, 16.

⁸¹ ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, 2/41/2014, 74.

რაც შეეხება „მცირე კოლიზიის შანსს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართალს შორის“, საქართველოს კონსტიტუციის და ევროპული კონვენციის შემთხვევაში, ეს შესაძლებლობა არცთუ ისე მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისობა ევროპის საბჭოს ეგიდით ჩატარებულ კვლევაში დეტალურად არის შესწავლილი.⁸² ამ კვლევამ, მაგალითად, გამოავლინა კონსტიტუციის მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს წამების აკრძალვისგან გამონაკლისს უშვებდა⁸³ და შემდგომში ეს ხარვეზი გამოსწორდა.⁸⁴

თუმცა გასათვალისწინებელია ევროპული სასამართლოს მიერ სტანდარტების ევოლუციური განმარტება, რაც მუდმივი და დინამიკური პროცესია. მაგალითად, რამიშვილის საქმის ცენტრალური საკითხი, რომელზედაც ევროპულმა სასამართლომ სტანდარტი 2005 წელს დაადგინა,⁸⁵ ვერ აისახებოდა ზემოაღნიშნულ კვლევაში, რომელზედაც მუშაობა 2003 წელს დასრულდა.⁸⁶ აგრეთვე გასათვალისწინებელია ხელშემკვრელი სახელმწიფოების ევროპული კონსენსუსის ფორმირება, რაც ასევე მუდმივი პროცესია და საზოგადოების ცნობიერების პროგრესს ასახავს. მაგალითად, ერთი და იგივე სქესის პირთა ქორწინების უფლებაზე ევროპული კონსენსუსის ჩამოყალიბების შემდეგ⁸⁷ კონსტიტუციის მუხლი 30.1 კონვენციის მე-12 მუხლთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდება. შესაბამისად, რამიშვილის საქმეზე გადაწყვეტილება, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დაბალი პრიორიტეტის კატეგორიაში ხვდება, საქართველოსთვის უაღრესად აქტუალურია.

გარდა იმისა, რომ კონვენციას საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით უპირატესი ძალა აქვს, გადაწყვეტილების დასაბუთების პროცესში ეროვნული სასამართლოები

⁸² იხ. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005.

⁸³ იქვე, 49.

⁸⁴ საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმI, №3, 11.01.2007წ., მუხ.48.

⁸⁵ *Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], 74025/01, 06.10.2005, §82.

⁸⁶ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005, 2.

⁸⁷ რაც რეალისტური პერსპექტივაა იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კავშირის უფლებაზე კონსენსუსი უკვე არსებობს. იხ. *Hämäläinen v. Finland* [GC], 37359/09, 16.7.2014.

მხედველობაში უნდა იღებდნენ კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებებსა და საქართველოს მიერ ნაკისრ სხვა საერთაშორისო ვალდებულებებს შორის მიმართებასაც. ევროპული სასამართლო აფასებს, თუ როგორ იცავს სახელმწიფო კონვენციას სხვა საერთაშორისოსამართლებრივი ვალდებულებების შესრულების პროცესში. ვალდებულებებს შორის კოლიზიისას, ევროპული სასამართლო უპირატესობას ანიჭებს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს, ხოლო ჰარმონიული მოწესრიგების შემთხვევაში, კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულების ქრილში განმარტავს.⁸⁸

ნაშრომი არ აფასებს კონვენციის სტატუსს მონიტორ და დუალისტურ სამართლის სისტემებში, რადგანაც ევროპის საბჭო საერთაშორისო სამართალს მულტიცენტრისტულ და კოსმოპოლიტურ ქრილში, „დრომოჭმული მონიტორ/დუალისტური დიქტომიის“ მიღმა განიხილავს.⁸⁹

3.3. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მნიშვნელობა, გამოყენების ვალდებულება

არსებობს მოსაზრება, რომ კონვენციის მნიშვნელობა განპირობებულია არა მისით გარანტირებული უფლებების უნიკალურობით, არამედ ამ უფლებების უზრუნველყოფის საზედამხედველო მექანიზმით.⁹⁰ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ გადაწყვეტილებების შინაარსს და ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის ტექსტის

⁸⁸ Orakhelashvili A., *Al-Dulimi v. Switzerland*: Notes, American Journal of International Law, 110/4/2016, 767-774; მჭედლიძე ნ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი განჩინებები ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ განაცხადების დაუშვებლობაზე, პროფესორ ბესარიონ ზოიდის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიას და თ. ზარანდიას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 349.

⁸⁹ *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 5809/08, 21/06/2016, Concurring Opinion of Judge Pinto de Albuquerque, Joined by Judges Hajiyev, Pejchal and Dedov, 71.

⁹⁰ იხ., მათ შორის, კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004, 10; კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004, 10.

ხარვეზების განვრცობითი განმარტებით შევსებას, კონვენციის მიზანსა და დანიშნულებაზე აქცენტირებით.⁹¹

სიმართლეს აღარ შეესაბამება მტკიცება, რომ კონვენცია ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს ითვალისწინებს და რომ ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი მხოლოდ საკუთრების უფლება და განათლების თავისუფლებაა.⁹² მართალია, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები კონვენციის ტექსტიდან თავიდან გამორიცხული იქნა, როგორც „პრობლემატური“ და მათი რეგულირება მომდევნო ეტაპისთვის იქნა გადატანილი,⁹³ მაგრამ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ამ უფლებებს შორის ზღვარი თანდათან წაიშალა. ზოგი ავტორის მოსაზრებით, ეს განსხვავება სამოქალაქო-პოლიტიკურ უფლებებსა და სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს შორის არც თავიდანვე ყოფილა მკვეთრი, რადგან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ადამიანის ყველა უფლება განუყოფელია.⁹⁴ ყველა შემთხვევაში, ევროპული სასამართლოს განვრცობითი განმარტებით, კონვენციამ მთელი რიგი სოციალური⁹⁵ და კულტურული უფლებები მოიცვა.⁹⁶

ასე, მაგალითად, ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული)⁹⁷ მე-3 მუხლით გათვალისწინებული უფლება შრომის უსაფრთხოებაზე ხვდება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (არასათანადო მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 (პირადი

⁹¹ Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., *Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 5.

⁹² კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004, 10; კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004, 19.

⁹³ Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., *Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 4-5.

⁹⁴ Orakhelashvili A., *Akehurst's Modern Introduction to International Law*, 9th ed., London/New York: Routledge, 2022, 381.

⁹⁵ მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 11.

⁹⁶ *Guide on Cultural Rights in the Case-law of the European Court of Human Rights*, Council of Europe, 17.1.2017, <https://www.echr.coe.int/Documents/Research_report_cultural_rights_ENG.pdf>[22.2.2024].

⁹⁷ ევროპის 1996 წლის სოციალური ქარტია (შესწორებული).

ცხოვრების დაცულობის უფლება) მუხლების მოქმედების ფარგლებში.⁹⁸ შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის მე-3 მუხლი საქართველოს სავალდებულოდ არ უღიარებია, ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება ქვეყნისთვის მაინც სავალდებულოა კონვენციის მეშვეობით.⁹⁹

სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, დაიცვას დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი უფლებები და თავისუფლებები.¹⁰⁰ თუმცა სასამართლოს პრაქტიკის განვითარებამ აჩვენა, რომ შესაძლებელია, სახელმწიფოს მოეთხოვოს იმ დამატებითი ოქმით უზრუნველყოფილი უფლების დაცვა, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს მიერ არ არის რატიფიცირებული.

მაგალითად, საქმეზე *ოსმანოღლუ და კოჩაბაში შვეიცარიის წინააღმდეგ*, მშობლები ჩიოდნენ, რომ არ შეეძლოთ მათი რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების მიხედვით აღეზარდათ შვილები.¹⁰¹ განათლების უფლებას ითვალისწინებს კონვენციის მე-2 ოქმი, რომელიც შვეიცარიას რატიფიცირებული არ ჰქონდა, თუმცა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლების პრეტენზია და სახელმწიფოს შესატყვისი ვალდებულებები კონვენციის მე-9 მუხლით (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) განიხილა.

კონვენციის 46.1. მუხლის ძალით, საქართველო ვალდებულია დაემორჩილოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ის მხარეა. იმავდროულად, კონვენციის პირველი მუხლიდან და სასამართლოს პრაქტიკის *erga omnes* ჰორიზონტალური ძალის გამო,¹⁰² ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები,

⁹⁸ მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 10.

⁹⁹ იქვე.

¹⁰⁰ კორკელია ვ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004, 13; კორკელია ვ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004, 25.

¹⁰¹ *Osmanoglu and Kocabaş v. Switzerland*, no. 29086/12, ECtHR, 10.1.2017.

¹⁰² მარია-ლადევიგი ი., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, ვ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 94.

რომლებიც მიღებულია არა საქართველოს, არამედ, ევროპის საბჭოს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოსთვისაც სავალდებულოა, რადგან განმარტავს შესატყვისი უფლების შინაარსსა და მოცულობას, რაც თავად კონვენციის ტექსტში არ არის თვალსაჩინო. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების *erga omnes* ჰორიზონტალური ძალა ჩანს სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებაში, სადაც ზოგადი პრინციპების ნაწილში განმეორებულია მსგავს საქმეებზე, მეტწილად, სწორედ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებები და მათში დადგენილი სტანდარტებია შეჯერებული.

3.4. გადაწყვეტილების დასაბუთება სამართლიანი სასამართლო განხილვის კონტექსტში

კონვენციის მე-6.1 მუხლი ავალდებულებს ეროვნულ სასამართლოს, დაასაბუთოს გადაწყვეტილება,¹⁰³ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა არგუმენტს დეტალური პასუხი უნდა გაეცეს.¹⁰⁴ ეს უკანასკნელი ასპექტი ეროვნულმა სასამართლოებმა თვითნებურად რომ არ გამოიყენონ,¹⁰⁵ ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ არგუმენტების მოყვანის ვალდებულების ხარისხი იცვლება თავად გადაწყვეტილების ხასიათის მიხედვით.¹⁰⁶ მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს, პრინციპში, შეუძლია, უბრალოდ გაიმეოროს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტები და არ დააკმაყოფილოს სააპელაციო საჩივარი.¹⁰⁷ გარდა იმისა, რომ დასაბუთების მოცულობა შეიძლება დამოკიდებული იყოს თავად გადაწყვეტილების სპეციფიკაზე,¹⁰⁸ გასათვალისწინებელია პირის მიერ წარდგენილი არგუმენტების სიმრავლეც, ეროვნული კანონმდებლობის და კონტექსტის

¹⁰³ *Ruiz Torija v. Spain*, no. 18390/91, ECtHR, 9.12.1994, §29; *Humpert and Others v. Germany* [GC], nos. 59433/18 *et al.*, ECtHR, 14.12.2023, §157.

¹⁰⁴ *Van de Hurk v. the Netherlands*, no. 16034/90, ECtHR, 19.4.1994, §61.

¹⁰⁵ *Vide infra*, ზოგადი პრობლემის აღწერა (დასაბუთების სტანდარტის დასაბუთება).

¹⁰⁶ *Gusev v. Ukraine*, no. 25531/12, 14.1.2021, §25.

¹⁰⁷ *Rusishvili v. Georgia*, no. 15269/13, ECtHR, 30.6.2022, §75.

¹⁰⁸ *Groni v. Albania*, no. 25336/04, ECtHR, 7.7.2009, §198.

სპეციფიკაც.¹⁰⁹ შესაბამისად, მხოლოდ თითოეული საქმის გარემოებების შეფასების შედეგად შეიძლება დადგინდეს, შეასრულა თუ არა ეროვნულმა სასამართლომ მე-6 მუხლიდან გამომდინარე გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. მართალია, სასამართლოს არ მოეთხოვება, ყველა არგუმენტს დეტალური პასუხი გასცეს, სამართალწარმოების მხარეებმა უნდა მიიღონ კონკრეტული და პირდაპირი პასუხი სამართალწარმოების შედეგისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე არგუმენტებზე.¹¹⁰ ევროპული სასამართლოს კონტექსტში, განაჩენის დასაბუთების საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია, პირის ბრალეულობასთან მისი მჭიდრო კავშირის გამო,¹¹¹ ვინაიდან ეს ბოლო საკითხი სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის.

კონვენცია არ ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნას გადაწყვეტილების ფორმასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ქვეყნის განსხვავებული სამართლებრივი კულტურის და მიდგომების გამო, მაგრამ დასაბუთების მოთხოვნა ყველასთვის ერთია.¹¹² ეროვნულ დონეზე დაყენებულ მოთხოვნებს ეროვნული სასამართლოები აძლევენ სამართლებრივ შეფასებებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საფუძველზე, მაგრამ ეს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების შესაბამისად უნდა მოხდეს და შესატყვისი არგუმენტებით პასუხი უნდა გაეცეს მინიმუმ იმ საკითხებს, რომლებიც შედეგისთვის გადამწყვეტია.¹¹³ დასაბუთება უნდა მოიცავდეს საქმის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს: მტკიცებულების შეფასებას, ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტებს და საპროცესო საკითხებს.¹¹⁴ სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში, ევროპული

¹⁰⁹ *Paun Jovanović v. Serbia*, no. 41394/15, ECtHR, 7.2.2023, §101.

¹¹⁰ *Moreira Ferreira v. Portugal (no. 2)* [GC], no. 19867/12, 11.7.2017, §87.

¹¹¹ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 131.

¹¹² თევზაძე ლ., დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, მართლმსაჯულება და კანონი, 4(60)2018, 14.

¹¹³ *Gusev v. Ukraine*, no. 25531/12, 14.1.2021, §30.

¹¹⁴ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 134.

სასამართლო ასევე აფასებს, რამდენად შეიძლება იყოს შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისი მსჯავრდებისთვის, ბრალდების უცვლელობის პრინციპის კონტექსტში.¹¹⁵

დემოკრატიულ საზოგადოებაში, განაჩენის დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დასაბუთებული განაჩენი მოსამართლის დამოუკიდებლობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.¹¹⁶ ყველა შემთხვევაში, უფლება სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებაზე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია¹¹⁷ და ადამიანს თვითნებური გადაწყვეტილებებისგან იცავს.¹¹⁸

¹¹⁵ მაღლაკელიძე ლ., ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017, 76,

<<https://www.dgstz.de/storage/documents/pEc1W1kEc5a4XPTs4pJ1ufJPdQr8ws6pCOCUhB6C.pdf>>[22.2.2024].

¹¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები: სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 6; თევზაძე ლ., დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, მართლმსაჯულება და კანონი, 4(60)2018, 7.

¹¹⁷ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 131.

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები: სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 313.

4. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სისხლის სამართალწარმოებაში – აღკვეთის ღონისძიების შეფარდება

4.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (კონვენციის და კანონმდებლობის ხარვეზები)

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემდეგ,¹¹⁹ ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებების უზრუნველყოფი პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რის გამოც კონვენციის ტექსტი საკმაოდ ხარვეზიანია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მე-5 მუხლი კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე არაადეკვატურად ფორმულირებული დებულებაა და რომ ეროვნული კანონმდებლობები უფრო მაღალ სტანდარტს ადგენენ.¹²⁰

კონვენციის ხარვეზები ევროპული სასამართლოს განმარტებებით არის გამოსწორებული. მაგალითად, მე-5 მუხლი *numerus clausus* პრინციპით ითვალისწინებს თავისუფლების უფლების შეზღუდვის საფუძვლებს,¹²¹ თუმცა „თვითნებობას“ და მისგან დაცვას არ ახსენებს. მიუხედავად ამისა, მე-5 მუხლი, სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შედარებით, თვითნებობისგან ინდივიდის ყველაზე მძლავრ დაცვას ითვალისწინებს.¹²² ეს ევროპული სასამართლოს დამსახურებაა, რომლის განმარტებითაც, მე-5 მუხლის დანიშნულება პირის თავისუფლების უფლებაში თვითნებური ჩარევისგან დაცვაა.¹²³

ევროპული სასამართლოს განმარტება მე-5 მუხლის სახელწოდებაში მოხსენიებული ორი უფლების – თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების დატვირთვასა და

¹¹⁹ Universal Declaration of Human Rights, United Nations General Assembly Resolution 217 A, 10.12.1948, <www.un.org>[22.2.2024].

¹²⁰ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 470.

¹²¹ ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2002, 246.

¹²² ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 452.

¹²³ იხ., მაგალითად, *Shiksaitov v. Slovakia*, nos. 56751/16, 33762/17, ECtHR, 10.12.2020, §55.

ურთიერთმიმართებაზე შედარებით ნაკლებად ნათელია. საქმეზე *ბოზანო იტალიის წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ თავისუფლების შეზღუდვა არ იყო არც „მართლზომიერი“ მე-5.1.ვ) მუხლის მნიშვნელობით და არც „პირის უსაფრთხოების უფლებას“ შეესაბამებოდა.¹²⁴

ზოგი ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ პირადი უსაფრთხოების უფლება შინაარსობრივად არაფერს მატებს თავისუფლების უფლებას.¹²⁵ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად იშვიათად უთითებს ევროპული სასამართლო პირის უსაფრთხოების უფლებაზე მე-5 მუხლის დარღვევისას, ეს დასკვნა დამაჯერებელია.

მე-5 მუხლი ემყარება თავისუფლების პრეზუმფციას. პირის თავისუფლება არის წესი და მისი შეზღუდვა – გამონაკლისი; თავისუფლების უფლებაში ჩარევა უნდა გრძელდებოდეს იმ ხანგრძლივობით, რაც აბსოლუტურად აუცილებელია და პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, როცა თავისუფლების უფლებაში ჩარევა აღარ მართლდება.¹²⁶

2009 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს (შემდგომში „სსს კოდექსი“) არასრული ფორმულირებების გასამართლებლად ნაკლები მიზეზი აქვს. კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების პრეზუმფციის ფარგლები უფრო ვიწროა – „პირი უნდა იყოს თავისუფალი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დადასტურდა მისი დაპატიმრების აუცილებლობა.“¹²⁷ ფორმულირების ხარვეზს სსს კოდექსის კომენტარი ავსებს, რომ აღნიშნული დეფინიცია შეზღუდვითად არ უნდა იქნეს განმარტებული. კომენტარის თანახმად, „დაპატიმრება“ განვრცობითად განიმარტება და გულისხმობს

¹²⁴ *Bozano v. Italy*, no. 9990/82, ECtHR, 18.12.1986, §§54, 60.

¹²⁵ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 457.

¹²⁶ მაკოვეი მ., პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ნ. მჭედლიძის რედაქტორობით და კომენტარებით, თბილისი: პეტიტი, 2004, 5-6.

¹²⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 5.4.

თავისუფლების უფლებაში ჩარევის ყველა სახეს.¹²⁸ მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების პრეზუმფციის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დეფინიცია ხანგრძლივობაზე არ მიუთითებს, ზემოთ ციტირებული საკანონმდებლო ნორმა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ჭრილში განიმარტება.¹²⁹ თავისუფლების პრეზუმფციას ასახავს სსს კოდექსის მე-6.3 მუხლიც – „უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.“

მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე, დიდმა პალატამ თავისუფლების უფლებაზე არსებული პრაქტიკა შეაჯერა. სისხლის სამართალწარმოების კონტექსტში პირისთვის თავისუფლების შეზღუდვის მე-5 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად, საჭიროა სამი პირობის დაკმაყოფილება.¹³⁰

1) დაკავება უნდა ეფუძნებოდეს „საფუძვლიან ეჭვს“, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.

ეს მტკიცებულებითი სტანდარტი გულისხმობს ფაქტებისა თუ ინფორმაციის არსებობას, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა, რომ შესაბამის პირს შეეძლო დანაშაული ჩაედინა. რა ჩაითვლება საფუძვლიანად, დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე, მაგრამ ფაქტები, რომლებიც ქმნის ეჭვის საფუძველს, არ არის აუცილებელი აკმაყოფილებდეს სტანდარტს, რომელიც მოითხოვება მსჯავრდებისთვის ან თუნდაც ბრალის წარსადგენად.¹³¹ ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პირის დაკავება დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე მე-5.1 მუხლთან რომ იყოს შესაბამისი, არ არის აუცილებელი არსებობდეს საკმარისი მტკიცებულებები ბრალის წარსადგენად, დაკავების მომენტისთვის თუ დაკავების განმავლობაში.¹³² საფუძვლიანი ეჭვი მტკიცებულებითი სტანდარტის პირდაპირი თარგმანია და სახელწოდება, სავარაუდოდ,

¹²⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 1.10.2015 მდგომარეობით, თბილისი: ABA, 2015, 57.

¹²⁹ იქვე.

¹³⁰ *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017, §183 *et seq.*

¹³¹ იქვე, §184.

¹³² *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, ECtHR, 19.5.2004, §53.

აღებული უნდა იყოს საერთო სამართლის ქვეყნებიდან, სადაც დამკვიდრებული სტანდარტია *“reasonable suspicion”*, *“reasonable grounds to believe or suspect”*.¹³³

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს საფუძვლიანი ეჭვის მსგავს ტერმინს, რაც არის დასაბუთებული ვარაუდი. დასაბუთებული ვარაუდი არის „ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა, ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისთვის ან/და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი.“¹³⁴

ზოგჯერ, კონვენციის კონტექსტში, „საფუძვლიანი ეჭვის“ ნაცვლად, იყენებენ ტერმინს „დასაბუთებული ვარაუდი“.¹³⁵ დეფინიციებს შორის მსგავსების გათვალისწინებით, ეს გასაკვირი არ არის. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ტერმინი „საფუძვლიანი ეჭვი“, რადგან ევროპული სასამართლო მას მოიხსენიებს სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, სამართალწარმოების განმავლობაში მტკიცებულებითი სტანდარტი იცვლება.

საქართველოს კანონმდებლობით, დაკავების ეტაპისთვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ევროპული სასამართლოს პრაქტიკით მოითხოვება. პირს ბრალი წაეყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული¹³⁶ და დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.¹³⁷ ეს გულისხმობს, რომ დაკავების მომენტისთვის გამოძიებას უნდა ჰქონდეს საკმარისი

¹³³ Lindstone K., Palmer K., *The Investigation of Crime: A Guide to Police Powers*, 2nd ed., London: Butterworths, 1996, 5.

¹³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3.11.

¹³⁵ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 48, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024]; მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება პატიმრობის შეფარდებისას, სამართლის ჟურნალი, 2, 2020, 262.

¹³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 17.1.

¹³⁷ იქვე, მუხლი 170.2.

ინფორმაცია და ფაქტები, რომლის საფუძველზედაც შეიძლება პირისთვის ბრალის წარდგენა. სსს კოდექსის კომენტარების თანახმად, მაღალი სტანდარტის მიზანია, დაიცვას პირი თავისუფლების უფლების დაუსაბუთებელი, ნაჩქარევი შეზღუდვისგან, დაუსაბუთებლად ბრალის წარდგენისგან და უზრუნველყოს საზოგადოების დაცვა.¹³⁸

ეროვნული კანონმდებლობა უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს¹³⁹ არა მარტო დასაბუთებული ვარაუდის, არამედ დაკავების კანონიერების კონტექსტშიც. სსს კოდექსი, დასაბუთებულ ვარაუდთან ერთად, დაკავებისთვის დამატებით საფუძველებს ადგენს.¹⁴⁰

2) დაკავების, პატიმრობის მიზანი უნდა იყოს პირის „უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს“ წინაშე წარდგენა.¹⁴¹

3) თავისუფლების უფლებაში ჩარევა უნდა იყოს მართლზომიერი და კანონით დადგენილი სამართალწარმოების შესაბამისად.

აღნიშნული გულისხმობს, რომ თავისუფლების უფლებაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის ფორმალურ და საპროცესო მოთხოვნებს, ხოლო თავად კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობის პრინციპს.¹⁴² კანონი უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, ცხადი და წინასწარგანჭვრეტადი. თავისუფლების უფლებაში ჩარევა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5.1 მუხლის მიზანს (თვითნებობისგან დაცვა).¹⁴³

საბოლოო ჯამში, ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებთან შესაბამისობა დამოკიდებულია ეროვნული სასამართლოს მიერ განხორციელებულ ქმედით კონტროლზე.¹⁴⁴ ნაშრომში

¹³⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 1.10.2015 მდგომარეობით, თბილისი: ABA, 2015, 129.

¹³⁹ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 470.

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 171.

¹⁴¹ *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017, §185.

¹⁴² იქვე, §186.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ McBride J, Rights of the Detained Persons While Reviewing Lawfulness of Detention, Council of Europe, <<https://rm.coe.int/coe-turkey-round-table-jeremy-mcbride/16809fda1a>>[22.02.2024].

საქართველოს საერთო სასამართლოების შესატყვისი პრაქტიკა სწორედ ამ ჭრილშია გაანალიზებული.

4.2. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება

4.2.1. პატიმრობის დასაბუთებაზე ევროპული სასამართლოს და საერთო სასამართლოების პრაქტიკა

კონვენციის მე-5.3 მუხლი ითვალისწინებს დაკავებული პირის უფლებას გონივრულ ვადაში საქმის განხილვაზე ან სასამართლო განხილვის განმავლობაში გათავისუფლებაზე და ადგენს სხვადასხვა გარანტიით გათავისუფლების შესაძლებლობას.¹⁴⁵ ეროვნულმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებაზე.¹⁴⁶

მე-5.3 მუხლი განიმარტება თავისუფლების პრეზუმფციის ჭრილში, რაც არ გულისხმობს ამ დებულების გრამატიკულ განმარტებას. ადამიანს აქვს თავისუფლების უფლება და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება მისთვის თავისუფლების შეზღუდვა.¹⁴⁷

მე-5.3 მუხლის ტექსტი არ ითვალისწინებს რელევანტური და საკმარისი გარემოებებით დასაბუთებას. თუმცა დარღვევად ფასდება შემთხვევები, როდესაც ეროვნული სასამართლო პატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიებას, სტერეოტიპული მსჯელობით და კონკრეტული ფაქტების შეფასების გარეშე ასაბუთებს.¹⁴⁸

პატიმრობის თითოეული საფუძველი (მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლის საფრთხეები) საკმარისად უნდა დასაბუთდეს რელევანტური გარემოებებით. ამ გარემოებების ერთობლიობა საკმარისი უნდა იყოს, რათა დამაჯერებლად წარმოაჩინოს პირის მიერ გარკვეული ქმედების

¹⁴⁵ *Shabani v. Switzerland*, no. 29044/06, ECtHR, 5.11.2009, §62.

¹⁴⁶ *Kadura and Smaliy v. Ukraine*, nos. 42753/14, 43860/14, ECtHR, 21.1.2021, §126.

¹⁴⁷ *Wemhoff v. Germany*, no. 2122/64, ECtHR, 27.6.1968, §§4-5.

¹⁴⁸ *Kadura and Smaliy v. Ukraine*, nos. 42753/14, 43860/14, ECtHR, 21.1.2021, §126.

ჩადენის საფრთხე, რომელიც სამართალწარმოებას შეაფერხებს, ან მართლმსაჯულების განხორციელებას ხელს შეუშლის.

რელევანტური და საკმარისი გარემოებებით აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია **თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის** მიერ დამკვიდრებული მიდგომა. საგამომიებო კოლეგია საპატიმრო ღონისძიების გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას, მხედველობაში იღებს სისხლის სამართლის საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებულ კონკრეტულ და ინდივიდუალურ მახასიათებლებს.¹⁴⁹ ეს მახასიათებლები ქმნის, ან გამორიცხავს პატიმრობის შეფარდების შესაძლებლობას. თბილისის სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა ამის აუცილებლობა სათანადოდ საბუთდება.¹⁵⁰

ეს მიდგომა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას შეესაბამება. თუმცა ცხადია, მნიშვნელოვანია, სტანდარტი თითოეულ განჩინებაში როგორ აისახება. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმავე განჩინებაში, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს,¹⁵¹ წინააღმდეგობაში მოდის ევროპული სასამართლოს მიდგომასთან, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერება ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს არ უკავშირდება.¹⁵²

გარემოებების მითითების ვალდებულება ვრცელდება როგორც საფუძვლიანი ეჭვის დადგენაზე, ასევე მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის თუ სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლის საფრთხეების დასაბუთებაზე. ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ეროვნული სასამართლოს განჩინებაში გამოკვეთილი ფაქტები, რომლებიც მიუთითებს

¹⁴⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 4.10.2017 განჩინება საქმეზე N1გ/1199-17, გვ.4.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე, გვ.6.

¹⁵² მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 195, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

დანაშაულის ჩადენის საფუძვლიან ეჭვზე, ვერ ასაბუთებს საფრთხეებს, როგორც პატიმრობის საფუძველს.¹⁵³

დასაბუთებული ვარაუდის სასამართლო პრაქტიკაში განმარტების თვალსაზრისით, აღსანიშნავია თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მსჯელობა. საგამომიებო კოლეგიამ მართებულად განმარტა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, როცა აღნიშნა, რომ ეს მტკიცებულებითი სტანდარტი არ გულისხმობს, რომ ყოველგვარი ეჭვი უნდა იქნეს გამორიცხული და გონივრულ ეჭვს მიღმა უნდა დასტურდებოდეს პირის ბრალეულობა, რათა აღკვეთის ღონისძიება იქნეს გამოყენებული.¹⁵⁴ თუმცა სააპელაციო სასამართლომ არასწორი მიმართება დაადგინა დასაბუთებულ ვარაუდსა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას შორის. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს „შეიძლება იძლეოდეს ის საკმარისი მონაცემები, რაც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს.“¹⁵⁵ ასეთი მონაცემები შეიძლება იყოს: „საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ახასიათებს სავარაუდო დანაშაულს, ქმედების ხასიათს, სპეციფიკას, ჩადენის ხერხს და მიაჩნებებს ბრალდებულის შესაძლო მიმალვის ან მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის შესახებ.“¹⁵⁶

ასეთი მსჯელობა არ შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და პრინციპში, არც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას. პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე დასაბუთებული ვარაუდის არსებობა საკმარისია მის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების დასაწყებად, მაგრამ არ არის საკმარისი არც დაკავების და არც პატიმრობის დასაბუთებლად.

ზემოაღნიშნული საქმე დიდი ოდენობით თანხის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ვარაუდს ეხებოდა. ბრალდება ემყარებოდა

¹⁵³ *Kadura and Smaliy v. Ukraine*, nos. 42753/14, 43860/14, ECtHR, 21.1.2021, §127.

¹⁵⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 5.12.2014 განჩინება საქმეზე N18/1234, გვ.4.

¹⁵⁵ იქვე.

¹⁵⁶ იქვე.

დაზარალებულების და მოწმეების ჩვენებებს, ხელშეკრულებებს, ხელწერილებს, ექსპერტიზის დასკვნებს და ა.შ. საგამოძიებო კოლეგიამ ეს მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე უკვე ფორმირებული იყო დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე, გამოიყენა იმის დასასაბუთებლად, რომ ბრალდებული კვლავაც ჩადენდა დანაშაულს, ან მოახდენდა ზემოქმედებას მოწმეებზე ისეთივე მოტყუების გზით, როგორც მანამდე მოატყუა დაზარალებულები.¹⁵⁷

ამ კონტექსტში, რელევანტურია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება *დერეცი თურქეთის წინააღმდეგ*,¹⁵⁸ რომელშიც ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ „დანაშაულის ხასიათს და საქმეში არსებულ მტკიცებულებებს“ და ამით დაასაბუთეს პატიმრობის შეფარდება. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები შეიძლება იყოს რელევანტური ფაქტორი ბრალეულობის დასასაბუთებლად, მაგრამ ვერ გამოდგება აღკვეთის ღონისძიების დასასაბუთებლად.¹⁵⁹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა თურქეთის ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებას ემსგავსება, რადგან ისიც, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას, დანაშაულის ხასიათსა და მტკიცებულებებზე უთითებს. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეს მიდგომა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას არ შეესაბამება.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკას შეესაბამება **რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის** მსჯელობა მტკიცებულებითი სტანდარტის დანიშნულებაზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისთვის. საქმეში არსებობდა პოლიციის თანამშრომლის პატაკი, მოწმის ჩვენება, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება და ა.შ., რაც რუსთავის საქალაქო სასამართლომ გამიჯნა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძვლისგან და მიუთითა, რომ აღკვეთის

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ *Dereci v. Turkey*, no. 77845/01, ECtHR, 24.5.2005.

¹⁵⁹ იქვე, §38.

ლონისძიების მიზანია ბრალდებულის მიმალვის და დანაშაულებრივი მდგომარეობის აღკვეთა და განაჩენის შესრულების უზრუნველყოფა.¹⁶⁰

ალბათობის მაღალი ხარისხი არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამკაცრებული მტკიცებულებითი სტანდარტი სამართალწარმოების მომდევნო ეტაპზე, რაც ცხადია, მნიშვნელოვანი გარანტიაა პატიმრობაშეფარდებული პირის თავისუფლების უფლების თვალსაზრისით. სტანდარტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, არის ალბათობის მაღალი ხარისხი, რომლის საფუძველიც არის სხდომაზე წარდგენილი „ურთიერთშეთავსებადი და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობა“ და რომელიც საკმარისია ვარაუდის მაღალი ხარისხისთვის, რომ მოცემულ საქმეზე გამოტანილი იქნება გამამტყუნებელი განაჩენი.¹⁶¹ მაშინ, როცა კონვენციის და ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, საფუძველიანი ეჭვის არსებობა საკმარისია იმისთვის, რომ პირის წინააღმდეგ წარმოებდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და საფუძველიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული ასევე არის პატიმრობის აუცილებელი წინაპირობა, სსს კოდექსი ითხოვს, რომ საქმე არსებითი განხილვისთვის შეიძლება გადაეცეს, თუ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე დარწმუნდება, რომ „ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.“¹⁶² თუ მტკიცებულებები, რომლებიც წარდგენილია ბრალდების მხარის მიერ, ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ბრალდებულის მიერ არის ჩადენილი, სასამართლომ წინასასამართლო სხდომაზე უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა.¹⁶³ ცხადია, უქმდება აღკვეთის ღონისძიებაც.

¹⁶⁰ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 21.11.2015 განჩინება საქმეზე N10ა-236-15, გვ.2-3.

¹⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3.12.

¹⁶² იქვე, მუხლი 219.5.

¹⁶³ იქვე, მუხლი 216.6.

წინასასამართლო სხდომაზე ალბათობის მაღალი ხარისხით მტკიცების ტვირთის შესრულების შეფასების თვალსაზრისით, აღსანიშნავია თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებები.¹⁶⁴ თბილისის საქალაქო სასამართლომ მოცემულ საქმეზე, ბრალდებულის მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 236.2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა და გააუქმა აღკვეთის ღონისძიება, ვინაიდან მტკიცებულებათა ერთობლიობა არ იყო საკმარისი და ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს ჰქონდა ჩადენილი ბრალად წარდგენილი ქმედება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეაფასა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასა და აღკვეთის ღონისძიების გაუქმებაზე კანონიერი იყო და განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობდა.¹⁶⁵

მოცემულ საქმეზე, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა არა პატიმრობა, არამედ გირაო. თუმცა საქმე მნიშვნელოვანია სწორედ მტკიცებულებითი სტანდარტის თვალსაზრისით და რეკომენდებულია ამ განჩინებებში მოყვანილი არგუმენტების მსგავსი მსჯელობის განვითარება მტკიცებულებით სტანდარტთან დაკავშირებით მიღებულ სხვა განჩინებებშიც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოების ზემოაღნიშნული განჩინებები არის მაგალითი იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, რომელიც კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ და ევროპული სასამართლოს პრაქტიკით მოთხოვნილ სტანდარტს აღემატება, პრაქტიკაშიც ითვალისწინებს დაცვას

¹⁶⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.1.2015 განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 23.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ-71.

¹⁶⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 23.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ-71, გვ.3.

ბრალდებულისთვის და თავისუფლების უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის საწინააღმდეგოდ უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ მიმალვის საფრთხე შეფასდეს სხვადასხვა ფაქტორზე მითითებით, განსაკუთრებით, რომლებიც ეხება პიროვნებას, მის მორალს, საცხოვრისს, სამუშაო ადგილს, ქონებას, ოჯახურ კავშირს და ქვეყანასთან კავშირს, სადაც მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა წარმოებს.¹⁶⁶ მაგალითად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არქონა თავისთავად არ არის საკმარისი მიმალვის საფრთხის დასაბუთებისთვის,¹⁶⁷ თუმცა შესაძლებელია, განხილული იქნეს სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, რითაც დაკმაყოფილდეს რელევანტური და საკმარისი დასაბუთების მოთხოვნა.

მაგალითად, მოლდოვას წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლოების მიერ ბრალდებულის პიროვნების და სხვა ფაქტორების ერთობლივი შეფასება დასაბუთებული იყო. ვინაიდან ბრალდებულზე ადვილად შეიძლებოდა ზემოქმედების განხორციელება, ეროვნულმა სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ შეიძლებოდა მისი ადვილად დარწმუნება, ხელი შეეშალა გამოძიებისთვის. ამასთან, ბრალდებულს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, სტაბილური სამუშაო და შემოსავალი. ევროპული სასამართლოს აზრით, სხვადასხვა ფაქტორის ერთობლივი შეფასება მე-5 მუხლს შეესაბამებოდა.¹⁶⁸

მიმალვის საფრთხე არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წარდგენილი ბრალდების სიმძიმითა და მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით.¹⁶⁹ ბრალდების სიმძიმე და შესაბამისად, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრე რელევანტური გარემოებებია მიმალვის საფრთხის დასაბუთებლად, მაგრამ ცალკე აღებული ეს გარემოებები ვერ დაასაბუთებს გახანგრძლივებულ თავისუფლების შეზღუდვას,¹⁷⁰ რაშიც იგულისხმება

¹⁶⁶ *Lakatos v. Hungary*, no. 21786/15, ECtHR, 21.6.2018, §62.

¹⁶⁷ *Sokurenko v. Russia*, no. 33619/04, ECtHR, 10.1.2012, §86.

¹⁶⁸ *I. E. v. Moldova*, no. 45422/13, ECtHR, 26.5.2020, §§7, 75.

¹⁶⁹ *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, ECtHR, 8.2.2005, §106.

¹⁷⁰ *Chraidi v. Germany*, no. 65655/01, ECtHR, 26.10.2006, §40.

დაკავების შემდეგ პატიმრობის დასაბუთების მოთხოვნა. მიმალვის საფრთხე იკლებს დროის გასვლასთან ერთად, როდესაც ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული.¹⁷¹ როდესაც ერთადერთი მიზეზი, რაც ამართლებს პატიმრობის შეფარდებას, არის მისი მიმალვის შიში, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს, თუკი არის შესაძლებელი, რომ გამოყენებული იქნეს გარანტიები, რომლებიც სამართალწარმოების ორგანოს წინაშე მის გამოცხადებას უზრუნველყოფს.¹⁷² დაუშვებელია, რომ ბრალდებულის მიერ სამართალწარმოებისთვის ხელშემშლის საფრთხე შეფასდეს აბსტრაქტულად. ეს საფრთხე გამყარებული უნდა იყოს ფაქტობრივი მტკიცებულებებით.¹⁷³

ევროპულმა სასამართლომ შეიძლება გაიზიაროს არგუმენტი, რომ არსებობს ბრალდებულის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე, მხოლოდ სამართალწარმოების საწყის ეტაპზე.¹⁷⁴ ეს საფრთხე არ შეიძლება ემყარებოდეს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეს, არამედ გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული ფაქტებით.¹⁷⁵

ევროპული სასამართლო მოითხოვს არა უბრალოდ მითითებას წარსულში ჩადენილ დანაშაულზე, ეროვნულმა სასამართლომ მას უნდა შეადაროს მიმდინარე სამართალწარმოებაში წარდგენილი ბრალი, ხასიათის და სიმძიმის თვალსაზრისით.¹⁷⁶ ის ფაქტი, რომ ბრალდებული დაუსაქმებელია, ან არ ჰყავს ოჯახი, თავისთავად არ ასაბუთებს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს.¹⁷⁷

პატიმრობის საფუძვლების დასაბუთებაზე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა დამატებით არის განხილული სტატიაში „საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

¹⁷¹ *Neumeister v. Austria*, no. 1936/63, ECtHR, 27.6.1968, §10.

¹⁷² *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017, §223.

¹⁷³ *Merčep v. Croatia*, no. 12301/12, ECtHR, 26.4.2016, §89.

¹⁷⁴ *Jarzyński v. Poland*, no. 15479/02, ECtHR, 4.10.2005, §43.

¹⁷⁵ *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017, §224.

¹⁷⁶ *Dervishi v. Croatia*, no. 67341/10, ECtHR, 25.9.2012, §137.

¹⁷⁷ *Gábor Nagy v. Hungary*, no. 73999/14, ECtHR, 11.4.2017, §74.

დადგენილი სტანდარტების გამოყენება პატიმრობის შეფარდებისას“,¹⁷⁸ რომელიც წინამდებარე ნაშრომის ნაწილია.

4.2.2. გირაოს დასაბუთების პრაქტიკა

გირაოს შეფარდების საკითხი პირდაპირ უკავშირდება პატიმრობას, ვინაიდან გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის გადაუხდელობა არის საფუძველი, სასამართლომ პროკურორის შუამდგომლობით გამოიყენოს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიება, რაც არის პატიმრობა.¹⁷⁹ შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს გირაოს ოდენობის სწორად განსაზღვრას და მესამე პირების მიერ გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების აღებისას, იმის შეფასებას, რამდენად უზრუნველყოფს გირაო ბრალდებულის შესაბამის ქცევას.

კონვენციის მე-5.3 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის მიზანია, უზრუნველყოს არა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ ბრალდებულის გამოცხადება სამართალწარმოების ორგანოს წინაშე.¹⁸⁰ საქართველოს კანონმდებლობით, გირაოს მიზანია არამარტო ბრალდებულის დროულად გამოცხადება გამომძიებელთან, პროკურორთან თუ სასამართლოში, არამედ მისი სათანადო ქცევის უზრუნველყოფაც.¹⁸¹ ანუ გირაო დამატებით უზრუნველყოფს, რომ ბრალდებულმა არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, არ შეუშალოს ხელი მართლმსაჯულების განხორციელებას მტკიცებულებების განადგურებით, მოწმეებზე ზემოქმედებით და ა.შ. ცხადია, ეს განსხვავება არ ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. მით უმეტეს, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში შეფასებულია გირაოს ქცევის უზრუნველყოფელი ხასიათი არა მარტო მიმალვის

¹⁷⁸ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება პატიმრობის შეფარდებისას, სამართლის ჟურნალი, 2, 2020, 261-272.

¹⁷⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.5.

¹⁸⁰ *Mangouras v. Spain* [GC], no. 12050/04, ECtHR, 28.9.2010, §78.

¹⁸¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.1.

საფრთხესთან, არამედ აღკვეთის ღონისძიების სხვა საფუძვლებთან მიმართებითაც.¹⁸² ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გირაო შეიძლება მოთხოვნილი იქნეს, როცა არსებობს პატიმრობის საფუძვლები.¹⁸³ თუ შესაძლებელია, რომ მიმალვის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული გირაოთი ან სხვა გარანტიებით, ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს.¹⁸⁴

წინააღმდეგობა იკვეთება გირაოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გირაოს ოდენობა განისაზღვრება ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობით და იმ პირებთან მისი ურთიერთობით, რომლებიც თანახმა არიან, გადაიხადონ გირაოს თანხა.¹⁸⁵ საქართველოს კანონმდებლობა, ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან ერთად, მოიხსენიებს დანაშაულის სიმძიმესაც,¹⁸⁶ ხოლო საქართველოს საერთო სასამართლოები, გირაოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ განხილული განჩინებების უმეტესობაში, მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებულ ზიანზე, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ გირაოს ოდენობას.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია, ეროვნულმა სასამართლომ გაითვალისწინოს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ოდენობა.¹⁸⁷ ევროპულმა სასამართლომ ზღვის დაბინძურების და გარემოსთვის მიყენებული უპრეცედენტო ზიანის მიყენების საქმეზე, გამონაკლისის სახით დაუშვა, რომ მხოლოდ ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის საფუძველზე არ ყოფილიყო განსაზღვრული გირაოს ოდენობა.¹⁸⁸ აღსანიშნავია, რომ ევროპულმა მხედველობაში მიიღო სახელმწიფოს ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობდა

¹⁸² Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to Liberty and Security, Council of Europe, Strasbourg, 22.8.2022, §37, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_5_eng>[22.2.2024].

¹⁸³ *Muşuc v. Moldova*, no. 42440/06, ECtHR, 6.11.2007, §42.

¹⁸⁴ *Zayidov v. Azerbaijan*, no. 11948/08, ECtHR, 20.2.2014, §60.

¹⁸⁵ *Gafa v. Malta*, no. 54335/14, ECtHR, 22.5.2018, §70.

¹⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 200.2.

¹⁸⁷ *Mangouras v. Spain* [GC], no. 12050/04, ECtHR, 28.9.2010.

¹⁸⁸ იქვე, §88 *et seq.*

ევროპის საბჭოს კონვენციიდან გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის შესახებ, რომლის მონაწილე საქართველო არ არის.¹⁸⁹

ის, რომ დანაშაულის სიმძიმე და მიყენებული ზიანის ოდენობა მხედველობაში მიიღება თითქმის ყველა განჩინებაში, როლითაც გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიებაა გამოყენებული, ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6.2 მუხლით უზრუნველყოფილ უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელსაც მე-5.3 მუხლიც იღებს მხედველობაში.¹⁹⁰ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და მისი გადახდის შესაძლებლობა.¹⁹¹

4.2.2.1. გირაოს შეტანა მესამე პირების მიერ

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გირაოს თანხის განსაზღვრასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მხოლოდ ბრალდებულის პირადი ქონებრივი მდგომარეობა არ არის გადამწყვეტი ფაქტორი გირაოს ოდენობის განსაზღვრისთვის. ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან ერთად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს გირაოს გადახდაზე ნების გამომხატველი მესამე პირების რეალური ქონებრივი მდგომარეობა და მათი ბრალდებულთან ურთიერთდამოკიდებულება.¹⁹²

ეს არის კონვენციის საფუძველზე დასაბუთების მნიშვნელოვანი სტანდარტი.¹⁹³ ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-5.3 მუხლის გარანტიის დანიშნულებაა, უზრუნველყოს ბრალდებულის პროცესზე დასწრება.¹⁹⁴ შესაბამისად,

¹⁸⁹ Convention on the Protection of the Environment through Criminal Law, Council of Europe, 4.11.1998, <<https://rm.coe.int/168007f3f4>>[22.2.2024].

¹⁹⁰ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 582.

¹⁹¹ *Hristova c. Bulgarie*, no. 60859/00, ECtHR, 7.12.2006, §111.

¹⁹² ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 13.1.2015 განჩინება საქმეზე N10/ა-12/15, გვ.5.

¹⁹³ *Gafà v. Malta*, no. 54335/14, ECtHR, 22.5.2018, §70.

¹⁹⁴ *Mangouras v. Spain* [GC], no. 12050/04, ECtHR, 28.9.2010, §78.

გირაოს ოდენობა უნდა განისაზღვრის მისი ქონებრივი მდგომარეობის და იმ პირებთან დამოკიდებულების გათვალისწინებით, რომლებმაც უნდა შეიტანონ გირაო. ანუ მსგავსი მსჯელობით, მაქსიმალურად ფასდება, ბრალდებულის არგამოცხადების, ან გირაოს სხვა პირობის დარღვევის შემთხვევაში, გირაოს შემტანი პირების მიერ გირაოს დაკარგვის რისკი საკმარისი შემაკავებელი და ქცევის უზრუნველყოფი ფაქტორი იქნება თუ არა ბრალდებულისთვის. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მსგავსი მსჯელობის განვითარებას ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის შესახებ განჩინებაში დიდი მნიშვნელობა აქვს განჩინების დასაბუთებულობის თვალსაზრისით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინებაში¹⁹⁵ დამატებით განმარტებულია მოთხოვნები, რომლებიც ასეთ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს. განსახილველ საქმეში თანდართული სანოტარო აქტის ასლის თანახმად, ქონების მესაკუთრე თანახმა იყო, გირაოს უზრუნველსაყოფად, ყადაღა დასდებოდა მის კუთვნილ უძრავ ქონებას. თუმცა არც სანოტარო აქტი და არც სხვა დოკუმენტი არ მიუთითებდა, რომ ქონების მესაკუთრეს რეალურად განემარტა აღკვეთის ღონისძიების პირობების დარღვევის შედეგები.

სსს კოდექსის მე-200 მუხლი მოითხოვს უფლებების და მოვალეობების განმარტებას და მიუთითებს წერილობით ფორმაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ იყო უფლებამოსილი, საკითხი განეხილა, რადგან განმარტების ფაქტი არ დასტურდებოდა. სასამართლომ მიუთითა, კონკრეტულად ვის ეკისრებოდა წერილობითი განმარტების ვალდებულება. პროკურორმა ან პროკურორის დავალებით, გამომძიებელმა წერილობით უნდა განმარტოს მე-200 მუხლში განსაზღვრული უფლება-მოვალეობები და ქონებაზე ყადაღის დადების შუამდგომლობასთან ერთად უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღნიშნული დოკუმენტი. სააპელაციო სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სანოტარო აქტით უფლება-მოვალეობის განმარტების შესაძლებლობა, იმ პირობით, თუ დოკუმენტი ცალსახად მიუთითებს, რომ ქონების მესაკუთრეს სრულად განემარტა საპროცესო

¹⁹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 8.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ/19.

კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობები და ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შედეგები კონკრეტულად მისთვის.¹⁹⁶

ბათუმის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებებში დადგენილი სტანდარტები სრულად შეესაბამება კონვენციის საფუძველზე ზემოთ განხილულ დასაბუთების სტანდარტს.

4.2.2.2. გირაოს ოდენობის განსაზღვრა

გირაოს ოდენობის განსაზღვრა კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებულ ფუძემდებლურ თავისუფლების უფლებას ეხება და მისი ოპტიმალური ოდენობა ისეთივე ყურადღებით უნდა შეფასდეს, როგორც პატიმრობის აუცილებლობა.¹⁹⁷ გირაოს ოდენობა სათანადოდ უნდა დასაბუთდეს და სასამართლო მხედველობაში უნდა იღებდეს ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას. ევროპული სასამართლო ამოწმებს, შეფასდა თუ არა ბრალდებულის ქონება აღკვეთის ღონისძიებაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მოიძია თუ არა ხელისუფლების ორგანომ ინფორმაცია ან მტკიცებულება იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა ბრალდებულს გირაოს თანხის გადახდა.¹⁹⁸ აღსანიშნავია ბრალდებულის ვალდებულებაც, კეთილსინდისიერად წარადგინოს ინფორმაცია ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, გადამოწმდეს, გირაოს ოპტიმალური ოდენობის დასადგენად.¹⁹⁹

საყურადღებოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განმარტება, რომ ეს საკითხები პროკურორმა სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვამდე უნდა გაარკვიოს, რადგან შუამდგომლობაში გირაოს თანხა და მისი შეტანის ბოლო ვადა მიეთითება. ქონებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიღება

¹⁹⁶ იქვე, გვ.4.

¹⁹⁷ *Kolakovic v. Malta*, no. 76392/12, ECtHR, 19.3.2015, §69.

¹⁹⁸ *Naimdzhon Yakubov v. Russia*, no. 40288/06, ECtHR, 12.11.2015, §65.

¹⁹⁹ *Iwanczuk v. Poland*, no. 25196/94, ECtHR, 15.11.2001, §66; *Mikalauskas v. Malta*, no. 4458/10, ECtHR, 23.7.2013, §119.

პროკურორს ევალება როგორც გირაოს ოდენობის, ისე გირაოს თანხის შეტანის ვადის მითითებისას. საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, მაგრამ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გადაწყვეტილება უნდა ასაბუთებდეს, რატომ დადგინდა მხარეთა მიერ მითითებული რაოდენობისა და ვადისგან განსხვავებული პირობები.²⁰⁰ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიდგომას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ სასამართლოს ყველა შემთხვევაში ევალება ოდენობის და ვადის დასაბუთება.

სასამართლოთა უმრავლესობას უხვად აქვს გამოყენებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები,²⁰¹ მაგრამ ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას მიდგომა, ხშირად, სხვაგვარია. ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა საქმეთა მითითებას, არამედ, თუ როგორ გამოიყენება ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას და გადაწყვეტილების მიღებისას.

მაგალითად, აღსანიშნავია სამწუხარო ტენდენცია გირაოს თანხის განსაზღვრისას, როცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ითვალისწინებს ბრალდებულის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ბრალდებული დასაქმებული არის თუ არა, ნახსენებიც არ არის. შესაძლებელია, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა მას მართლაც აძლევდეს განსაზღვრული ოდენობის გირაოს გადახდის შესაძლებლობას, მაგრამ ევროპული სასამართლო ამოწმებს არა ფაქტებს, არამედ არის თუ არა ფაქტები სათანადოდ შეფასებული და მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული. საკმარისი და რელევანტური გარემოებები ცხადად უნდა იყოს მითითებული სასამართლოს განჩინებაში.²⁰²

ძალზე საეჭვოა გირაოს სახით გადასახდელი თანხის ოდენობის დასაბუთება, მაგალითად, **ოზურგეთის რაიონული სასამართლოს** მიერ. ბრალდებული 2003 წლიდან მოყოლებული იმყოფებოდა ჩოხატაურის სამედიცინო ცენტრის ფსიქიატრიულ

²⁰⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 8.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ/19, გვ.3.

²⁰¹ ხშირად ციტირებული გადაწყვეტილებები: *Neumeister v. Austria*, no. 1936/63, ECtHR, 27.6.1968; *Iwanczuk v. Poland*, no. 25196/94, 15.11.2001.

²⁰² *Andrey Smirnov v. Russia*, no. 43149/10, ECtHR, 13.2.2018, §26.

კაბინეტში აღრიცხვაზე „გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობის“ დიაგნოზით.²⁰³ სასამართლომ, მიუთითა იმ აუცილებლობაზე, რომ ბრალდებულის პიროვნების და მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უნდა დაედგინა გირაოს სახით გადასახდელი რაოდენობა, მაგრამ ისე განსაზღვრა გირაოს ოდენობა 4000 ლარით,²⁰⁴ რომ არ მიუთითებია, თუ კონკრეტულად პიროვნების რა ასპექტი და რა ქონებრივი მდგომარეობა ამართლებდა ასეთ მაღალ თანხას, რომელიც, საქართველოს ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ არის გადამეტებული მოთხოვნა, რომ იყოს დასაბუთებული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განჩინებაში მოყვანილია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დადგენილი პრაქტიკა (*ნოიმაისტერი ავსტრიის წინააღმდეგ*²⁰⁵ და *ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ*²⁰⁶), რომლის თანახმადაც, გირაოს განსაზღვრისას, სასამართლომ უნდა შეაფასოს პატიმრის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირებთან, რომლებიც გირაოს იხდიან. თუმცა ოზურგეთის სასამართლოს განჩინებაში არაფერია ნათქვამი, ვინ იხდიდა გირაოს და მით უმეტეს, არც ამ პირების ბრალდებულთან ურთიერთობა განჩინებაში არ არის შეფასებული. ცხადია, ფაქტობრივი შეფასების და მისი განჩინებაში ასახვის გარეშე ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მხოლოდ ციტირება თავისთავად არ მიუთითებს გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთებულობაზე.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს სხვა განჩინებაში, მითითებულია, რომ „ბრალდებულის განმარტებით, მის ოჯახს საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება, რომლითაც უზრუნველყოფს გირაოს თანხის შეტანას.“²⁰⁷ ამ შემთხვევაში, მართალია, განხილულია ბრალდებულის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა, მაგრამ მასთან ბრალდებულის ურთიერთობის შეფასების გარეშე გირაოს თანხის განსაზღვრა დასაბუთების სტანდარტს

²⁰³ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.7.2015 განჩინება, გვ.2.

²⁰⁴ იქვე, გვ.5.

²⁰⁵ *Neumeister v. Austria*, no. 1936/63, ECtHR, 27.6.1968.

²⁰⁶ *Iwanczuk v. Poland*, no. 25196/94, ECtHR, 15.11.2001.

²⁰⁷ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2.7.2015 განჩინება.

არ აკმაყოფილებს, რადგან გირაოს მიზანი არის არა ბიუჯეტის შევსება, არამედ ბრალდებულის ქცევის უზრუნველყოფა, რაც ვერ იქნება გარანტირებული აღნიშნული ურთიერთობის გამოკვლევის გარეშე. ევროპული სასამართლო არ აფასებს ფაქტებს, ანუ რეალურად, მართლაც შეასრულებს თუ არა ბრალდებული გირაოს პირობებს, ეს არ არის მე-5.3 მუხლით ევროპული სასამართლოს გამოსაკვლევი საკითხი, არამედ, რამდენად დასაბუთებული იყო გირაოს შეფარდება და მისი ოდენობა, ხოლო მესამე პირების მიერ გირაოს გადახდის შემთხვევაში – მათთან ბრალდებულის ურთიერთობა. შესაბამისად, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მსჯელობა ხარვეზიანია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ციტირებული აქვს ნოიმაისტერის და ივანჩუკის საქმეები.²⁰⁸

ასევე, სტერეოტიპული ხასიათი აქვს ნოიმაისტერის და ივანჩუკის საქმეების ციტირებას როცა სასამართლოს მიერ გირაოს ოდენობა (3000 ლარი) „გამოანგარიშებული იქნა ბრალდებულის პიროვნული თვისებების, ბრალად შერაცხული დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით“,²⁰⁹ თუმცა ქონებრივ შესაძლებლობებზე განჩინებაში არაფერია ნათქვამი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ გაითვალისწინა ბრალდებულის პიროვნება და მისი ქონებრივი მდგომარეობა, მაგრამ განჩინებიდან ირკვევა, რომ ბრალდებულს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და სოციალურად დაუცველი პირი იყო.²¹⁰ ამ გარემოებების ჭრილში, დაუსაბუთებელია გირაოს ოდენობად განსაზღვრული 5000 ლარი. ვინაიდან ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო საპროცესო იძულების ღონისძიება დაკავების სახით, გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით, ბრალდებულს გირაოს სრული მოცულობით გადახდამდე პატიმრობა შეეფარდა.²¹¹

²⁰⁸ იქვე, გვ.6.

²⁰⁹ იქვე, გვ.8.

²¹⁰ რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 12.8.2014 განჩინება საქმეზე N10დ-328-14, გვ.4.

²¹¹ იქვე, გვ.8.

4.2.2.3. გირაოს დანიშვნა საქმეზე, რომელიც არ ისჯება თავისუფლების აღკვეთით

საკითხი, შეიძლება თუ არა იქნეს გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო იმ კატეგორიის საქმეზე, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთა არ არის გათვალისწინებული, როგორც სასჯელის სახე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ.²¹² განჩინების გასაჩივრების შემდეგ, საკითხი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ.²¹³

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობაზე და იმ ფაქტზე, რომ ის იყო უმუშევარი და სტაბილური შემოსავლის არმქონე. ბრალდებულმა ვერ შეძლო წინა განაჩენით სასჯელად განსაზღვრული ჯარიმის გადახდა, რომლის ოდენობაც გირაოს მინიმალურ ოდენობას – 1000 ლარს შეადგენდა. ბრალდებული გასამართლდა 2017 წლის 22 ივნისს, ხოლო ახალი ბრალდებით სასამართლოს წარედგინა იმავე წლის სექტემბერში. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს დაკისრებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნებოდა, ვინაიდან ბრალდებული მას, სავარაუდოდ, ვერ გადაიხდიდა და შესაბამისად, გირაოს თანხის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის გამო, აღკვეთის ღონისძიება პატიმრობით შეეცვლებოდა, რაც დაუშვებელი იყო, რადგან წარდგენილი ბრალდებისთვის (მარიხუანას მოხმარება) სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ვერ დაენიშნებოდა.²¹⁴

მიზანშეწონილია, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მსჯელობა უცვლელად იქნეს მოყვანილი: „ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გირაოს გამოყენების პირობების დარღვევას შეიძლება მოჰყვეს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და არა მხოლოდ გირაოს თანხის არ (და არა ვერ) გადახდას, რაც

²¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 29.9.2017 განჩინება, ციტირებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 4.10.2017 განჩინებაში საქმეზე N1გ/1199-17.

²¹³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 4.10.2017 განჩინება საქმეზე N1გ/1199-17.

²¹⁴ იქვე, გვ.2.

შეფასებითა და სწორედ გირაოს პირობების დარღვევის გამო მოსალოდნელი პასუხისმგებლობა (რაც არ არის დამოკიდებული კონკრეტული დანაშაულისათვის მოსალოდნელი სასჯელის სახეზე) წარმოადგენს დამატებით გარანტიას ბრალდებულის სათანადო ქცევაზე და არის შემაკავებელი ფაქტორი მისი სასამართლოში გამოცხადებისათვის თავის არიდებასთან მიმართებაში.“

სწორედ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაა „შეფასებითი“ და არ ემყარება ევროპული სასამართლოს პრაქტიკით მოთხოვნილ „საკმარის და რელევანტურ გარემოებებს“, იმ თვალსაზრისით, რომ გირაოს, რომელსაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, კერძოაირი შემაკავებელი და ქცევის უზრუნველყოფი ეფექტი ვერ ექნება ბრალდებულისთვის. ამ მიდგომას ემყარება სსს კოდექსიც.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებიდან არ ჩანს, პირველი ინსტანციის სასამართლოს ჰქონდა თუ არა არგუმენტები ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან მოყვანილი, ხოლო თავად თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება არ არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ამ უკანასკნელის მიდგომა, რაც ასახულია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში, სრულ შესაბამისობაშია კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების სულისკვეთებასთან.

კერძოდ, საქმეზე *ტოშევი ბულგარეთის წინააღმდეგ*,²¹⁵ განმცხადებელს ეროვნულ დონეზე შეეფარდა გირაო, რომელიც მეგობრებმა გადაუხადეს და ბრალდებული პატიმრობიდან გათავისუფლდა. რამდენიმე წლის შემდეგ, სხვა სამართალწარმოების ფარგლებში, ეროვნულმა სასამართლომ დაახლოებით იგივე ოდენობის გირაო განუსაზღვრა ბრალდებულს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მეტწილად პატიმრობაში იმყოფებოდა და შესაბამისად, შემოსავალიც არ ჰქონდა. ვინაიდან, ბრალდებულმა გირაოს თანხის გადახდა ვერ შეძლო, ხოლო მეგობრებს მეორე ჯერზე გირაოს თანხა არ გადაუხდიათ, ის პატიმრობაში დარჩა. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5.3 მუხლის დარღვევა დაადგინა.

²¹⁵ *Toshev v. Bulgaria*, no. 56308/00, ECtHR, 10.8.2006.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირობებში, როცა ბრალდებულმა ორი თვით ადრე ვერ შეძლო საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ჯარიმის გადახდა, ის ვერც ახალი სამართალწარმოების ფარგლებში გადაიხდიდა იგივე ოდენობით განსაზღვრულ გირაოს თანხას. ტოშევის საქმიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ „როდესაც დადგენილია გირაოს თანხის გადახდის შეუძლებლობის ფაქტი, დაუშვებელია, ბრალდებულის მიმართ ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.“²¹⁶ თანხის გადაუხდელობის გამო, ბრალდებულს საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, გირაო პატიმრობით შეეცვლებოდა, რაც კონვენციის მე-5.3 მუხლის დარღვევა იქნებოდა.

დამატებით უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის R(2006)13 რეკომენდაციაც, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ემყარება²¹⁷ და რომლის თანახმადაც, პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ბრალად ედებათ თავისუფლების აღკვეთით დასჯადი დანაშაულის ჩადენა.²¹⁸ 2017 წლის კვლევაში დადებითად იყო შეფასებული აღნიშნული დოკუმენტის გამოყენება²¹⁹ და რეკომენდებული იყო სასამართლოებს მისით ეხელმძღვანელათ.²²⁰

აღნიშნული სტანდარტების მიმოხილვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნა სრულ შესაბამისობაშია ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტს ეწინააღმდეგება.

²¹⁶ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 89, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²¹⁷ იქვე, 51.

²¹⁸ Recommendation Rec(2006)13 of the Committee of Ministers to Member States on the Use of Remand in Custody, the Conditions in Which It Takes Place and the Provision of Safeguards Against Abuse, 27.9.2006, §6, <<https://pjp-eu.coe.int/>>[22.2.2024].

²¹⁹ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 51, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²²⁰ იქვე, 101.

რაც შეეხება საკითხს, ბრალდებული ვერ იხდის, თუ არ იხდის გირაოს თანხას, ისევ ის სტანდარტია გასათვალისწინებელი, რომ ბრალდებულს მოეთხოვება ინფორმაციის მიწოდება ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც შეიძლება გადამოწმდეს ხელისუფლების მიერ.²²¹ შესაბამისად, თუ არსებული ინფორმაციის თანახმად, დამაჯერებელია დასკვნა, რომ ბრალდებულს გირაოს მინიმალური ოდენობაც კი არ შეუძლია გადაიხადოს, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ ბრალდებულს თანხის გადახდა შეუძლია და თავს არიდებს, ხოლო საბოლოო ჯამში, საკითხზე, ცხადია, ეროვნული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას.²²²

ამასთან დაკავშირებით, *mutatis mutandis*, საგულისხმოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება,²²³ რომლიდანაც ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ოთხ ბრალდებულს შეეფარდა გირაო, თითოეულს 5000 ლარის ოდენობით. პროკურორმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და გირაოს თანხის უზრუნველსაყოფად ყადაღის დადება მოითხოვა, რაც სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.²²⁴ აღნიშნულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას არ მიუთითებია კონკრეტული გადაწყვეტილებები, მაგრამ აღნიშნა, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ხელმძღვანელობდა, როცა დაასკვნა, რომ გირაოს გადახდისთვის განსაზღვრულ პერიოდში გირაოს თანხის გადაუხდელობა ავტომატურად არ იძლეოდა გირაოს პატიმრობით შეცვლის „ერთადერთ და იმპერატიულ საფუძველს.“ ასეთ დროს უნდა გაირკვეს, ბრალდებული შეგნებულად არ იხდის გირაოს, თუ ვერ იხდის.²²⁵

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით განმარტებულია, რომ სსს კოდექსის მუხლი 200.5 არ გულისხმობს პროკურორის ვალდებულებას, დადგენილ ვადაში გირაოს

²²¹ *Vide supra*, გირაოს ოდენობა.

²²² *Skrobol v. Poland*, no. 44165/98, ECtHR, 13.9.2005.

²²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 8.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ/19.

²²⁴ იქვე, გვ.1.

²²⁵ იქვე, გვ.2.

გადაუხდელობისას აუცილებლად იშუამდგომლოს უფრო მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე. მით უფრო არ ითვალისწინებს აღნიშნული მუხლი საერთო სასამართლოს ვალდებულებას, დაამძიმოს აღკვეთის ღონისძიება. მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს „რაიმე ცალკე აღებული პირობის არსებობას, რომელიც იმპერატიულად გამოიწვევდა პირის დაპატიმრებას.“²²⁶

ეს მსჯელობა სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება, სადაც განიმარტა, რომ დაუშვებელია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს რაიმე პირობას, რომელიც გამორიცხავს ეროვნული სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების საკითხის გადაწყვეტას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, არის *კაბალერო გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*. ამ საქმეზე დადგინდა, რომ მსგავსი რეგულირება არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლს, რასაც მოპასუხე სახელმწიფოც დაეთანხმა და დიდმა პალატამ გაიზიარა გაერთიანებული სამეფოს მიერ უფლების დარღვევის აღიარება.²²⁷

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მრავალი ასპექტის გამოა მნიშვნელოვანი. გარდა იმისა, რომ ეროვნული სასამართლო შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას განმარტავს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ჭრილში, თუნდაც ერთი გადაწყვეტილების მიუთითებლად, განჩინებაში განმარტებულია კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც პირდაპირ არ არის კანონმდებლობით გათვალისწინებული, მაგრამ აუცილებელია მათი შესრულება ევროპული სასამართლოს სტანდარტის ქმედითად განსახორციელებლად. სასამართლო განმარტავს, რომ პროკურორმა უნდა გაარკვიოს მიზეზები, რამაც გამოიწვია გირაოს გადაუხდელობა, რათა დაადგინოს, ბრალდებულმა შეგნებულად არ გადაიხადა თანხა, თუ ვერ გადაიხადა ობიექტური მიზეზების გამო. იმისთვის, რათა გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება ფორმალობად და „შეფარულ პატიმრობად“ არ იქცეს, მოსამართლეს ეკისრება

²²⁶ იქვე.

²²⁷ *Caballero v. the United Kingdom* [GC], no. 32819/96, ECtHR, 8.2.2000, §21.

ვალდებულება, გულდასმით შეაფასოს საკითხი პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას.²²⁸

4.3. კანონმდებლობის ხარვეზების გამოსწორება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

თავისუფლების უფლების და მასთან დაკავშირებული ცნებების განმარტების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილება.²²⁹ მართალია, სასამართლომ 1998 წლის სსს კოდექსის ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასა,²³⁰ გადაწყვეტილებაში მოყვანილი განმარტებები, ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან სრული შესაბამისობის და პროგრესულობის გამო, დღესაც რელევანტურია.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციურ რანგში აყვანილი პროცესუალური ნორმების ერთობლიობით. ამით გამოკვეთილია თავისუფლების უფლების „განსაკუთრებული ადგილი ძირითად უფლებათა სისტემაში“.²³¹ მსგავსი განმარტება ეხმიანება ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომლითაც თავისუფლების უფლება სიცოცხლის უფლების და წამების აკრძალვის რანგში გადის.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება თავისუფლების უფლებასა და გადაადგილების თავისუფლებას შორის მიმართებაზეც. კონვენციის მე-5 მუხლი არ ეხება გადაადგილების თავისუფლებას.

²²⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 8.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ/19, გვ.2-3.

²²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 6.4.2009 N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

²³⁰ 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 142.1.ვ): „1. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავება შეიძლება, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლები: ... ვ) პირი შესაძლოა მიიმალოს.“

²³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 6.4.2009 N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

განსხვავება კონვენციის მე-5 მუხლის მნიშვნელობით თავისუფლების უფლებაში ჩარევასა და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით გარანტირებულ გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევას შორის ეხება ინტენსიობას და არა შინაარსობრივ ხასიათს.²³² საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებითაც, თავისუფლება ნიშნავს ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას. ეს უფლება, მართალია, მოიცავს პირის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდებოდეს და გულისხმობს მის არჩევანს, იმყოფებოდეს თუ არა კონკრეტულ ადგილზე, მაგრამ განსხვავდება გადაადგილების თავისუფლებისგან იმ თვალსაზრისით, რომ ამ ორ უფლებაში ჩარევას სხვადასხვა ინტენსიურობა ახასიათებს.²³³

თავისუფლების უფლების უზრუნველყოფი კონსტიტუციური ნორმები არ ახსენებს თვითნებობას, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ ამ კუთხით განმარტა თავისუფლების უფლება, რომელიც ინდივიდს შეუზღუდავი სახელმწიფო ხელისუფლებისგან და ხელისუფლების თვითნებობისაგან იცავს.²³⁴ ეს განმარტება სრულ შესაბამისობაშია ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.

მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ 2017 წელს შეაჯამა თავისუფლების უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შემოწმების კრიტერიუმები. საკონსტიტუციო სასამართლომ 2009 წლის გადაწყვეტილებაში დაადგინა კრიტერიუმები, რომლებიც კონსტიტუციისა და კონვენციის სპეციფიკური დანიშნულების გათვალისწინებით, ანალოგიურია. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა თავისუფლების უფლების მოცულობა და აღნიშნა, რომ ეს უფლება აბსოლუტური ვერ იქნება. თავისუფლების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებისას უნდა შემოწმდეს სადავო ნორმის შესაბამისობა თანაზომიერებისა და სამართლებრივი სიცხადის პრინციპებთან, რომლებიც სამართლებრივი სახელმწიფოს

²³² *Austin and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 39692/09 et al., ECtHR, 15.3.2012, §57.

²³³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 6.4.2009 N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2.

²³⁴ იქვე, 4, 6.

პრინციპს უშუალოდ უკავშირდება. ამ უფლებებში სახელმწიფოს ჩარევა „უნდა განიხილებოდეს, როგორც *ultima ratio*.“²³⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს პრინციპზე – სამართლებრივი სიცხადის პრინციპზე, რომელიც მოსარჩელეს არც ჰქონდა გამოკვეთილი. „ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმა ვერ მოახდენს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის სრულფასოვან, კონსტიტუციის შესაბამის რეგლამენტაციას.“²³⁶ სამართლებრივი სიცხადის პრინციპი ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ფუძემდებლური საფუძველია და ასევე შეჯამებულია საქმეზე *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*.

საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული თანაზომიერების პრინციპის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციური მართლზომიერების შეფასების სისტემაში ინტეგრირება მოახდინა, როდესაც განმარტა, რომ „ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის უმთავრესი ლეგიტიმური, კონსტიტუციური მიზანია პირის მიმართ, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული, მართლმსაჯულების განხორციელება.“²³⁷ სასამართლომ განმარტა დასაბუთებული ვარაუდი, როგორც მნიშვნელოვანი გარანტია თვითნებობისგან დასაცავად, რომელიც გულისხმობს არა ეჭვს სუბიექტურ დამოკიდებულებით, არამედ ობიექტურ კავშირს დანაშაულსა და შესაბამის პირს შორის, რასაც ადასტურებს შესაბამისი ობიექტურად არსებული გარემოებები და ინფორმაცია. ამ დროს სუბიექტური დამოკიდებულება არ გამოირიცხება, მაგრამ „ეჭვი უნდა ემყარებოდეს ობიექტური მონაცემების კეთილსინდისიერ და გონივრულ შეფასებას.“²³⁸

2009 წლის გადაწყვეტილებაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა სრულად შეესაბამება ევროპული სასამართლოს მიერ მერაბიშვილის საქმეზე 2017 წელს შეჯამებულ საკითხებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობამ დროს გაუსწრო და

²³⁵ იქვე, 15.

²³⁶ იქვე, 41.

²³⁷ იქვე, 18.

²³⁸ იქვე, 21.

თავისი პროგრესულობის გამო, დღემდე რელევანტურია. 2009 წლის გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის საფუძველი თავისუფლების უფლების მიზნებისა და მნიშვნელობის, შინაარსის, მოცულობის, მასში ჩარევის კონსტიტუციურობის კრიტერიუმების შეფასებასთან მიმართებით და სახელმძღვანელო საერთო სასამართლოებისთვის აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

5. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სისხლის სამართალწარმოებაში – არსებითი განხილვა

5.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (მტკიცებულებითი სტანდარტის დასაბუთება)

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მტკიცებულებითი სტანდარტის ევროპული სასამართლოს მტკიცებულებით სტანდარტთან აღრევის პრობლემა ჯერ კიდევ ევროპის საბჭოს ფარგლებში შესრულებული 2017 წლის კვლევაში გამოიკვეთა.²³⁹ საერთო სასამართლოები კვლავ არასწორად იყენებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად შემუშავებულ მტკიცებულებით სტანდარტს განაჩენის დასაბუთების კონტექსტში.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეფასებისას ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მოვლენები ურთიერთგამომრიცხავად არის აღწერილი, ევროპულ სასამართლოს უწევს ფაქტების დადგენა და შეიძლება სირთულეებს წააწყდეს.²⁴⁰ მსგავსი საქმეები შეიძლება ეხებოდეს სიცოცხლის უფლების არამართლზომიერ ხელყოფას, არასათანადო მოპყრობის აბსოლუტური აკრძალვის დარღვევას ან თავისუფლების უფლებაში თვითნებურ ჩარევას. ასეთ დროს, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მტკიცებულების შეფასებისას იყენებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებისგან ან ასევე ურყევი ფაქტობრივი პრეზუმფციიდან.²⁴¹

საერთო სასამართლოები აღნიშნულ სტანდარტს იყენებენ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად მოთხოვნილი მტკიცებულებითი სტანდარტის განმარტების კონტექსტში. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა თავის 2020 წლის განჩინებაში²⁴² აღნიშნავს, რომ სსს კოდექსი არ განსაზღვრავს გონივრულ ეჭვს

²³⁹ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 110-111, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²⁴⁰ *Al Nashiri v. Romania*, no. 33234/12, ECtHR, 31.5.2018, §490.

²⁴¹ *Saribekyan and Balyan v. Azerbaijan*, no. 35746/11, ECtHR, 30.1.2020, §61.

²⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.8.2020 განჩინება საქმეზე N186აპ-20, §13.

მიღმა სტანდარტის რაოდენობრივ მახასიათებელს და არ აკონკრეტებს, მტკიცებულებების ერთობლიობით რა მოითხოვება. ამიტომ უზენაესი სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს განმარტავს ევროპული სასამართლოს, *inter alia*, შემდეგ საქმეებზე დაყრდნობით:²⁴³ *ჰასანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,²⁴⁴ *ბუიდი ბელგიის წინააღმდეგ*²⁴⁵ და *ელ-მასრი იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ*.²⁴⁶ იგივე მსჯელობას იმეორებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაც.²⁴⁷

ევროპული სასამართლოს ციტირებულ საქმეებში განმარტებულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობისთვის და არა ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი. ბუიდის საქმე ეხება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას დაკავებული პირებისთვის პოლიციელის მიერ სილის გატყმისთვის. ელ-მასრის საქმე ეხება ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსთვის გადაცემული განმცხადებლის მიმართ არასათანადო მოპყრობისთვის გადამცემი სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. ჰასანის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განიხილა, რამდენად იყო პასუხისმგებელი გაერთიანებული სამეფო განმცხადებლის ერაყში ინტერნირებისთვის.²⁴⁸

გარდა იმისა, რომ ყველა ეს საქმე არარელევანტურია ინდივიდის ბრალეულობის დასადგენად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტის კონტექსტში, ევროპული

²⁴³ იგივე მსჯელობაა განვითარებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებებში: 21.7.2020 განჩინება საქმეზე N140აპ-20, §13; 4.11.2019 განჩინება საქმეზე N2კ-374აპ.-19, §9; 31.7.2019 განჩინება საქმეზე N827აპ-18, §17.

²⁴⁴ *Hassan v. the United Kingdom* [GC], no. 29750/09, ECtHR, 16.9.2014.

²⁴⁵ *Bouyid v. Belgium* [GC], no. 23380/09, ECtHR, 28.9.2015.

²⁴⁶ *El-Masri v. the Former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, ECtHR, 13.11.2012.

²⁴⁷ იხ., მაგალითად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 3.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100119002904547; 26.3.2020 განაჩენი საქმეზე N080100118002682283; 22.2.2020 განაჩენი საქმეზე N030100118002418258; 17.12.2019 განაჩენი საქმეზე N020100116001664514; 11.10.2019 განაჩენი საქმეზე N060100119002963109; 20.5.2019 განაჩენი საქმეზე N020100118002497182. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას იგივე სტანდარტი გამოყენებული აქვს 168 განაჩენში, იხ. <<https://ecd.court.ge/Decision>>[22.02.2024].

²⁴⁸ *Hassan v. the United Kingdom* [GC], no. 29750/09, ECtHR, 16.9.2014.

სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის დასადგენი მტკიცებულების სტანდარტის შემუშავებისას „მისი მიზანი არასოდეს ყოფილა, გადაეღო ის მიდგომა, რომელსაც ეროვნული სამართლის სისტემები მიმართავენ ამ სტანდარტის გამოყენებისას.“²⁴⁹ შესაბამისად, გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტის განმარტებისას კონვენციის საფუძველზე ზემოაღნიშნული დასაბუთების სტანდარტის გამოყენება არასწორია.

სხვა საქმეში,²⁵⁰ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს კონვენციის მე-6.2 მუხლის (უდანაშაულობის პრეზუმფცია) ქრილში განიხილავს. პალატის მტკიცებით, ევროპული სასამართლო „არაერთ საქმეში“ განმარტავს, რომ პირის ბრალეულობა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული, რათა დაკმაყოფილდეს პრინციპი *in dubio pro reo*, რომელიც „გულისხმობს, რომ არ შეიძლება სასამართლომ პირი ცნოს დამნაშავედ, თუ მის ბრალეულობაში ეჭვის შეტანაა შესაძლებელი.“²⁵¹

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას მითითებული აქვს ევროპული სასამართლოს სამი საქმე *ბარბერა, მესეგე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ*,²⁵² *ლავენცი ლატვიის წინააღმდეგ*²⁵³ და *მელიჩი და ბექი ჩეხეთის წინააღმდეგ*,²⁵⁴ რომლებიც ეხება უდანაშაულობის პრეზუმფციას და არა განაჩენის დასაბუთებას გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. ამ საქმეებზე, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაცავად, მოსამართლემ საქმე არ უნდა განიხილოს ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ ფორმირებული შეხედულებით; მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს და

²⁴⁹ *Georgia v. Russia (II)* [GC], no. 38263/08, ECtHR, 21.1.2021, §59; მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 109, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 19.5.2020 განჩინება საქმეზე N23-892აპ.-19.

²⁵¹ იქვე, §13.

²⁵² *Barberà, Messegue and Jabardo v. Spain* [Plenum], no. 10590/83, ECtHR, 6.12.1988.

²⁵³ *Lavents c. Lettonie*, no. 58442/00, ECtHR, 28.11.2002.

²⁵⁴ *Melich et Beck c. République tchèque*, no. 35450/04, ECtHR, 24.7.2008.

ნებისმიერი ექვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. იგივე მსჯელობა მეორდება პირველი²⁵⁵ და მეორე ინსტანციის²⁵⁶ სასამართლოების განაჩენებში.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, მტკიცების ტვირთის განაწილება არ გულისხმობს კონკრეტულ მტკიცებულებით სტანდარტს. „ექვი ბრალდებულის სასარგებლოდ“ ნიშნავს, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ექვს არ უნდა ეფუძნებოდეს, მაგრამ არ გულისხმობს, რომ პირის ბრალეულობის შესახებ გამამტყუნებელი განაჩენი კონკრეტულად გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტს უნდა დაემყაროს.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის „შედეგზე ორიენტირებული ასპექტი“, *inter alia*, გულისხმობს ბრალეულობის გონივრულ ექვს მიღმა დამტკიცებას, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია დაუსაბუთებელი მსჯავრდების თავიდან აცილება და სასამართლო განხილვის სამართლიანობის უზრუნველყოფა.²⁵⁷ თუმცა ეს მოსაზრება ეროვნული სამართლის სისტემას და არა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ეფუძნება.

საკონსტიტუციო სასამართლოც განმარტავს, რომ გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტი უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას უზრუნველყოფს.²⁵⁸ თუმცა რადგან

²⁵⁵ იხ., მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 20.6.2019 განაჩენი საქმეზე N170100119002915679; 18.6.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002720362; 17.1.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002757352; 14.2.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002561488; 13.2.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002654418; ფოთის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 30.12.2019 განაჩენი საქმეზე N030100119003311703; 15.11.2019 განაჩენი საქმეზე N030100119003227672; 22.6.2019 განაჩენი საქმეზე N030100119002947152; გორის რაიონული სასამართლოს 5.12.2019 განაჩენი საქმეზე N140100119003068903; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2.3.2020 განაჩენი საქმეზე N150100118002775166; 20.7.2018 განაჩენი საქმეზე N150100118002531415; ახალციხის რაიონული სასამართლოს 27.11.2019 განაჩენი საქმეზე N120100119002798260; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 30.9.2019 განაჩენი საქმეზე N160100119002873906.

²⁵⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა იგივე მსჯელობას იმეორებს 57 განაჩენში, იხ. <<https://ecd.court.ge/Decision>>[22.02.2024].

²⁵⁷ ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009, 195.

²⁵⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.2.2015 N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II.41.

კონსტიტუცია ითვალისწინებს მტკიცებულებით სტანდარტს, რასაც განაჩენი უნდა ემყარებოდეს – უტყუარი მტკიცებულებები²⁵⁹ და კანონმდებლობა ითვალისწინებს მტკიცებულებით სტანდარტს, როგორც ზღვარს, რომელიც მიღწეული უნდა იყოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას – უდანაშაულობის პრეზუმფცია ამ კონკრეტულ მტკიცებულებით სტანდარტთან ლოგიკურ და სამართლებრივ ბმაშია. სსს კოდექსი ითვალისწინებს უდანაშაულობის პრეზუმფციასა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს შორის კავშირს, როცა ადგენს, რომ მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს განუმარტავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს და რომ ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.²⁶⁰

ამის საპირისპიროდ, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, საერთაშორისო სასამართლო ვერ დაადგენს მტკიცებულებით სტანდარტს, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ეროვნულმა სასამართლომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად გამამტყუნებელ განაჩენს უნდა დაუდოს საფუძვლად. უზენაესი სასამართლოს არც ერთ მითითებულ თუ სხვა გადაწყვეტილებაში ევროპულ სასამართლოს არ დაუდგენია, რომ პირის ბრალეულობა უნდა დამტკიცდეს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით. აღნიშნული ეროვნული კანონმდებლობის პრეროგატივაა.²⁶¹

პრაქტიკის კვლევაც ადასტურებს, რომ ევროპული სასამართლო არ ადგენს კონკრეტულ მტკიცებულებით სტანდარტს, როგორც ბრალდების მხარის მიერ მისაღწევ ზღვარს, რათა ეროვნული სასამართლო ფაქტობრივი მტკიცებულების სინამდვილეში დარწმუნდეს და რაც გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად მოითხოვება.²⁶² შესაბამისად, ეროვნული სასამართლოს მტკიცება, რომ „...ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა,

²⁵⁹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.7.

²⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 231.4.გ).

²⁶¹ შდრ. სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში.

²⁶² McBride J., the Case Law of the European Court of Human Rights on Evidentiary Standards in Criminal Proceedings, Council of Europe, §17 <<https://rm.coe.int/council-of-europe-georgia-european-court-of-human-rights-case-study-ev/16807823c3>>[22.02.2024].

რომ ბრალდებამ 'გონივრულ ეჭვს მიღმა' სტანდარტით უნდა დაასაბუთოს პირის ბრალეულობა“, ფაქტობრივად და სამართლებრივად არასწორია.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაკმაყოფილების შეფასებისას ევროპული სასამართლოს პრაქტიკის არასწორი გამოყენება და არასწორი მტკიცება, რომ კონვენციის მე-6.2 მუხლით გათვალისწინებული უდანაშაულობის პრეზუმფცია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს ადგენს, ლეგიტიმაციას უკარგავს მართლმსაჯულების განმახორციელებელი უზენაესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მცდარ მიმართულებას აძლევს ქვემდგომ სასამართლოებს, რადგან მისი მსჯელობა ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

5.2. მტკიცებულებების შეფასება

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის, რელევანტურობის განსაზღვრა, ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა.²⁶³ ამ დროს მითითებულია საქმეზე *Barberà, Messegue, Jabardo v. Spain*.²⁶⁴ სტანდარტის განმარტება მართებულია. ევროპული სასამართლოს ფუნქცია არ არის, გამოთქვას მოსაზრება მტკიცებულების რელევანტურობის, პირის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის შესახებ.²⁶⁵ მნიშვნელოვანია პალატის მიერ *ხანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* საქმეზე დადგენილ სტანდარტზე მითითება,

²⁶³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 4.11.2019 განჩინება საქმეზე N2კ-374აპ.-19, §9; 31.7.2019 განჩინება საქმეზე N827აპ-18, §17.

²⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა არასწორად უთითებს, როგორც *Barberia, Messegue, Jabardo v. Spain* შემდეგ სამ განჩინებაში: 15.7.2020 განჩინება საქმეზე N567აპ-19, §8; 1.4.2020 განჩინება საქმეზე N763აპ-19, §7; 11.4.2017 განჩინება საქმეზე N759აპ-16, §6.

²⁶⁵ *Popov v. Russia*, no. 26853/04, ECtHR, 11.12.2006, §188.

რომელიც მტკიცებულების საკმარისობას ეხება,²⁶⁶ თუმცა სტანდარტი მცდარად არის განმარტებული.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, მტკიცებულების საკმარისობის პრინციპი გულისხმობს, რომ როცა მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებით, ეს არ ნიშნავს, რომ პროცესის სამართლიანობა აუცილებლად ირღვევა. როდესაც მტკიცებულების მტკიცებითი ძალა დიდია და არ არსებობს ეჭვი მის სანდოობაზე, დამატებითი მტკიცებულებების საჭიროება იკლებს.²⁶⁷ უზენაესი სასამართლოს განმარტებაში გამოტოვებულია მითითება მტკიცებულების მტკიცებით ძალაზე და სტანდარტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებები არ არის გამყარებული სხვა მასალით, მათი სანდოობა შეიძლება ეჭვქვეშ არ დადგეს, როდესაც საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო.“²⁶⁸

ამ ფრაზის გაგება მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება – მტკიცებულების სანდოობა ვერ დადგება ეჭვქვეშ, თუ მტკიცებულების სანდოობა საეჭვო არ არის. მსჯელობა ევროპული სასამართლოს სტანდარტს არ შეესაბამება, თუმცა ზუსტად ჯდება ლოგიკური შეცდომის ერთ-ერთ კატეგორიაში, როგორიცაა *circulus in demonstrando* – პირი იყენებს მტკიცებულებად იმას, რისი დამტკიცებაც სურს – მტკიცებულება სანდოა, როცა სანდოა.²⁶⁹ ცხადია, დასკვნა რეალურად არაფერს მეტყველებს მტკიცებულების სანდოობის შეფასებაზე. უზენაესი სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ „ამასთანავე, უფრო ნაკლებია ასეთი მტკიცებულებების სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება“,²⁷⁰ რაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკას შეესაბამება, თუმცა წინმსწრები ალოგიკური მსჯელობის გამო, სტანდარტი მაინც არასწორად არის გადმოცემული.

²⁶⁶ პალატა უთითებს შემდეგ საქმეებზე: *Bykov v. Russia* [GC], no. 4378/02, ECtHR, 10.3.2009; *Allan v. the United Kingdom*, no.48539/99, ECtHR, 5.11.2002, რომლებიც ხანის საქმეზე განვითარებულ მტკიცებულებათა საკმარისობის პრინციპს იმეორებს.

²⁶⁷ *Khan v. the United Kingdom*, no. 35394/97, ECtHR, 12.5.2000, §37; *Allan v. the United Kingdom*, no.48539/99, ECtHR, 5.11.2002, §43; *Bykov v. Russia* [GC], no. 4378/02, ECtHR, 10.3.2009, §90.

²⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.8.2020 განჩინება საქმეზე N186აპ-20, §13.

²⁶⁹ იხ. <<https://www2.humboldt.edu/act/HTML/tests/fallacy1/review.html>>[22.2.2024].

²⁷⁰ იქვე.

ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოების პრაქტიკაში ეს ფრაზა არ მეორდება, რაც უდავოდ, დადებითი ფაქტია.

მტკიცებულებების შეფასების კონტექსტში კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების მართებულად მითითების და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მართებულად გამოყენების თვალსაზრისით, აღსანიშნავია **თბილისის საქალაქო სასამართლოს** განაჩენები. ქვემოთ განხილულია მტკიცებულების შეფასებისას ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მაგალითები „ჩადებული“ მტკიცებულებების, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის, დანაშაულის პროვოკაციის, ოჯახში ძალადობის საქმეებზე. განხილულია ირიბი მტკიცებულებების შეფასება და მტკიცებულებების შეფასება კონვენციით გარანტირებული უფლებების საპროცესოსამართლებრივი ასპექტის კონტექსტში.

5.2.1. „ჩადებული“ მტკიცებულებები

მტკიცებულების „ჩადების“ ფენომენზე მსჯელობა ევროპულ სასამართლოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების პრაქტიკის გამო მოუწია,²⁷¹ თუმცა მოგვიანებით, სხვა ქვეყნებთან მიმართებიც განიხილა აღნიშნული ნეგატიური პრაქტიკა.²⁷² ევროპული სასამართლო თავად ვერ დაადგენს ფაქტს, იყო თუ არა მტკიცებულება გაყალბებული ან „ჩადებული“, მაგრამ ეროვნული სასამართლოებისგან ითხოვს აღნიშნულის გულდასმით შემოწმებას.²⁷³ მიდგომა გამომდინარეობს ზოგადი წესიდან, რომელიც ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ განუმარტავს – კონვენციის მე-6 მუხლი იცავს უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, მაგრამ არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის თუ შეფასების წესს. ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი

²⁷¹ Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), Council of Europe, 31.8.2022, §223, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_6_criminal_eng>[22.2.2024].

²⁷² *Ayetullah Ay v. Turkey*, nos. 29084/07, 1191/08, ECtHR, 27.10.2020.

²⁷³ McBride J., the Case Law of the European Court of Human Rights on Evidentiary Standards in Criminal Proceedings, Council of Europe, §89, <<https://rm.coe.int/council-of-europe-georgia-european-court-of-human-rights-case-study-ev/16807823c3>>[22.2.2024].

კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლო მთლიანობაში აფასებს სამართალწარმოების სამართლიანობას.²⁷⁴ ევროპული სასამართლო არ მოქმედებს, როგორც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით.²⁷⁵

2017 წლის კვლევაში განხილული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის განაჩენი,²⁷⁶ რომელშიც საქართველოს საერთო სასამართლომ პირველად გამოიყენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა სამართალწარმოების სამართლიანობის შესაფასებლად, როცა ბრალდებული ამტკიცებდა, რომ მტკიცებულება „ჩაუდეს“. თბილისის საქალაქო სასამართლომ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტით²⁷⁷ შეაფასა, რამდენად სანდო იყო პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება.²⁷⁸

შედარებით უფრო კომპლექსურია მტკიცებულებების სანდოობის შეფასება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის საქმეში. ბრალდებული ამტკიცებდა, რომ მტკიცებულებები (თოფი და ვაზნა) „ჩაუდეს“. საქმეზე არსებობდა პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები და ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ერთმანეთთან თანხვედრაში იყო, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდიოდა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან.²⁷⁹

²⁷⁴ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 112, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²⁷⁵ McBride J., the Case Law of the European Court of Human Rights on Evidentiary Standards in Criminal Proceedings, Council of Europe, §20, <<https://rm.coe.int/council-of-europe-georgia-european-court-of-human-rights-case-study-ev/16807823c3>>[22.2.2024].

²⁷⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 17.2.2016 განაჩენი საქმეზე N1/3050-15.

²⁷⁷ *Sakit Zahidov v. Azerbaijan*, no. 51164/07, ECtHR, 12.11.2015.

²⁷⁸ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 116, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

²⁷⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17.

პირს ბრალად ედებოდა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და ტარება. საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა პირის ბრალეულობას. ბრალდებულს წარდგენილი ბრალდება არ დაუდასტურდა.²⁸⁰

სასამართლო სხდომაზე, სამმა მოწმემ განაცხადა, რომ თბილისში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მივიდნენ შესაბამის დროსა და მისამართზე, სადაც მარტო დახვდათ ბრალდებული და გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული პირადი ჩხრეკის შედეგად, შარვლის მარჯვენა მხრიდან ამოღებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. პოლიციის თანამშრომლებმა ადგილზევე დააკავეს პირი ბრალდებულის სახით და გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. პირადი ჩხრეკისას, შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებული იქნა თოფის მსგავსი საგანი, ვაზნის მსგავსი საგანი, ასევე ფულადი თანხა ორი ლარისა და ოცდაათი თეთრის ოდენობით და კრიალოსანი. ბიოლოგიური ექსპერტიზით დადგინდა, რომ თოფის მსგავს საგანზე და ვაზნის მსგავს საგანზე არსებული ბიომასალის გენეტიკური პროფილი ბრალდებულის გენეტიკური პროფილის იდენტური იყო.²⁸¹

ბრალდებულმა სასამართლოს განუცხადა, რომ მოცემულ დღეს იმყოფებოდა სახლში, ქ. გორში. სიგარეტის საყიდლად გარეთ გასვლისას, მან დაინახა პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ადრე დაკავებით ემუქრებოდნენ. პოლიციის თანამშრომლებმა ის ძალით ჩასვეს მანქანაში და თბილისში წაიყვანეს. საათნახევრის განმავლობაში პოლიციის თანამშრომლები მას ეკითხებოდნენ, სად ჰქონდა იარაღი, რაზეც ის პასუხობდა, რომ იარაღი არ ჰქონდა. ვინაიდან ბრალდებულმა იარაღის ტარების აღიარებაზე უარი თქვა, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, ტყვია

²⁸⁰ იქვე, გვ.1-2.

²⁸¹ იქვე, გვ.3-4.

კისერზე გადაატარეს და შარვალში იარაღი ჩაუდეს. ამ ჩვენების ნაწილის სისწორე დადასტურებული იყო ოთხი მოწმის – ორი მეზობლის, რძლის და ბებუის ჩვენებებით.²⁸²

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს (პოლიციელთა ჩვენებები, პირადი ჩხრეკის ოქმი, ექსპერტიზის დასკვნები) უტყუარ მტკიცებულებებად ვერ მიიღებდა. ჩვენებები ურთიერთთანხვედრაში იყო, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ სხვა სარწმუნო და ობიექტურ მტკიცებულებებს, მათ შორის, ნეიტრალურ მოწმეთა ჩვენებებს. ნეიტრალური მოწმეების – მეზობლების ჩვენების თანახმად, ბრალდებული დააკავეს არა თბილისში, არამედ გორში. ის იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში და წაიყვანეს.²⁸³

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებების თანხვედრა. მნიშვნელოვანია მათი თანხვედრა საქმეში არსებულ სხვა ობიექტურ მტკიცებულებებთან და მათ შორის წინააღმდეგობა აჩენს ეჭვს, რომელიც მტკიცების ტვირთის ვალდებულებიდან გამომდინარე, უნდა უარყოს ბრალდების მხარემ. მნიშვნელოვანია სასამართლოს მსჯელობა, რომ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობით გამოწვეულ ბუნდოვანებას გამორიცხავდა უწყვეტი ვიდეო ჩანაწერი, რომელიც მსგავს საქმეებზე (იარაღი, ნარკოტიკული დანაშაულები, წინააღმდეგობა და ა.შ.) გადამწყვეტი მტკიცებულებაა და საქმეში არ მოიპოვებოდა.²⁸⁴

სასამართლოს ვიდეოგადაღების ვალდებულების შესახებ მსჯელობისას ევროპული სასამართლოს კონკრეტულ საქმეზე არ მიუთითებია, მაგრამ არგუმენტაცია კონვენციის დასაბუთების სტანდარტს ეფუძნება. საქმეზე *ლაიიჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეო ჩანაწერის მნიშვნელობა ბრალდების არგუმენტების გასამყარებლად და ვინაიდან აღნიშნული ჩანაწერი ვერ მიიღო, დაადგინა, რომ ბრალდებულის მტკიცება პოლიციელთა მხრიდან

²⁸² იქვე, გვ.4-6.

²⁸³ იქვე, გვ.6-7.

²⁸⁴ იქვე, გვ.7.

არასათანადო მოპყრობაზე წინააღმდეგობრივი და არათანმიმდევრული არ იყო.²⁸⁵ ანალოგიურად, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის არგუმენტი გადაუდებელი აუცილებლობისას ვიდეოგადაღების სირთულეზე.²⁸⁶ საქართველოს სახალხო დამცველიც აღნიშნავს, რომ პოლიციის კონტროლს დაქვემდებარებულ მოქალაქეებს თვითნებობისგან შესაბამისი გარანტიები უნდა იცავდეს, რაც ვიდეოგადაღებაა.²⁸⁷

ვიდეოჩანაწერის არარსებობის პირობებში, სასამართლომ განმარტა, რომ პრობლემას ვერ გადაჭრიდა პოლიციელთა ჩვენებების სიმრავლე. დამაჯერებლობის და სანდოობის კუთხით, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი პოლიციელი მისცემდა იდენტურ ჩვენებას, რომელიც სხვა მტკიცებულებებს ეწინააღმდეგებოდა.²⁸⁸

მტკიცებულებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ქრილში შეფასებისას, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე *ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ (no. 2)*²⁸⁹ და აღნიშნა, რომ დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები უნდა გაეთვალისწინებინა. მამადოვის საქმეზე, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ დაცვის მოწმეები ცრუ ჩვენებებს იძლეოდნენ, რათა ბრალდებულს „თავი აერიდებინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის.“²⁹⁰ ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელი იყო არგუმენტი, რომ რადგან დაცვის მხარის მოწმეები ბრალდებულს იცნობდნენ და მასთან გარკვეული ურთიერთობა აკავშირებდათ, ეს იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მოწმეები ცრუ ჩვენებას მისცემდნენ და ბრალდებულის

²⁸⁵ *Layijov v. Azerbaijan*, no. 22062/07, ECtHR, 10.4.2014, §46.

²⁸⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.7.

²⁸⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2019, გვ.10, 83.

²⁸⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.7.

²⁸⁹ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 2)*, no. 919/15, ECtHR, 16.11.2017.

²⁹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.8; *Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 2)*, no. 919/15, ECtHR, 16.11.2017, §227.

დასახმარებლად მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს ჩაიდენდნენ.²⁹¹

ორი საქმის ფაქტების მსგავსების გამო, ილგარ მამადოვის საქმეზე მითითება განსაკუთრებით ღირებული იყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მტკიცებულებების შეფასებისას, აზერბაიჯანის საქმეზე ევროპული სასამართლოს მიერ გაცემული შენიშვნებით იხელმძღვანელა და მიუთითა ევროპული სასამართლოს შეფასებაზე, რომ ეროვნული სასამართლოების ის დასკვნა, რომ ყველა მოწმე, რომელმაც ბრალდებულის სასარგებლოდ მისცა ჩვენება, ცრუ და მიკერძოებული იყო, არ იყო საკმარისად დასაბუთებული.²⁹²

აზერბაიჯანის საქმეზე ბრალდების მოწმეთა ჩვენებებს შორის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობები იყო, თუმცა ეროვნულ სასამართლოებს მათი განხილვის მცდელობაც არ ჰქონიათ. ფაქტობრივად, თბილისის საქალაქო სასამართლომ იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ შეაფასა ევროპულმა სასამართლომ აზერბაიჯანის სასამართლოების დასკვნები, კონვენციის დასაბუთების სტანდარტების ჰორიზონტალური ძალით იმსჯელა თავის შესატყვის ვალდებულებებზე. აზერბაიჯანის სასამართლოებს უნდა შეემოწმებინათ ბრალდების მოწმეთა ჩვენებების ხარვეზები.²⁹³ ეროვნულ დონეზე დაცვის მხარე საექვოდ ხდიდა მათ სანდოობას და მიუთითებდა მთელ რიგ ფაქტობრივ უზუსტობაზე. თუმცა ეს არგუმენტები ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ფაქტებს, რომლებიც ეროვნულ სასამართლოებს მხედველობიდან გამორჩათ, შეეძლო ეჭვქვეშ დაეყენებინა ბრალდების მოწმეთა ჩვენებების სანდოობა.²⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა

²⁹¹ იქვე.

²⁹² იქვე.

²⁹³ იქვე.

²⁹⁴ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 2)*, no. 919/15, ECtHR, 16.11.2017, §213, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.8-9.

ხარვეზიან მტკიცებულებებს და რომ ამის გამო ევროპულმა სასამართლომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევა დაადგინა.²⁹⁵

თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენის დასაბუთების სტანდარტი მართებულად განმარტა და გამოიყენა, როცა პოლიციელთა თანხვედრი, მაგრამ ნეიტრალურ მოწმეთა ჩვენებებთან წინააღმდეგობაში არსებული ჩვენებების მტკიცებითი ძალა შეაფასა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ გამოძიებით არ იყო დადგენილი, თუ რა მიზნით იმყოფებოდა ბრალდებული ტელეფონის გარეშე და ორლარნახევრით უცხო ქალაქში, სადაც მას ნაცნობი არ ჰყავდა და არ ყოფილან იდენტიფიცირებულნი მასთან მყოფი პირები.²⁹⁶

სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზეც, რომლითაც დადასტურებული იყო გამოსაკვლევ ობიექტზე ბრალდებულის გენეტიკური მასალის თანხვედრა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ისევ მოიხმო ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რათა დაესაბუთებინა, რომ არ იყო გამორიცხული, მოვლენები განვითარებულიყო სწორედ ისე, როგორც ამას ბრალდებული ამტკიცებდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე *ჰორვატიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*,²⁹⁷ სადაც განმცხადებელი ეროვნულ სასამართლოებში და შემდეგ ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ მტკიცებულება, რომელზე დაყრდნობითაც მას ყაჩაღობის ჩადენაში ედებოდა ბრალი და რის საფუძველზეც ბრალეულად იქნა ცნობილი, პოლიციამ გააყალბა.²⁹⁸

განმცხადებლის მტკიცებით, პოლიციის თანამშრომელმა ორი ხელი ტანისამოსი ერთმანეთს გაუსვა და განმცხადებლის თმა იმ ტანისამოსს დაადო, რომელიც ზანკზე

²⁹⁵ *Ilgar Mammadov v. Azerbaijan* (no. 2), no. 919/15, ECtHR, 16.11.2017, §§237, 239, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.9.

²⁹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.9.

²⁹⁷ *Horvatić v. Croatia*, no. 36044/09, ECtHR, 17.10.2013.

²⁹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.10.

შეიარაღებული თავდასხმის განმახორციელებელმა პირმა გადაყარა. ეროვნულმა სასამართლომ ამ განცხადებას ყურადღება არ მიაქცია და არ დააკმაყოფილა დაცვის არც ერთი შუამდგომლობა, რომ საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები დაცვის არგუმენტების კონტექსტში შეეფასებინა.²⁹⁹ ევროპული სასამართლოს დასკვნით, ეროვნულმა სასამართლოებმა დეტალურად არ შეამოწმეს ყველა გარემოება, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინეს და დაუშვეს ბრალდების ყველა მტკიცებულება და გაიზიარეს პროკურორის არგუმენტები. ამით დაცვის მხარეს წაერთვა შესაძლებლობა, ედავა მტკიცებულების ავთენტიკურობაზე, ან შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას.³⁰⁰ ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულ დონეზე ჩატარებული სამართალწარმოება სამართლიანობის მინიმალურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა და სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლებას არღვევდა.³⁰¹

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის და შეფასებისას გამოვლენილი ბუნდოვანებები და საექვო გარემოებები მიუთითებდა, რომ დაკავების და ჩხრეკის ოქმები და პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები შესაძლო სიყალბის ნიშნებს შეიცავდა. ამიტომ საფუძველს მოკლებული იყო მსჯელობა ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებით – ჰქონდა ბრალდებულს იარაღი, თუ ჩაუდეს, როგორც ამას ბრალდებული ამტკიცებდა.³⁰² სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოსთვის წარდგენილი მტკიცებულებები, საქმეში არსებულ სხვა

²⁹⁹ *Horvatić v. Croatia*, no. 36044/09, ECtHR, 17.10.2013, §74, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.10.

³⁰⁰ *Horvatić v. Croatia*, no. 36044/09, ECtHR, 17.10.2013, §§83-84, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.10.

³⁰¹ *Horvatić v. Croatia*, no. 36044/09, ECtHR, 17.10.2013, §§86-87, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.11.

³⁰² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17, გვ.11.

ობიექტურ მტკიცებულებებთან წინააღმდეგობის გამო, ვერ აკმაყოფილებდა უტყუარობის სტანდარტს და არ იყო საკმარისი ბრალეულობის დასადგენად.³⁰³

თბილისის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი ღირებულ სტანდარტს ადგენს დასაბუთების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, თუ როგორ იყენებს ეროვნული სასამართლო ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და რა დასკვნებს აკეთებს ამ სტანდარტების ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგების შედეგად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს მართებულად აქვს ციტირებული უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ კონვენციის სტანდარტებიც.

თბილისის საქალაქო სასამართლო აღნიშნავს: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მტკიცებულებების გამოყენება უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს, მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრებით, რომელმაც საკმარისი მტკიცებულებები უნდა მოიძიოს იმისთვის, რომ მოხდეს პირის მსჯავრდება, ხოლო რაიმე სადავო მტკიცებულების შემთხვევაში საკითხი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაიჭრას (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Barberà, Messegue, Jabardo v. Spain*, პარაგრაფი 76, 77)“.³⁰⁴

უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით, თბილისის საქალაქო სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს კი არ ასახელებს ბარბერას საქმის ზემოაღნიშნულ ციტატაში, არამედ განმარტავს კონვენციის მე-6.2 მუხლიდან გამომდინარე პრინციპებს – მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს და როცა ეს ტვირთი სათანადოდ განხორციელებული არ არის, ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ წყდება.

³⁰³ იქვე, გვ.12.

³⁰⁴ იქვე, გვ.11-12.

5.2.2. „ჩადებული“ მტკიცებულება და სავარაუდო არასათანადო მოპყრობა

2016 წლის საქმეზე,³⁰⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოუწია შეეფასებინა მტკიცებულებები საქმეში, რომელშიც ბრალდებული ამტკიცებდა, რომ მტკიცებულება „ჩაუდეს“ და დაუქვემდებარეს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა საქმე *ლისიცა ხორვატიის წინააღმდეგ*³⁰⁶ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით ჩატარებულ ჩხრეკაზე. ამ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი მოქმედებს სასამართლო განხილვამდე სამართალწარმოებაზეც, რა დროსაც დაშვებულმა ხარვეზმა შეიძლება სამართლიანი სასამართლო განხილვის მიზნები მნიშვნელოვნად დააზიანოს.³⁰⁷

ევროპული სასამართლოს ფუნქცია არ არის, პრინციპულად შეაფასოს ესა თუ ის მტკიცებულება (მაგალითად, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება) უნდა დაშვებულიყო თუ არა ეროვნულ სამართალწარმოებაში, ან იმსჯელოს პირის ბრალეულობაზე. ეს ეროვნული სასამართლოს ფუნქციაა. ევროპული სასამართლო პასუხს სცემს კითხვაზე – იყო თუ არა სამართალწარმოება სამართლიანი მთლიანობაში, მტკიცებულების მოპოვების და გამოყენების ჩათვლით.³⁰⁸ *ლისიცას* საქმეზე, ჩხრეკა ჩატარდა კანონის დარღვევით, თუმცა ეროვნულმა სასამართლოებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს პოლიციელთა ჩვენებები, რომ მათ სადავო მტკიცებულებები ბრალდებულებისთვის არ ჩაუდიათ.³⁰⁹ თბილისის საქალაქო სასამართლომ, ევროპული სასამართლოს საქმესთან მისი განსახილველი საქმის გარემოებების მსგავსების გამოკვეთის შემდეგ, განიხილა ვალდებულებები, რაც ევროპული სასამართლოს

³⁰⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003.

³⁰⁶ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010.

³⁰⁷ იქვე, §47; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.9.

³⁰⁸ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010, §48; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003 გვ.9.

³⁰⁹ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010, §§53, 55; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.9.

მსჯელობიდან გამომდინარე არსებობს მტკიცებულებების მტკიცებითი ძალის შეფასების თვალსაზრით.

ლისიცას საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია სადავო მტკიცებულების მტკიცებით ძალას. მტკიცებულება, რომელიც კანონის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ იყო მოპოვებული და ბრალდებულების განცხადებით, პოლიციელების მიერ იყო „ჩადებული“, არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რომელსაც ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ პირის მსჯავრდებისას, მაგრამ იყო რელევანტური და მნიშვნელოვანი მტკიცებულება. უფრო მეტიც, ეს იყო ერთადერთი პირდაპირი ნივთიერი მტკიცებულება, რომელიც ბრალდებულების წინააღმდეგ იყო გამოყენებული. ევროპულმა სასამართლომ ხორვატიის წინააღმდეგ საქმეში განაცხადა, რომ მისი ფუნქცია არ იყო, შეეფასებინა, იქნებოდა თუ არა საკმარისი პირის მსჯავრდებისთვის დანარჩენი მტკიცებულებები, სადავო მტკიცებულება რომ ამორიცხულიყო. ეს ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტი იყო. ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა სადავო მტკიცებულების გამოყენებამ დაარღვია თუ არა სასამართლო განხილვის სამართლიანობა.³¹⁰

ხორვატიის შემთხვევაში, სადავო მტკიცებულება მოპოვებული იყო კანონის დარღვევით და იყო ბრალდების ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულება, სხვა მტკიცებულებები ირიბი იყო. ის, თუ როგორ იქნა მტკიცებულება მოპოვებული, ვერ გამორიცხავდა ეჭვს მის სანდოობასთან დაკავშირებით და არსებითად აზიანებდა მის ხარისხს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საეჭვო გარემოებების პირობებში მოპოვებულ მტკიცებულებაზე მსჯავრდების დაფუძნება სამართლიანი სასამართლო განხილვის მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა და კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა.³¹¹

ხორვატიის სასამართლოების ხარვეზების ევროპული სასამართლოს მიერ შეფასებაზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვალდებული იყო,

³¹⁰ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010, §59; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.10.

³¹¹ *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010, §§61-62; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.10.

ყურადღება გაემახვილებინა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე და განმარტა, რატომ არ იყო დაკმაყოფილებული უტყუარობის სტანდარტი.³¹²

სასამართლომ ყურადღება მიაპყრო მოწმის მიერ გამოძიებაში და სასამართლოზე მიცემულ ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს. მოწმემ სასამართლოს განუმარტა, რომ ჩხრეკისას ამოღებული ხანჯალი პოლიციის განყოფილებაში დაილუქა, ვინაიდან დაკავებისას ლუქი თან არ ჰქონდა. გამოძიებაში მიცემულ ჩვენებაში, მოწმე უთითებდა, რომ ჩხრეკისას ამოიღეს ხანჯალი, რომელიც იქვე დალუქეს. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შეუძლებელი იყო მოწმეს, ბრალდებულის დაკავების მეორე დღეს, გამოკითხვის დროს, არ ხსომებოდა, რა მოქმედება განახორციელა პირის დაკავებისას. შესაბამისად, ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა ვერ გამორიცხავდა გონივრულ ეჭვს მტკიცებულების გამოცვლის შესახებ.³¹³

ბრალდებულის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ის არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მოწმეთა ჩვენებების სანდოობის შემოწმების კონტექსტში. განაჩენი მიუთითებს საქმეზე *ბუიდი ბელგიის წინააღმდეგ*, რომლის საფუძველზედაც სასამართლომ გაითვალისწინა მოწმეთა მიერ მოვლენათა თანმიმდევრული და დამაჯერებელი აღწერა.³¹⁴

სასამართლო ასევე დაეყრდნო საქმეს *ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ*, სადაც ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ განმცხადებელი მის წინააღმდეგ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას აღწერდა ძალზე დეტალურად, კონკრეტულად და თანმიმდევრულად, რის გამოც ევროპულმა სასამართლომ მისი მტკიცება არასათანადო მოპყრობას

³¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.10.

³¹³ იქვე, გვ.11.

³¹⁴ *Bouyid v. Belgium* [GC], no. 23380/09, ECtHR, 28.9.2015, §96; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.22.

დაქვემდებარების შესახებ სარწმუნოდ მიიჩნია. მითითებული ფაქტებიც ირიბი მტკიცებულებებით იყო გამყარებული.³¹⁵

თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის საყურადღებო იყო ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი საქმეზე *მ.ს.ს. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ*, სადაც განმცხადებელმა და მოპასუხე სახელმწიფომ ევროპულ სასამართლოს მიაწოდეს განსხვავებული ინფორმაცია, თუ შენობის რომელ ნაწილში იმყოფებოდა განმცხადებელი პატიმრობის განმავლობაში. ვინაიდან განმცხადებელი თანმიმდევრულად და დეტალურად აღწერდა შენობაში არსებულ პირობებს, ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის მტკიცება გაიზიარა.³¹⁶

რამდენიმე საქმეზე დადგენილი სტანდარტის განხილვით, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაჯამა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები და განსახილველი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს მიუსადაგა. გარდა ბრალდებულისა, სხვა მოწმეც მიუთითებდა პოლიციის განყოფილებაში მიყვანისთანავე ნულ სართულზე ჩაყვანის ფაქტს. ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებში არსებული ჩვენებების მსგავსად, თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე წარდგენილი პირებიც თანმიმდევრულად აღწერდნენ ოთახების განლაგებას. ბრალდებულის მტკიცებით, როცა ის ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს, სადაც მასზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება, მას ესმოდა მოწმის ხმა, რომელზედაც ასევე ხორციელდებოდა ზეწოლა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ ჩვენების შესაბამისობა და თანხვედრა დაადგინა მოწმის ჩვენებასთან, რომელიც საუბრობდა პოლიციის შენობაში ნულ სართულზე მის მიმართ არასათანადო მოპყრობაზე და უთითებდა, რომ მომიჯნავე ოთახიდან ბრალდებულის ხმა ესმოდა. ამდენად, ბრალდებულის მიერ გაცხადებული ფაქტები არათუ ირიბი, არამედ პირდაპირი

³¹⁵ *El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, ECtHR, 13.12.2012, §§156-157; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.22-21.

³¹⁶ *M.S.S. v. Belgium and Greece* [GC], no. 30696/09, ECtHR, 21.1.2011, §§228-230; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.23.

მტკიცებულებით იყო გამყარებული. პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ექვს ამყარებდა სხვა მოწმეთა ჩვენებებიც.³¹⁷

ზემოთ აღწერილ მ.ს.ს. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ საქმეზე ევროპული სასამართლოს მსჯელობის მსგავსად, თბილისის საქალაქო სასამართლომაც აღნიშნა, რომ ბრალდებულს და მოწმეს ვერ ეცოდინებოდათ პოლიციის განყოფილებაში ნული სართულის შესახებ, თუ ისინი იქ ნამყოფი არ იქნებოდნენ, მათ კი დეტალურად აღწერეს საპირფარეშო, ამოსაცნობი და გამოსაცვლელი ოთახები და სამზარეულო.³¹⁸

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა არათუ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, არამედ ერთი უტყუარი მტკიცებულებაც კი, რომელიც გონივრულ ექვს მიღმა დაადასტურებდა ბრალდებულის ბრალეულობას. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, ეროვნულმა სასამართლომ არ გაიზიარა ჩხრეკის ოქმით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნული არ იქნა სასამართლოს მიერ მიღებული, როგორც გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად საჭირო უტყუარი მტკიცებულება.³¹⁹

ზემოთ განხილული უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სტანდარტისგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც, „სანდოობა შეიძლება ექვექვემ არ დადგეს, როდესაც საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო“, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განაჩენში ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე დამაჯერებლად და დასაბუთებულად არის შეფასებული მტკიცებულების სანდოობა. ევროპული სასამართლოს მიერ თითქმის ანალოგიური გარემოებების განხილვის შედეგად დადგენილი სტანდარტი თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა, რათა განემარტა დასაბუთებულ განაჩენსა და ზოგადად სამართლიან

³¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003, გვ.23.

³¹⁸ იქვე.

³¹⁹ იქვე, გვ.24.

სასამართლო განხილვაზე ბრალდებულის უფლებებიდან გამომდინარე სასამართლოს ვალდებულებები.

5.2.3. დანაშაულის პროვოკაცია

ეროვნული სასამართლო მართებულად განმარტავს,³²⁰ რომ დანაშაულის პროვოკაციის საქმეებზე, ევროპული სასამართლო მტკიცებულებების დასაშვებობის და შეფასების ზოგად წესს იყენებს – მტკიცებულებების დასაშვებობა უპირატესად რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და ეროვნული სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს. ევროპული სასამართლო აფასებს სამართალწარმოების სამართლიანობას მთლიანობაში, მტკიცებულებების მოპოვების ჩათვლით.³²¹

ბრალდების მხარდასაჭერად მტკიცებულებების მოპოვებას შეუძლია კონვენციით გარანტირებულ ბევრ უფლებაში ჩარევა გამოიწვიოს.³²² თუმცა ეს საკითხი წინამდებარე ნაშრომში შეფასებულია მხოლოდ სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლების კონტექსტში, რომელიც ვრცელდება ყველა სახის დანაშაულზე არსებულ სამართალწარმოებაზე, მიუხედავად მათი სირთულისა.³²³

დანაშაულის პროვოკაცია მტკიცებულების მოპოვების დაუშვებელი საშუალებაა.³²⁴ იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, დანაშაულის

³²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.14.

³²¹ ევროპული სასამართლო უთითებს საქმეზე *Ramanauskas v. Lithuania* [GC], no. 74420/01, ECtHR, 5.2.2008, §52.

³²² McBride J., *Human Rights and Criminal Procedure: The Case Law of the European Court of Human Rights*, 2nd ed., Strasbourg: Council of Europe, 2018, 9.

³²³ კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005, 134.

³²⁴ McBride J., *Human Rights and Criminal Procedure: The Case Law of the European Court of Human Rights*, 2nd ed., Strasbourg: Council of Europe, 2018, 9.

პროვოკაცია, ზოგადად, ნებადართული საშუალებაა ქმედითი გამოძიების მიზნებისთვის.³²⁵

ევროპულმა სასამართლომ დანაშაულის პროვოკაციის ცნება რამანაუსკასის საქმეზე განმარტა.³²⁶ ამ განმარტების თანახმად, დანაშაული პროვოცირებულია, როდესაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი, დანაშაულის პასიური გამოძიების ნაცვლად, იმისთვის, რათა შექმნას საფუძველი პირის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად, ზემოქმედებს მასზე და აქეზებს დანაშაულის ჩასადენად, რომელსაც პირი ამ ზემოქმედების გარეშე არ ჩაიდენდა.³²⁷

2017 წლის კვლევაში მიმოხილულია უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის განაჩენი,³²⁸ რომელშიც საკასაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა რამანაუსკასის საქმე. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ზოგადად, ფარული აგენტის მიერ პირის წაქეზება არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულის პროვოკაცია არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით.“³²⁹ ეს ფრაზა მართლაც ფიგურირებს რამანაუსკასის საქმეზე 2008 წელს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში, მაგრამ ეკუთვნის არა ევროპულ სასამართლოს, როგორც ეს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, არამედ ლიეტუვას უზენაეს სასამართლოს. თანაც, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეზე დარღვევა დაადგინა.³³⁰

³²⁵ Görlitz F., Hubert J., Kucher J., Scheffer M., Wieser P., „*Tatprovokation*“, The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions, Cambridge University Press, 20/4/2019, 498.

³²⁶ *Ramanauskas v. Lithuania* [GC], no. 74420/01, ECtHR, 5.2.2008.

³²⁷ §55.

³²⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 28.7.2016 განაჩენი საქმეზე N2კ-128აპ.-16.

³²⁹ იქვე, §6.

³³⁰ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 118-119, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის აღნიშნული შეცდომა ფართოდ იქნა განხილული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების თემაზე მიღძვნილ კონფერენციებსა და შეხვედრებზე, რომლებსაც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ეს ფორმულირება 2016 წლის შემდეგ აღარ გამოუყენებია და არც სხვა სასამართლოებს გაუმეორებიათ იგივე შეცდომა, **ბათუმის საქალაქო სასამართლოს გარდა**.³³¹ რეკომენდებულია, 2016 წლის განაჩენი აღებული იქნეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემიდან, რომ სამომავლოდაც არ გახდეს მცდარი სტანდარტის გამოყენების წყარო.

2017 წლის კვლევის შემდგომი პრაქტიკის შესწავლა³³² ცხადყოფს, რომ **უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა** არ განმარტავს ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებულ ტესტებს დანაშაულის პროვოკაციის გამოძიების ლეგიტიმური მეთოდებისგან განსასხვავებლად და ძირითადად, შემოიფარგლება მოკლე დასკვნით, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით სწორად არის თუ არა შეფასებული დანაშაულის პროვოკაცია. უზენაესი სასამართლოს განჩინებები საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, როგორც წესი, დეტალურად არ იხილავს და პრინციპში, არც ციტირებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტებს. სააპელაციო სასამართლოს დასკვნები არ არის განმარტებული და სასამართლო ზოგადი ფორმულირებებით შემოიფარგლება.³³³

მაგალითად, **უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ** 2019 წლის განჩინებაში³³⁴ აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივნისის განაჩენით დეტალურად იყო დანაშაულის პროვოკაციის საკითხი შეფასებული.

³³¹ **ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის** 30.1.2018 განაჩენი საქმეზე N010100115001183591, §15; 5.1.2018 განაჩენი საქმეზე N010100116001215534, §11.

³³² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.8.2020 განჩინება საქმეზე N186აპ-20.

³³³ იქვე.

³³⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 25.2.2019 განჩინება საქმეზე N541აპ-18.

სასამართლოს დასკვნა, რომ სამართალდამცავი ორგანოები პასიური გამოძიებით შემოიფარგლებოდნენ და აქტიურად არ შეუწყვიათ ხელი დანაშაულის ჩადენისთვის იმით დასტურდებოდა, რომ „არსებობდა ობიექტური ეჭვი და არა ზოგადი ინფორმაცია დანაშაულის ჩადენაში“.³³⁵ განჩინება არ აკონკრეტებს, თუ რა ობიექტური გარემოებები ამყარებდა სამართალდამცავი ორგანოების ეჭვს. უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებით ცალსახად დადასტურებულია, რომ მსჯავრდებულებს უკვე ჰქონდათ დანაშაულის ჩადენის განწყობა. რა საგამოძიებო მოქმედებებით იქნა აღნიშნული დადასტურებული, სასამართლო არ განმარტავს.³³⁶

უზენაეს სასამართლოსთან შედარებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ დეტალურად მიმოიხილა დანაშაულის პროვოკაციის ტესტები 2018 წლის განაჩენში.³³⁷ **თბილისის საქალაქო სასამართლოს** განსახილველ საქმეზე, ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის 338.2.გ) მუხლით.³³⁸

მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტება, რომ ევროპული სასამართლოს მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებული ზოგადი წესი დანაშაულის პროვოკაციით მოპოვებული მტკიცებულებების დასაშვებობაზეც ვრცელდება. საქალაქო სასამართლომ დანაშაულის პროვოკაციაზე ევროპული სასამართლოს იმ დროს უახლეს გადაწყვეტილებებზე მიუთითა.³³⁹ სასამართლომ აღნიშნა, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლაში საგამოძიებო ტექნიკის გამოყენების სპეციფიკურ კონტექსტში, ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, კონვენცია არ კრძალავს გამოძიებაში ფარული აგენტების გამოყენებას, იმ პირობით, თუ აღნიშნული ექვემდებარება მკაფიო შეზღუდვებსა და საპროცესო გარანტიებს. პროვოკაციით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას

³³⁵ იქვე, §10.

³³⁶ იქვე.

³³⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13.

³³⁸ მოხელის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნა და მიღება.

³³⁹ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017; *Ramanauskas v. Lithuania (no. 2)*, no. 55146/14, ECtHR, 20.2.2018.

საჯარო ინტერესი ვერ ამართლებს, ვინაიდან ეს პირს დაუქვემდებარებდა რისკს, რომ დასაწყისშივე და გადაჭრით წართმეოდა უფლება სამართლიან სასამართლოზე.³⁴⁰ თბილისის საქალაქო სასამართლომ დანაშაულის პროვოკაციაზე ევროპული სასამართლოს პრინციპული მიდგომა განმარტა იმით, რომ მართლმსაჯულება არ უნდა შეეწიროს მიზანშეწონილებას.³⁴¹

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიმოიხილა ევროპული სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილება *რამანაუსკასის* (no. 2) საქმეზე, სადაც ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა ის სირთულეები, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს ხვდებათ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.³⁴² ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადასტურა მიდგომა, რომ უფლება სამართლიან სასამართლოზე ირღვევა, როდესაც სამართალდამცველები არ შემოიფარგლებიან დანაშაულებრივი საქმიანობის თვისობრივად პასიური გამოძიებით და იმისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, იმდაგვარად ზემოქმედებენ პირზე, რომ წააქეზებენ დანაშაულის ჩადენას, რომელიც სხვაგვარად ჩადენილი არ იქნებოდა.³⁴³

თბილისის საქალაქო სასამართლომ დეტალურად იმსჯელა დანაშაულის პროვოკაციის მატერიალურ და საპროცესო ტესტებზე და სასამართლოს შეფასების მეთოდოლოგიაზე, რითიც ხდება დანაშაულის პროვოკაციის გამიჯვნა ლეგიტიმური ფარული საგამოძიებო ტექნიკისგან.³⁴⁴ დანაშაულის პროვოკაციის მატერიალური ტესტის თანახმად, თავდაპირველად, ევროპული სასამართლო ცდილობს დაადგინოს დანაშაულის

³⁴⁰ *Teixeira de Castro v. Portugal*, no. 25829/94, ECtHR, 9.6.1998, §§34-36; *Ramanauskas v. Lithuania* [GC], 74420/01, ECtHR, 5.2.2008, §54; *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §28; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.15.

³⁴¹ ეს განმარტება გაკეთდა ერთ-ერთ პირველ საქმეზე *Teixeira de Castro v. Portugal*, no. 25829/94, ECtHR, 9.6.1998, §§34-36; *Ramanauskas v. Lithuania* [GC], 74420/01, ECtHR, 5.2.2008, §36. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.16.

³⁴² *Ramanauskas v. Lithuania* (no. 2), no. 55146/14, ECtHR, 20.2.2018, §52.

³⁴³ იქვე, §54.

³⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.16.

პროვოკაცია, ანუ დანაშაული ჩადენილი იქნებოდა თუ არა ხელისუფლების ჩარევის გარეშე.

საქმეზე *ვანიანი რუსეთის წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ დანაშაულის პროვოკაცია შეიძლება ხდებოდეს მაშინაც, როცა ფარულად მოქმედი კერძო პირი ატარებს ოპერაციას, რომელსაც ორგანიზებას და ზედამხედველობას პოლიცია უწევს.³⁴⁵ ეს მითითება მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველ საქმესთან მსგავსების გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დეტალურად განიხილა გამოძიების პასიურობის და აქტიურობის კრიტერიუმები, რათა შეეფასებინა მოცემულ საქმეში გამოძიების მოქმედებები. იმის შესაფასებლად, გამოძიება „თვისობრივად პასიური“ იყო თუ არა, ევროპული სასამართლო ამოწმებს მიზეზებს, რომელთა გამოც დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედება და როგორ იქცევა მისი განმახორციელებელი უწყება; არსებობდა თუ არა ობიექტური ეჭვი, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტი გარეული იყო დანაშაულებრივ საქმიანობაში, ან წინასწარგანწყობილი იყო თუ არა დანაშაულის ჩასადენად.³⁴⁶ ინფორმაცია, რომელიც ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყებამდე ჩამოყალიბებულ დანაშაულებრივ განზრახვაზე მიუთითებს, უნდა გადამოწმდეს.³⁴⁷

ტეიშიერა დე კასტროს საქმეზე, რომელიც ევროპული სასამართლოს ფუძემდებლურ საქმედ ითვლება დანაშაულის პროვოკაციის საკითხზე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლებამოსილ უწყებას საფუძველი არ ჰქონდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ობიექტის ადრინდელ დანაშაულებრივ საქმიანობაზე ეჭვის მისატანად,

³⁴⁵ *Vanyan v. Russia*, no. 53203/99, ECtHR, 15.12.2005, §§45-50; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.17.

³⁴⁶ *Bannikova v. Russia*, no. 18757/06, ECtHR, 4.11.2010, §38; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.17.

³⁴⁷ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §32; *Vanyan v. Russia*, no. 53203/99, ECtHR, 15.12.2005, §49; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.17-18.

ვინაიდან ის არ იყო ნასამართლელი, არ აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერებები და მის მიმართ არ წარმოებდა გამოძიება.³⁴⁸ თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს სტანდარტი გამოიყენა იმის შესაფასებლად, იყო თუ არა ეჭვის საფუძველი მის განსახილველ საქმეში.³⁴⁹

ზემოხსენებულ ეჭვთან კავშირშია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დრო. ანუ ფარული აგენტები „შეუერთდნენ“ დანაშაულებრივ საქმიანობას, თუ წააქეზეს იგი. როდესაც საგამოძიებო უწყება ამტკიცებს, რომ მათ დაიწყეს მოქმედება კერძო პირისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ევროპული სასამართლო განასხვავებს პირის მიერ ოფიციალურად შეტანილ საჩივარსა და პოლიციის კონფიდენტისგან მიღებულ ინფორმაციას.³⁵⁰ ამ მეორე შემთხვევაში, არსებობს კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევის რისკი. პოლიციის კონფიდენტი შეიძლება ჩაითვალოს აგენტ პროვოკატორად, თუ ის პოლიციის მიერ კონტროლირებად ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას.³⁵¹ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტით, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაფასა ბრალდებულს დანაშაულებრივი ქმედება დაწყებული ჰქონდა თუ არა იმ დროისთვის, როდესაც წყარომ პოლიციასთან თანამშრომლობა დაიწყო.³⁵²

იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროისთვის ჯერ არ იყო მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე *ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ*,³⁵³ მნიშვნელოვანია ეროვნული სასამართლოს მიერ

³⁴⁸ *Teixeira de Castro v. Portugal*, no. 25829/94, ECtHR, 9.6.1998, §§34-36; *Ramanauskas v. Lithuania* [GC], 74420/01, ECtHR, 5.2.2008, §38.

³⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.18.

³⁵⁰ *Miliniénė v. Lithuania*, no. 74355/01, ECtHR, 24.6.2008, §§37-38; *Malininas v. Lithuania*, no. 10071/04, ECtHR, 1.7.2008, §37; *Gorgievski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 18002/02, ECtHR, 16.7.2009, §§52-53; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.18.

³⁵¹ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §35; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.18.

³⁵² *Veselov and Others v. Russia*, nos. 23200/10, 24009/07, 556/10, ECtHR, 2.10.2012, §91.

³⁵³ *Tchokhonelidze v. Georgia*, no. 31536/07, ECtHR, 28.6.2018.

დანაშაულის პროვოკაციის საპროცესო ტესტის დეტალური განხილვა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს მიზეზები, რატომ დაიწყო ფარული საგამოძიებო მოქმედება, როგორი იყო პოლიციის ჩართულობის ხარისხი დანაშაულის ჩადენაში და წაქეზების თუ ზემოქმედების ბუნების ხასიათი, რომელსაც პირი დაექვემდებარა.³⁵⁴

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად გამოკვეთა ვალდებულება, დაიცვას მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპები, როდესაც აფასებს ბრალდებულის განაცხადს დანაშაულის პროვოკაციის შესახებ. ანალოგიურად, მტკიცებულებების გაცვლის და ფარული აგენტების და სხვა პირების დაკითხვის საპროცესო გარანტიები დაცული უნდა იყოს.³⁵⁵ როგორც წესი, ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ ფარული აგენტები და სხვა მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დანაშაულის პროვოკაციაზე ჩვენების მიცემა, უნდა დაიკითხონ სასამართლოში და დაცვას უნდა მიეცეს მათი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა, ან დეტალურად უნდა აიხსნას, რატომ ვერ მოხერხდა აღნიშნული.³⁵⁶

საპროცესო ტესტით ევროპული სასამართლო ამოწმებს, როგორ განიხილა ეროვნულმა სასამართლომ ბრალდებულის მტკიცება დანაშაულის პროვოკაციაზე. შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულის

³⁵⁴ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §40; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.20.

³⁵⁵ *Ramanauskas v. Lithuania (no. 2)* [GC], no. 55146/14, ECtHR, 20.2.2018, §60; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.20.

³⁵⁶ *Lagutin and Others v. Russia*, nos. 6228/09, 19123/09, 19678/07, 52340/08, 7451/09, ECtHR, 24.4.2014, §101; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.20.

პროვოკაციის მტკიცებისას, საპროცესო ასპექტი საქმის განხილვის აუცილებელი ნაწილია.³⁵⁷

როდესაც დაცვის მხარის მტკიცება დანაშაულის პროვოკაციის შესახებ არარეალისტური არ არის, ბრალდების მხარემ უნდა გამოიყენოს პროვოკაცია. როდესაც ასეთი მტკიცებულება ბრალდების მხარეს არ წარუდგენია, ეროვნული სასამართლოს ამოცანაა, განიხილოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ჭეშმარიტების დასადგენად, ანუ იყო თუ არა დანაშაული პროვოცირებული.³⁵⁸ ევროპული სასამართლოს მოთხოვნაა, რომ დანაშაულის პროვოკაციის მტკიცებისას, ეროვნულმა სასამართლომ განსაკუთრებით ყურადღებით შეაფასოს იგი და დეტალურად შეისწავლოს საქმეში არსებული მასალები. სამართალწარმოების სამართლიანად მიჩნევისთვის, პოლიციის წაქეზების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები საქმიდან უნდა ამოირიცხოს.³⁵⁹

ევროპული სასამართლო ვერ აფასებს ბრალეულობას, მაგრამ თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა საქმეზე *ხუდობინი რუსეთის წინააღმდეგ*, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია დანაშაულის პროვოკაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება პირის მსჯავრდებისთვის.³⁶⁰ საქმეში არსებული ძირითადი მტკიცებულების დაუშვებლობის გამო, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი ვერ იქნება მიღწეული ისეთი ლატენტური სახის დანაშაულზე, როგორც არის მოხელის მიერ პირდაპირ ფულის მოთხოვნა და მიღება. ხუდობინის საქმეზე, რუსეთის არგუმენტით, ის, რომ მანამდე ბრალდებული არ იყო შემჩნეული დანაშაულებრივ საქმიანობაში, არარელევანტური იყო – ბრალდებულმა ჩაიდინა

³⁵⁷ *Bannikova v. Russia*, no. 18757/06, ECtHR, 4.11.2010, §51, *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §36. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.19.

³⁵⁸ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §38; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.19.

³⁵⁹ *Pătrașcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017, §39.

³⁶⁰ *Khudobin v. Russia*, no. 59696/00, ECtHR, 26.10.2006, §§132-133, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.19-20.

დანაშაული და მსჯავრდებული იქნა. ის ფაქტი, რომ პოლიციის ოპერაცია დოკუმენტირებული იყო დადგენილი წესით, კანონიერს ხდიდა მას და შესაბამისად, შემდგომი სამართალწარმოებაც სამართლიანი იყო. ამ არგუმენტზე ევროპული სასამართლოს პასუხი იყო, რომ კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს დანაშაულის პროვოკაციით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების უფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, „სამართლიანი სასამართლოს“ მოთხოვნები დარღვეულია.³⁶¹

თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეში, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა ბრალდებულების ბრალეულობა და ისინი წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ.³⁶² ეს განაჩენი სანიმუშოა, რადგან დანაშაულის პროვოკაციის თემაზე განხილული გადაწყვეტილებებიდან ყველაზე სრულყოფილად მიმოიხილავს პროვოკაციის ტესტებს და პროვოკაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების შეფასების თვალსაზრისით ეროვნული სასამართლოს ვალდებულებებს და სათანადოდ იყენებს კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს.

5.2.4. პირდაპირი მტკიცებულების არარსებობა ოჯახში ძალადობის საქმეზე

ოჯახში ძალადობის საქმეებში პირდაპირი მტკიცებულებების საკმარისობის პრობლემაა. როგორც წესი, მხოლოდ დაზარალებულია ფაქტის უშუალო შემსწრე. როცა ის უარს ამბობს სასამართლოში ჩვენების მიცემაზე, ბრალდების მხარეს, როგორც წესი, არ შეუძლია სხვა პირდაპირი მტკიცებულების მოპოვება.³⁶³ საქმეში შეიძლება იყოს დაზარალებულის ნათესავების გამოკითხვის ოქმები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ა.შ.

³⁶¹ *Khudobin v. Russia*, no. 59696/00, ECtHR, 26.10.2006; მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 117-118, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

³⁶² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13, გვ.21.

³⁶³ ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, თბილისი: USAID, 2019, 45.

კვლევის თანახმად, სასამართლოები ოჯახში ძალადობის საქმეებზე ყველაზე ხშირად იყენებენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას მტკიცებულებების შესაფასებლად.³⁶⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის საქმეზეც პირს ბრალად ედებოდა ოჯახში ძალადობა.³⁶⁵

სასამართლო სხდომაზე, მოწმის სახით დაკითხული პირები იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდნენ შემთხვევის ადგილზე. მოწმეებმა მიუთითეს განხორციელებულ ქმედებებზე, დაზარალებულის დაზიანებებზე, დაკავების გარემოებებზე. პოლიციის თანამშრომლებიდან არც ერთი მათგანი არ იყო თვითმხილველი და სასამართლომ მიიჩნია, რომ მათი ჩვენებებით უტყუარად არ დასტურდებოდა იმ პირის ვინაობა, რომელმაც დაზარალებულის მიმართ განახორციელა ძალადობა. პოლიციელები მხოლოდ დაზარალებულისგან ფლობდნენ ინფორმაციას, მან კი სასამართლო სხდომაზე ძალადობის ფაქტი არ დაადასტურა.³⁶⁶ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ასევე არ იძლეოდა ინფორმაციას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ. სასამართლომ აღნიშნა, რომ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ადგენს დაზიანებების არსებობას, მათ სიმძიმეს, ლოკალიზაციას, რაოდენობას, მაგრამ ვერ განსაზღვრავს დაზიანების მიმყენებელი პირის ვინაობას.³⁶⁷

სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის განმარტება, რომ „შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში დაზარალებულის განცხადება ფიზიკური შეურაცხყოფის შესახებ წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას.“³⁶⁸ სასამართლოს განმარტებით, არსებითი მნიშვნელობა აქვს მოწმის მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას. თუ მოწმემ გამოძიებაში მიცემული ინფორმაცია არ დაადასტურა სასამართლო სხდომაზე, გამოკითხვის ოქმი, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმი, შემთხვევის ადგილის

³⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრი, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, თბილისი, 2017, 75.

³⁶⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18.

³⁶⁶ იქვე, გვ.3-4.

³⁶⁷ იქვე, გვ.4.

³⁶⁸ იქვე.

დათვალიერების ოქმში ასახული დაზარალებულის ინფორმაცია ვერ გამოდგება ფაქტის დასადასტურებლად. ასეთი ინფორმაცია, მით უმეტეს, ვერ მიიჩნევა პირდაპირ მტკიცებულებად.³⁶⁹

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა ბრალდების მხარეს მიერ მითითებულ საქმეზე *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*.³⁷⁰ სასამართლომ აღნიშნა, რომ არ უგულებელყოფდა ოჯახში ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადეების დასჯის თაობაზე სახელმწიფოს ვალდებულებას. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ოპუზის საქმეზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულებამ განმცხადებელი და მისი დედა განმცხადებლის ქმრის ძალადობრივი ქმედებისგან სათანადოდ არ დაიცვა, რის გამოც თურქეთმა სიცოცხლის უფლება და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა დაარღვია.³⁷¹ სასამართლომ მიუთითა თურქეთში დამკვიდრებულ დისკრიმინაციულ სასამართლო პასიურობაზე, რომლის მსხვერპლიც ძირითადად ქალი იყო. ქალები დაუცველები იყვნენ ოჯახში ძალადობისგან, ვინაიდან მართლმსაჯულების ორგანოების მხრიდან ზოგადი დისკრიმინაციული პასიურობა საამისოდ ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა.³⁷² სასამართლოს მხრიდან რეაგირების არარსებობა, მოძალადის დაუსჯელობა ხელისუფლების ვალდებულებების შეუსრულებლობას ნიშნავდა.³⁷³

მიუხედავად ოპუზის საქმის მნიშვნელობისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს საქმე ვერ გაამართლებდა ბრალდებულის მსჯავრდებას საკმარისი მტკიცებულებების გარეშე, ვინაიდან საქმეში არ იყო პირდაპირი მტკიცებულებები,

³⁶⁹ იქვე.

³⁷⁰ *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009.

³⁷¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.5-6.

³⁷² *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009, §§198 და 199, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.6.

³⁷³ *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009, §200, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.6.

რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცებდა ბრალდებულის ბრალეულობას.³⁷⁴ სასამართლომ *mutatis mutandis* მიუთითა საქმეზე *მატოჩა იტალიის წინააღმდეგ*³⁷⁵ და განმარტა, რომ მხოლოდ იმის გამო, რომ პირს ბრალად ედება სენსიტიური დანაშაულის ჩადენა, მისთვის სამართლიანი სამართალწარმოების გარანტიების უგულვებელყოფა დაუშვებელია.³⁷⁶ სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიების უგულვებელყოფას მტკიცებულებების მოპოვების სირთულეები არ ამართლებს.³⁷⁷ ასეთი მიდგომის არჩევა კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას არღვევს, რომლის ასპექტია უფლება დასაბუთებულ მსჯავრდებაზე.³⁷⁸ როდესაც ეროვნული სასამართლოები სათანადოდ ვერ ასაბუთებენ პირის მსჯავრდებას, პირი სამართლიანი სამართალწარმოებით ვერ სარგებლობს.³⁷⁹

საბოლოოდ, დადგინდა, რომ ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი ერთი პირდაპირი მტკიცებულებაც არ არსებობდა და ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.³⁸⁰ გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც უზენაესი სასამართლოს ზემოაღნიშნული არასწორი მსჯელობა გაიმეორა ელ-მასრის და ბარბერას საქმეების უდანაშაულობის პრეზუმფციის და განაჩენის დასაბუთების კონტექსტში

³⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.5-6.

³⁷⁵ *Mattoccia v. Italy*, no. 23969/94, ECtHR, 25.7.2000.

³⁷⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.6.

³⁷⁷ *Mattoccia v. Italy*, no. 23969/94, ECtHR, 25.7.2000, §71, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.6.

³⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქმეზე *Boldea v. Romania*, no. 19997/02, ECtHR, 15.2.2007, §§28-35, რომელიც ერთ-ერთი პირველია სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში, სადაც დასაბუთების უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე უფლების ნაწილად იქნა მოაზრებული.

³⁷⁹ თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ დროისთვის უახლეს საქმეზე *Tchankotadze v. Georgia*, no. 15256/05, ECtHR, 21.6.2016, §§108-109, რომელიც პირველი საქმეა საქართველოს წინააღმდეგ, სადაც დადგინდა, რომ ეროვნულმა სასამართლომ დაარღვია პირის უფლება დასაბუთებულ განაჩენზე.

³⁸⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18, გვ.7.

გამოყენებაზე,³⁸¹ თუმცა მართებულად მიუთითა *ტელფნერი ავსტრიის წინააღმდეგ* საქმეზე, რომელშიც ევროპული სასამართლო მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე გადატანაზე მსჯელობს.³⁸²

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კონვენციის საფუძველზე გამოყენებული დასაბუთების სანიმუშო სტანდარტი განმეორდა პირველი ინსტანციის სასამართლოების 27 სხვა განაჩენში.³⁸³

მსგავსი მსჯელობა განავითარა **თბილისის საქალაქო სასამართლომ** სხვა საქმეზეც.³⁸⁴ სასამართლომ აღნიშნა, რომ ყველა მოწმე (გამომძიებელი) იმეორებდა სხვის ნათქვამს და მათი ჩვენებები პირდაპირ მტკიცებულებად ვერ ჩაითვლებოდა. საქმეში არ არსებობდა სხვა მოწმის ჩვენება. *ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ* საქმეზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა პოლიციის თანამშრომლის ჩვენების მცირე მტიცებითი ძალის შესახებ, როცა იგი სხვა მტკიცებულებით არ არის გამყარებული.³⁸⁵

³⁸¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 8.5.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002336040, გვ.3-4.

³⁸² იქვე, გვ.4. *Telfner v. Austria*, no. 33501/96, ECtHR, 20.3.2011, §15.

³⁸³ მათ შორის, **თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის** 3.8.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002262387; 4.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002543082; 14.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002559647; 14.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002668941; 18.1.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002542614; 25.1.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002635033; 8.2.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002699764; 22.2.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002639521; **ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის** 25.7.2019 განაჩენი საქმეზე N010100119003052769; 1.8.2019 განაჩენი საქმეზე N010100119003065899; 2.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100120003430860; 3.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100120003465531; 10.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100119003076699; **ცაგერის რაიონული სასამართლოს** 2.10.2019 განაჩენი საქმეზე N040100119003035609; 27.12.2019 განაჩენი საქმეზე N040100119003295168; 30.12.2019 განაჩენი საქმეზე 040100119003057365; 11.2.2020 განაჩენი საქმეზე N040100119003151115; **ამბროლაურის რაიონული სასამართლოს** 23.5.2019 განაჩენი საქმეზე N090100119002967628.

³⁸⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 23.8.2017 განაჩენი საქმეზე N1/799-17.

³⁸⁵ *Ochelkov v. Russia*, no. 17828/05, ECtHR, 11.4.2013, §90.

5.2.5. მტკიცებულებების შეფასება საპროცესოსამართლებრივ კონტექსტში

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის განაჩენში³⁸⁶ დეტალურად განმარტა სახელმწიფოს ვალდებულებები სისხლის სამართალწარმოებაში კონვენციური უფლების დასაცავად. საქმე ეხებოდა არასრულწლოვნით ვაჭრობასა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება/გასაღებას.³⁸⁷ სასამართლომ იხელმძღვანელა ქმედითი გამოძიების კონტექსტში ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით და მისი განაჩენი კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების სანიმუშო მაგალითია.

ტერმინს „ქმედითი გამოძიება“ ავტონომიური მნიშვნელობა აქვს და არ გულისხმობს მხოლოდ გამოძიების სტადიას. ის მოიცავს სასამართლო განხილვის სტადიასაც.³⁸⁸ ქმედითი გამოძიების ცნება ევროპულმა სასამართლომ შემოიღო კონვენციის იმ მუხლებთან მიმართებით, რომლებსაც მატერიალურსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი ასპექტები აქვს (მაგალითად, სიცოცხლის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება).³⁸⁹ უფლების მატერიალურსამართლებრივ ნაწილში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეფასებისას მოწმდება, სახელმწიფოს ბრალად შეერაცხება თუ არა უფლების დარღვევა. საპროცესოსამართლებრივ ასპექტში მოწმდება, ჩაატარა თუ არა სახელმწიფომ ქმედითი გამოძიება უფლების ხელყოფაზე.³⁹⁰

თბილისის საქალაქო სასამართლომ იმსჯელა კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებებზე და მიუთითა, რომ გარდა ნეგატიური ვალდებულებისა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უფლებაში ჩარევისგან თავის შეკავებას, პირადი

³⁸⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20.

³⁸⁷ იქვე, გვ.1-2.

³⁸⁸ მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 402.

³⁸⁹ Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 216-221.

³⁹⁰ მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 400.

ცხოვრების დაცულობის უფლება აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებსაც, რაც ორგანულად არის დამახასიათებელი კონვენციით გარანტირებული უფლებების ქმედითი დაცვისთვის. სასამართლომ მიუთითა საქმეზე *კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ*.³⁹¹

სასამართლომ განწყენებულად კი არ მიუთითა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არამედ თვალნათლივ გამოკვეთა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა მის მიერ განსახილველ საქმეზე და ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანი დაზარალებულების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში მოხდა ჩარევა, ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებით საბუთდებოდა. სასამართლომ *mutatis mutandis* მიუთითა საქმეზე *სიოდერმანის შვედეთის წინააღმდეგ*³⁹² და მიმოიხილა მისი რელევანტური გარემოებები.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებულია სიოდერმანის საქმის მნიშვნელობა.³⁹³ ამ საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ განმარტა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს ვალდებულებები, ინდივიდის ფიზიკური თუ მორალური ხელშეუხებლობის უფლებაში კერძო პირების ჩარევისას.³⁹⁴

ეროვნულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სიოდერმანის საქმეზე, რომელიც არასრულწლოვანის ინტიმური ხასიათის მოქმედებების ფარული კამერით მამინაცვალის მიერ გადაღებას ეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ პიროვნულ ხელშეუხებლობაში ჩარევა დაადგინა.³⁹⁵ გოგონა არასრულწლოვანი იყო, ჩარევა მოხდა სახლში, სადაც მას თავი უსაფრთხოდ უნდა ეგრძნო და იმ ადამიანის მიერ, რომელსაც გოგონა ენდობოდა. ყველა ეს გარემოება რელევანტური იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმეზეც, რომელშიც გოგონების პორნოგრაფიული ხასიათის

³⁹¹ *K.U. v. Finland*, no. 2872/02, ECtHR, 2.12.2008, §42; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20, §4.6.5.

³⁹² *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, ECtHR, 12.11.2013, §86.

³⁹³ ზოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი: იურისტების სამყარო, 2017, 95.

³⁹⁴ იქვე.

³⁹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20, §4.6.7.

ფოტოსესიები ორგანიზებული იყო მათი ნათესავების და ახლობლების მიერ.³⁹⁶

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია არასათანადო მოპყრობის აკრძალვისა და პირადი ცხოვრების დაცულობის სფეროების გამიჯვნის სირთულე.³⁹⁷ ქმედება, რომელიც ლახავს ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას, მაგრამ არ ხვდება მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში, მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ითვალისწინებს შესაბამის ვალდებულებებს.³⁹⁸ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება ამომწურავად ვერ განისაზღვრება. იგი, *inter alia*, მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობას, ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას.³⁹⁹ შესაძლოა, ერთი შეხედვით ერთი და იგივე უფლებაში ჩარევა, გარემოებებისა და მიხედვით, დაკვალიფიცირდეს მე-3 ან მე-8 მუხლით.⁴⁰⁰ ეს სირთულე სიოდერმანის საქმეზე დაყრდნობით გადაწყდა.⁴⁰¹ ქმედებას არ ახლდა ფიზიკური ძალადობა, კონტაქტი და სექსუალური ხასიათის ძალადობის საქმეებისგან განსხვავებით, არ აღწევდა კონვენციის მე-3 მუხლის სისასტიკის მინიმალურ ზღვარს.⁴⁰² ეს გარემოებები ემთხვეოდა საქალაქო სასამართლოს განსახილველი საქმის გარემოებებს. სასამართლომ *mutatis mutandis* გაითვალისწინა ის ფაქტორებიც, რომლებიც ევროპულმა სასამართლომ გამოყო საქმეზე კ.უ. ფინეთის წინააღმდეგ – ბავშვის პირადი მონაცემების ინტერნეტით გავრცელება, რაც პოტენციურ საფრთხეს უქადდა ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას, ასაკიდან

³⁹⁶ *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, ECtHR, 12.11.2013, §86; თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.6.2020 განაჩენი, §4.6.6.

³⁹⁷ Van Dijk P., Van Hoof F., Van Rijn A., Zwaak L., *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 4th ed. Antwerpen, Oxford: Intersentia, 2006, 416.

³⁹⁸ ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი: იურისტების სამყარო, 201796.

³⁹⁹ Van Dijk P., Van Hoof F., Van Rijn A., Zwaak L., *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 4th ed. Antwerpen, Oxford: Intersentia, 2006, 665.

⁴⁰⁰ მჭედლიძე ნ., საცხოვრისის დაცულობის უფლება: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 46-49.

⁴⁰¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20, გვ.42.

⁴⁰² *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, ECtHR, 12.11.2013, §86.

გამომდინარე მოწყვლადობის გამო.⁴⁰³

სასამართლომ მიუთითა, რომ მე-8 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, ჩაატაროს ქმედითი გამოძიება⁴⁰⁴ და იხელმძღვანელა შესატყვისი სტანდარტებით. მტკიცებულებები შეფასდა რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. არსებობდა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც საკმარისი იყო გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.⁴⁰⁵

განხილულ საქმეში კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტის გამოყენება და ეროვნული სასამართლოს მსჯელობა სანიმუშოა. რეკომენდებულია, რომ საერთო სასამართლოებმა ეს მიდგომა გაიზიარონ მტკიცებულებების შეფასებისას, კონვენციური უფლების საპროცესოსამართლებრივ კონტექსტში სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე თავში, წარმოჩენილი იქნა ეროვნული სასამართლოს მსჯელობა, რომელიც დაშორებულია კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს და აგრეთვე გადაწყვეტილებები, რომლებიც დასაბუთების რელევანტური სტანდარტების განმარტებისა და განსახილველი საქმის გარემოებებისადმი მისადაგების თვალსაზრისით სანიმუშოა. მსჯელობის შეფასებისას, ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელობა არ აქვს ეროვნული სასამართლოს ინსტანციას და გადაწყვეტილება ფასდება იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მართებულად არის გამოყენებული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები. არის საქმეები, რომლებშიც ევროპული სასამართლოსთვის ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობა უფრო მისაღებია.⁴⁰⁶ მოცემულ შემთხვევაშიც, ქვემდგომი სასამართლოების მსჯელობა დასაბუთების

⁴⁰³ *K.U. v. Finland*, no. 2872/02, ECtHR, 2.12.2008, §41; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი, გვ.42.

⁴⁰⁴ *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, ECtHR, 12.11.2013, §88; თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20, §4.6.7.

⁴⁰⁵ იქვე, გვ.4.

⁴⁰⁶ იბ., მაგალითად, *Dan v. the Republic of Moldova*, 57575/14, 5.7.2011.

ხარისხით ბევრად აღემატება უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ სტანდარტის გამოყენებასა და მისადაგებას. საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ზემოთ განხილული ხარვეზები ლეგიტიმაციას უკარგავს მართლმსაჯულების განმახორციელებელი უზენაესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიზანშეწონილია მათი დროული გამოსწორება.

6. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

6.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ციტირება)

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ციტირების შეცდომები. განსაკუთრებით, ეს შეიმჩნევა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკაში. შეცდომებს, ერთი შეხედვით, ტექნიკური ხასიათი აქვს, რასთან დაკავშირებითაც, ევროპული სასამართლო *mutatis mutandis* აღნიშნავს, რომ ფორმალური ხასიათის შეცდომები სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების დარღვევას არ იწვევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი დროულად არის გამოსწორებული.⁴⁰⁷ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის შემთხვევაში, ეს შეცდომები არამცთუ დროულად არ არის გამოსწორებული, გადაწყვეტილებიდან გადაწყვეტილებაში უცვლელად მეორდება და ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების სიღრმისეულ შინაარსობრივ პრობლემებსაც წარმოაჩენს. ეს ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების თემის განხილვით არის ქვემოთ დემონსტრირებული.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა განსაკუთრებით ხშირად იყენებს საქმეების ქართულ ტრანსლიტერაციას, გადაწყვეტილების ევროპული სასამართლოს ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, ფრანგული) დასახელების გარეშე, თანაც ისე, რომ ხშირად არც საქმის რაიმე სხვა რეკვიზიტი (განაცხადის ნომერი, გადაწყვეტილების თარიღი და ა.შ.) არის მითითებული. ხშირად, ტრანსლიტერაციაც არასწორია.

მაგალითად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17 განჩინებაში, ორიგინალი დასახელების მითითების გარეშე, სულ სხვადასხვანაირად არის მოხსენიებული საქმე, როგორც „სპორონგი და ლონოროტი შვედეთის წინააღმდეგ“, „სპორონგი და ლონოროტი

⁴⁰⁷ *Mugoša v. Montenegro*, no. 76522/12, ECtHR, 21.6.2016, §63.

შვედეთის წინააღმდეგ“ ან „სპორონგი და ლორნითი შვედეთის წინააღმდეგ“. უმეტეს შემთხვევაში, ამ საქმის სხვა რეკვიზიტი მითითებული არ არის.⁴⁰⁸

საქმის დასახელებაა *Sporrong and Lönnroth v. Sweden* და მასზე 1982 წელს არის გადაწყვეტილება მიღებული. ხშირად, საქმეს კასატორი ასახელებს და შესაძლოა, არასწორი ციტირება მას ეკუთვნოდეს, მაგრამ პალატა ციტირებას არ ამოწმებს და შეცდომას გადაწყვეტილებაში ავტომატურად იმეორებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი ციტირება გარკვეულ პროგრესს ასახავს 2003 წლის განჩინებასთან შედარებით, სადაც ეს საქმე შემდეგნაირად იყო ციტირებული: „სპორონგი ლონრაიტის საქმე შვეციის წინააღმდეგ“.⁴⁰⁹

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ევროპული სასამართლოს პლენუმის მიერ მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილება კვლავაც ინარჩუნებს აქტუალობას უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის პრაქტიკაში. 2019-2023 წლებში მიღებულ 13 განჩინებაში⁴¹⁰ საქმე ორიგინალი დასახელებით გვხვდება, რაც მის მოძიებას აადვილებს დაინტერესებული პირისთვის.

ზოგჯერ საქმის ქართულენოვანი დასახელება (ორიგინალი სახელწოდების მითითების გარეშე) უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ერთი და იმავე

⁴⁰⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 1.11.2022 განჩინება საქმეზე Nბს-770(კ-21); 17.3.2022 განჩინება საქმეზე Nბს-243(კ-20); 17.6.2021 განჩინება საქმეზე Nბს-1234(კ-19); 10.3.2021 განჩინება საქმეზე Nბს-1281(2კ-19); 1.10.2020 განჩინება საქმეზე Nბს-845(კ-19); 17.9.2020 განჩინება საქმეზე Nბს-473(2კ-19); 14.7.2020 განჩინება საქმეზე N2020-07-14; 21.3.2020 განჩინებები საქმეებზე Nბს-268(კ-19), Nბს-1233(კ-18); 16.1.2020 განჩინება საქმეზე Nბს-1155(2კ-18); 17.10.2019 განჩინება საქმეზე Nბს-1076(კ-18); 10.10.2019 განჩინება საქმეზე Nბს-974(კ-18); 27.12.2018 განჩინება საქმეზე Nბს-798(კ-18); 13.6.2017 განჩინება საქმეზე Nბს-239-237(კ-17); 8.6.2017 Nბს-274-272(კ-17); 25.6.2013 განჩინება საქმეზე Nბს-106-99(კ-13); 30.4.2013 განჩინება საქმეზე Nბს-468-463(კ-12); 28.2.2013 განჩინება საქმეზე Nბს-367-363(კ-12).

⁴⁰⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.1.2003 განჩინება საქმეზე N3გ-ად-275-კ-02.

⁴¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.2.2023 განჩინებები საქმეებზე Nბს-544(კ-22), Nბს-49(კ-21); 11.12.2022 განჩინება საქმეზე Nბს-1164(კ-20); 18.10.2022 განჩინება საქმეზე Nბს-376(კ-22); 2.3.2022 განჩინება საქმეზე Nბს-129(კ-19); 25.3.2022 განჩინება საქმეზე Nბს-1096(კ-19); 26.1.2021 განჩინება საქმეზე Nბს-1112(კ-18); 1.10.2020 განჩინება საქმეზე Nბს-845(კ-19); 15.7.2020 განჩინება საქმეზე Nბს-791-791(კ-18); 21.5.2020 განჩინებები საქმეებზე Nბს-268(კ-19), Nბს-1233(კ-18); 17.10.2019 განჩინება საქმეზე Nბს-1076(კ-18); 10.10.2019 განჩინება საქმეზე Nბს-974(კ-18).

განჩინების ტექსტშიც ვარირებს. მაგალითად, საქმე *Pincová and Pinc v. the Czech Republic*⁴¹¹ უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ცამეტ განჩინებაში⁴¹² მითითებულია, როგორც „*პინკოვი და პინკი ჩეხეთის წინააღმდეგ*“. აქედან ორ განჩინებაში⁴¹³ საქმე იმავდროულად მითითებულია, როგორც „*პინკოვა და პინკი ჩეხეთის წინააღმდეგ*“.

ზოგჯერ ქართული ტრანსლიტერაციაც და საქმის ორიგინალი დასახელებაც არასწორია. მაგალითად, პალატამ განმარტა, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის წერილობითი ფორმით განხილვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის ავტომატურ დარღვევას არ ნიშნავს და შემდეგნაირად მიუთითა ევროპული სასამართლოს საქმეზე – „*დერი შვედეთის წინააღმდეგ*“ (*Dori v. Sweden*)“.⁴¹⁴

საქმის დასახელებაა *Döry v. Sweden*.⁴¹⁵ ევროპულ სასამართლოს მასზე 2002 წელს აქვს გამოტანილი გადაწყვეტილება,⁴¹⁶ რომლის მოძიებას დაინტერესებული პირი არასწორი ტრანსლიტერაციით და მცდარი ორიგინალი სახელწოდებით ვერ შეძლებს, თუ მნიშვნელობის დონის მიხედვით ამ მეორე კატეგორიის და 20 წლის წინანადელ გადაწყვეტილებას უშუალოდ არ იცნობს.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ათ განჩინებაში საქმე დადაევა რუსეთის წინააღმდეგ შემდეგნაირად არის ციტირებული – „დადაევა რუსეთის

⁴¹¹ *Pincová and Pinc v. the Czech Republic*, no. 36548/97, ECtHR, 5.11.2002.

⁴¹² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.2.2022 განჩინება საქმეზე Nბს-739(კ-21); 10.2.2022 განჩინება საქმეზე Nბს-27(კ-21)10; 2.6.2021 განჩინება საქმეზე Nბს-684(2კ-20); 27.5.2020 განჩინება საქმეზე Nბს-220(2კ-20); 13.5.2020 განჩინება საქმეზე Nბს-122(კ-20); 25.2.2020 განჩინება საქმეზე Nბს-6(კ-20); 25.2.2020 განჩინება საქმეზე Nბს-13(კ-20); 14.3.2019 განჩინება საქმეზე Nბს-1531(კ-18); 7.2.2019 განჩინება საქმეზე Nბს-432-429(2კ-17); 22.12.2018 განჩინება საქმეზე Nბს-1158-1152(3კ-17); 16.10.2018 განჩინება საქმეზე Nბს-874(2კ-18); 8.6.2017 განჩინება საქმეზე Nბს-246-244(კ-17), 14.7.2016 განჩინება საქმეზე Nბს-776-768(2კ-4კს-15).

⁴¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.3.2020 განჩინებები საქმეებზე Nბს-6(კ-20), Nბს-13(კ-20).

⁴¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 21.6.2022 განჩინება საქმეზე Nბს-416(კს-22).

⁴¹⁵ *Döry v. Sweden*, no. 28394/95, ECtHR, 12.11.2002.

⁴¹⁶ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ გამოყენებულ სტანდარტზე ევროპული სასამართლო მსჯელობს გადაწყვეტილების §37 *et seq.*

წინააღმდეგ“, §145, 146“. მიუხედავად იმისა, რომ რუსული გვარის ინგლისურად ტრანსლიტერაცია შედარებით ადვილი განსაჭვრეტია, ეს საქმე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ბაზაში⁴¹⁷ არ იძებნება. არსებობს საქმე *მატაევა და დადაევა რუსეთის წინააღმდეგ*,⁴¹⁸ მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში სულ 144 პუნქტია.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ევროპული სასამართლოს სტანდარტის ამდაგვარად მითითება ლეგიტიმაციას უკარგავს კონვენციის გამოყენებას. საქმის ორიგინალი დასახელების არასწორი და არათანმიმდევრული ტრანსლიტერაცია, არასწორად მითითება, გადაწყვეტილების რეკვიზიტების გამოტოვება ართულებს, ან შეუძლებელს ხდის საქმეების მოძიებას, თუ დაინტერესებული პირი იმდენად დეტალურად არ იცნობს ამ გადაწყვეტილებებს, რომ არასწორი ტრანსლიტერაცია/ციტირების მიუხედავად, მიხვდეს, რომელ საქმეს გულისხმობს ეროვნული სასამართლო.

დადაევა რუსეთის წინააღმდეგ საქმეზე გადაწყვეტილების მოძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პალატა მასზე დაყრდნობით საკმაოდ ბუნდოვან და ალოგიკურ მსჯელობას ავითარებს და არასწორად იყენებს ევროპული სასამართლოს სტანდარტს ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

6.2. ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე *დადაევა რუსეთის წინააღმდეგ* მითითებული აქვს ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების კონტექსტში, რაც საქართველოს კანონმდებლობით სასამართლოს გარეშე ხარჯებია.⁴¹⁹ პირველად დადაევას საქმე ნახსენებია 2016 წელს მიღებულ განჩინებაში.⁴²⁰ „იურიდიული

⁴¹⁷ <www.hudoc.echr.coe.int>[22.2.2024].

⁴¹⁸ *Matayeva and Dadayeva v. Russia*, no. 49076/06, ECtHR, 19.4.2011.

⁴¹⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 37.3.

⁴²⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.7.2016 განჩინება საქმეზე Nზს-776-768(23-43ს-15).

მომსახურების ხელშეკრულების არსებობა, მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „დადაევა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146)“.⁴²¹

გაუგებარია, რატომ უნდა იყოს „იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების არსებობა“ ისეთი საექვო გარემოება ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად, რომ სასამართლოს საჭიროდ მიეჩნია აღენიშნა, რომ ასეთი ხელშეკრულების არსებობა ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას არ გამორიცხავს. პირიქით, სწორედ ადვოკატთან დადებული ხელშეკრულება შეადგენს მისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების ერთ-ერთ საფუძველს. ფრაზა – „იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების არსებობა... იმთავითვე არ გამორიცხავს გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას“ – ევროპულ სასამართლოს არ ეკუთვნის. „არსებობის“ ნაცვლად თუ უნდა იყოს „არარსებობა“ და პალატამ მექანიკური შეცდომა დაუშვა, ამ ფრაზის სისწორეში ეჭვი არ ყოფილა შეტანილი სულ მცირე ცხრაჯერ. ფორმულირება უცვლელად მეორდება ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2016-2022 წლის განმავლობაში მიღებულ ცხრა განჩინებაში.

რაც შეეხება დადაევას საქმეზე დაყრდნობით მტკიცებას, რომ როცა იურიდიული მომსახურებისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარედგინება, ევროპული სასამართლო მაინც არ გამორიცხავს ამ მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას, – ეს შეცდომაში შემყვანი ფორმულირებაა. ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა, სამართლებრივი ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ქვემოთ დეტალურად არის განხილული. მანამდე კი უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ექვსი განჩინება⁴²² განსახილველი.

⁴²¹ იქვე.

⁴²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინება საქმეზე Nზს-192(23-23); 26.4.2023 განჩინება საქმეზე Nზს-1099(23-22); 26.1.2023 განჩინება საქმეზე Nზს-478(3-22); 22.7.2021 განჩინება საქმეზე Nზს-37(23-21); 17.1.2019 განჩინება საქმეზე Nზს-809-805(33-17); 11.5.2017 განჩინება საქმეზე Nზს-918-910(3-16).

ამ განჩინებებში დადაევას საქმე გადასხვაფერდა ფადეევას საქმედ.⁴²³ მაგალითად, 2023 წლის განჩინების თანახმად, „საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს გაწეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146).“⁴²⁴ სტანდარტის არასწორი ფორმულირება, მოპასუხე სახელმწიფო და გადაწყვეტილების პუნქტები იგივეა, რაც დადაევას საქმის ციტატაში, იმ განსხვავებით, რომ განმცხადებლად დასახელებულია ფადეევა და „იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების არსებობაზე“ ბუნდოვანი მითითებაც ამოღებულია.

ფადეევას საქმის 145-ე პუნქტზე პალატა ევროპული სასამართლოს სტანდარტის კონტექსტში მიუთითებს, მაგრამ გადაწყვეტილების 145-ე პუნქტში ევროპული სასამართლოს სტანდარტი გათვალისწინებული საერთოდ არ არის. 145-ე პუნქტში, საუბარია მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტზე, რომ განმცხადებლის მიერ არ იყო წარმოდგენილი ადვოკატებთან დადებული ხელშეკრულებები და ხარჯების ნამდვილობის დამადასტურებელი ქვითარი. სახელმწიფომ საეჭვოდ მიიჩნია ქვითრებიც. ფადეევას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების 146-ე პუნქტში წერია მხოლოდ ის, რომ ევროპულმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, გასწია თუ არა განმცხადებელმა მითითებული ხარჯები და იყო თუ არა ხარჯები აუცილებელი.

შესაბამისად, ფადეევად ტრასფორმირებულ დადაევას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ ევროპული სასამართლოსთვის მიწერილ მსჯელობას არ ითვალისწინებს. ასეთი არასწორი ციტირების და ევროპული სასამართლოსთვის გარკვეული მსჯელობის მიწერის ზუსტი მიზანი უცნობია, თუმცა შედეგი ცალსახად და მნიშვნელოვნად აზიანებს

⁴²³ *Fadeyeva v. Russia*, no. 55723/00, ECtHR, 9.6.2005.

⁴²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინება საქმეზე Nზს-192(23-23).

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას, სანდოობას და დასაბუთებულობის ხარისხს.

ის, თუ რეალურად რას გულისხმობს ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტი, სასამართლოს გადაწყვეტილებების გარდა, განმარტებულია სასამართლოს რეგლამენტსა⁴²⁵ და რეგისტრატურის პრაქტიკულ მითითებებში,⁴²⁶ აგრეთვე ევროპულ სასამართლოში გამოსვლის მოსურნე ადვოკატებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში.⁴²⁷

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით,⁴²⁸ სასამართლო ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით, როცა აფასებს, უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა. მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუ ხარჯი რეალურად იყო გაწეული; ხარჯი აუცილებელი იყო დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან პირის თავდაპირველ მდგომარეობაში აღსადგენად; ხარჯი გონივრულია თანხის ოდენობის თვალსაზრისით და სრულად დასტურდება მტკიცებულებებით. საადვოკატო მომსახურების საფასურთან დაკავშირებით, განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ეს თანხა გადაიხადა ან კანონიერად მოეთხოვება მისი გადახდა.⁴²⁹ ეროვნული და ევროპული სამართალწარმოების ფარგლებში განმცხადებლის მიერ შედგენილი დოკუმენტების მოცულობა და დეტალები გასათვალისწინებელი გარემოებებია.⁴³⁰ თანხის განსაზღვრისას, აგრეთვე, მნიშვნელოვანია, რამდენად მიიღო არსებითად

⁴²⁵ Plenary Court of the European Court of Human Rights, Rules of Court, as of 22.1.2024, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/rules_court_eng>[22.2.2024].

⁴²⁶ President of the European Court of Human Rights, Practice Directions, as of 1.2.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/pd_institution_proceedings_eng>[22.2.2024].

⁴²⁷ Council of Bars and Law Societies of Europe, The European Court of Human Rights Questions & Answers for Lawyers, Brussels: CCBE, 2020, 13, <<https://www.ccbe.eu>>[22.2.2024].

⁴²⁸ *Neulinger and Shuruk v. Switzerland* [GC], no. 41615/07, ECtHR, 6.7.2010, §159.

⁴²⁹ President of the European Court of Human Rights, Practice Directions, as of 1.2.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/pd_institution_proceedings_eng>[22.2.2024].

⁴³⁰ *Yüksel Yalçınkaya v. Türkiye* [GC], no. 15669/20, ECtHR, 26.11.2023, §430.

განსახილველად ანდა თუ დაადგინა დარღვევა ევროპულმა სასამართლომ ადვოკატის მიერ ფორმულირებულ პრეტენზიებზე.⁴³¹

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნულ და ევროპულ სასამართლოში განმცხადებლის ინტერესების დაცვაზე შედგენილი ხელშეკრულება საკმარისად ადასტურებს, რომ განმცხადებელს ეკისრება ვალდებულება გადაიხადოს ადვოკატის მიერ მოთხოვნილი ანაზღაურება.⁴³² როცა განმცხადებელს ადვოკატთან არ აქვს წერილობით დადებული ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ, თუმცა შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდა მსგავსი ხელშეკრულების ზეპირად დადების შესაძლებლობას, ევროპული სასამართლო ეთანხმება ვალდებულების არსებობას და ის, რომ თანხა ჯერ არ არის გადახდილი, ამ დასკვნაზე ზეგავლენას არ ახდენს.⁴³³

რაც შეეხება ადვოკატთან დადებულ ნარდობის ხელშეკრულებას, თუ მას რეალურად შესრულებული სამუშაოს დეტალური აღრიცხვა არ ახლავს თან, ცალკე აღებული ვერ იქნება ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების საფუძველი.⁴³⁴ თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ ადვოკატს თანხა აუნაზღაურდება მხოლოდ საქმის მოგების შემთხვევაში, ხარჯები რეალურად გაწეულად ითვლება, თუ ასეთი შეთანხმება შესაბამის სამართლის სისტემაში აღსრულებას ექვემდებარება.⁴³⁵

ქვითრების წარდგენასთან დაკავშირებით, საქმეზე დამავევი რუსეთის წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განმცხადებელმა წარადგინა მხოლოდ მთარგმნელების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, ხოლო ადვოკატთა ანაზღაურებისთვის მოთხოვნილი თანხების დასადასტურებლად რაიმე დოკუმენტი არ წარუდგენია.⁴³⁶ ევროპული სასამართლო ვერ

⁴³¹ *Nada v. Switzerland* [GC], no. 10593/08, ECtHR, 12.9.2012, §244.

⁴³² *Yüksel Yalçınkaya v. Türkiye* [GC], no. 15669/20, ECtHR, 26.11.2023, §429.

⁴³³ *Fadeyeva v. Russia*, no. 55723/00, ECtHR, 9.6.2005, §147.

⁴³⁴ *Krachunova v. Bulgaria*, no. 18269/18, ECtHR, 28.11.2023, §211.

⁴³⁵ იქვე, §371.

⁴³⁶ *Damayev v. Russia*, no. 36150/04, ECtHR, 29.5.2012, §132.

დარწმუნდა, რომ განმცხადებელმა დაამტკიცა ხარჯების გაწევა და მხოლოდ თარგმნის ხარჯების ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააკმაყოფილა.⁴³⁷

უფრო დეტალური განმარტებაა საქმეზე *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*.⁴³⁸ განმცხადებელს უფლება აქვს, აუნაზღაურდეს ხარჯები, თუ დადასტურდა, რომ ეს არის რეალურად, აუცილებლად და გონივრულად გაწეული ხარჯები.⁴³⁹ ადვოკატის ხარჯები რეალურად გაწეულია, თუ განმცხადებელმა გადაიხადა, ან ვალდებულია გადაიხადოს ისინი. შესაბამისად, თუ ადვოკატი ანაზღაურების გარეშე მოქმედებდა, მისი მომსახურების ხარჯები გაწეული არ არის. ამისგან განსხვავდება იმ ადვოკატის შემთხვევა, რომელსაც ანაზღაურებაზე უარი არ უთქვამს, მაგრამ აქტიური ნაბიჯები არ გადაუდგამს ანაზღაურების მისაღებად, ან გადადო მისი მიღება.⁴⁴⁰

მაგალითად, ბ-ნმა მერაბიშვილმა ევროპულ სასამართლოს ვერ წარუდგინა დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ მან გადაიხადა, ან ეკისრებოდა კანონიერი ვალდებულება, გადაეხადა ადვოკატების მიერ მოთხოვნილი საფასური ან მათ მიერ გაწეული ხარჯები. ხარჯები რეალურად გაწეული არ იყო და დიდმა პალატამ უარი თქვა მათი ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.⁴⁴¹

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობით, „მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, თუმცა ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, იურიდიული მომსახურების ანაზღაურების ამსახველი ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტაციის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას, უკეთუ აშკარაა, რომ პირის უფლების დაცვის მიზნით

⁴³⁷ იქვე.

⁴³⁸ *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017.

⁴³⁹ იქვე, §370.

⁴⁴⁰ იქვე, §371.

⁴⁴¹ იქვე, §§372-373.

წარმომადგენლობითი მომსახურება გაწეულია“.⁴⁴² ფადეევას საქმეზე, გადახდა ჯერ არ იყო შესრულებული, მაგრამ წარმოდგენილი იყო იურიდიული მომსახურების ქვითრები.⁴⁴³

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ფადეევას საქმესთან ერთად უთითებს ჯანიაშვილის საქმეზეც.⁴⁴⁴ პალატა აღნიშნავს, რომ „ევროპული სასამართლო მაშინაც აკისრებს ხელმყოფ პირს ადვოკატის მიერ გაწეული შრომის ანაზღაურებას, როდესაც სამართალწარმოებაში მონაწილე პირს არ გადაუხდია ადვოკატის მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა“.⁴⁴⁵

ჯანიაშვილის საქმეც არასრულად არის ციტირებული, რადგან ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებელს დადებული ჰქონდა ადვოკატთან ხელშეკრულება შესატყვისი მომსახურების გაწევის თაობაზე. მართალია, არ იყო წარმოდგენილი მომსახურების გაწევაზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ წარდგენილი ხელშეკრულების საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია ფაქტი, რომ გაწეული მომსახურება უფასო არ ყოფილა.⁴⁴⁶

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა მიიჩნევს, რომ „საადვოკატო მომსახურების გაწევისას მოქმედებს მყარი პრეზუმფცია, რომ ადვოკატი უსასყიდლოდ არ გასწევს მომსახურებას და მას ეკუთვნის გასამრჯელო (ჰონორარი)“.⁴⁴⁷ ევროპული სასამართლო ასეთ „მყარ პრეზუმფციას“ არ ეთანხმება, რაც ბოლოდროინდელი პრაქტიკითაც არის დადასტურებული. 2023 წლის საქმეზე *კრაჩუნოვა ბულგარეთის*

⁴⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინება საქმეზე N8ს-192(23-23).

⁴⁴³ *Fadeyeva v. Russia*, no. 55723/00, ECtHR, 9.6.2005, §§143. სახელმწიფოც მიუთითებდა ქვითრების არსებობაზე, მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებდა ხარჯების აუცილებლობას. იხ. §145.

⁴⁴⁴ *Janiashvili v. Georgia*, no. 35887/05, ECtHR, 27.11.2012.

⁴⁴⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.5.2019 გადაწყვეტილება ციტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინებაში საქმეზე N8ს-192(23-23).

⁴⁴⁶ *Janiashvili v. Georgia*, no. 35887/05, ECtHR, 27.11.2012, §§99-101.

⁴⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.2.2022 განჩინება საქმეზე N8ს-739(3-21).

წინააღმდეგ, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელს სასამართლოსთვის წარდგენილი ჰქონდა ადვოკატთან დადებული ნარდობის ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურებაზე, ხელშეკრულება ეხებოდა მხოლოდ ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობას და დადებული იყო ეროვნულ დონეზე განხორციელებული სისხლის სამართალწარმოების დასრულების შემდეგ, რომელშიც განმცხადებლის ინტერესებს იგივე ადვოკატი წარმოადგენდა.⁴⁴⁸ ევროპულ სასამართლოს ეჭვი არ შეუტანია ფაქტში, რომ იგივე ადვოკატი იცავდა განმცხადებლის ინტერესებს ეროვნულ სამართალწარმოებაშიც, მაგრამ არ არსებობდა საკმარისი საფუძველი მიეჩნია, რომ განმცხადებელმა გადაიხადა ან უნდა გადაეხადა ამ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით გაწეული საადვოკატო მომსახურების საფასური. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ ამ ნაწილში ხარჯების ანაზღაურებაზე უარი თქვა და მხოლოდ სტრასბურგში წარმოებული სამართალწარმოების ფარგლებში საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა დააკმაყოფილა.⁴⁴⁹

რადგან საქმის მასალების მიხედვით დასტურდებოდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის ფარგლებში ბრალდებულის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი და საადვოკატო მომსახურება საჭირო იყო პროკურატურის უკანონო მოქმედებების გამო, ანაზღაურების წინაპირობა უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისთვის დაკმაყოფილდა.⁴⁵⁰ **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაც** საადვოკატო მომსახურების გაწევის ფაქტს მიიჩნევს იმ საფუძველად, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს ადვოკატისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.⁴⁵¹

⁴⁴⁸ *Krachunova v. Bulgaria*, no. 18269/18, ECtHR, 28.11.2023, §210.

⁴⁴⁹ იქვე.

⁴⁵⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.2.2022 განჩინება საქმეზე Nზს-739(კ-21).

⁴⁵¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.5.2019 გადაწყვეტილება ციტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინებაში საქმეზე Nზს-192(2კ-23).

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა აღნიშნულ სტანდარტს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საწინააღმდეგოდ ადგენს. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა და მის მაგალითზე, ქვემდგომი სასამართლო, გაცილებით თავისუფლად ეკიდება ადვოკატისთვის დაკისრებული ხარჯების ანაზღაურებას, ვიდრე ევროპული სასამართლო, რომელიც საკმაოდ მკაცრია ადვოკატებთან მიმართებით და ხშირად ადგენს, რომ მათ ვერ შეძლეს დეტალური ხარჯთაღრიცხვის წარდგენა, მითითებული საათების რაოდენობა გადამეტებულია, ან საათობრივი განაკვეთი მეტისმეტად მაღალია.⁴⁵² მიდგომებში სხვაობა თავისთავად პრობლემა არ არის, რადგან საქმე ეხება სხვადასხვა – შიდასახელმწიფოებრივ და ევროპულ დონეზე წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურებას. პრობლემატურია ის, რომ ეროვნული სასამართლო თავის მიდგომას ასაბუთებს ევროპული სასამართლოს სტანდარტების არასრული და მცდარი გამოყენებით.

6.3. ოჯახში ძალადობა

საქართველოში ოჯახში ძალადობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის,⁴⁵³ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის ანგარიშების⁴⁵⁴ და სამოქალაქო საზოგადოების კვლევების⁴⁵⁵ თანახმად, წლებია უკვე

⁴⁵² Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 166.

⁴⁵³ იხ. <https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102>[22.02.2024].

⁴⁵⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022-2019 წლის ანგარიშები „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ და 2015 წლის სპეციალური ანგარიში „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში“, <<https://ombudsman.ge>>[22.02.2024].

⁴⁵⁵ იხ., *inter alia*, ჯალაღანია ლ., ჩუთლაშვილი ქ., ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2018, 3-4; ბერიძე ი., ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი, თბილისი: ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2012, 5-6; ალადაშვილი ი., ჩიხლაძე ნ., ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი 2007-2008 წლებში, თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2009, 3-5.

მიმე და ფართომასშტაბიან პრობლემას შეადგენს. ოჯახში ძალადობის პრობლემატიკა, კომპლექსურობისა და მრავალწახნაგიანი ხასიათის გამო, კონვენციის სხვადასხვა უფლების დარღვევას უკავშირდება და მათი პრევენციისა თუ უკვე დარღვეულ უფლებაზე რეაგირების ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართალწარმოების ჩატარებას. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ოჯახში ძალადობის დანაშაულში სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ევროპული სასამართლო განიხილავს მოპასუხე სახელმწიფოს და არა კონკრეტულად რომელიმე უწყების პასუხისმგებლობას.⁴⁵⁶

მიზანშეწონილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სახელმწიფოს შესატყვისი პოზიტიური ვალდებულებების განმარტება. სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების და მათი თანამშრომლების პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის დანაშაულზე და შესაბამისი მორალური ზიანის განსაზღვრა უნდა ეფუძნებოდეს სწორედ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში განმარტებული სახელმწიფოს რელევანტური ვალდებულებების დეტალურ ანალიზს. ამ გზით, სუბსიდიარობის პრინციპის ძალით, საქართველოს საერთო სასამართლო ეროვნულ დონეზე უზრუნველყოფს დარღვეული უფლების შეძლებისდაგვარად ყოველმხრივ აღდგენას, სახელმწიფოსთვის მინიჭებული მიხედულების ფარგლებში. ეს სტანდარტები ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში ნაწილობრივ არის განხილული, ან საერთოდ არ არის გამოყენებული.

ნაშრომის ეს ნაწილი არ ეხება სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებებს. მაშინაც, როცა ოჯახში ძალადობა, მაგალითად, სამართალდამცავ ორგანოში დასაქმებული პირის მხრიდან ხორციელდება, ეს ინდივიდი, როგორც წესი, არ მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და კერძო პირად განიხილება.⁴⁵⁷

⁴⁵⁶ ჭანტურია ლ., იურისდიქცია და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიას და თ. ზარანდიას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 66.

⁴⁵⁷ *A and B v. Georgia*, no. 73975/16, ECtHR, 10.2.2022.

6.3.1. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – სიცოცხლის უფლება, არასათანადო მოპყრობის აკრძალვა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება

კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება და ადამიანის უფლება, არ დაექვემდებაროს არასათანადო მოპყრობას. ეს მუხლები შედგება მატერიალურსამართლებრივი და საპროცესოსამართლებრივი ასპექტებისგან. მატერიალურსამართლებრივი ასპექტის ნაწილში, ევროპული სასამართლო აფასებს, შეერაცხება თუ არა ბრალად სახელმწიფოს ადამიანის სიცოცხლის უფლების ხელყოფა, სიცოცხლის სერიოზულ და მყისიერ საფრთხეში ჩაყენება ანდა პირის მიმართ არასათანადო მოპყრობა. საპროცესოსამართლებრივ ნაწილში ფასდება, ჩაატარა თუ არა სახელმწიფომ ქმედითი გამოძიება საექვო ვითარებაში სიცოცხლის უფლების ხელყოფის, სიცოცხლის სერიოზულ და მყისიერ საფრთხეში ჩაყენების ანდა არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.⁴⁵⁸

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს 1) კანონმდებლობის მიღებას სიცოცხლის ხელყოფის, არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაციისთვის, რისკის შემცველი ქმედებების და სიტუაციების რეგულაციისთვის, 2) ასევე ამ კანონმდებლობის აღმასრულებელი მექანიზმების შექმნას და მუშაობის უზრუნველყოფას, კერძოდ, 2.1) მათი მეშვეობით ადამიანის სიცოცხლესა და ღირსებას დამუქრებული სერიოზული და მყისიერი საფრთხის პრევენციას და 2.2) ქმედითი გამოძიების ჩატარებას საექვო ვითარებაში სიცოცხლის უფლების ხელყოფის ფაქტებზე, იმ შემთხვევებში, როცა ადამიანის სიცოცხლეს სერიოზული და მყისიერი საფრთხე ემუქრება და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.⁴⁵⁹ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პოზიტიური მატერიალურსამართლებრივი

⁴⁵⁸ მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 400.

⁴⁵⁹ Harris D.J., O'Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 206 *et seq.*

ვალდებულების დარღვევისთვის შეიძლება დადგინდეს, როცა შესატყვისი კანონმდებლობა არ არსებობს, ან არასრულყოფილია და ხარვეზი პრაქტიკით არ არის გამოსწორებული.⁴⁶⁰

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სიცოცხლის უფლების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პოზიტიური საპროცესოსამართლებრივი ვალდებულების დარღვევისთვის შეიძლება დადგინდეს, როცა არ არის დაკმაყოფილებული ქმედითი გამოძიების კრიტერიუმები: გამოძიების ყოველმხრივობა, დროულობა, დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დაზარალებულისთვის და საზოგადოებისთვის.⁴⁶¹

როდესაც პირის ფსიქიკური თუ ფიზიკური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება მე-2 მუხლს ან მე-3 მუხლის სისასტიკის მინიმალურ ზღვარს არ აღწევს, მასზე შეიძლება კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედება გავრცელდეს, რომელიც ასევე იცავს პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ ხელშეუხებლობას, თუმცა მე-8 მუხლის მოქმედება ნაკლებად ინვაზიურ და ნაკლებად ინტენსიურ ქმედებებზე ვრცელდება.⁴⁶² ევროპული სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში მატერიალურსამართლებრივ და საპროცესოსამართლებრივ ასპექტებს პირდაპირ არ ასახელებს, მაგრამ მიდგომა იგივეა, რაც მე-2 და მე-3 მუხლებთან მიმართებით.⁴⁶³

სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს თავის იურისდიქციაში მყოფ პირთათვის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები, გულისხმობს პირთა დაცვას სხვა კერძო პირების მიერ მათი უფლებების დარღვევისგან და ქმედითი გამოძიების წარმოებას უფლებების დარღვევაზე. კერძო პირის მიერ ჩადენილი უფლებადამრღვევი ქმედება სახელმწიფოს ბრალად შეერაცხება, როცა უფლებამოსილმა ორგანოებმა იცოდნენ, ან

⁴⁶⁰ *Vardosanidze v. Georgia*, no. 43881/10, ECtHR, 7.5.2020, §§59-63.

⁴⁶¹ მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 402 *et seq.*; პაპუაშვილი ს., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 132-133.

⁴⁶² *R.B. v. Hungary*, no. 64602/12, ECtHR, 12.4.2016.

⁴⁶³ *Burlya and Others v. Ukraine*, no. 3289/10, ECtHR, 6.11.2018; *R.B. v. Hungary*, no. 64602/12, ECtHR, 12.4.2016.

უნდა სცოდნოდეთ უფლების მძიმე და მყისიერი დარღვევის შესახებ და ობიექტურად შეეძლოთ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ამ საფრთხის თავიდან აცილება. სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, ცოდნაც და შესაძლებლობაც კუმულაციურად უნდა დადგინდეს. რომელიმე კომპონენტის გამორიცხვისას, კერძო პირის მიერ უფლების დარღვევის გამო პასუხისმგებლობის სახელმწიფოსთვის დაკისრება გადამეტებული ტვირთია.⁴⁶⁴ სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ვალდებულებების შესრულების შეფასებისას, ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს ა) სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელოს ოპერატიული პრევენციული ღონისძიებები⁴⁶⁵ და ბ) კერძო პირების მიერ ჩადენილი ქმედებების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან თანხმობისა თუ მიმნებელობის ხარისხს.⁴⁶⁶

6.3.2. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული

ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას, რომელსაც ახლავს შეუწყნარებლობის საეჭვო გამოვლინებები, სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებაა, განახორციელონ ყველა გონივრული ღონისძიება, რათა დარწმუნდნენ, არსებობდა თუ არა შეუწყნარებლობის მოტივი და დაადგინონ, ხომ არ იყო ამა თუ იმ ნიშნით მიკერძოება, რამაც იქონია ზეგავლენა ძალადობრივი ქმედების ჩადენაზე.⁴⁶⁷ სამართალდამცავ ორგანოებს გონივრულად მოეთხოვებათ, მოიპოვონ ყველა მტკიცებულება და გამოიყენონ ყველა პრაქტიკული საშუალება ჭეშმარიტების დასადგენად და მიუკერძოებელი, ობიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად, რათა არ უგულებელყონ საეჭვო ფაქტები, რომლებიც შესაძლოა მიუთითებდეს შეუწყნარებლობის მოტივზე.⁴⁶⁸

⁴⁶⁴ *Osman v. the United Kingdom* [GC], no. 23452/94, ECtHR, 28.19.1998, §116.

⁴⁶⁵ *Kurt v. Austria* [GC], no. 23452/94, ECtHR, 15.6.2021, §209.

⁴⁶⁶ *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, ECtHR, 15.6.2023, §62.

⁴⁶⁷ ეს ვალდებულება დადგენილია, *inter alia*, შემდეგ საკმევებზე: მე-2 მუხლზე – *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, ECtHR, 6.7.2005; მე-3 მუხლზე – *Šečić v. Croatia*, no. 40116/02, ECtHR, 31.5.2007; მე-8 მუხლზე – *R.B. v. Hungary*, no. 64602/12, ECtHR, 12.4.2016.

⁴⁶⁸ *Škorjanec v. Croatia*, no. 25536/14, ECtHR, 28.3.2017, §57.

სამართალდამცავმა და პროკურატურის ორგანოებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რათა დარწმუნდნენ, არსებობდა თუ არა შეუწყნარებლობის მოტივი და დაადგინონ, ხომ არ ამოძრავებდა პირს დისკრიმინაციის ამა თუ იმ ნიშნით მიკერძოება.⁴⁶⁹

ხელისუფლებას მოეთხოვება გადაუდებელი რეაგირება ოჯახში ძალადობის განცხადებაზე. შესაბამისმა უწყებებმა უნდა დაადგინონ, ემუქრება თუ არა მძიმე და მყისიერი საფრთხე ოჯახში ძალადობის ერთ თუ მეტ მსხვერპლს იმით, რომ ჩაატარონ რისკის ავტონომიური, პროაქტიული და ყოველმხრივი შეფასება.⁴⁷⁰

ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესოსამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მატერიალურ ნაწილშიც დარღვევის დადგენასაც. თუ ხელისუფლება ქმედითი გამოძიებით არ რეაგირებს ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, დამდგარი ზიანი და უფლების დარღვევა სახელმწიფოს შეერაცხება ბრალად. უნდა შეფასდეს, ხომ არ იყო სამართალდამცავი თუ პროკურატურის ორგანოების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული კანონიერი ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებული ისეთივე გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რაც თავად ოჯახში ძალადობის დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორი იყო.⁴⁷¹

6.3.3. ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები – სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოთა უმოქმედობაზე რეაგირების ხასიათი

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოთა თანამშრომლების პასუხისმგებლობის შეფასების საკითხი.

⁴⁶⁹ *Abdu v. Bulgaria*, no. 26827/08, ECtHR, 11.3.2014, §44.

⁴⁷⁰ *Kurt v. Austria* [GC], no. 62903/15, ECtHR, 15.6.2021, §190.

⁴⁷¹ *A and B v. Georgia*, no. 73975/16, ECtHR, 10.2.2022.

საჭიროა განიმარტოს, არის თუ არა აღნიშნული სამართლებრივი დაცვის საშუალება საკმარისი, რათა სახელმწიფოს ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვალოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი სასამართლოს მსჯელობა, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს, სახელმწიფოს ვალდებულებებს სრულად ვერ ასრულებს. პირველ რიგში, თავად ოჯახში ძალადობის ქმედება უნდა იყოს სათანადოდ გამოძიებული და დასჯილი როგორც ძალადობის სიმძიმის, ისე გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის სათანადოდ შეფასების ჩათვლით.⁴⁷²

საჭიროა განიმარტოს, ოჯახში ძალადობის ფაქტზე სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების თანამშრომლების უმოქმედობისა და მათზე დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობისას, არის თუ არა სახელმწიფო ვალდებული ყველა შემთხვევაში აწარმოოს სისხლის სამართლის გამოძიება, თუ ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან დისციპლინური სამართალწარმოების ჩატარება სახელმწიფოს ვალდებულებების შესრულებას ნიშნავს.

თუ სახელმწიფო მოხელის სავარაუდო დაუდევრობის შედეგად ადამიანის გარდაცვლილია, სისხლის სამართალწარმოების ჩატარება ყველა შემთხვევაში არ მოითხოვება.⁴⁷³ მაგრამ ზოგჯერ მხოლოდ სისხლის სამართლის გამოძიებას შეუძლია დააკმაყოფილოს კონვენციიდან გამომდინარე პოზიტიური საპროცესო სამართლებრივი ვალდებულებები. როდესაც ადამიანი გარდაიცვალა, ან მისი სიცოცხლე საფრთხეში იქნა ჩაყენებული სახელმწიფო მოხელის ქმედების გამო და ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალო შეცდომა ან უყურადღებობა; ან როდესაც დადგენილია, რომ სახელმწიფო მოხელის ან უწყების დაუდევრობა, რომელიც სცილდება შეცდომასა თუ უყურადღებობას იმით, რომ ეს თანამდებობის პირი/უწყება სრულად აცნობიერებდა მოსალოდნელ შედეგებს და დაკისრებული კანონიერი ვალდებულებების უგულებელყოფით არ ახორციელებდა ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელი და საკმარისი იქნებოდა უფლების დარღვევის თავიდან ასაცილებლად, – ის ფაქტი, რომ არ ჩატარებულა ქმედითი სისხლის სამართლის

⁴⁷² იქვე, §69.

⁴⁷³ *Kotilainen and Others v. Finland*, no. 62439/12, ECtHR, 17.9.2020, §91.

გამოძიება, შეიძლება არღვევდეს კონვენციიდან გამომდინარე პოზიტიურ საპროცესოსამართლებრივ ვალდებულებებს, იმისგან დამოუკიდებლად, სამართლებრივი დაცვის რა ღონისძიებას მიმართავს დაზარალებული თავისი ინიციატივით.⁴⁷⁴

სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული ყველა გარემოება შესაფასებელია ეროვნული სასამართლოს მიერ. ეროვნული სასამართლოს საერთო ვალდებულება ამ მიმართულებით შეჯამებულია ევროპული სასამართლოს შემდეგ დასკვნაში – „ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა, რომელიც ქმნის ოჯახში ძალადობის ხელშემწყობ კლიმატს,“ კონვენციის მე-14 მუხლს არღვევს.⁴⁷⁵

ოჯახში ძალადობის თემაზე საქართველოს წინააღმდეგ მიღებულია გადაწყვეტილებები შემდეგ საქმეებზე:⁴⁷⁶ *თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ*,⁴⁷⁷ *ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ*⁴⁷⁸ და *გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ*.⁴⁷⁹

6.3.4. თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ

თხელიძის საქმეზე, განმცხადებლის ქალიშვილის მოკვლისთანავე, ამ უკანასკნელის ყოფილმა პარტნიორმა თავი მოიკლა, რის შემდეგაც მის ქმედებასთან სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ამოქმედება აზრსმოკლებული იყო.⁴⁸⁰ სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობის შეფასებასთან დაკავშირებით, მათი უმოქმედობა ევროპულმა სასამართლომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მკვლელობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნია და დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა მატერიალურსამართლებრივ ნაწილში, იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლებამ

⁴⁷⁴ *Zinatullin v. Russia*, no. 10551/10, ECtHR, 28.1.2020, §33.

⁴⁷⁵ *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009, §191.

⁴⁷⁶ კვლევა დასრულდა 22.02.2024.

⁴⁷⁷ *Tkheldidze v. Georgia*, no. 33056/17, ECtHR, 8.7.2021.

⁴⁷⁸ *A and B v. Georgia*, no. 73975/16, ECtHR, 10.2.2022.

⁴⁷⁹ *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, ECtHR, 15.6.2023.

⁴⁸⁰ *Tkheldidze v. Georgia*, no. 33056/17, ECtHR, 8.7.2021, §58.

იცოდა, ან უნდა სცოდნოდა მძიმე და მყისიერი რისკის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა მსხვერპლს, თუ პოლიცია თავის ვალდებულებას არ შეასრულებდა. ევროპული სასამართლოს აზრით, პოლიციის დაუდევრობა უბრალო შეცდომასა თუ უყურადღებობას გაცდა.⁴⁸¹

პოლიციელების მიმართ არც დისციპლინური სამართალწარმოება დაწყებულია და არ ყოფილა არანაირი ძალისხმევა მათ გადასამზადებლად. პროკურატურამ, თავის მხრივ, უგულებელყო განმცხადებლის მრავალრიცხოვანი საჩივრები და არც კი უცდია, დაედგინა პოლიციის თანამშრომელთა ვინაობა, გამოეკითხა ისინი და მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში. განმცხადებლის დედამ, შვილის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, მხოლოდ ის პასუხი მიიღო მთავარი პროკურატურისგან, რომ უწყება მის წერილებს იღებდა.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა მწვავე საჭიროება, სათანადოდ შემოწმებულიყო, ხომ არ იყო გენდერზე დაფუძნებული დისკრიმინაცია და ქალთა მიმართ მიკერძოება თავად შესაბამისი პირების უმოქმედობის განმაპირობებელი ფაქტორი და დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის პოზიტიური საპროცესოსამართლებრივი ვალდებულებების დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.⁴⁸²

6.3.5. ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ

ევროპულმა სასამართლომ დადებითად შეაფასა სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელშიც აღიარებული იყო სამართალდამცავი ორგანოების წარუმატებლობა, განხორციელებინათ საჭირო ღონისძიებები გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის აღკვეთისა და ქალის სიცოცხლის დასაცავად. თუმცა ეროვნულ სასამართლოებს არ განუხილავთ, შეიძლებოდა თუ არა, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან

⁴⁸¹ იქვე, §60.

⁴⁸² *Tkheldize v. Georgia*, no. 33056/17, ECtHR, 8.7.2021, §60.

ოჯახში ძალადობის მიმართ შემწყნარებლობა განპირობებული ყოფილიყო იმავე გენდერული მიკერძოებით. არ განხილულა, იყო თუ არა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან თანხმობა, მიმნებებლობა კოლეგის მიერ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობაში. ეროვნული სასამართლოს მსჯელობაში არსებული ამ ხარვეზების გამო, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ არ იყო შესრულებული სახელმწიფოს ვალდებულება, ებრძოლოს დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს.⁴⁸³ დადგინდა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა მატერიალურსაშინაობრივ და საპროცესოსაშინაობრივ ასპექტებში, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

6.3.6. გაიდუკევიჩი საქართველოს წინააღმდეგ

განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა ქალიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელსაც 2013-2016 წლებში 16-ჯერ ჰქონდა პოლიციისთვის მიმართული პარტნიორის მხრიდან ძალადობაზე. 2017 წელს ის ჩამომხრჩვალ იპოვეს. 2018 წლის 29 მაისს, განმცხადებელმა უჩივლა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, რომ მათ არ დაიცვეს მისი ქალიშვილის სიცოცხლე და მოითხოვა კომპენსაცია მორალური ზიანისთვის. განმცხადებელმა მიუთითა ევროპული სასამართლოს საქმეზე *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*⁴⁸⁴ და ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ მისი ქალიშვილის დისკრიმინაცია მოახდინა იმის გამო, რომ ის ქალი იყო და არ დაიცვა ოჯახში ძალადობისგან. 2019 წლის 2 მაისის გადაწყვეტილებით, საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოსარჩელის სასარგებლოდ, დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება. **თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ** პოლიციის თანამშრომლების უმოქმედობასა და განმცხადებლის ქალიშვილის სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირი დაადგინა. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

⁴⁸³ *A and B v. Georgia*, no. 73975/16, ECtHR, 10.2.2022, §45.

⁴⁸⁴ *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009.

გადაწყვეტილება გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში განმცხადებლისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.⁴⁸⁵

6.3.7. თბილისის სააპელაციო სასამართლო – ვალდებულებების შესრულების შეფასება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ⁴⁸⁶ შეაფასა და დაადგინა, რომ არსებობდა მორალური ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ისე გენერალურ პროკურატურასთან მიმართებით. სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ზიანის გამომწვევი ქმედების უშუალო შედეგია, რასაც ადასტურებს პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი ადმინისტრაციული ორგანოს/მოხელის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამ დროს, ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უშვებს უფლების დარღვევას ანდა არ ახორციელებს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, ზიანის პრევენციის მიზნით.⁴⁸⁷

მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებაში ინკორპორირებული აქვს სახალხო დამცველის რეკომენდაცია შინაგან საქმეთა მინისტრისადმი.⁴⁸⁸ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლელობის მცდელობის და თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეები, რომლებშიც სამინისტრო

⁴⁸⁵ ფაქტობრივი გარემოებები და სამართალწარმოების აღწერა იხ. საქმეზე *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, ECtHR, 15.6.2023.

⁴⁸⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N330310018002472677, გვ.32.

⁴⁸⁷ იქვე, გვ.10-11.

⁴⁸⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 27 დეკემბრის N08/17745 რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, <<https://ombudsman.ge>>[22.02.2024].

ინფორმირებული იყო მკვლელობის მცდელობის, თვითმკვლელობამდე მიყვანის სავარაუდო დანაშაულის ჩადენამდე ძალადობრივ ინციდენტებზე.

ეროვნულ სასამართლოს სახალხო დამცველის მიერ საქმეების შესწავლის საფუძველზე მომზადებული განზოგადებული რეკომენდაციიდან ყურადღება აქვს გამახვილებული მის მიერ განსახილველი კონკრეტული საქმისთვის რელევანტურ გარემოებებზე, რომლებიც მოგვიანებით, 2023 წელს, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია საგულისხმოდ იგივე გაიდუკევიჩის საქმეზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა მნიშვნელოვანი გამოწვევა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მიერ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. ამ დროს, აქცენტი გადატანილია ხილულ ფიზიკურ დაზიანებაზე და უგულებელყოფილია ფსიქოლოგიური ძალადობა და მუქარა. ხშირად, რეაგირება უკვე დაგვიანებულია, როცა მსხვერპლი გარდაცვლილია, ან მას ფიზიკური დაზიანება აღგება.⁴⁸⁹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ყურადღება გაამახვილა ოჯახში ძალადობის სისტემური და განგრძობითი ხასიათის შეფასების პრობლემებზეც, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ განაცხადის საფუძველზე ინციდენტი იზოლირებულად და არა დინამიკაში განიხილება და პერიოდული გადამოწმება არ ხდება.⁴⁹⁰ საგულისხმო გარემოებაა, რომ რიგ შემთხვევებში, როცა სამართალდამცავი ორგანო არ იჩენს რეაგირებას, მიზეზად დასახელებულია შეტყობინების გაუქმება, ისე, რომ არ არის გადამოწმებული შეტყობინების გაუქმების მიზეზი, რაც ბუნებრივად, შეიძლება იყოს მოძალადის მხრიდან მუქარა ან მის მიმართ მსხვერპლის შიში.⁴⁹¹

⁴⁸⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N330310018002472677, გვ.24.

⁴⁹⁰ იქვე.

⁴⁹¹ იქვე.

ევროპულმა სასამართლომ, თავის მხრივ, როცა აღნიშნა, რომ პოლიციას შეტყობინების გაუქმების შემდეგ რეაგირება აღარ ჰქონია ზარებზე, ასევე გაამახვილა ყურადღება საჭიროებაზე, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლის განსაკუთრებული მოწვევადობის გათვალისწინებით, კანონმდებლობა უნდა აძლევდეს შესაძლებლობას სამართალდამცავ ორგანოებს გამოიძიონ ოჯახში ძალადობის ინციდენტები. პირის მიერ საჩივრის არშეტანა თუ მასზე უარი არ უნდა უშლიდეს ხელს უფლებამოსილ უწყებებს, დაიწყონ ანდა გააგრძელონ სამართალწარმოება სავარაუდო დამნაშავეს წინააღმდეგ.⁴⁹²

იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად დიდია სახალხო დამცველის აპარატის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების კვალიფიკაცია და მრავალწლიანი გამოცდილება ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შესწავლის, მონიტორინგის და რეკომენდაციების მომზადების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებაში სახალხო დამცველის შესატყვისი წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება. სახალხო დამცველის რეკომენდაციის რელევანტური ასპექტების გადაწყვეტილებაში ინკორპორირებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას მსჯელობაში ფაქტობრივად გათვალისწინებული აქვს უმნიშვნელოვანესი გარემოებები, რაც ევროპული სასამართლოს აზრით, განმსაზღვრელი იყო ხელისუფლების ორგანოთა პასუხისმგებლობის შეფასების კონტექსტში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობა ევროპული სასამართლოს მიერ გაიდუკევიჩის საქმეზე დადებითად არის შეფასებული.⁴⁹³

ეროვნული სასამართლოს მსჯელობის მნიშვნელოვანი ხარვეზია ის, რომ არ შეფასებულა, სამართალდამცავი თუ პროკურატურის ორგანოების თანამშრომელთა მიერ მათზე დაკისრებული კანონიერი ვალდებულებების შეუსრულებლობა ხომ არ იყო განპირობებული ისეთივე გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რაც თავად

⁴⁹² *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, ECtHR, 15.6.2023, §71.

⁴⁹³ იქვე, §69.

ქალის მიმართ ოჯახში ძალადობის დანაშაულის ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორი იყო.

6.3.8. თბილისის სააპელაციო სასამართლო – უდანაშაულობის პრეზუმფცია

შინაგან საქმეთა სამინისტროს არგუმენტზე, რომ უზენაესი სასამართლოს განაჩენით მოძალადის ქმედება გადაკვალიფიცირდა თვითმკვლელობამდე მიყვანიდან ოჯახში ძალადობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა ზიანის ანაზღაურების სპეციფიკა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რისთვისაც საკმარისია მართლსაწინააღმდეგო ფაქტების ერთობლიობა, რაც ობიექტურ შემფასებელს დაარწმუნებდა, „რომ არ მომხდარა სათანადო რეაგირება და სათანადო რეაგირების არარსებობამ გამოიწვია დამდგარი შედეგი.“⁴⁹⁴ აღნიშნულ კონტექსტში, ეროვნულმა სასამართლომ იმსჯელა უდანაშაულობის პრეზუმფციის ევროპული სასამართლოს სტანდარტზე, რომელიც 2017 წლის კვლევაში არის საქართველოს მოსამართლეების მიერ გამოსაყენებლად მითითებული.⁴⁹⁵

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა ის თანხვედრა, რაც ზოგჯერ შესაძლოა სამოქალაქო/ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის წინაპირობებსა და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის საფუძვლებს შორის არსებობდეს. სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში კომპენსაციის დაკისრებისთვის. დაზარალებულს, მის უფლებამონაცვლე პირს აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია მიუხედავად იმისა, დამდგარია თუ არა გამამტყუნებელი განაჩენი. „კომპენსაციის საკითხი დამოკიდებულია იმ კრიტერიუმებსა და მტკიცებით სტანდარტებზე დამყარებულ სამართლებრივ შეფასებაზე, რომლებიც

⁴⁹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N330310018002472677, გვ.23-24.

⁴⁹⁵ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 132-133, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

მნიშვნელოვნად განსხვავდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებისგან.⁴⁹⁶ ევროპული სასამართლოს ამ მნიშვნელოვანი სტანდარტის მიმოხილვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გაამყარა დასკვნა, რომ „მართალია, უზენაესი სასამართლოს განაჩენით თვითმკვლელობამდე მიყვანა არ დადასტურდა, თუმცა ადმინისტრაციულსამართლებრივად სასამართლოს შეუძლია კონკრეტული ფაქტების შესწავლის შედეგად მაინც დადგენილად მიიჩნიოს სახელმწიფოს უმოქმედობა, რაც პირდაპირ შეიძლება არც ეფუძნებოდეს განაჩენს“.⁴⁹⁷

ზიანის ანაზღაურების კონტექსტში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ეს მსჯელობა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე არის სანიმუშო, რადგან დეტალურად ასახავს ევროპული სასამართლოს მიდგომას და მორგებულია ფაქტობრივ გარემოებებზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის არგუმენტი მიმართული იყო არა მსჯავრდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაცავად, არამედ უწყებაზე ზიანის ანაზღაურების დაკისრების უსაფუძვლობის დასამტკიცებლად. ამის მიუხედავად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მართებულად მიიჩნია მიზანშეწონილად, განემარტა, რომ მისი მსჯელობა მსჯავრდებულისთვის კონვენციის მე-6.2 მუხლით გარანტირებულ უფლებას არ არღვევდა. საბოლოო განაჩენით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დამტკიცდა პარტნიორის მიერ ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანა, მაგრამ დადგინდა პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის მიერ თავიანთი კანონიერი ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობისა და

⁴⁹⁶ *Ringvold v. Norway*, no. 34964/97, ECtHR, 11.2.2003, §38, ციტირებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილებაში საქმეზე N330310018002472677, გვ.32; მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 132, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

⁴⁹⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N330310018002472677, გვ.23.

არადროული რეაგირების გამო „სიცოცხლის უფლების ხელყოფას“ შორის.⁴⁹⁸ თუმცა ჯობდა, „სიცოცხლის უფლების ხელყოფის“ ნაცვლად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ეხსენებინა „გარდაცვალება“, რადგან ევროპული სასამართლო ყურადღებას აქცევს, ეროვნული სასამართლო იყენებს სამოქალაქო სამართლებრივ თუ სისხლის სამართლებრივ ტერმინოლოგიას. ქმედებების აღწერისას, მათი სამართლებრივი შეფასებისას, სამოქალაქო/ადმინისტრაციულმა სასამართლომ არ უნდა იმსჯელოს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე, არ უნდა შეარაცხოს მას ბრალად დანაშაულის ჩადენა.⁴⁹⁹

აღსანიშნავია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება შეადგენს საუკეთესო მაგალითს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ უდანაშაულობის პრეზუმფციის სტანდარტის განხილვისა და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგების თვალსაზრისით. ამის საპირისპიროდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სამი გადაწყვეტილება დანაშაულის გზით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, სადაც აპელანტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვს, ზედაპირულად მიუთითებს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, იმ პირზე კომპენსაციის დაკისრება, რომლის მიმართაც დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, მის უდანაშაულობის პრეზუმფციას არ არღვევს.⁵⁰⁰ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების ზემოთ განხილული სტანდარტებიდან გამომდინარე, შესატყვისი დეტალების განხილვის გარეშე მსგავსი განზოგადებული დასკვნა მცდარია და სამოქალაქო სამართალწარმოებაში მიღებული ეს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია.

⁴⁹⁸ იქვე, გვ.33.

⁴⁹⁹ მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, 133, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.02.2024].

⁵⁰⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.5.2019 განჩინება საქმეზე N330210013214841, გვ.16; 11.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210018002381504, გვ.8; 25.2.2020 განჩინება საქმეზე N330210019002917050, გვ.8.

6.4. საკუთრების უფლება

6.4.1. ლეგიტიმური მოლოდინი

ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ლეგიტიმური მოლოდინი დეტალურად განხილული საკითხია. ამის მიუხედავად, საერთო სასამართლოების განმარტებები მაინც ხარვეზიანია.

მაგალითად, ამბროლაურის რაიონული სასამართლო აღნიშნავს, რომ „ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, უძრავი ქონებით ხანგრძლივი სარგებლობა წარმოშობს საკუთრების მოპოვების ლეგიტიმურ მოლოდინს ("ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ", §123; "კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ", N44912/98, 28.09.04. §52; "საღინაძე საქართველოს წინააღმდეგ", §103).⁵⁰¹

რაიონული სასამართლოს განმარტება არასწორია. არც ერთ მითითებულ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში არ წერია ის, რასაც რაიონული სასამართლო ევროპულ სასამართლოს მიაწერს. ონერილდიზის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მითითებულ პუნქტში ევროპული სასამართლოს მსჯელობა საერთოდ არ არის და მასში განმცხადებლის არგუმენტია მოცემული.⁵⁰² კოპეცკის საქმეზე განმარტებულია, რომ „სადავო პრეტენზია“ ლეგიტიმური მოლოდინის დადგენის კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება. თუ ქონებრივი ინტერესი მოთხოვნის ხასიათს ატარებს, ის შეიძლება ჩაითვალოს „ქონებად“, თუ მოთხოვნას საკმარისი საფუძველი აქვს კანონმდებლობაში ან ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში.⁵⁰³ მსგავსი მსჯელობაა განვითარებული საღინაძის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მითითებულ პუნქტშიც.⁵⁰⁴

არამცთუ რაიონული სასამართლოს მიერ მითითებულ გადაწყვეტილებებში, ზემოაღნიშნული ჩანაწერი ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ არსებობს.

⁵⁰¹ ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N090310019003209435, გვ.19.

⁵⁰² *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, ECtHR, 30.11.2004, §123.

⁵⁰³ *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, ECtHR, 28.9.2004, §52.

⁵⁰⁴ *Saghinadze v. Georgia*, no. 18768/05, ECtHR, 27.5.2010, §103.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლი იცავს არსებულ საკუთრებას და არ იცავს პირის უფლებას, მიიღოს საკუთრება.⁵⁰⁵ ლეგიტიმური მოლოდინის კონცეფციით ფასდება, რამდენად შეიძლება მოთხოვნა ჩაითვალოს ქონებად.⁵⁰⁶ ლეგიტიმური მოლოდინი განსხვავდება პირის უბრალო იმედისგან, მიიღოს ქონება და გულისხმობს გონივრულად გამართლებულ/დასაბუთებულ მოლოდინს, რომელიც ემყარება სამართლის ნორმას ან სასამართლო პრაქტიკას.⁵⁰⁷

რაიონული სასამართლო იხილავდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობა-სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სასარჩელო მოთხოვნას. ევროპულ სასამართლოს სწორედ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე და იქ განმცხადებლის მიერ აშენებულ ნაგებობაზე საკუთრების უფლების შესახებ საქართველოს წინააღმდეგ ერთ-ერთ საქმეზე აქვს განმარტებული „არსებული საკუთრება“ და „ლეგიტიმური მოლოდინი“.⁵⁰⁸ ნაშრომის მიზანი არ არის, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მსჯელობის ჩანაცვლება და საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე ევროპული სასამართლოს სტანდარტის მისადაგება. საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპული სასამართლოსთვის უძრავი ქონებით ხანგრძლივი სარგებლობა სწორედაც რომ არ წარმოშობს ლეგიტიმურ მოლოდინს საკუთრების უფლების შესაძენად. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიწის ნაკვეთის და იქ არსებული შენობა-ნაგებობით 80-იანი წლებიდან მოყოლებული ფლობა-სარგებლობის მიუხედავად, ბ-ნ მელაძეს კანონის საფუძველზე საკმარისად დასაბუთებული ქონებრივი ინტერესი არ

⁵⁰⁵ *Grbac v. Croatia*, no. 64795/19, ECtHR, 16.12.2021, §86.

⁵⁰⁶ ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 202; Vicente, M. N., Property Rights and Legitimate Expectations Under United States Constitutional Law and the European Convention on Human Rights: Some Comparative Remarks, *Comparative Law Review*, 26/2020, 52 *et seq.*

⁵⁰⁷ *Valverde Digon v. Spain*, no. 22386/19, ECtHR, 26.1.2023, §49.

⁵⁰⁸ *Meladze v. Georgia* (dec.), no. 30635/09, ECtHR, 2.10.2018.

გააჩნდა, რომელიც ლეგიტიმურ მოლოდინს დაეფუძნებოდა. შესაბამისად, მისი განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული.⁵⁰⁹

6.4.2. კომპენსაციის უფლება

ექსპროპრიაციის უფლებაზე ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება⁵¹⁰ ევროპული სასამართლოს საქმეებს რეკვიზიტების გარეშე, მხოლოდ ქართული ტრანსლიტერაციით უთითებს, ზოგჯერ, შეცდომითაც („ლინგოუ და სხვები“⁵¹¹).⁵¹² ზოგჯერ მოპასუხე სახელმწიფოც არ არის დასახელებული („ჯეიმსი და სხვები“⁵¹³).⁵¹⁴ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ერთი და იმავე განმცხადებლის, ზოლოტასის მიერ შეტანილი განაცხადების საფუძველზე მიღებული ორი გადაწყვეტილება არსებობს. საქმეების დასახელებებია – *ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ*⁵¹⁵ და *ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ (no. 2)*.⁵¹⁶ ახალციხის რაიონული სასამართლო საქმეს შემდეგნაირად უთითებს – „ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ“,⁵¹⁷ რაშიც უნდა იგულისხმებოდეს პირველ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, მაგრამ ეს საქმე ეხება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე უფლებას. *ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ (no. 2)* არის საქმე საკუთრების უფლების შესახებ.

რაიონული სასამართლოს ციტატები მეტწილად ეხება არა ექსპროპრიაციას (კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მეორე წესი), არამედ საკუთრების შეუფერხებელი

⁵⁰⁹ ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 203-205.

⁵¹⁰ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19.

⁵¹¹ უნდა იყოს ლისგოუ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *Lithgow and Others v. the United Kingdom*, nos. 9006/80, 9262/81 *et al.*, ECtHR, 8.7.1986.

⁵¹² ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.12.

⁵¹³ უნდა იყოს ჯეიმსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ – *James and Others v. the United Kingdom* [Plenum], no. 8793/79, ECtHR, 21.2.1986.

⁵¹⁴ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.12.

⁵¹⁵ *Zolotas v. Greece*, no. 38240/02, ECtHR, 2.6.2005.

⁵¹⁶ *Zolotas v. Greece (no. 2)*, no. 66610/09, ECtHR, 29.1.2013.

⁵¹⁷ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.10.

მოხმარების უფლებაში ჩარევას (პირველი წესი), საკუთრების კონტროლს (მესამე წესი) და კერძო პირთა ურთიერთობებსაც კი.⁵¹⁸ განსახილველი დავის ცენტრალური პრობლემა იყო უძრავი ქონების ექსპროპრიაციისას კომპენსაციის თანხის ოდენობა. ექსპროპრიაციის შემთხვევაში სამართლიანი კომპენსაციის საკითხზე ახალციხის რაიონულ სასამართლოს რელევანტური სტანდარტი განხილული არ აქვს.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საკუთრების უფლებაში ჩარევისას სამართლიანი წონასწორობის დასაცავად კომპენსაციის გადახდის ვალდებულებაზე და რომ ინდივიდზე დაკისრებული ტვირთი არაპროპორციული არ უნდა იყოს, თუმცა სასამართლო დუმს ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მეშვეობით სამართლიანი წონასწორობის დამყარებაზე. რაიონულმა სასამართლომ მიუთითა არარელევანტურ საქმეებზე „სპორონგი და ლონროთი“⁵¹⁹ და „ზოლოტასი საბერძნეთის წინააღმდეგ“⁵²⁰, რომლებიც საკუთრების შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევას ეხება. კომპენსაციის საკითხი განსხვავებულად ფასდება, ერთი მხრივ, ექსპროპრიაციისას და მეორე მხრივ, საკუთრების კონტროლისას და საკუთრებით შეუფერხებელ სარგებლობაში ჩარევისას.⁵²¹

ქონების ექსპროპრიაცია, მისი გონივრული ღირებულების თანხის გადახდის გარეშე, როგორც წესი, არათანაზომიერი ჩარევაა. კომპენსაციის სრული ნაკლებობა შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.⁵²² ამისგან განსხვავებით, საკუთრების კონტროლისას,⁵²³ კომპენსაციის საკითხი არის ერთი ფაქტორი, რომელიც სამართლიანი წონასწორობის შესაფასებლად მიიღება

⁵¹⁸ ამ თემაზე იხ. ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 207 *et seq.*

⁵¹⁹ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.11.

⁵²⁰ იქვე, გვ.12.

⁵²¹ *Papastavrou and Others v. Greece*, no. 46372/99, ECtHR, 10.4.2003; ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 207.

⁵²² *Former King of Greece and Others v. Greece* [GC], no. 25701/94, ECtHR, 28.11.2002, §89.

⁵²³ *Depalle v. France* [GC], no. 29/03/2010, ECtHR, 29.3.2010, §91.

მხედველობაში.⁵²⁴ ეს უკანასკნელი მსჯელობა ვრცელდება ზოგადი წესის დროსაც და ამ შემთხვევაში არის სწორედ საქმე *სპორონგი და ლიონროთი შვედეთის წინააღმდეგ* რელევანტური.⁵²⁵

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ვრცელი, თუმცა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, მეტწილად, ხარვეზიანი და არარელევანტური მიმოხილვა რეალურად საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არ მიესადაგება. რაიონული სასამართლო ფაქტობრივ გარემოებებსაც ზედაპირულად აღწერს.

საქმის მასალების მიხედვით, „ახალციხებათუმის“ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მონაკვეთზე მშენებლობისთვის საჭირო გახდა კერძო თანასაკუთრებაში არსებული მიწის გამოსყიდვა, რადგან მხარეთა შორის შეთანხმება ვერ შედგა – მესაკუთრეებისთვის შეთავაზებული საკომპენსაციო თანხა მიუღებელი იყო.⁵²⁶ მოლაპარაკება წარმოებდა 35 კვ.მ-ის გამოსყიდვაზე 84 ლარის სანაცვლოდ. მიწის ნაკვეთის ღირებულება შეადგენდა 70 ლარს, ნაკვეთზე არსებული ნარგავების ღირებულება – 14 ლარს.⁵²⁷ მიწის ნაკვეთი შეფასდა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ⁵²⁸ და თანხა დაანგარიშდა,⁵²⁹ მაგრამ ეროვნულ სასამართლოს უძრავი ქონების კომპენსაციის დაანგარიშების მეთოდები მითითებული არ აქვს. მეთოდები დეტალურ განხილვას საჭიროებდა, რადგან მათ საფუძველზე, 1 კვ.მ. მიწა (ნარგავების გარეშე) ორ ლარად შეფასდა.

გადაწყვეტილება დუმს თანამესაკუთრეთა მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობაზე. არ ჩანს, თანამესაკუთრებმა თავად თუ შეაფასეს ქონება და თუ აცნობეს სასამართლოს მათთვის მისაღები თანხის შესახებ. არ არის შეფასებული თანამესაკუთრების პოზიცია

⁵²⁴ ეს ფაქტორი არ არის საკმარისი პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევისთვის, იხ. Guide on Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Protection of Property, Council of Europe, 31.8.2022, §190, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Guide_Art_1_Protocol_1_ENG>[22.2.2024].

⁵²⁵ *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, nos. 7151/75, 7152/75, ECtHR, 23.9.1982, §69.

⁵²⁶ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.13.

⁵²⁷ იქვე.

⁵²⁸ იქვე, გვ.2-3.

⁵²⁹ იქვე, გვ.2.

კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით. რაიონული სასამართლო ლაკონურად აღნიშნავს, რომ დაეთანხმა განმცხადებელი მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ელექტროგადამცემი ხაზი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა რეგიონის ენერგომომარაგების სტაბილურობის გაზრდასა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში. ეს საკმარისი იყო, რათა სასამართლოს დადასტურებულად მიეჩნია „საზოგადოებრივი საჭიროების აუცილებლობა, რაც შესაბამისი კანონით არის დადგენილი და უზრუნველყოფილი.“⁵³⁰ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე მოთხოვნა საფუძვლიანად ჩაითვალა და დაკმაყოფილდა.⁵³¹

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, საკუთრების ექსპროპრიაციისას კომპენსაციის გონივრულობა დაკავშირებულია ქონების ჩამორთმევისას მისი საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან.⁵³² კომპენსაციის ადეკვატურობა მცირდება, როცა მხედველობაში არ არის მიღებული მესაკუთრის პირადი და სოციალური გარემოებები.⁵³³ სათანადო კომპენსაციის განსაზღვრისას ფასდება, არის თუ არა ჩამორთმეული ქონება მესაკუთრის ძირითადი შემოსავლის წყარო და შეუძლია თუ არა მესაკუთრეს იგივე თანხით, სულ მცირე, ექვივალენტური ღირებულების მიწის ნაკვეთის შესყიდვა იმავე რაიონში.⁵³⁴

სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საჭიროების ინტერესსა და კერძო ინტერესს შორის სამართლიანი წონასწორობის დამყარების კონტექსტში, რელევანტური გარემოებების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების გადაწყვეტილებაში ასახვა აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. ევროპული სასამართლოსთვის თანამესაკუთრეების მიერ მიმართვის შემთხვევაში, ეროვნული სასამართლოს მსჯელობაში ამ ხარვეზების შევსება ევროპულ სასამართლოს მოუწევს. თუმცა ადამიანის უფლებათა დაცვის პირველადი ვალდებულება, სუბსიდიარობის პრინციპიდან

⁵³⁰ ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19, გვ.13.

⁵³¹ იქვე.

⁵³² *Guiso-Gallissay v. Italy* [GC], no. 58858/00, ECtHR, 22.12.2009, §103.

⁵³³ *Pyrantienė v. Lithuania*, no. 45092/07, ECtHR, 12.11.2013, §62.

⁵³⁴ *Osmanyan and Amiraghyan v. Armenia*, no. 71306/11, ECtHR, 11.10.2018, §70.

გამომდინარე, სახელმწიფოს ეკისრება, ქონების ჩამორთმევის საკითხებზე ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოცულობა კი თავისუფლად იძლევა შესაძლებლობას, რომ ეროვნულმა სასამართლომ განსაზღვროს ის რელევანტური გარემოებები, რომელთა შეფასება საკმარისად ასაბუთებს გადაწყვეტილებას.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პრობლემურია **ახალციხის რაიონული სასამართლოს** მსჯელობა სამოქალაქო სამართალწარმოებაშიც. „როდესაც სასწორზე დგება კერძო მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესი, ბუნებრივია, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს საზოგადოების ზოგად ინტერესს“.⁵³⁵ მოსამართლე კონვენციაზე დაყრდნობით მიუთითებს ორ ინტერესს შორის გონივრული წონასწორობის დაცვის საჭიროებაზე.⁵³⁶ თუმცა მსგავსი წინასწარ დადგენილი უპირატესობა საზოგადოების ინტერესის სასარგებლოდ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არ იძებნება.

6.5. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება

კონვენციის მე-6.1 მუხლით გარანტირებული სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება მხოლოდ სამოქალაქო ხასიათის უფლება-მოვალეობების განსაზღვრის და სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის განხილვის სამართალწარმოებებზე.⁵³⁷ ევროპული სასამართლო განმარტავს, რა ჩაითვლება სამოქალაქო უფლება-მოვალეობად და სისხლისსამართლებრივ ბრალდებად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არასწორად იყენებს კონვენციას, როცა მე-6.1 მუხლის მოქმედებას ავრცელებს მოქალაქეობის შესახებ დავებსა და პასპორტზე უფლებაზე. მაგალითად, საქმეზე, რომელიც ეხებოდა ორი არასრულწლოვანისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემაზე უარს და საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტას, თბილისის სააპელაციო სასამართლომ

⁵³⁵ ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 24.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N231210019002905582-2/044-19, გვ.10.

⁵³⁶ იქვე.

⁵³⁷ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია, მუხლი 6.1.

განმარტა, რომ კონვენციის მე-6.1 მუხლი ყოველ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.⁵³⁸

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მოქალაქეობის და პასპორტზე უფლებებს ქონებრივი და სხვაგვარად კერძოსამართლებრივი ხასიათი არ აქვს და სამოქალაქო უფლებებად ვერ ჩაითვლება.⁵³⁹ შესაბამისად, მე-6.1 მუხლის მოქმედება მოქალაქეობის მოპოვების/დადასტურების სამართალწარმოებაზე არ ვრცელდება.⁵⁴⁰ მე-6.1 მუხლის მოქმედება არ ვრცელდება არც მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ სამართალწარმოებაზე.⁵⁴¹

არასწორად ავრცელებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას მოქალაქეობის აღდგენის სამართალწარმოებაზე **თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაც**, რომელიც უთითებს, რომ „ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული უფლება,^[542] რომელიც აშკარად კონვენციის არცერთ დებულებაში არ არის მოცემული, კონვენციის ორგანოების მიერ განმარტებულ იქნა, როგორც „სასამართლო პროცესის“ განუყოფელი ნაწილი მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.“⁵⁴³ აპოსტოლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კონკრეტული პუნქტი, რომელშიც თბილისის საქალაქო სასამართლომ ეს განმარტება ამოიკითხა, მითითებული არ არის.⁵⁴⁴

ევროპული სასამართლო მე-6.1 მუხლით გარანტირებულ უფლებებად მოიაზრებს სასამართლოს ხელმისაწვდომობას, უფლებას დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, საქმის გონივრულ დროში განხილვის უფლებასა და უფლებას

⁵³⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.6.2016 გადაწყვეტილება საქმეზე N38/1474-15, გვ.3.

⁵³⁹ *Sergey Smirnov v. Russia*, no. 14085/04, ECtHR, 6.7.2006.

⁵⁴⁰ იქვე.

⁵⁴¹ *Usmanov v. Russia*, no. 43936/18, ECtHR, 22.12.2020, §81.

⁵⁴² იგულისხმება „სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უფლება“.

⁵⁴³ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.9.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/4545-16, §6.4.

⁵⁴⁴ *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, ECtHR, 28.11.2006.

სამართლიან პროცესზე.⁵⁴⁵ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სამართალწარმოების ხელმისაწვდომობის უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ერთი ასპექტია, ხოლო სასამართლოს ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან პროცესზე ცალკე მდგომი უფლებებია. ის, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ჰქონდა მხედველობაში, უნდა იყოს აპოსტოლის საქმეზე გადაწყვეტილების 56-ე პუნქტი, რომლის თანახმადაც, „აღსრულების სამართალწარმოება სასამართლო განხილვის შემადგენელი ნაწილია.“ ყველა შემთხვევაში, მე-6.1 მუხლით პირდაპირ გათვალისწინებული თუ ნაგულისხმები საპროცესო გარანტიები მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების სასამართლო განხილვაზე არ ვრცელდება.

6.6. პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება

6.6.1. მოქალაქეობის უფლება

მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენცია⁵⁴⁶ საქართველოს რატიფიცირებული არ აქვს,⁵⁴⁷ თუმცა ევროპული სასამართლო მას არახელმძღვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ საქმეებშიც იყენებს,⁵⁴⁸ რადგან კონვენცია მოქალაქეობის, როგორც პირის სახელმწიფოსთან კავშირის ტრადიციულ გაგებას ეყრდნობა.⁵⁴⁹ შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებმაც უნდა იხელმძღვანელონ ამ კონვენციის დებულებებით. კვლევის ფარგლებში, საქართველოს სასამართლოების მიერ მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის გამოყენება არ დასტურდება.⁵⁵⁰

⁵⁴⁵ Harris D.J., O’Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., *Law of the European Convention on Human Rights*, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018, 399 *et seq.*

⁵⁴⁶ European Convention on Nationality, Council of Europe, 6.11.1997, <<https://rm.coe.int/168007f2c8>>[22.2.2024].

⁵⁴⁷ იხ. <<https://www.coe.int/en/web/conventions>>[22.2.2024].

⁵⁴⁸ იხ. *Petropavlovskis v. Latvia*, no. 44230/06, ECtHR, 13.1.2015, §§39, 80.

⁵⁴⁹ იქვე, §80.

⁵⁵⁰ კვლევა დასრულდა 22.02.2024.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, პირის უფლება, მოიპოვოს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობა, კონვენციით და მისი ოქმებით არ არის უზრუნველყოფილი.⁵⁵¹ ამ უფლებას არც საერთაშორისო საჯარო სამართალი ითვალისწინებს.⁵⁵² თუმცა შესაძლებელია, ევროპულმა სასამართლომ მოქალაქეობის საკითხი პირადი ცხოვრების დაცულობის ჭრილში განიხილოს. სასამართლო ამოწმებს მოქალაქეობის შეწყვეტის/ჩამორთმევის შედეგებს განმცხადებლის პირად ცხოვრებაზე და იყო თუ არა მოქალაქეობის შეწყვეტის/ჩამორთმევის ღონისძიება თვითნებური.⁵⁵³ კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელების შემთხვევაში, სასამართლო აფასებს პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერებას სამი კრიტერიუმით – ჩარევის კანონიერება, ლეგიტიმური მიზანი და აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, ჩარევით დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.⁵⁵⁴

2020 წელს, საქმეზე *უსმანოვი რუსეთის წინააღმდეგ*, სასამართლომ მოქალაქეობის საკითხებზე მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელების შესამოწმებელი ორეტაპიანი მიდგომა ჩამოაყალიბა.⁵⁵⁵ იმავე წელს, იგივე მიდგომა დამკვიდრდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თაობაზე უარის გადაწყვეტილებებზე.⁵⁵⁶ თუმცა ორეტაპიანი მიდგომის ელემენტები ადრინდელ პრაქტიკაშიც იძებნებოდა. განმარტება, რომ მოქალაქეობაზე თვითნებურმა უარმა შეიძლება გარკვეული გარემოებების არსებობისას, მე-8 მუხლის დარღვევის საკითხი წამოჭრას, ასეთი ღონისძიების პირად ცხოვრებაზე ზეგავლენის გამო, მოცემულია, მაგალითად, 1999 წლის განჩინებაში საქმეზე *კარასევი ფინეთის წინააღმდეგ*,⁵⁵⁷ 2002 წლის განჩინებაში საქმეზე

⁵⁵¹ *Karassaev v. Finland* (dec.), no. 31414/96, ECtHR, 12.1.1999.

⁵⁵² *Petropavlovskis v. Latvia*, no. 44230/06, ECtHR, 13.1.2015, §83.

⁵⁵³ *Usmanov v. Russia*, no. 43936/18, ECtHR, 22.12.2020, §58.

⁵⁵⁴ იქვე, §55.

⁵⁵⁵ იქვე.

⁵⁵⁶ *Ahmadov v. Azerbaijan*, no. 32538/10, ECtHR, 30.1.2020, §§45-55.

⁵⁵⁷ *Karashev v. Finland* (dec.), no. 31414/96, ECtHR, 12.1.1999.

სლივენკო და სხვები ლატვიას წინააღმდეგ,⁵⁵⁸ 2011 წლის საქმეზე ჯენოვეზე მალტას წინააღმდეგ⁵⁵⁹ და 2016 წლის საქმეზე რამადანი მალტას წინააღმდეგ.⁵⁶⁰

მიუხედავად ევროპული სასამართლოს ადრეულ პრაქტიკაში არსებული განმარტებებისა, მოქალაქეობის შეწყვეტისა თუ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თაობაზე მიღებული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს არ ითვალისწინებს.⁵⁶¹

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის საქმე ეხება ორი არასრულწლოვანისთვის საქართველოს მოქალაქის პასპორტების გაცემაზე უარს. ვინაიდან ბავშვები იმავდროულად რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრმა მიზანშეწონილად მიიჩნია მათთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა. პრეზიდენტის ბრძანებულებით, ბავშვებს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდათ.⁵⁶²

სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა მოქალაქეობის შეწყვეტის გავლენა განმცხადებლების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაზე, თუმცა საქმეში რელევანტური გარემოებები ფიგურირებდა. ბავშვების მამა მეუღლესთან და შვილებთან ერთად მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის გამო, ბავშვებმა ვერ ისარგებლეს უფასო აკრებით და სადაზღვევო მომსახურებით.

სააპელაციო სასამართლომ განიხილა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოკვეთილი მეორე ასპექტი – მოქალაქეობის თვითნებური ჩამორთმევა. კონსტიტუცია პირდაპირ არ ახსენებს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, თვითნებურად არ

⁵⁵⁸ *Slivenko and Others v. Latvia* (dec.) [GC], no. 48321/99, ECtHR, 23.1.2002, §77.

⁵⁵⁹ *Genovese v. Malta*, no. 53124/09, ECtHR, 11.10.2011, §30.

⁵⁶⁰ *Ramadan v. Malta*, no. 76136/12, ECtHR, 21.6.2016, §84.

⁵⁶¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/357-18; თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.6.2016 გადაწყვეტილება საქმეზე N38/1474-15.

⁵⁶² თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.6.2016 გადაწყვეტილება საქმეზე N38/1474-15, 3.

ჩაერიოს მოქალაქის უფლებაში, სასამართლომ სახელმწიფოს ეს ვალდებულება მოიაზრა კონსტიტუციის იმ დროს მოქმედი რედაქციის მე-13.1 მუხლში. სასამართლოს განმარტებით, აკრძალვა მოიაზრებს მოქალაქეობის შეწყვეტას კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძვლების და დადგენილი პროცედურის უფლებელყოფით.⁵⁶³ თუმცა საერთო სასამართლოს მსჯელობის საფუძველი იყო არა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტი, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლით გათვალისწინებული საქმის გარემოებათა გამორკვევის ვალდებულება.

6.6.2. შრომითი ურთიერთობები

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურიდან პირის დაუსაბუთებლად დათხოვნა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ... წარმოადგენს ... ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული შრომითი და პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას.“⁵⁶⁴

ეს განმარტება არასწორია, რადგან მე-8 მუხლი „შრომით უფლებას“ არ ითვალისწინებს და სამსახურიდან დათხოვნაზე, დაქვეითებაზე და მსგავს ღონისძიებებზე მისი მოქმედება ავტომატურად არ ვრცელდება. მე-8 მუხლის მოქმედება პროფესიულ საქმიანობაზე, გარკვეული გარემოებების არსებობისას, შეიძლება გავრცელდეს.⁵⁶⁵

რადგან ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ „გარკვეული გარემოებების არსებობის“ გარეშეც მიიჩნია, რომ სამსახურიდან დათხოვნა მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებში ჩარევას შეადგენს, მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნაც მის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევად უნდა

⁵⁶³ იქვე, 7.

⁵⁶⁴ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18, გვ.11.

⁵⁶⁵ *Fernández Martínez v. Spain* [GC], no. 56030/07, ECtHR, 12.6.2014, §110.

განხილულიყო. თუმცა ამ უფლებაში ჩარევის მართლზომიერება გადაწყვეტილებაში არ შეფასებულა. ეროვნული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლსა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითებას რეალურად არანაირი დატვირთვა არ აქვს.

შრომით დავებზე მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელების თვალსაზრისით, უფრო მართებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტება, რომ სამსახურიდან დათხოვნა „შეიძლება განხილულ იქნეს“ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევად.⁵⁶⁶ თუმცა ეს განმარტებაც უნდა დაზუსტდეს, რადგან დარღვევამდე, უნდა შემოწმდეს, საერთოდ ვრცელდება თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედება კონკრეტულ შრომით დავაზე.

კოლეგია მართებულად აღნიშნავს, რომ შრომითსამართლებრივი ურთიერთობა პირადი ცხოვრების ასპექტია, „რადგან ასეთი საქმიანობის პროცესში პირი ახორციელებს ურთიერთობებს სხვა პირებთან, უზრუნველყოფს საკუთარი, პიროვნული შესაძლებლობების რეალიზაციას, ხელფასის სახით გამოიმუშავეს არსებობისათვის აუცილებელ ფინანსურ შემოსავალს და ა.შ.“⁵⁶⁷ კოლეგია ევროპული სასამართლოს რომელიმე გადაწყვეტილებაზე არ უთითებს, მაგრამ ეს კონკრეტული მსჯელობა თანხვედრაშია ევროპული სასამართლოს მიდგომასთან,⁵⁶⁸ რომლის თანახმადაც, პირადი ცხოვრების ცნება ძალზე ფართოა და ამომწურავ განმარტებას არ ექვემდებარება.⁵⁶⁹ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობასთან ერთად, პირადი ცხოვრება მოიცავს ადამიანის ფიზიკური და სოციალური იდენტობის მრავალრიცხოვან ასპექტებს, პიროვნული განვითარების უფლებას, სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან ურთიერთობის უფლებას.⁵⁷⁰ მე-8 მუხლი პირდაპირ არ ითვალისწინებს დასაქმების უფლებასა თუ სახელმწიფო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლებას, მაგრამ პირადი

⁵⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/9706-19, გვ.11.

⁵⁶⁷ იქვე.

⁵⁶⁸ იხ. მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 29 *et seq.*

⁵⁶⁹ *Bărbulescu v. Romania* [GC], no. 61496/08, ECtHR, 5.9.2017, §70.

⁵⁷⁰ *López Ribalda and Others v. Spain* [GC], nos. 1874/13, 8567/13, ECtHR, 17.10.2019, §§87-88.

ცხოვრების ცნება იმდენად ვრცელია, რომ მისგან არ გამოირიცხება პროფესიული ურთიერთობები, რადგანაც ადამიანების უმეტესობა სწორედაც რომ სამსახურებრივი ცხოვრების კონტექსტში ამყარებს ურთიერთობებს გარესამყაროსთან.⁵⁷¹

კოლეგიის შემდგომი მსჯელობა ევროპული სასამართლოს რელევანტურ პრაქტიკაზე არასრულია იმ თვალსაზრისით, რომ არ ასახავს ევროპული სასამართლოს შეჯერებულ სტანდარტს. თუმცა იმის გათვალისწინებით, რაც ითქვა მოქალაქეობის უფლების კონტექსტში, უსმანოვის საქმეში სტანდარტის შეჯერებამდე, მისი ცალკეული ასპექტების ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ხელმისაწვდომობასა და მათი გამოყენების შესაძლებლობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს, შრომით დავებზე ევროპული სასამართლოს სტანდარტის შეჯერებამდე არსებული ასპექტები მითითებული აქვს. კერძოდ, მითითებულია 2013 წლის საქმეზე *ალექსანდრ ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ*⁵⁷² და ამ გადაწყვეტილების ერთ აზნაგიდან ამოკრებილ, ცხადია, კიდევ უფრო ადრინდელ საქმეებზე.⁵⁷³ 2018 წელს, ევროპულ სასამართლოს ერთიანი მიდგომა უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა შრომით დავებზე მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელებასთან დაკავშირებით საქმეზე *დენისოვი უკრაინის წინააღმდეგ*.⁵⁷⁴ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის, ეს საქმე თითქმის ორი წლით ადრე იყო გადაწყვეტილი და სტანდარტი – შეჯერებული.

ვოლკოვის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება დენისოვის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით არ გაუქმებულა. თუმცა ვოლკოვის საქმეზე არ არის გამოკვეთილი მე-8 მუხლის მოქმედების შრომით დავებზე გავრცელების ორი მიდგომა, რომელიც ევროპულმა სასამართლომ დენისოვის საქმეზე შეაჯერა.

⁵⁷¹ *Oleksandr Volkov v. Ukraine*, no. 21722/11, ECtHR, 9.1.2013, §165; მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 29-30.

⁵⁷² თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების თარიღი (2012 წლის 11 დეკემბერს) არასწორად აქვს მითითებული. გადაწყვეტილება გამოტანილია 2012 წლის 11 დეკემბერს, თუმცა სასამართლოს რეგლამენტის 81-ე წესის საფუძველზე ჩასწორდა 2013 წლის 9 იანვრს და გადაწყვეტილების თარიღად ითვლება ეს უკანასკნელი.

⁵⁷³ *Oleksandr Volkov v. Ukraine*, no. 21722/11, ECtHR, 9.1.2013, §165.

⁵⁷⁴ *Denisov v. Ukraine* [GC], no. 76639/11, ECtHR, 25.9.2018.

პირველი მიდგომით, თუ სადავო ღონისძიების დაკისრების მიზეზია პირის პირადი ცხოვრება, შრომით დავაზე ვრცელდება მე-8 მუხლის მოქმედება. მეორე მიდგომით, დავაზე მე-8 მუხლის მოქმედება გავრცელდება, თუ ინდივიდზე დაკისრებულ ღონისძიებას მძიმე უარყოფითი ზეგავლენა აქვს მის პირად ცხოვრებაზე.⁵⁷⁵

მიზეზზე დაფუძნებული მიდგომით⁵⁷⁶ შრომით დავაზე მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელების საკითხი შედარებით იოლი შესაფასებელია მაშინ, როდესაც შედეგზე დაფუძნებული მიდგომით⁵⁷⁷ მე-8 მუხლის ამოქმედების შემოწმება სამი ქვეკრიტერიუმით ხდება. ევროპული სასამართლო მხედველობაში იღებს: 1) უარყოფით შედეგებს პირის „შიდა წრისთვის“, 2) უარყოფით ზემოქმედებას პირის შესაძლებლობაზე, „დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვებთან“ და 3) უარყოფით ზეგავლენას პირის რეპუტაციაზე.⁵⁷⁸

მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დაადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მოქმედება ვრცელდება მოცემულ შრომით დავაზე მიზეზზე დაფუძნებული ან შედეგზე დაფუძნებული მიდგომით, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერება მოწმდება დადგენილი სამი კრიტერიუმით: 1) აქვს თუ არა ჩარევას სამართლებრივი საფუძველი (არის თუ არა „კანონი“ გამოქვეყნებული, ნათელი, წინასწარგანჭვრეტადი და ითვალისწინებს თუ არა საპროცესო გარანტიებს); 2) აქვს თუ არა ჩარევას ლეგიტიმური მიზანი და 3) არის თუ არა უფლებაში ჩარევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ამ ბოლო კრიტერიუმს აქვს ორი კომპონენტი – ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება და ჩარევის თანაზომიერება, რაც დასაბუთებული უნდა იყოს ეროვნული სასამართლოს მიერ

⁵⁷⁵ იქვე, §92.

⁵⁷⁶ მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 30-31.

⁵⁷⁷ იქვე.

⁵⁷⁸ *Denisov v. Ukraine* [GC], no. 76639/11, ECtHR, 25.9.2018, §92.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოკვეთილი რელევანტური და საკმარისი გარემოებებით.⁵⁷⁹

თბილისის საქალაქო სასამართლოს დენისოვის საქმეზე შეჯერებულ სტანდარტზედაც რომ მიეთითებინა, ამას არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა არ ექნებოდა, რადგან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას არ შეუფასებია პირის თანამდებობიდან გათავისუფლების მართლზომიერება კონვენციის მე-8.2 მუხლის საფუძველზე.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ციტირებული აქვს კონვენციის მე-8.2 მუხლით პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შემოწმების კრიტერიუმები,⁵⁸⁰ სასამართლოს მხრიდან მართლზომიერებისა და კანონიერების ცნებების აღრევას აქვს ადგილი, რაც აზრს უკარგავს კონვენციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის საკონტროლო სისტემის არსებობას, რომლის თანახმადაც, კანონიერება კვალიფიციური უფლებების შეზღუდვის მართლზომიერების მხოლოდ ერთი, საწყისი კომპონენტია, ხოლო ამის შემდეგ, უნდა შემოწმდეს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის არსებობა და ჩარევის დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელობა.

კოლეგია აღნიშნავს, რომ „გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია ადრესატისათვის, რათა შეაფასოს მისი მართლზომიერება, დარწმუნდეს მის კანონშესაბამისობაში, ხოლო უფლების დარღვევის განცდის შემთხვევაში ისარგებლოს გასაჩივრების შესაძლებლობით. მან უნდა იცოდეს, რა არგუმენტებით დაუპირისპირდეს მიღებულ გადაწყვეტილებას, რასაც დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილების მიღების პირობებში, მოკლებულია.“⁵⁸¹

ეროვნულმა სასამართლომ მართებულად მოახდინა შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში დაკისრებული ღონისძიებით პირადი ცხოვრების დაცულობის

⁵⁷⁹ მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 31.

⁵⁸⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/9706-19, გვ.11.

⁵⁸¹ იქვე, გვ.25.

უფლებებში ჩარევის იდენტიფიცირება, მაგრამ უფლების დარღვევა-არდარღვევის საკითხი სასამართლომ „კანონშესაბამისობით“ განსაზღვრა. ამის გამო, სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის ციტირებას და ევროპული სასამართლოს საქმეებზე მითითებას მხოლოდ დეკორაციული მნიშვნელობა აქვს. ფაქტობრივად, ეროვნულ სასამართლოს კონვენციით გარანტირებულ უფლებებში ჩარევის მართლზომიერების შეფასების დატვირთვა და ვალდებულება გაცნობიერებული არ აქვს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას არ აქვს მითითებული, მაგრამ ზემოაღნიშნული მსჯელობა განვითარებულია უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ, რომელმაც გააიგივა კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების ცნებები და კანონშესაბამისობით გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი,⁵⁸² რაც როგორც აღინიშნა, კონვენციით შექმნილ უფლებათა დაცვის სისტემასთან მოდის წინააღმდეგობაში.

და ბოლოს, ღირსება მე-8 მუხლის დაცვის სფეროში არ შედის. კოლეგია უთითებს საქმეზე *პფაიფერი ავსტრიის წინააღმდეგ*,⁵⁸³ როდესაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ „მე-8 მუხლი ასევე ეხება ღირსებისა და რეპუტაციის საკითხებს, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელ ნაწილებს“.⁵⁸⁴ არც კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მითითებულ 35-ე პუნქტში და არც სხვაგან გადაწყვეტილებაში, ევროპული სასამართლო სიტყვა ღირსებას (*dignity*) არ ახსენებს, რადგან ღირსებას, როგორც აბსოლუტურად დაცულ ღირებულებას, უზრუნველყოფს კონვენციის მე-3 და არა მე-8 მუხლი.⁵⁸⁵

⁵⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.2.2014 განჩინება საქმეზე Nზს-463-451(კ-13).

⁵⁸³ *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, ECtHR, 15.11.2007.

⁵⁸⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/9706-19, გვ.12.

⁵⁸⁵ Bedford D., Key Cases on Human Dignity under Article 3 ECHR, European Human Rights, 2/2019, 185-194.

6.7. გამოხატვის თავისუფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საჯარო მოხელის სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დათხოვნის საკითხი განიხილა.⁵⁸⁶ დათხოვნა მოხდა აპარატის რეორგანიზაციის შედეგად, რასაც ქრონოლოგიურად უსწრებდა მოხელის კრიტიკული განცხადებები მმართველი პარტიის მიმართ.⁵⁸⁷

კოლეგია ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვან და რელევანტურ საქმეებს ციტირებს⁵⁸⁸ და მათზე დაყრდნობით, მართებულად უთითებს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების მხრიდან „დამსაქმებლის მიმართ ერთგულების, თავშეკავებისა და კეთილგონიერების ვალდებულებაზე“, რასაც დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო სამსახურის არსიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.⁵⁸⁹

განმარტება მნიშვნელოვანია საჯარო მოხელის სამსახურიდან დათხოვნის სახით მის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების მესამე კრიტერიუმის განხილვის კონტექსტში. კოლეგიის მიერ მითითებული საქმეების მიხედვითვე, დამსაქმებლის მიმართ ერთგულების ვალდებულება აბსოლუტური არ არის. თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, გადამალავს თუ არა ამ ვალდებულებას გამოხატვის თავისუფლების დაცვის ინტერესი. ევროპული სასამართლო აფასებს, რამდენად არის დასაბუთებული ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ხოლო ჩარევა – თანაზომიერი, ანუ დამყარდა თუ არა სამართლიანი წონასწორობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის.⁵⁹⁰

⁵⁸⁶ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18.

⁵⁸⁷ იქვე, გვ.2.

⁵⁸⁸ იქვე, გვ.32: *Vogt v. Germany* [GC], no. 17851/91, ECtHR, 26.9.1995; *Ahmed and Others v. the United Kingdom*, no. 22954/93 ECtHR, 2.9.1998; *Guja v. Moldova* [GC], no. 14277/04, ECtHR, 12.2.2008; *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, ECtHR, 26.2.2009; *Trade Union of the Police in the Slovak Republic and Others v. Slovakia*, no. 11828/08, ECtHR, 25.9.2012.

⁵⁸⁹ იქვე.

⁵⁹⁰ მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 47 *et seq.*

მიუხედავად რელევანტური საქმეების და სტანდარტის მითითებისა, ეროვნული სასამართლო, სამწუხაროდ, კანონიერების შემოწმების საფეხურს არ გასცდენია. მას შემდეგ, რაც დადგინდა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის მოთხოვნები დარღვეული არ იყო,⁵⁹¹ არ შეფასებულა არც სამსახურიდან დათხოვნით გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი და არც ჩარევის აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის, რომ სადავო ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი კანონს არ ეწინააღმდეგებოდა.⁵⁹²

ვინაიდან რეორგანიზაციის შედეგად მხოლოდ მოსარჩელე არ ყოფილა დათხოვნილი დაკავებული თანამდებობიდან, მან სასამართლო ვერ დაარწმუნა დისკრიმინაციულ მოპყრობაში. სასამართლოსთვის წარდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით ვერ დგინდებოდა მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა თუ შევიწროება მისი პოლიტიკური შეხედულების გამო.⁵⁹³

კოლეგია გადაწყვეტილებაში ახსენებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე *ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ*⁵⁹⁴ და მიუთითებს, რომ „სასამართლომ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობა-არარსებობის დადგენისათვის ის მიდგომა, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკით არის განმტკიცებული, მაგალითად, ევროპული სასამართლოს მიერ, თავის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში: „ივანოვა ბულგარეთის წინააღმდეგ“...“⁵⁹⁵ ამ წინადადებაში ზმნა არის გამორჩენილი და ბუნდოვანია კოლეგიის დამოკიდებულება ივანოვას საქმესთან მიმართებით, თუმცა აშკარაა, რომ ფაქტობრივი გარემოებები ამ საქმეზე დაყრდნობით არ არის შეფასებული.

⁵⁹¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18, 35.

⁵⁹² იქვე.

⁵⁹³ იქვე, გვ.32.

⁵⁹⁴ *Ivanova v. Bulgaria*, no. 52435/99, ECtHR, 12.4.2007. მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 41-42.

⁵⁹⁵ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18, გვ.34.

ივანოვას საქმე ეხებოდა დასაქმებული პირის რელიგიის თავისუფლებაში ჩარევას სამსახურიდან დათხოვნის გზით, რაც განხორციელდა კანონის საფუძველზე – შეიცვალა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა. ევროპულ სასამართლოს უნდა დაედგინა, შრომითი ხელშეკრულება შეწყდა საკვალიფიკაციო მოთხოვნების არდაკმაყოფილების საფუძველზე, თუ ამის მიზეზი დასაქმებული პირის რელიგიური მრწამსი იყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სამსახურიდან დათხოვნის ფარული მოტივი გამორიცხული არ იყო. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საერთო სიტუაცია და განმცხადებლის რელიგიის მიმდევრების ხელისუფლების მხრიდან დევნა და მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია,⁵⁹⁶ რაც მოცემულ საქმეშიც, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ *mutatis mutandis* შესაფასებელი გარემოებები იყო, მათ შორის, ქვეყანაში და კერძოდ საჯარო სამსახურში პლურალისტური გარემოს უზრუნველყოფის კონტექსტში. აღნიშნულის ნაცვლად, ეროვნული სასამართლო შემოიფარგლა პირის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერი საფუძვლის განხილვით და უგულებელყო საჯარო მოხელის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასებაზე დასაბუთების რელევანტური სტანდარტები.

თანასწორობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით, კოლეგიამ აღნიშნა, რომ იზიარებდა მტკიცებულებით სტანდარტზე ევროპული სასამართლოს მიდგომას „მათ შორის, თანასწორობის უფლების დარღვევებზე განაცხადების განხილვისას.“⁵⁹⁷ კოლეგიამ განმარტა, რომ მხედველობაში ჰქონდა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც – „მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, ნათელი და თანმხვედრი დასკვნებიდან ან ფაქტების ცალსახა პრეზუმფციიდან“ და მიუთითა

⁵⁹⁶ *Ivanova v. Bulgaria*, no. 52435/99, ECtHR, 12.4.2007, §83; მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 41-42.

⁵⁹⁷ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18, გვ.34.

საქმეებზე ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ⁵⁹⁸ და ანგელოვა ბულგარეთის წინააღმდეგ.⁵⁹⁹

აქედან პირველი საქმე დისკრიმინაციის აკრძალვას საერთოდ არ ეხება. მასზე დადგინდა ევროპული კოვენციის მე-3 მუხლის დარღვევა საპროცესოსამართლებრივ ნაწილში,⁶⁰⁰ ხოლო მატერიალურსამართლებრივ ნაწილში მე-3 მუხლის დარღვევა სახელმწიფოს ბრალად ვერ შეერაცხა, რადგან კონვენციის უფლების დარღვევისთვის სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი – გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი არ იქნა დაკმაყოფილებული.⁶⁰¹

რაც შეეხება ანგელოვას საქმეს, განმცხადებელი ევროპული სასამართლოს წინაშე, *inter alia*, ამტკიცებდა, რომ მისი შვილის მიმართ არასათანადო მოპყრობის მოტივი მისი ბოშური წარმომავლობა იყო, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ რასის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ მტკიცდებოდა.⁶⁰² დისკრიმინაციის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული დისკრიმინაციის სახეა, მაგრამ ანგელოვას საქმე არარელევანტურია სავარაუდოდ დისკრიმინაციული საფუძვლით სამსახურიდან დათხოვნის შესახებ დავის კონტექსტში. ამასთან, თავად ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასადგენად შემუშავებულ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს კავშირი არ აქვს ეროვნულ სამართალში მოქმედ იგივე დასახელების მტკიცებულებით სტანდარტთან, რომელიც მით უმეტეს, დამახასიათებელია სისხლის და არა მოცემული სახის ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის.⁶⁰³

⁵⁹⁸ *Gharibashvili v. Georgia*, no. 11830/03, ECtHR, 29.8.2008.

⁵⁹⁹ *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, ECtHR, 13.6.2002.

⁶⁰⁰ იქვე, §§64-76.

⁶⁰¹ იქვე, §§56-58.

⁶⁰² *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, ECtHR, 13.6.2002, §111.

⁶⁰³ *Vide supra*, ზოგადი პრობლემის აღწერა (მტკიცებულებითი სტანდარტის დასაბუთება).

დისკრიმინაციის საქმეებზე ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებითაც, ბათუმის საქალაქო სასამართლო ასახელებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს ეხება. საქმეზე *ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*, დიდმა პალატამ განიხილა სავარაუდოდ რასისტული შეუწყნარებლობის მოტივით ბოშა ჯარისკაცების მკვლელობა და გამოძიების ქმედითობა. მოცემულ საქმეშიც, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დამტკიცდა რასის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით გასროლა, რამაც ჯარისკაცების სიკვდილი გამოიწვია.

დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცებულებით სტანდარტსა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ანალოგიური მსჯელობა აქვს განვითარებული **მცხეთის რაიონულ სასამართლოს** 2018 წლის გადაწყვეტილებაში, რომელშიც დავის საგანი ასევე იყო ადმინისტრაციული აქტის ბათილობა და ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემით სამსახურში აღდგენა.⁶⁰⁴

შრომით დავებში დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე მტკიცების ტვირთის მხარეებზე გადანაწილების შესახებ სტანდარტს ადგენს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია no. 7.⁶⁰⁵ რეკომენდაციის თანახმად, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, დისკრიმინაციის საქმეებზე მტკიცების ტვირთი უნდა გადანაწილდეს მხარეებზე, ანუ მოსარჩელეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, სასამართლოში დაამტკიცოს განსხვავებული მოპყრობის ან განსხვავებულ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა. შემდეგ, მტკიცების ტვირთი

⁶⁰⁴ მცხეთის რაიონული სასამართლოს 29.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/27-18, გვ.21-22.

⁶⁰⁵ ECRI General Policy Recommendation N°7 (revised) On National Legislation to Combat Racism and Racial Discrimination, adopted on 13.12.2002, revised on 7.12.2017, §11; მჭედლიძე ნ., საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, თბილისი, ევროპის საბჭო, 2015, 10 *et seq.*, <<https://rm.coe.int/16803034e7>>[22.02.2024]. მჭედლიძე ნ., დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა ECtHR სტანდარტებთან, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 128-141.

მოპასუხეზე გადადის და ამ უკანასკნელმა უნდა გამორიცხოს დისკრიმინაცია. ასევე მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ მოპყრობას ობიექტური და გონივრული გამართლება აქვს.⁶⁰⁶ ეროვნული სასამართლოების ზემოთ განხილულ გადაწყვეტილებებში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი ამ წესით განაწილებული არ არის.

ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ციტირების ტექნიკური და შინაარსობრივი ხარვეზები, არარსებულ საქმეზე დაყრდნობით მცდარი სტანდარტის განვითარების ჩათვლით. იმ შემთხვევებშიც, როცა სასამართლო რელევანტურ გადაწყვეტილებას უთითებს, კონვენციურ უფლებაში ჩარევის შეფასება კანონიერების განხილვას არ სცილდება და კვალიფიციური უფლების შეზღუდვის მართლზომიერების საკითხი სასამართლოს მსჯელობის მიღმა რჩება. მსგავსი პრაქტიკით სახელმწიფო არღვევს კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებს და პირს, რომელიც დაზარალებულის სტატუსს ინარჩუნებს, უფლებრივ მდგომარეობაში აღდგენის იმედად ისევ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რჩება.

⁶⁰⁶ იქვე.

7. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები სამოქალაქო სამართალწარმოებაში

7.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (დასაბუთების სტანდარტის ციტირების ხარვეზები)

საერთო სასამართლოებში წარმოებული სამოქალაქო პროცესის ფარგლებში ხშირად ციტირებულია საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს საქმე გადაწყვეტილების დასაბუთების შესახებ – *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ*.⁶⁰⁷ ეროვნულ დონეზე, ბ-ნმა ჯღარკავამ წარუმატებლად იჩივლა სისხლის სამართალწარმოებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6.1 მუხლის დარღვევა დაადგინა, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს ბუნდოვნად და არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებით განმცხადებელს უფლების დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.⁶⁰⁸

ჯღარკავას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებიდან ერთი ციტატა სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლოებში განსაკუთრებით პოპულარულია. მაგალითად, **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა** აღნიშნავს, რომ სასამართლომ იხელმძღვანელა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, რომლის თანახმადაც, „თუკი „ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებანი, ეს არ შეიძლება გაგებულ იქნეს თითოეულ არგუმენტზე პასუხის გაცემის მოთხოვნად“ (იხ. *ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ*).“⁶⁰⁹

დასკვნა, თუ როგორ ავტომატურად არის აღნიშნული ციტატა გამოყენებული, კეთდება თუნდაც იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ შეცდომა („წინააღმდეგ“) გადაწყვეტილებიდან გადაწყვეტილებაში უცვლელად მეორდება. ზუსტად ეს აბზაცი უცვლელად არის გადატანილი **თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის** ორ სხვა

⁶⁰⁷ *Jgarkava c. Georgie*, no. 7932/03, ECtHR, 24.2.2009.

⁶⁰⁸ იქვე, §§67-78.

⁶⁰⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.11.2017 განჩინება საქმეზე N28/5750-17, გვ.7.

განჩინებაში,⁶¹⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 16 გადაწყვეტილებაში,⁶¹¹ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ორ გადაწყვეტილებაში,⁶¹² ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოს ორ გადაწყვეტილებაში.⁶¹³

იგივე ციტატა, ტექნიკური შეცდომის გარეშე და წინმსწრები ფრაზით „ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ მატერიალურ-სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილ ძირითად ასპექტებს (RUIZ TORIJA v. SPAIN)“ – სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს 300-მდე გადაწყვეტილებაში ფიგურირებს.⁶¹⁴ ზოგ შემთხვევაში, რუის ტორიხას ნაცვლად მითითებულია შემდეგ საქმეებზე: “Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81; Boldea v. Romania, par. 30.”⁶¹⁵ თუმცა ამ შემთხვევებშიც, აქცენტია ჯღარკავას საქმიდან ამონარიდზე, რომელიც სასამართლოს ყველა არგუმენტზე პასუხის გაცემის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ეს მიდგომა, სავარაუდოდ, დამკვიდრებულია უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ, რომლის 1122 გადაწყვეტილებაში⁶¹⁶ იკითხება ზემოაღნიშნული ციტატა, მათ შორის,

⁶¹⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.4.2018 განჩინება საქმეზე N28/6598-17, გვ.5; 10.7.2018 განჩინება საქმეზე N28/1633-18, გვ.5.

⁶¹¹ იხ. მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 7.11.2019 გადაწყვეტილებები საქმეებზე N330210018002657986 და N330210019003051812; 29.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019003108719; 22.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019002996658; 10.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019002807295; 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210018002742600.

⁶¹² სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 15.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/104-19, გვ.5-6; 4.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/78-18, გვ.7.

⁶¹³ ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოს 10.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/4-19, გვ.9; 10.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/42-19, გვ.6.

⁶¹⁴ იხ. <<https://ecd.court.ge>>[22.02.2024]. ამასთან, ოზურგეთის რაიონული სასამართლო უთითებს „დუიზ თორიჯა ვ. შპაინ“ ოთხ გადაწყვეტილებაში: 10.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019003127959; 17.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019003231134; 24.12.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N050210119003104766; 21.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019002888234.

⁶¹⁵ მაგალითად, ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 6.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N150210019003117493, §6.5; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 7.3.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N160210018002260994, გვ.10-11.

⁶¹⁶ იხ. <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>>[22.2.2024].

ბოლოდროინდელ 2024 წლის განჩინებაში.⁶¹⁷ 2023 წლის განჩინებაში, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატა საქმის ძირითად ასპექტებზე პასუხის გაცემის ვალდებულების მითითების გარეშე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას არ გულისხმობს.⁶¹⁸

ზოგჯერ, ჯდარკავას საქმე სხვა საქმით არის ჩანაცვლებული, თუმცა მიდგომა იგივე რჩება. მაგალითად, **ბაღდათის მაგისტრატი სასამართლო** განმარტავს გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობას მხარეებისთვის, შემდეგ კი *ჰირვისაარი ფინეთის წინააღმდეგ* საქმეზე დაყრდნობით, აღნიშნავს, რომ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემა მის ვალდებულებაში არ შედის.⁶¹⁹ ჰირვისაარის საქმეზეც, ჯდარკავას საქმის მსგავსად, მე-6.1 მუხლის დარღვევა დადგინდა გადაწყვეტილების არასათანადო დასაბუთების გამო.⁶²⁰

კონვენციის საფუძველზე დასაბუთების აღნიშნული სტანდარტი არასრულად არის მოყვანილი და ციტირების მსგავსი წესი გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხს მნიშვნელოვნად აზიანებს. მე-6.1 მუხლით გარანტირებული უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე გულისხმობს, რომ ეროვნულმა სასამართლომ საკმარისად უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება, როგორც ეს დადგინდა ერთ-ერთ პირველ საქმეზე *ჰ. ბელგიის წინააღმდეგ*.⁶²¹ მოგვიანებით, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეებს აჩვენებს, რომ მათი არგუმენტები მოსმენილ იქნა, რაც ხელს უწყობს მათ მიერ გადაწყვეტილების მიმღებლობას.⁶²² გადაწყვეტილების დასაბუთება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების პრინციპს უკავშირდება – ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში სათანადოდ უნდა დაასახელოს ის

⁶¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.1.2024 განჩინება საქმეზე *ნას-1389-2023*, §13.

⁶¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე *ნას-57-2023*, §13.

⁶¹⁹ ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 28.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე *N831210019003238589*, §6.1.

⁶²⁰ *Hirvisaari v. Finland*, no. 49684/99, ECtHR, 27.9.2001, §33.

⁶²¹ *H. v. Belgium*, no. 8950/80, ECtHR, 30.11.1987, §53.

⁶²² *Magnin c. France*, no. 26219/08, ECtHR, 10.5.2012, §29.

არგუმენტები, რომლებსაც გადაწყვეტილება ეფუძნება. ეროვნულ სასამართლოს არ მოეთხოვება დეტალური პასუხი გაცეს ყველა არგუმენტს, მაგრამ დასაბუთების ვალდებულება გულისხმობს, რომ მხარეებმა უნდა მიიღონ კონკრეტული და პირდაპირი პასუხი მათ არგუმენტებზე, რომლებსაც გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.⁶²³ როდესაც სასამართლო განიხილავს ერთი მხარის მოსაზრებებს და სიღრმისეული შეფასების გარეშე, ზედაპირულად მოიხსენიებს მეორე მხარის არგუმენტებს, რომლებსაც გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლო, კონვენციის მე-6.1 მუხლი ირღვევა. დასაბუთების ასეთი ხარვეზი იყო, მაგალითად, საქმეზე *დონადე საქართველოს წინააღმდეგ*.⁶²⁴

მერე მნიშვნელოვანი შინაარსობრივი ხარვეზი, რომელიც ახასიათებს ჯდარკავას საქმის ციტირებას და თუნდაც, რუიზ ტორიხას საქმეზე დამატებით მითითებას, არის ის, რომ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული დასაბუთების ზოგადი ვალდებულების გარდა, არსებობს სპეციალური ვალდებულება, რომ კონვენციით გარანტირებულ უფლებაში ჩარევა დასაბუთებულად უნდა შეფასდეს ევროპული სასამართლოს მიერ შესატყვისი სტანდარტების საფუძველზე, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში.

მაგალითად, ჯდარკავას საქმეზე, კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტზე მითითება, მართებულია გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში.⁶²⁵ ამ შემთხვევაში, დავა არ ეხება კონვენციით გარანტირებულ არც ერთ უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შემოწმებას, რაც ევროპული სასამართლოს იურისდიქციაში *ratione materiae* იქნებოდა.

თუმცა სხვა საქმეებზე, სადაც სამოქალაქო სამართალწარმოება, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას ეხება, კონვენციიდან გამომდინარე დასაბუთების ვალდებულებაზე მითითება მე-6 მუხლით, არასწორია, რადგან კონვენციის მე-10 მუხლი

⁶²³ *Farzaliyev v. Azerbaijan*, no. 29620/07, ECtHR, 28.5.2020, §36.

⁶²⁴ *Donadze c. Géorgie*, no. 74644/01, ECtHR, 7.3.2006, §§35-36.

⁶²⁵ ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.8.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/407-2017.

სპეციალური მუხლია ასეთ შემთხვევაში და სწორედ ამ მუხლზე დამკვიდრებული პრაქტიკით დასაბუთების ვალდებულება ეკისრება ეროვნულ სასამართლოს. იგივე ვრცელდება შრომით დავებზე, რომლებშიც მიზეზზე დაფუძნებული ანდა შედეგზე დაფუძნებული მიდგომით შეიძლება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევა დადგინდეს და ამ შემთხვევაში, დასაბუთების თვალსაზრისით, სპეციალური მუხლია კონვენციის მე-8 მუხლი.

7.2. გამოხატვის თავისუფლება v. პირადი ცხოვრების დაცულობა

კონვენციის მე-10 მუხლი ისეა ფორმულირებული, რომ გამოხატვის თავისუფლება ერთადერთი უფლებაა, რომელიც შესაბამისი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობისგან განუყოფელია. ასეთი ექსკლუზიური ფორმულირების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ძირითად უფლებებს შორის ინფორმაციის და იდეების გავრცელების თავისუფლება ყველაზე ინვაზიური უფლებაა, რომლის ბუნებიდან გამომდინარე მისი განხორციელება ყოველთვის გულისხმობს სხვა ინდივიდუალურ თუ საჯარო ინტერესებში აქტიურ ჩარევას.⁶²⁶ ამიტომ გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია უნდა ხორციელდებოდეს სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობით. ამის საჭიროება კიდევ უფრო გაამძაფრა ტექნიკის თანამედროვე მიღწევებმა.⁶²⁷

როდესაც პასუხისმგებლური გამოხატვის მოთხოვნა დაცული არ არის, გამოხატვის თავისუფლება მართლზომიერად უნდა შეიზღუდოს კანონის საფუძველზე (შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფორმულირებები, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განმარტოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებული სამართლებრივი სიცხადის, წინასწარგანჭვრეტადობის და სამართლის უზენაესობის პრინციპებთან

⁶²⁶ Mchedlidze N., Modern Challenges to Freedom of Expression: Need for Recalibration of the ECtHR Approach to Facts and Value Judgments, *Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung*, 4/2023, 28.

⁶²⁷ იხ. უფლისაშვილი თ., რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში – საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 114.

შესაბამისობაში⁶²⁸), ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და უფლებაში ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მე-10.2 მუხლის შესაბამისად.⁶²⁹ როდესაც გამოხატვის თავისუფლება პირად არაქონებრივ ინტერესში იჭრება, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერების მოთხოვნა დაკმაყოფილებულია *inter alia* სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე. შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანიც არსებობს, რადგან პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება კონვენციით გარანტირებული „სხვათა უფლებაა“. თუმცა უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შემოწმება ამით არ უნდა დამთავრდეს. ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს, თუ რომელ ინტერესს და უფლებას მიაჩნის უპირატესობა, გამოხატვის თავისუფლებასა და საპირწონე უფლება-ინტერესს შორის სამართლიანი წონასწორობის დასაცავად. ეს კომპონენტი გულისხმობს დემოკრატიულ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასებას, რომელიც ორი ქვეკრიტერიუმისგან შედგება: ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება და ჩარევის თანაზომიერება დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. ეროვნულმა სასამართლომ, მინიჭებული მიხედულების ფარგლებში, მხედველობაში უნდა მიიღოს ყველა რელევანტური გარემოება და სათანადოდ დაასაბუთოს გადაწყვეტილება, მიღებული გამოხატვის თავისუფლების თუ საპირწონე ინტერესის სასარგებლოდ.⁶³⁰

ფაქტის და შეფასებითი მსჯელობის სათანადოდ გამიჯვნა და გამოხატვის შესატყვისად კვალიფიკაცია, დასაბუთების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაა. ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებიდან გადაწყვეტილებაში იმეორებს, რომ ეროვნული სასამართლო ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს ამ ორ ცნებას შორის განსხვავებას.⁶³¹

⁶²⁸ Mchedlidze N., Overview of the Case-Law of the European Court of Human Rights Regarding Media's Influence on Court Proceedings, *South Caucasus Law Journal*, 08/2017, 289.

⁶²⁹ ზოგადი პრინციპები, თუ როგორ უნდა შეფასდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის „აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დიდმა პალატამ შეაჯამა საქმეზე *NIT S.R.L. v. the Republic of Moldova* [GC], no. 28470/12, ECtHR, 5.4.2022, §177.

⁶³⁰ მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 87-88, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶³¹ პირველად განსხვავება ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქმეში *Lingens v. Austria* [Plenum], no. 9815/82, ECtHR, 8.7.1986, §46.

განსხვავება აუცილებელია, რათა სათანადოდ შეფასდეს და დასაბუთდეს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება.⁶³²

7.2.1. ფაქტი და შეფასებითი მსჯელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ფაქტის არსებობის დემონსტრირება შესაძლებელია, ხოლო შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება – შეუძლებელი, რადგან ეს კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებული უფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტის – აზრის თავისუფლების დარღვევას გაუტოლდებოდა.⁶³³

ფაქტის და შეფასებითი მსჯელობის გასამიჯნად, მხედველობაში მიიღება საქმის გარემოებებისა და გამოხატვის ზოგადი ტონიც. საზოგადოების ინტერესის საკითხებზე განცხადებები შეიძლება ჩაითვალოს შეფასებით მსჯელობად და არა ფაქტად.⁶³⁴

განცხადება, რომელიც შეიცავს ფაქტს, უნდა დადასტურდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ გამოხატვა ცილისწამებაა. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებითი მსჯელობის ჭეშმარიტების დამტკიცება შეუძლებელია, მას მაინც უნდა ჰქონდეს ფაქტობრივი საფუძველი. თუ შეფასებით მსჯელობას საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ აქვს, იგი გადაჭარბებულია.⁶³⁵

გამოხატვის ფაქტად თუ შეფასებით მსჯელობად კვლავიკაციისას, ევროპული სასამართლო ეროვნულ სასამართლოს მიხედულების გარკვეულ ფარგლებს ანიჭებს.⁶³⁶

⁶³² *Cheltsova v. Russia*, no. 44294/06, ECtHR, 13.6.2017, §80.

⁶³³ *Drousiotis v. Cyprus*, no. 42315/15, ECtHR, 5.7.2022, §44.

⁶³⁴ *Morice v. France* [GC], no. 29369/10, ECtHR, 23.4.2015, §126; *Freitas Rangel v. Portugal*, no. 78873/13, ECtHR, 11.1.2022, §51. მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 102, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶³⁵ *Azadliq and Zayidov v. Azerbaijan*, no. 20755/08, ECtHR, 30.6.2022, §37. მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 89, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶³⁶ *Egill Einarsson v. Iceland*, no. 24703/15, ECtHR, 7.11.2017, §48.

ზოგ საქმეში, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ განსხვავება არ არის გაკეთებული,⁶³⁷ ან თავად აკვალიფიცირებს სადავო გამოხატვას.⁶³⁸ ზოგჯერ, სასამართლო არ ცვლის ეროვნული სასამართლოს კვალიფიკაციას, მაგრამ აშკარაა, რომ მის გადაწყვეტილებას არ ეთანხმება. ასეთ დროს, როგორც წესი, საპირწონე ინტერესი მაინც დარღვეულად მიიჩნევა, რადგანაც შეფასებით მსჯელობას ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია და გადამეტებულია. მაგალითად, საქმე *ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ* ეხებოდა იუსტიციის მინისტრის მიერ განმცხადებლისთვის საჯაროდ დანაშაულის დაბრალებას. ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ მინისტრის სიტყვები შეფასებითი მსჯელობა იყო, რასაც მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დისკუსიაში წვლილი შეჰქონდა და განმცხადებელს, როგორც საჯარო პირს, უნდა მოეთმინა. ეროვნული სასამართლოების აზრით,⁶³⁹ სადავო განცხადება შეადგენდა შეფასებით მსჯელობას და არ იყო გადამეტებული. კვალიფიკაციის შეცვლის გარეშე, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არც ერთ ეროვნულ სასამართლოს არ განუმარტავს, როგორ შეიძლება პირის წინააღმდეგ მძიმე ფაქტობრივი ბრალდება შეადგენდეს შეფასებით მსჯელობას და თან არ იყოს გადამეტებული.⁶⁴⁰

7.2.2. ფაქტი და შეფასებითი მსჯელობა საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში „სპეციალური კანონი“) სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით პირად არაქონებრივ უფლებებსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით რეგულაციას ითვალისწინებს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით

⁶³⁷ *Kılıçdaroğlu v. Turkey*, no. 16558/18, ECtHR, 27.10.2020, §64.

⁶³⁸ *Brosa v. Germany*, no. 5709/09, ECtHR, 17.4.2014, §§43-50.

⁶³⁹ იხ. მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 88-89, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶⁴⁰ *Jishkariani v. Georgia*, no. 18925/09, ECtHR, 20.9.2018, §52.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში დადგენილი მტკიცების ტვირთის და მტკიცებულებითი სტანდარტისგან საგამონაკლისო წესს უზრუნველყოფს.

სპეციალური კანონის მუხლი 1.ა) ადგენს, რომ განცხადება არის „ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო.“ მუხლი 1.ბ) ითვალისწინებს, რომ აზრი არის „შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.“ მუხლი 1.ე) ცილისწამებად განსაზღვრავს „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და პირისთვის ზიანის მიმყენებელ, მისი სახელის გამტეხ განცხადებას.“

ფაქტის აღსანიშნად ტერმინი „განცხადება“ არასწორია, რადგან განცხადება შეიძლება შეფასებით მსჯელობასაც შეიცავდეს. განცხადების განმარტებაში გამორჩენილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამოკვეთილი ძირითადი მახასიათებელი – ფაქტი მტკიცებას ექვემდებარება. შეფასებითი მსჯელობის განმსაზღვრელი ტერმინიც შეცდომაში შემყვანია, რადგან „აზრი“ კონვენციის მე-9 მუხლის (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) დაცვის სფეროში შედის. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინები: ფაქტები და შეფასებითი მსჯელობა.⁶⁴¹ მით უმეტეს, საერთო სასამართლოები, ხშირად განცხადების ნაცვლად „ფაქტს“ იყენებენ. შეფასებითი მსჯელობა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც „ღირებული მოსაზრებები“. ⁶⁴² სიტყვა „ღირებული“ შეფასებითი მსჯელობის დატვირთვას არასწორად გადმოსცემს, რადგან შეფასებითი მსჯელობა შეიძლება „არაღირებულ“ მოსაზრებებსაც შეიცავდეს. ამიტომ, უმჯობესია, ამ ფორმულირებაზე საერთოდ უარი ითქვას.

⁶⁴¹ *Facts, value judgments.*

⁶⁴² იხ., მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 8.11.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/7092-17, გვ.21; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.1.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2-836-17, გვ.17.

7.2.3. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ფაქტებისა და შეფასებითი მსჯელობის განსხვავება მჭიდრო კავშირშია სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთთან და მტკიცებულებით სტანდარტთან. ევროპული სასამართლოსთვის პრობლემური არ არის გამოხატვის ავტორზე დაკისრებული მოთხოვნა, დაამტკიცოს ფაქტის სიმართლე.⁶⁴³ ასეთი შეფასება საქართველოს მიმართაც არის გაკეთებული. საქმეზე *ქათამაძე საქართველოს წინააღმდეგ*,⁶⁴⁴ განმცხადებელმა სტატიაში გაზეთის რედაქტორი და ჟურნალისტები გააკრიტიკა. ამ უკანასკნელებმა სასამართლოს მიმართეს და განაცხადეს, რომ ქ-ნი ქათამაძე პრესის მეშვეობით ჭორებს ავრცელებდა და მათ რეპუტაციას ლახავდა. ეროვნულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის ბრალდებები საფუძველს მოკლებული იყო, რადგან მან ვერ წარადგინა თავისი ბრალდებების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

მოცემულ დროს, სპეციალური კანონი არ მოქმედებდა და სამართალწარმოებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი საერთო წესი ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მოპასუხეს მტკიცების ტვირთს აკისრებდა, ქ-ნმა ქათამაძემ უარი თქვა, დაემტკიცებინა თავისი ბრალდებები. მას დაზარალებული პირების სასარგებლოდ მორალური კომპენსაცია დაეკისრა. ევროპულმა სასამართლომ განაცხადი არსებითად განსახილველად არ მიიღო, რადგან მე-10 მუხლის საწინააღმდეგოდ არ მიიჩნია გამოხატვის ავტორზე დაკისრებული ვალდებულება, დაედასტურებინა მის მიერ გავრცელებული ფაქტების სისწორე.⁶⁴⁵

მტკიცებულებით სტანდარტთან დაკავშირებით რელევანტურია *ბროზა გერმანიის წინააღმდეგ*. განმცხადებლის წინასაარჩევნო ბროშურა ამომრჩევლებს მოუწოდებდა, ხმა არ მიეცათ კონკრეტული კანდიდატისთვის, რომელიც ნეონაციტურ ორგანიზაციას

⁶⁴³ *Kasabova v. Bulgaria*, no. 22385/03, ECtHR, 19.4.2011, §58.

⁶⁴⁴ *Katamadze c. Georgie* (dec.), no. 69857/01, ECtHR, 14.2.2006.

⁶⁴⁵ იქვე.

მფარველობდა.⁶⁴⁶ ცილისწამების შესახებ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, განმცხადებელს მოეთხოვა ინფორმაციის დამტკიცება, მაგრამ ეროვნული სასამართლოს მტკიცებულებითი სტანდარტი, ევროპული სასამართლოს აზრით, გადამეტებული იყო.⁶⁴⁷ „უტყუარი მტკიცებულებებით“ (*compelling proof*) ბროშურაში მითითებული ფაქტის დამტკიცების მოთხოვნა სისხლის სამართალწარმოების მტკიცებულებით სტანდარტს უახლოვდებოდა და სამოქალაქო სამართალწარმოებასთან შეუთავსებელი იყო.⁶⁴⁸

7.2.4. მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს სამოქალაქო სამართალწარმოება მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება.⁶⁴⁹ „მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.“⁶⁵⁰ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დეტალურად განსაზღვრავს მტკიცების ტვირთის განაწილებას. „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“⁶⁵¹

სამოქალაქო პროცესში მოსარჩელე ამტკიცებს სასარჩელო განცხადებაში ასახულ ფაქტებს, ხოლო მოპასუხე უარყოფს მოსარჩელის არგუმენტებს და წარადგენს მტკიცებულებებს, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების გასაქარწყლებლად. მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტებით ვერ იქნება გადაწონილი მოსარჩელის

⁶⁴⁶ *Brosa v. Germany*, no. 5709/09, ECtHR, 17.4.2014, §§6-7.

⁶⁴⁷ იქვე, §48. მტკიცებულებით სტანდარტთან დაკავშირებით, იხ. 103.

⁶⁴⁸ იქვე.

⁶⁴⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.1.

⁶⁵⁰ იქვე.

⁶⁵¹ იქვე, მუხლები 102.1, 102.2.

პოზიცია. ამით სამოქალაქო პროცესში მხარისთვის არახელსაყრელი მატერიალურსამართლებრივი შედეგის პრევენცია ხდება.⁶⁵²

როგორც აღინიშნა, ქათამადის საქმეზე ეროვნული სამართალწარმოება განხორციელდა სპეციალური კანონის ამოქმედებამდე, ამ უკანასკნელმა კი სამოქალაქო სამართალწარმოებაში მტკიცების ტვირთის განაწილების განსაკუთრებული წესი შემოიღო. მე-7.1 მუხლით, „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვისას მტკიცების ტვირთი ეკისრება შეზღუდვის ინიციატორს.“ სპეციალური კანონის მე-13 მუხლის თანახმად, „პირს ეკისრება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა.“ **უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით**, ეს ნორმა, რომელიც მოსარჩელეს აკისრებს მტკიცების ტვირთს, გულისხმობს მის ვალდებულებას, რომ დაამტკიცოს: „ა) მოპასუხემ მის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადავო განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ღირსებასა ან/და საქმიან რეპუტაციას.“⁶⁵³

სპეციალური კანონის მე-7.2 მუხლით, „შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ.“ ეს არის სტანდარტი, რომელიც მოქმედებს სისხლის სამართალწარმოებაში. სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რომლის მხარეებიც კერძო პირები არიან, მსგავსი საკანონმდებლო უპირატესობის მინიჭება დაუშვებელია. ევროპული სასამართლოს სტანდარტს არ შეესაბამება არც სპეციალური კანონის მუხლი 7.5, რომლის თანახმადაც, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი

⁶⁵² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N2/25829-19, §3.2.

⁶⁵³ იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე Nას-57-2023, §47.

წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“, რისი შედეგიც, გამოხატვისთვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის დაკისრების გამორიცხვაა.⁶⁵⁴ კონვენცია გამოხატვის თავისუფლებას და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას თანაბარ უფლებებად განიხილავს, წინასწარ დადგენილი იერარქიის გარეშე. სახელმწიფოს ორივე უფლებასთან მიმართებით თანაბარი მიხედულების ფარგლები აქვს.⁶⁵⁵

„უტყუარი მტკიცებულებების“ მტკიცებულებითი სტანდარტი ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს მიერ ბროზას საქმეზე დადგენილ სტანდარტს. ასეთ შემთხვევაში, საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება აუცილებელია, ხოლო შესატყვისი ცვლილებების განხორციელებამდე, ეროვნულმა სასამართლოებმა, სუბსიდიარობის პრინციპიდან და კანონმდებლობის მიმართ კონვენციის უპირატესი ძალიდან გამომდინარე, უარი უნდა თქვან სპეციალური კანონით დადგენილი საგამონაკლისო მტკიცებულებითი სტანდარტის გამოყენებაზე და გამოიყენონ სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის ზოგადად დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტი.⁶⁵⁶

ამის ნაცვლად, ზოგი სასამართლო კონვენციის მე-10 მუხლისა თუ ევროპული სასამართლოს შესატყვის სტანდარტების ხსენების გარეშე, უთითებს მხოლოდ სპეციალური კანონით დადგენილ მტკიცებულებით სტანდარტზე.⁶⁵⁷ სხვა შემთხვევაში, სასამართლო ვრცლად ციტირებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და მაინც ადგენს, რომ სპეციალური კანონის მე-7 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს.⁶⁵⁸

⁶⁵⁴ *Vide infra*, პასუხისმგებლობა შეფასებითი მსჯელობისთვის.

⁶⁵⁵ *Hurbain v. Belgium* [GC], no. 57292/16, ECtHR, 4.7.2023, §201.

⁶⁵⁶ იხ. მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 103, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶⁵⁷ მაგალითად, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 18.1.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/844-2018, გვ.3.

⁶⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.4.2020 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1366-2019, §105.

7.2.4.1. გამონაკლისი დანაშაულის დაბრალებისას

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ დადგენილი პრაქტიკით, როცა პირი ამტკიცებს დანაშაულის ჩადენას, ამ განცხადების დამტკიცება „მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითაა შესაძლებელი.“⁶⁵⁹

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საქმეზე, მოპასუხე ტელეკომპანიების სატელევიზიო სიუჟეტებში, მოსარჩელე დადანაშაულებული იყო ტრანსნაციონალური, ორგანიზებული დანაშაულის მფარველობაში და ე.წ. ქოლცენტრების თაღლითურ სქემაში, რომლითაც ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია ფინანსდებოდა.⁶⁶⁰ **თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით**, „ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებში მოპასუხეს არ მოეთხოვება მოსარჩელის დანაშაულებრივი ქმედებების დადასტურების იმგვარი მტკიცებულებითი სტანდარტი, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოსატანად.“⁶⁶¹ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დანაშაულის დაბრალებისას ჟურნალისტს არანაირი მტკიცების ტვირთი არ ეკისრება. მოპასუხეს არ წარუდგენია მტკიცებულება, ფაქტების საფუძვლიანობის შესამოწმებლად. მოპასუხემ მიუთითა ანონიმურ წყაროზე, რომლის გამხელის ვალდებულებას სასამართლო ვერ დააკისრებდა. თუმცა „სხვა რაიმე ხელშესახები მტკიცებულებით“ ტელეკომპანიას უნდა ეჩვენებინა, რომ ეცადა ინფორმაციის გადამოწმებას, ან ანონიმური წყაროს მიუთითებლად, მისი არსებობა უნდა დაედასტურებინა. აღნიშნული მტკიცების ტვირთი მოპასუხეს არ შეუსრულებია.⁶⁶² სააპელაციო სასამართლოს შესაფასებელი იყო ჟურნალისტის ქმედებები ინფორმაციის გადამოწმების უზრუნველსაყოფად.⁶⁶³

⁶⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.7.2017 გადაწყვეტილება საქმეზე №ს-1011-972-2016.

⁶⁶⁰ ხელმისაწვდომია მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე №ს-57-2023/2023.

⁶⁶¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.11.2022 განჩინება ციტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინებაში საქმეზე №ს-57-2023, §25.8.

⁶⁶² იქვე.

⁶⁶³ იქვე, §25.15.

აღნიშნული მსჯელობა, რომელიც უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამც გაიზიარა, პრობლემური არ არის და ევროპული სასამართლოს ზემოთ განხილულ პრაქტიკას შეესატყვისება. პრობლემურია ის, თუ მხოლოდ დანაშაულის დაბრალებისას რატომ ხდება სპეციალური კანონით დადგენილ მტკიცების ტვირთის განაწილების წესზე უარის თქმა.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა პალატის განჩინებაში აღნიშნული შემდეგნაირად განიმარტება. რადგან პირს ვერ დაეკისრება ვალდებულება ამტკიცოს, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, „მტკიცების ტვირთის გადაკისრების შესაბამისი სახის ჩანაწერი იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას“, რომ მტკიცების ტვირთი შეასრულოს ჟურნალისტმა და ამტკიცოს ინფორმაციის მართებულობა.⁶⁶⁴ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნავს⁶⁶⁵ და საკასაციო სასამართლოც ეთანხმება,⁶⁶⁶ რომ „ევროსასამართლოს განმარტებითაც, რამდენადაც სერიოზულია ბრალდება, იმდენად სერიოზული უნდა იყოს ფაქტობრივი საფუძველი (Abeberry v France).“ დანაშაულის დაბრალებისას, ფაქტის დადასტურება მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენით არის შესაძლებელი⁶⁶⁷ და ამ ტვირთის პირის მიერ შესრულება შეუძლებელია.

არც ციტირებული საქმე და არც, ზოგადად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ ახდენს „ზოგადად ფაქტის“ და „დანაშაულებრივი ფაქტის“ დიფერენცირებას, არც მტკიცების ტვირთის განაწილების განსხვავებული წესით და არც განსხვავებული მტკიცებულებითი სტანდარტით დადასტურების მოთხოვნით. განსხვავება არის ფაქტის დადასტურების შესაძლებლობასა (შესაბამისად, გამოხატვის ავტორზე მტკიცების ვალდებულების დაკისრებაში) და შეფასებითი მსჯელობის დადასტურების შეუძლებლობაში (შეფასებით მსჯელობას ფაქტობრივი საფუძველი მაინც უნდა

⁶⁶⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე Nას-57-20232023, §§25.12.

⁶⁶⁵ 25.14.

⁶⁶⁶ 61.

⁶⁶⁷ *Vide supra*.

ჰქონდეს).⁶⁶⁸ მხოლოდ დანაშაულის დაბრალებისას მტკიცების ტვირთის გამოხატვის ავტორზე გადაკისრება კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტი არ არის.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა და საკასაციო სასამართლოც დაეთანხმა, რომ მოთხოვნა, პირმა დანაშაულის არჩადენა ამტკიცოს, უდანაშაულობის პრეზუმფციას ეწინააღმდეგება.⁶⁶⁹ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში დეტალურად განხილული სტანდარტის საფუძველზე, რომელიც სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ უდანაშაულობის პრეზუმფციას შეეხება, უკვე გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნულ კონტექსტში მსგავსი ბლანკეტური მითითება კონვენციის საფუძველზე დასაბუთების რელევანტურ სტანდარტს არ ასახავს.⁶⁷⁰

დანაშაულის დაბრალებისას „ფაქტობრივი საფუძვლის მეტ სერიოზულობაზე“ მითითება ლოგიკურად უნდა გულისხმობდეს უფრო მაღალი სტანდარტით ფაქტის დადასტურების მოთხოვნას. არც ეს მსჯელობა არ ემყარება კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტს.

კერძოდ, აღსანიშნავია აზერბაიჯანის წინააღმდეგ საქმე, რომელშიც საჯარო მოხელეს კორუფციაში დასდეს ბრალი და ინფორმაციის გამავრცელებელ გაზეთს და მთავარ რედაქტორს გამოხატვის თავისუფლებაზე დავა მოუწიათ სტრასბურგში. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირზე დაკისრებული მოთხოვნა, გონივრული სტანდარტით დაამტკიცოს ფაქტის და არა აუცილებლად დანაშაულის დამაბრალებელი განცხადების სისწორე, მე-10 მუხლს არ ეწინააღმდეგება. ამასთან, თუ განმცხადებელი მნიშვნელოვან საკითხზე საჯარო დისკუსიაში მონაწილეობს, მას არ შეიძლება მოეთხოვოს სათანადო გულმოდგინებაზე (*due diligence*) მკაცრი სტანდარტის დაკმაყოფილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტის დამტკიცების ვალდებულება პირს დაცვის გარეშე ტოვებს.⁶⁷¹

⁶⁶⁸ იხ. *inter alia*, საკასაციო სასამართლოს მიერ ციტირებული საქმე *Abeberry c. France*, no. 58729/00, 21.09.2004 და *Azadliq and Zayidov v. Azerbaijan*, no. 20755/08, ECtHR, 30.6.2022, §37.

⁶⁶⁹ იქვე, §§25.14, 61.

⁶⁷⁰ *Vide supra*, ოჯახში ძალადობის საქმეებზე უდანაშაულობის პრეზუმფციის საკითხის განხილვა.

⁶⁷¹ *Azadliq and Zayidov v. Azerbaijan*, no. 20755/08, ECtHR, 30.6.2022, §35.d).

სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მსჯელობისგან განსხვავებით, სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკური წესი არ უნდა მოქმედებდეს არა მხოლოდ დანაშაულის დაბრალებისას, არამედ ზოგადად ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელებისას. საერთო სასამართლოებმა მასზე უარი უნდა თქვან არა იმიტომ, რომ განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით მოითხოვება სერიოზული ბრალდების გამორიცხვა და მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება დადგინდეს დანაშაულის ჩადენა; არა იმიტომ, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში, ყველა შემთხვევაში, როცა პირს უწევს ამტკიცოს დანაშაულის არჩადენა, მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია ირღვევა. ასეთ წესზე უარი უნდა ითქვას, რადგან კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტი მოითხოვს მტკიცების ტვირთის გონივრულ განაწილებას მხარეთა შორის და გამოხატვის ავტორზე დაკისრებული მოთხოვნა, დაადასტუროს ფაქტი, მე-10 მუხლთან შესაბამისობაშია. სპეციალური კანონით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების საგამონაკლისო წესის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე, ეროვნული სასამართლოს მიდგომა, რომ გამოხატვის ავტორს მოსთხოვოს ფაქტის დადასტურება, დანაშაულის დაბრალების გარდა, უნდა ვრცელდებოდეს ყველა შემთხვევაში, როცა პირი ავრცელებს ფაქტის შემცველ განცხადებას.

7.2.5. პასუხისმგებლობა შეფასებითი მსჯელობისთვის

სპეციალური კანონის მუხლი 4.1 აზრს აბსოლუტური პრივილეგიით იცავს. **უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაც** როგორც ადრინდელ,⁶⁷² ისე ბოლოდროინდელ გადაწყვეტილებებში⁶⁷³ ადგენს, რომ შეფასებითი მსჯელობისთვის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

⁶⁷² ⁶⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.2.2012 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1278-1298-2011, გვ.9.

⁶⁷³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.4.2020 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1366-2019, §128.

აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, რომლის თანახმადაც, შეფასებით მსჯელობასაც უნდა ჰქონდეს საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი“, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეფასებითი მსჯელობა გადამეტებულია.⁶⁷⁴ ანუ, თუ შეფასებით მსჯელობას საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი არ გააჩნია, ეროვნულმა სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პირადი ცხოვრების დაცულობის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო არღვევს მიხედულების ფარგლებს და სამართლიან წონასწორობას კონფლიქტურ ინტერესებს შორის არ ამყარებს.

სპეციალური კანონის მუხლი 2 ითვალისწინებს, რომ „ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს ... საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.“ უზენაესი სასამართლო ვრცლად მიმოიხილავს საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლის მოთხოვნას ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში.⁶⁷⁵ უხვად ციტირებული საქმეების მიუხედავად, უზენაესი სასამართლო მაინც სპეციალური კანონით ხელმძღვანელობს და იმეორებს მის ხარვეზიან ფორმულირებებს, რომ აზრის აბსოლუტური პრივილეგიით დაცულობა პირს პასუხისმგებლობისაგან სრულად და უპირობოდ ათავისუფლებს.⁶⁷⁶ მათ შორის, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლიდან გამომდინარეც, „ნათელია, რომ შეფასებითი მსჯელობაც კი, გარკვეულ ფაქტობრივ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს, რათა ეს შეფასებითი მსჯელობა სათანადოდ ჩაითვალოს.“⁶⁷⁷ მაგრამ ეს მსჯელობა, მოყვანილი იქნა იმ დასკვნის გასაძლიერებლად, რომ ჟურნალისტების მძიმე ბრალდებები შესატყვის ფაქტობრივ საფუძველს არ ეფუძნებოდა.⁶⁷⁸ ის, თუ როგორ ციტირებს ეროვნული სასამართლო

⁶⁷⁴ *Annen v. Germany (no. 6)*, no. 3779/11, ECtHR, 18.10.2018, §25.

⁶⁷⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.4.2020 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1366-2019, §§89, 107, 113-115, 120.

⁶⁷⁶ იქვე, §128.

⁶⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე Nას-57-2023/2023, 58.

⁶⁷⁸ *Vide supra*, გამონაკლისი დანაშაულის დაბრალებისას.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკას გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში და იყენებს სწორედ ხარვეზიან საკანონმდებლო ნორმებს, ამ საქმეებზე სტანდარტების გამოყენების მხოლოდ დეკორაციულ დატვირთვაზე მეტყველებს.

7.3. საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება საერთო სასამართლოების მიერ

საკანონმდებლო ხარვეზებს ემატება ისიც, რომ საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას, ხშირად, არასწორად/არასრულად იყენებენ გამოხატვის ფაქტად თუ შეფასებით მსჯელობად კვალიფიკაციისას. ხშირად, ეროვნულ სასამართლოს ევროპული სასამართლოს რელევანტური სტანდარტები სათანადოდ აქვს ციტირებული, მაგრამ ფაქტობრივი გარემოებების განხილვისას ამ სტანდარტებს რეალურად არ იყენებს და მსჯელობას ავითარებს ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით. მსგავსი გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხი დაბალია და შესაბამისად, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები – დარღვეული.⁶⁷⁹

მაგალითად, ეროვნული სასამართლო აღიარებს, რომ „აზრი“ და „ფაქტი“ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ამიტომ მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია.⁶⁸⁰ ამ დასკვნის არსი ემსგავსება ევროპული სასამართლოს შეფასებას, რომ ფაქტსა და შეფასებით მსჯელობას შორის ერთი შეხედვით არსებული განსხვავების მიუხედავად, ყოველთვის იოლი არ არის მათი გამიჯვნა.⁶⁸¹ ეროვნული სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო გამოხატვის კვალიფიკაციისას საჭიროა, შემოწმდეს გამონათქვამის შინაარსი, კონტექსტი, „რა ფაქტობრივი კომპონენტებისაგან შედგება გამონათქვამი“.⁶⁸² ეს

⁶⁷⁹ მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, 87, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.02.2024].

⁶⁸⁰ იხ., მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 8.11.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/7092-17, გვ.21; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 21.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/1032-18, გვ.14; საჩხერის რაიონული სასამართლოს 7.9.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/124-2018, გვ.10;

⁶⁸¹ *Timakov and OOO ID Rubezh v. Russia*, nos. 46232/10, 74770/10, ECtHR, 8.9.2020, §68.

⁶⁸² იხ., მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 3.4.2012 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1477-1489-2011.

მსჯელობაც თავსებადია ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან. თუმცა ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასაც და ლოგიკასაც ეწინააღმდეგება.

„ცილისწამების მაკვალიფიცირებელი ერთ-ერთი მთავარი ნიშანია განმცხადებლის მიერ იმ ფაქტების მითითება, რომლებიც რეალობასთან არც ისე შორსაა, უფრო კონკრეტულია და არა ზოგადი ხასიათის, უფრო მეტად ობიექტური შინაარსისაა, ვიდრე სუბიექტური და, რაც მთავარია, მისი დადასტურება (დამტკიცება) შესაძლებელია.“⁶⁸³

უწინარეს ყოვლისა, ფაქტი სინამდვილეს შეესაბამება, ან არ შეესაბამება. ფაქტი „რეალობასთან არც ისე შორი“ ვერ იქნება, როგორც ამას ეროვნული სასამართლო განმარტავს. ფაქტი ან არის რეალობასთან და სინამდვილესთან შესაბამისი, ან – არა. იგივე ითქმის სუბიექტურობასა და ობიექტურობაზე. ამასთან, ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში **უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა** ცილისწამებას ურევს ფაქტში. ფაქტი არის ის, რისი დადასტურებაც შესაძლებელია. ცილისწამება არის ფაქტის შემცველი განმცხადება, რომლის დადასტურებაც შესაძლებელია, მაგრამ რომლის დასამტკიცებლადაც პირი მტკიცებულებას არ/ვერ უთითებს.

იგივე უზუსტობა არის სხვა გადაწყვეტილებებშიც. მაგალითად, **უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა** აღნიშნავს: „პირველ რიგში უნდა შეფასდეს, სადავო განცხადებები წარმოადგენს თუ არა ცილისწამებას (ფაქტების შემცველ განცხადებას).“⁶⁸⁴ მიუხედავად იმისა, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1.ე). ადგენს, რომ ცილისწამება არის „არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება,“ უზენაესი სასამართლო მაინც თავისუფლ მცდარ განმარტებას იყენებს, რომელიც ფაქტის განსაზღვრებას ემთხვევა.

⁶⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1.10.2014 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-179-172-2012.

⁶⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.5.20212 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-697-651-2017.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის გადაწყვეტილება.⁶⁸⁵ იუსტიციის მინისტრმა, პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას შემდეგი განცხადება გააკეთა ევროპულ სასამართლოში *ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ* საქმის განმხილველ, საქართველოს მხრიდან შერჩეულ *ad hoc* მოსამართლეზე: „ეს არის მოსამართლე, რომელიც და მე ეს თუ არა სხვას ვის, მე კარგად მახსოვს, სტრასბურგის სასამართლოში ბრძანდებოდა წარმოვლენილი მთავრობის მიერ და ამტკიცებდა, რომ სანდრო გირგვლიანი არავის მოუკლავს, ის ბუჩქებზე წაიქცა და ამგვარად გამოიჭრა ყელი შემთხვევით.“⁶⁸⁶

განცხადება ტელევიზიებმა და ინტერნეტგამოცემებმა გააზიარეს.⁶⁸⁷ კასატორის მოსაზრებით, მოპასუხის განცხადება იყო სიცრუე და ცილისწამება, რამაც უხეშად შელახა მისი როგორც მოსამართლის, ისე ადამიანის უფლებები. მოპასუხის განცხადება მას სახელს უტეხდა და მის რეპუტაციას ლახავდა. კასატორი ითხოვდა მოპასუხის მიერ ინფორმაციის უარყოფას სამაუწყებლო კომპანიებისა და ინტერნეტ გამოცემების მეშვეობით.⁶⁸⁸

უზენაესმა სასამართლომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ვრცლად გამოიყენა. პრაქტიკა ციტირებულია სამოტივაციო ნაწილში, მაგრამ არსებითად აღწერილობითი ხასიათისაა, რადგან რეალურად სასამართლოს ევროპული სტანდარტები არ გამოუყენებია. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი დანაწესიდან გამომდინარე, გამოყენებული უნდა ყოფილიყო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომელიც

⁶⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.4.2020 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1366-2019.

⁶⁸⁶ იქვე, §2.

⁶⁸⁷ იქვე, §71.

⁶⁸⁸ იქვე, §§1, 3.

პირადი ცხოვრების ასპექტების დამატებით სამოქალაქო რეგულირებას ითვალისწინებს.⁶⁸⁹

ჯიშკარიანის საქმეზე, სახელმწიფომ ევროპულ სასამართლოს განუცხადა, რომ ცილისწამების დეკრიმინალიზაციის შემდეგ, ნორმატიულ დონეზე, გამოხატვის თავისუფლებას პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებასთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება.⁶⁹⁰ მართალია, უზენაესმა სასამართლომ მიუთითა ევროპული სასამართლოს სტანდარტზე, რომ „ორივე უფლება - გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც - თანაბარ დაცვას იმსახურებს“,⁶⁹¹ თუმცა რეალურად გამოიყენა ყველა ის შიდასახელმწიფოებრივი დებულება, რომელიც გამოხატვის თავისუფლებისთვის ნორმატიულ დონეზე უპირატესობას ადგენს, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების საპირისპიროდ.

7.4. საკანონდებლო ხარვეზების გამოსწორება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

ევროპული სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქმეებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგად პრინციპებზე მიუთითებს. მაგალითად, საქმეზე *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა⁶⁹² საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ასახულ საზოგადოების შემწყნარებლობასა და დემოკრატიულ საზოგადოებაში თმენის ვალდებულებაზე.⁶⁹³ ევროპულმა სასამართლომ ეთიკის შესახებ მართლმადიდებლური ეკლესიის წევრების მოსაზრებებისთვის უპირატესობის მინიჭებაზე საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების ქვეტექსტი შეაფასა⁶⁹⁴ და მე-10 მუხლის

⁶⁸⁹ იქვე, §73.

⁶⁹⁰ *Jishkariani v. Georgia*, no. 18925/09, ECtHR, 20.9.2018, §40.

⁶⁹¹ იქვე, §87.

⁶⁹² *Gachechiladze v. Georgia*, no. 2591/19, ECtHR, 22.7.2021, §31.

⁶⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10.11.2009 N1/3/421,42 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

⁶⁹⁴ *Gachechiladze v. Georgia*, no. 2591/19, ECtHR, 22.7.2021, §62.

დარღვევის დადგენისას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ქვეტექსტის საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებებთან წინააღმდეგობა იყო.⁶⁹⁵

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობის, არსის და მასში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებაზე დადგენილი ზოგადი სტანდარტები, რომლებიც პრინციპულად ემთხვევა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ განმარტებებს, თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შესახებ კონკრეტულ დავაზე მორგებისას, ზოგჯერ, საკითხის გადაწყვეტაზე რეალურად ზეგავლენას არ ახდენს. ამის მაგალითია *ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*,⁶⁹⁶ რომელზედაც სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი ნორმა გასაჩივრდა – სასამართლოს უპატივცემულობა, „რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“⁶⁹⁷ მოსარჩელე პრობლემურად მიიჩნევდა მოსამართლის შეურაცხყოფის დასჯადობას მაშინაც, როცა ეს ქმედება სასამართლო განხილვის დროს არ ჩადენილა და არ დაუბრკოლებია მართლმსაჯულების ქმედითად განხორციელება.⁶⁹⁸

კონსტიტუციური სარჩელის არსებითი ხარვეზია, რომ არ გასაჩივრებულა სადავო ნორმით გათვალისწინებული სასჯელის არათანაზომიერება.⁶⁹⁹ ევროპული სასამართლო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უშვებს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას სისხლისსამართლებრივი სანქციით.⁷⁰⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა

⁶⁹⁵ იქვე.

⁶⁹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.7.2023 N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁶⁹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 366.2.

⁶⁹⁸ „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 31.1.2019 კონსტიტუციური სარჩელი N1394.

⁶⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.7.2023 N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.2.-12.

⁷⁰⁰ გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი: ჯისიაი, 2008, 231.

დამაზუსტებელი კითხვების მიუხედავად, ამ მიმართულებით სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.⁷⁰¹

საკონსტიტუციო სასამართლო, ფაქტობრივად, თავად უთითებს, რაც სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობაზე დავის არსებითი ნაწილი უნდა ყოფილიყო – გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით. მოსამართლის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხატვის განხორციელებისას, თუნდაც დადგინდეს უფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება, ჩარევის თანაზომიერება მაინც რჩება დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებაში ჩარევის აუცილებლობის შეფასების იმ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ევროპული სასამართლო გამოხატვის თავისუფლების დარღვევას ადგენს.

მაგალითად, საქმეზე *სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ*, რომელიც პატიმრის მიერ მოსამართლეების შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის სანქციის დაკისრებას შეეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ინსტიტუციისა და დაუსახელებელი, მაგრამ იდენტიფიცირებადი მოსამართლის შეურაცხყოფისას დაცული ინტერესი საკმარისად მნიშვნელოვანი იყო, რომ გაემართლებინა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, მაგრამ რვა თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა არათანაზომიერად მკაცრ სასჯელად შეფასდა.⁷⁰²

საქმე *კუმპანა და მაზარე რუმინეთის წინააღმდეგ* ეხებოდა მოსამართლის შეურაცხყოფისა და დიფამაციისთვის ჟურნალისტებზე დაკისრებული სისხლის სამართლის სანქციის არათანაზომიერებას.⁷⁰³ ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეროვნულ სასამართლოებს საკმარისი და რელევანტური საფუძვლებით ჰქონდათ გამყარებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება,

⁷⁰¹ იქვე, 1.2.-13.

⁷⁰² *Skalka v. Poland*, no. 43425/98, ECtHR, 27.5.2003, §41.

⁷⁰³ *Cumpăna and Mazăre v. Romania* [GC], no. 33348/96, ECtHR, 17.12.2004.

მაგრამ ცალკე შესაფასებელი იყო ამ ჩარევის თანაზომიერება დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.⁷⁰⁴ ჩარევის თანაზომიერების შეფასების ფაქტორები კი არის სწორედ დაკისრებული სანქციის ბუნება და სიმკაცრე.⁷⁰⁵ განმცხადებელ ჟურნალისტებს დაეკისრათ, *inter alia*, შვიდი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ გამოხატვის კონტექსტში თავისუფლების აღკვეთის სასჯელის დაწესება გამართლებულად მიიჩნევა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როგორიცაა სიმულვილის ენა ან ძალადობის მოწოდება.⁷⁰⁶

ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული რელევანტური პრაქტიკის მხედველობაში მიღებით და იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმა მოსამართლის შეურაცხყოფისთვის სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების შეფასება აუცილებელი იყო.

იმასთან დაკავშირებით, უნდა განეხილა თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერება საკონსტიტუციო სასამართლოს იმისგან დამოუკიდებლად, რომ მხარემ ვერ შეძლო ამ მიმართულებით სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირება, აღსანიშნავია საქმე *გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ*. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელმა (რომლის ინტერესებსაც წარმოადგენდა ზუსტად იგივე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც წარმოადგინა ბ-ნი კუპრავას ინტერესები საკონსტიტუციო სასამართლოში) ვერ შეძლო ეროვნული სასამართლოების წინაშე სადავო გამოხატვის საზოგადოების ინტერესის თვალსაზრისით აქტუალურობის დასაბუთება. შესაბამისად, სამწუხარო იყო, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ შეაფასეს სადავო გამოხატვის მნიშვნელობა. მართალია, განმცხადებელმა ვერ შეძლო დამაჯერებელი არგუმენტები წარედგინა, მაგრამ ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელი იყო ის, რომ ეროვნულმა სასამართლომ თავად არ გააკეთა შეფასება, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ

⁷⁰⁴ იქვე, §110.

⁷⁰⁵ იქვე, §111.

⁷⁰⁶ იქვე, §115.

საერთაშორისო სასამართლოსთან შედარებით, ეროვნული სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, იმსჯელოს შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტზე.⁷⁰⁷

როცა მხარეს შესატყვის არგუმენტზე არ აქვს მითითებული, ეროვნული სასამართლოები, კანონმდებლობისა თუ მათ მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მომიჯნავეებით თავიდან არ უნდა ირიდებდნენ ადამიანის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასებას ყველა იმ მიმართულებით, რაც რელევანტურია ევროპული სასამართლოს სტანდარტებიდან გამომდინარე, უფლების შინაარსისა და მოცულობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ პირი ინარჩუნებს დაზარალებულის სტატუსს და უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების საკითხი ისევ ევროპული სასამართლოს განსახილველია. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა ემსჯელა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის თანაზომიერების საკითხზეც, მით უმეტეს, აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისთვის ცხადი იყო, თუ რა მიმართულება უნდა მიეღო კონსტიტუციურ სარჩელს და ამაოდ ეცადნენ, მიეხვედრებინათ კონსტიტუციური სარჩელის ავტორი და მისი წარმომადგენლები, თუ როგორ უნდა დაეზუსტებინათ სასარჩელო მოთხოვნა.⁷⁰⁸

საკონსტიტუციო სასამართლომ მართებულად აღნიშნა უხამსი და უცენზურო გამოხატვის მნიშვნელობა ხელისუფლების კრიტიკის კონტექსტში, თუმცა ხაზი გაუსვა მსგავსი გამოხატვის დაცულობის შედარებით დაბალ ხარისხს და მოსამართლის/სასამართლო ხელისუფლების ნაკლებ თმენის ვალდებულებას. ეს მსჯელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან თავსებადია.

საშიში ტენდენცია გამოჩნდა სასამართლოს ბლანკეტური და ხისტი განმარტებიდან უხამსი, უცენზურო გამოხატვის თაობაზე, რომლის მიზანია მოსამართლის რეპუტაციის დაზიანება და რომელიც ამ გზით, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს ლახავს, აგრეთვე ამცირებს სასამართლო ხელისუფლებისადმი ხალხის ნდობას, „რომლის არსებობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში.“⁷⁰⁹ ამ

⁷⁰⁷ *Gachechiladze v. Georgia*, no. 2591/19, ECtHR, 22.7.2021 §§57-58.

⁷⁰⁸ ამასთან დაკავშირებით, *vide infra, jura novit curia*.

⁷⁰⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.7.2023 N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II- 1.1.10.

ციტატიდან უკვე ჩანს სასამართლოს მიდგომა, რომ წინასწარ დადგენილი იერარქიული უპირატესობა მიანიჭოს გამოხატვის თავისუფლების საპირწონე ინტერესს.

პრობლემურია საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობაც, რომ უხამს და უცენზურო გამოხატუებებს „წინდაწინვე ნაკლები შანსი აქვთ, ღირებულებათა კონფლიქტში პრიორიტეტი მოიპოვონ.“⁷¹⁰ საკონსტიტუციო სასამართლოს ასეთი ზოგადი ფორმულირება ნიშნავს, რომ საერთო სასამართლო კონკრეტული საქმის განხილვისას კონტექსტის და სხვა რელევანტური გარემოებების განხილვას არ შეუდგება. მართალია, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს ფრაზას „ნაკლები შანსი“, რაც თითქოს ტოვებს იმედს, რომ სასამართლო სრულად არ გამორიცხავს უხამსი და უცენზურო გამოხატვის შესაძლო უპირატესობას მოსამართლის რეპუტაციისა და სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის ინტერესის საპირწონედ. მაგრამ საბოლოო ჯამში, როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ წინდაწინვე აღნიშნა, რომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება სწორედ ამ მიდგომას დაეყრდნობოდა, სასამართლომ ეს მიდგომა შეინარჩუნა და სადავო ნორმატიული შინაარსი არაკონსტიტუციურად არ გამოაცხადა.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგო ინტერესისთვის (სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა) აშკარა ნორმატიული უპირატესობის დაწესება საშიშ ტენდენციას აჩვენებს და არასწორ მიმართულებას აძლევს საერთო სასამართლოებს თუ ნორმის შემფარდებელ სხვა ინსტიტუციებს. ეს ისეთივე არასწორი ტენდენციაა, როგორც გამოხატვის თავისუფლებისთვის ნორმატიული უპირატესობის მინიჭება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების საპირწონედ. საკონსტიტუციო სასამართლომ გადაუხვია როგორც კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტს, ისე საკუთარ პრაქტიკასაც.⁷¹¹

⁷¹⁰ იქვე, II- 1.1.10

⁷¹¹ შდრ. გამოხატვის თავისუფლება „არ სარგებლობს თავისთავადი უპირატესობით რომელიმე სხვა კონსტიტუციურ სიკეთესთან მიმართებით“ – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.9.2016 N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44.

7.5. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სხვა მაგალითები

ქვემოთ მოყვანილია სამოქალაქო სამართალწარმოებიდან მაგალითები, რომელიც კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითების სხვადასხვა ტენდენციას აჩვენებს.

7.5.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

დასაბუთების მაღალი ხარისხის თვალსაზრისით, აღსანიშნავია **ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს** გადაწყვეტილება არასრულწლოვანი შვილის ნახვის უფლებაზე.⁷¹² სასამართლომ არამართო მიუთითა საქმეზე *ნ.წ. საქართველოს წინააღმდეგ*,⁷¹³ რომელიც ძალზე ხშირად⁷¹⁴ მოიხსენიება საერთო სასამართლოების მიერ, რაიონულმა სასამართლომ მართებულად მიუთითა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გარდა სხვა დაინტერესებული მხარეების უფლებების დაცვის საჭიროებაზეც.⁷¹⁵

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანი შშმ ბავშვის დედა ბავშვის მამას ბავშვთან ურთიერთობის და სახლში ღამისთევით წაყვანის უფლებას არ აძლევდა. სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ჭრილში იმსჯელა დაინტერესებული პირების უფლებებზე და განმარტა, რომ ბავშვს ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ორივე მშობელთან. სასამართლომ მიუთითა, რომ არ არსებობდა სოციალური მუშაკის დასკვნა მამასთან ურთიერთობის აკრძალვაზე. ოჯახებში არსებული სიტუაცია დეტალურად შეფასდა და განისაზღვრა ბავშვთან მამის ურთიერთობის დღეები. თუმცა ბავშვის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ბავშვი ღამისთევით მამასთან დარჩენილიყო. ბავშვის სურვილის გათვალისწინება ვერ მოხერხდა, რადგან ის ვერ მეტყველებს, თუმცა სასამართლო

⁷¹² ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 14.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N820210018002743033.

⁷¹³ *N. Ts. and Others v. Georgia*, no. 71776/12, ECtHR, 2.2.2016.

⁷¹⁴ საერთო სასამართლოების 137 გადაწყვეტილებაში ნახსენებია საქმე *ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* <<https://ecd.court.ge/Decision>>[22.02.2024].

⁷¹⁵ იქვე, §6.2.

დაეყრდნო სოციალური მუშაკის შეფასებებს. გადაწყვეტილება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებით დატვირთული არ არის, თუმცა სრულად ითვალისწინებს კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს. მსჯელობა *mutatis mutandis* შეესაბამება გადაწყვეტილებას საქმეზე *ვ.დ. და სხვები რუსეთის წინააღმდეგ*, რომელიც შშმ ბავშვთან ბიოლოგიური მშობლების ურთიერთობას ეხება.⁷¹⁶

ახალციხის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არასრულწლოვანი შვილების ნახვის უფლებას ეხება და ზოგადად მიუთითებს ევროპული სასამართლოს „პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე“.⁷¹⁷ სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებას ითვალისწინებს, რაც „ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით“ განვრცობითად არის განმარტებული და მოიცავს ოჯახური ცხოვრების ყველა ასპექტს, „რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას“, მათ შორის არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტსაც, „რაც ასახულია ეროვნულ კანონმდებლობაში“.⁷¹⁸ ახალციხის რაიონული სასამართლო ახსენებს უფლების არააბსოლუტურ ხასიათს, მაგრამ მასში ჩარევის მართლზომიერების შეფასების (რასაც რაიონული სასამართლო „ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციად“ მოიხსენიებს) კრიტერიუმებს არასრულად ასახელებს, მიუთითებს რა ჩარევის პროპორციულობაზე, „თუ ჩარევა გამოწვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით.“⁷¹⁹ გარდა იმისა, რომ ეს მსჯელობა ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგებული არ არის, არასრული მითითება ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში ნებადართული ჩარევის მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმებზე და ზოგადი მითითება ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, დასაბუთების ხარისხს არაფერს სძენს. ახალციხის რაიონული სასამართლო უთითებს⁷²⁰ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის სტანდარტზე ბავშვის

⁷¹⁶ *V.D. and Others v. Russia*, no. 72931/10, ECtHR, 9.4.2019.

⁷¹⁷ ახალციხის რაიონული სასამართლოს 4.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2156582-2/061-17, §6.3.

⁷¹⁸ იქვე.

⁷¹⁹ იქვე.

⁷²⁰ იქვე.

უფლებების შესახებ კონვენციის⁷²¹ მიხედვით, თუმცა საოჯახოსამართლებრივ დავებში ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების შესახებ ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ საქმეებზე,⁷²² გადაწყვეტილებაში რეალურად ასახული არ არის.

ახალქალაქის რაიონული სასამართლო მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებაში მართებულად აღნიშნავს, რომ „არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას ამოსავალი წერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები.“⁷²³ სასამართლო უთითებს მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე და კონკრეტულ სტანდარტზე, რომელიც განსახილველ საქმესთან შემხებლობაშია – პირის უფლება, იცოდეს, ვინ არის მისი ბიოლოგიური მამა,⁷²⁴ *მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ*⁷²⁵ საქმეზე დაყრდნობით. მიკულიჩის საქმე მამობის დასადგენად ხორვატიის სასამართლოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების ადეკვატურობას ეხება და რელევანტურია, თუმცა ევროპული სასამართლო მიუთითებს ეროვნული სასამართლოს ვალდებულებაზე, მიხედულების ფარგლებში, კონფლიქტური ინტერესების შეპირისპირებით დაამყაროს მათ შორის წონასწორობა.⁷²⁶ ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასამართლო მიუთითებს, რომ იხელმძღვანელა დამატებითი ოქმის პირველი მუხლით (საკუთრების დაცვა),⁷²⁷ თუმცა ალიმენტის გადახდის ნაწილში მსჯელობისას დასაბუთების რაიმე სტანდარტი ამ თვალსაზრისით მოყვანილი არ არის.

⁷²¹ ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენცია.

⁷²² იხ. ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი: იურისტების სამყარო, 2017, 202 *et seq.*

⁷²³ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 28.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N15021-0-9-0331-341, გვ.11.

⁷²⁴ იქვე, გვ.8.

⁷²⁵ *Mikulić v. Croatia*, no. 53176/99, ECtHR, 7.2.2002, §54 (ახალქალაქის რაიონული სასამართლოს მიერ მითითებული განაცხადის ნომერი N531-6/99 არასწორია).

⁷²⁶ იქვე, §58.

⁷²⁷ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 28.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N15021-0-9-0331-341, გვ.6.

7.5.2. მეუღლეთა თანასაკუთრება

მნიშვნელოვანი საკითხია არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთა უფლება თანასაკუთრებაზე, რაც გორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა.⁷²⁸

რაიონულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომლითაც ოჯახი მხოლოდ რეგისტრირებულ ურთიერთობას არ მოიცავს, თუმცა განმარტა, რომ საქმე კროონი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ⁷²⁹ არარეგისტრირებულ პარტნიორებს კი არა, მშობლებს და რეგისტრაციის გარეშე დაბადებულ შვილთა ურთიერთობას ეხებოდა.⁷³⁰ რაიონულმა სასამართლომ თავად მიუთითა იმ საქმეებზე, რომლებშიც ევროპულმა სასამართლომ პარტნიორთა ურთიერთობა ოჯახურ ურთიერთობად განიხილა.⁷³¹ იმავდროულად, სასამართლომ მეუღლეთა თანასაკუთრებად მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთა ქონება განმარტა, რადგან „საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების ფაქტს უკავშირებს მეუღლეთა უფლებამოსილებათა წარმოშობას.“⁷³²

ევროპული სასამართლოს პრაქტიკა უფრო სიღრმისეულად უნდა იქნეს განხილული. კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მხოლოდ დაქორწინებულ პირებზე არ ვრცელდება და შეიძლება მოიცავდეს *de facto* ოჯახსაც, როდესაც პარტნიორების ურთიერთობა რეგისტრირებული არ არის.⁷³³ სხვადასხვა ფაქტორი წყვეტს, ურთიერთობა განიხილება თუ არა „ოჯახურ ცხოვრებად“: ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, რამდენი ხანი გრძელდება მათი ურთიერთობა, ერთმანეთის მიმართ ვალდებულებების აღება გამოხატეს თუ არა მეწყვილეებმა, მაგალითად, ბავშვების ერთად ყოლით.⁷³⁴ ის ფაქტი, რომ პროფესიული და სოციალური

⁷²⁸ გორის რაიონული სასამართლოს 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე 140210018002322491.

⁷²⁹ *Kroon and Others v. the Netherlands*, no. 18535/91, ECtHR, 27.10.1994.

⁷³⁰ გორის რაიონული სასამართლოს 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე 140210018002322491, §6.9.

⁷³¹ იქვე.

⁷³² იქვე, §6.8.

⁷³³ იხ., მაგალითად, *Alim v. Russia*, no. 39417/07, ECtHR, 27.9.2011, §69.

⁷³⁴ *Z.H. and R.H. v. Switzerland*, no. 60119/12, ECtHR, 8.12.2015, §42.

მიზეზების გამო, წყვილი ერთად არ ცხოვრობს, ურთიერთობას სტაბილურობას არ ათმევს და წყვილი მაინც შეიძლება განიხილებოდეს „ოჯახად“, კონვენციის მნიშვნელობით.⁷³⁵ წყვილის ურთიერთობაზე პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაც ვრცელდება.⁷³⁶

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს არა მხოლოდ სოციალურ, მორალურ თუ კულტურულ ურთიერთობებს, არამედ ქონებრივ ურთიერთობებსაც.⁷³⁷ განმარტება ეხებოდა რეგისტრირებული ქორწინების გარეთ დაბადებული ბავშვისთვის დაწესებულ შეზღუდვებს, მიეღო დედისგან მემკვიდრეობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვი პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების და დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევის შედეგად დაზარალდა.⁷³⁸

პირდაპირი დისკრიმინაცია არის არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირთა განსხვავებული მოპყრობა, თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება.⁷³⁹ ობიექტური და გონივრული გამართლება ნიშნავს, რომ მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს ისახავს და არსებობს გონივრული თანაზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის.⁷⁴⁰ განსხვავებული მოპყრობის საფუძველი ან მიზეზი უნდა იყოს პიროვნული მახასიათებელი (სტატუსი), რომლითაც პირები, პირთა ჯგუფები გამოირჩევიან.⁷⁴¹

პირდაპირი დისკრიმინაციის შესაფასებლად, ევროპული სასამართლო ამოწმებს, არის თუ არა განსხვავებული, არასახარბიელო მოპყრობა ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ.⁷⁴² საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად

⁷³⁵ *Vallianatos and Others v. Greece* [GC], nos. 29381/09, 32684/09, ECtHR, 7.13.2013, §73.

⁷³⁶ იქვე.

⁷³⁷ *Marckx v. Belgium* [Plenum], no. 6833/74, ECtHR, 13.6.1979, §52.

⁷³⁸ იქვე, §59.

⁷³⁹ იხ., მაგალითად, *Willis v. the United Kingdom*, no. 36042/97, ECtHR, 11.6.2002, §48.

⁷⁴⁰ *Petrovic v. Austria*, no. 20458/92, ECtHR, 27.3.1998, §30.

⁷⁴¹ *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, nos. 5095/71, 5920/72, 5926/72, ECtHR, 7.12.1976, §56.

⁷⁴² *Konstantin Markin v. Russia* [GC], no. 30078/06, ECtHR, 22.3.2012, §43.

მიიჩნევს, რომ სადავო ნორმების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შეფასებისას ჯერ უნდა გამოკვეთოს შესადარებელი ჯგუფები და განსაზღვროს, რამდენად არიან ისინი არსებითად თანასწორი სუბიექტები შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის კონტექსტში „ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში“.⁷⁴³

მოცემულ შემთხვევაში, პირი ანალოგიურ მდგომარეობაშია რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებთან, რადგან ის ოჯახურ ცხოვრებას ახორციელებდა და თანაცხოვრების განმავლობაში თანასაკუთრების შექმნაში მონაწილეობდა. განსხვავებული არასახარბიელო მოპყრობაა ის, რომ პირი ვერ იღებს წილს თანასაკუთრებიდან, რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირებისგან განსხვავებით.

ევროპული სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, მხოლოდ ის განსხვავებული მოპყრობა ითვლება დისკრიმინაციად, რომელიც იდენტიფიცირებად მახასიათებელს, „სტატუსს“ ემყარება.⁷⁴⁴ მოცემულ შემთხვევაში, განსხვავებული და არასახარბიელო მოპყრობა ემყარება მოსარჩელის სამოქალაქო სტატუსს.

რაც შეეხება განსხვავებული არასახარბიელო მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას, გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის განმსაზღვრელი საოჯახოსამართლებრივი ნორმების მიზანი ოჯახის ინტერესების დაცვაა, რადგან „ქორწინების პერიოდში შეძენილი ქონება შეძენილია ოჯახის გაძღოლის საერთო მიზნების უზრუნველსაყოფად.“⁷⁴⁵ ამ

⁷⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.12.2010 N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები ‘ახალი მემარჯვენეები’ და ‘საქართველოს კონსერვატიული პარტია’ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

⁷⁴⁴ *Carson and Others v. the United Kingdom* [GC], no. 42184/05, ECtHR, 4.11.2008, §61; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 7.11.2003 N2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები – ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.5.2007 N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

⁷⁴⁵ გორის რაიონული სასამართლოს 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე 140210018002322491, §6.8.

ფორმულირებით, ეროვნული სასამართლოს მითითება ევროპული სასამართლოს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების ურთიერთობის ოჯახად განხილვაზე შინაარსს კარგავს და ფორმალისტურ ხასიათს იძენს. რადგან „არაოფიციალური“ ოჯახის ურთიერთობა ქონებრივ უფლებებსაც მოიცავს, განსხვავება რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიმართ არც თანასაკუთრების რეჟიმთან მიმართებით უნდა არსებობდეს.

ეროვნული სასამართლოს მსჯელობა ოჯახის ინტერესების დაცვაზე ემსგავსება ბელგიის სასამართლოს დასაბუთებას 1979 წლის საქმეზე, სადაც მითითება იყო „ტრადიციული ოჯახისთვის“ უპირატესობის მინიჭებაზე, ოჯახის დაცვასა და კანონში ინკორპორირებულ ზნეობრივ პრინციპებზე.⁷⁴⁶ ეს არგუმენტები ევროპული სასამართლოსთვის მიუღებელი იყო „უკანონო“ ბავშვისთვის უფლებების წართმევის გასამართლებლად და მიუთითა სახელმწიფოთა კონსენსუსზე.⁷⁴⁷ იგივე არგუმენტი უნდა გავრცელდეს რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ წყვილებზეც თანამედროვე საზოგადოებაში, რაც მათ შორის განსხვავებული არასახარბიელო მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას გამოირიცხავს. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთი მაგალითია, რომელიც კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების ხარვეზს წარმოაჩენს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წლის კვლევაში განხილულია უზენაესი სასამართლოს 2008 წლის ანალოგიური გადაწყვეტილება და გაკეთებულია დასკვნა, რომ სასამართლომ არ ისარგებლა შესაძლებლობით, უფრო მაღალი სტანდარტით დაეცვა ადამიანის უფლება, რადგან „აშკარაა, რომ არსებობდა წინააღმდეგობა საქართველოს კანონმდებლობასა, კერძოდ სამოქალაქო კოდექსსა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს შორის.“⁷⁴⁸

⁷⁴⁶ *Marckx v. Belgium* [Plenum], no. 6833/74, ECtHR, 13.6.1979, §40.

⁷⁴⁷ იქვე, §41.

⁷⁴⁸ კორკელია კ., სამოსამართლო აქტივიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, <<https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/57/92>> [22.2.2024].

7.5.3. ინფორმირებული თანხმობა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო არასწორად განმარტავს ინფორმირებული თანხმობის საკითხს, როცა მას ექსკლუზიურად კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში მოიაზრებს. კოლეგია აღნიშნავს, რომ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში „პაციენტის უფლება - თანხმობა განაცხადოს სამედიცინო ხასიათის ჩარევაზე, მიეკუთვნება კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის მოთხოვნებს, კერძოდ, ინდივიდის პირადი ხელშეუხებლობის უფლებას. პაციენტის ავტონომიის ასოცირება ადამიანური ღირსების და პიროვნული განვითარების თავისუფლებასთან გაზიარებულია ევროპული სასამართლოს 2011 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით (case of v.g. v. slovakia).“⁷⁴⁹

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ციტირების ტექნიკური ხარვეზი. v.g. v. slovakia ნაცვლად, უნდა იყოს *V.C. v. Slovakia*.⁷⁵⁰ რაც შეეხება შინაარსობრივ შეცდომას, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, ინფორმირებული თანხმობის გარეშე სამედიცინო პროცედურის ჩატარებით პირის უფლების დარღვევა შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც მე-3, ისე მე-8 მუხლით. თავად საქალაქო სასამართლოს მიერ ციტირებულ სლოვაკეთის საქმეზე დადგინდა მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევა.⁷⁵¹ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ევროპული სასამართლოს განმარტებებიც ღირსების უფლების დარღვევაზე ევროპულ სასამართლოს გაკეთებული აქვს სწორედ მე-3 და არა მე-8 მუხლის დარღვევის ნაწილში,⁷⁵² რადგან ღირსების უფლება დაცულია მე-3 და არა მე-8 მუხლით.

შესაძლებელია, კონკრეტულ საქმეზე მე-3 მუხლის სისასტიკის მინიმალური ზღვარი არ იქნეს მიღწეული. ასეთ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო ინფორმირებული

⁷⁴⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.3.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N213-14, გვ.12.

⁷⁵⁰ *V.C. v. Slovakia*, no. 18968/07, ECtHR, 8.11.2011.

⁷⁵¹ იქვე, §§110-120.

⁷⁵² იქვე.

თანხმობის გარეშე სამედიცინო პროცედურის ჩატარებას მხოლოდ მე-8 მუხლის დარღვევად აფასებს.⁷⁵³ შესაფასებელი გარემოებებია: სამედიცინო პროცედურის ჩატარების გადაუდებლობა, სამედიცინო პერსონალის კეთილსინდისიერება და განზრახვა და ჩარევის შედეგი პირის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.⁷⁵⁴ სუბსიდირების პრინციპიდან გამომდინარე, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით დაცული ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის სიმძიმე და შესაბამისი კვალიფიკაცია მისცეს ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარებულ სამედიცინო პროცედურას. ზიანის ანაზღაურების თანხა, შესაბამისად, უნდა განსხვავდებოდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ დაშვებული როგორც ტექნიკური, ისე შინაარსობრივი შეცდომა უცვლელად აქვს გამეორებული **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას⁷⁵⁵ და გორის რაიონულ სასამართლოს.⁷⁵⁶**

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა სწორად ციტირებს სლოვაკეთის წინააღმდეგ საქმეს ორ განჩინებაში.⁷⁵⁷ თუმცა ორივეგან სასამართლო უთითებს მხოლოდ კონვენციის მე-8 მუხლზე, რომელიც შეიძლება დაირღვეს ინფორმირებული თანხმობის გარეშე სამედიცინო პროცედურის ჩატარებით.⁷⁵⁸

სამოქალაქო სამართალწარმოებაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა კონვენციასთან შეუსაბამი კანონმდებლობის ხარვეზები. მართალია, კანონმდებლობა, კონვენციის უპირატესი ძალის გათვალისწინებით, არ აბრკოლებს ევროპული სასამართლოს სტანდარტების გამოყენებას, მაგრამ უჯობესია ხარვეზების

⁷⁵³ იხ., მაგალითად, *Y.P. v. Russia*, no. 43399/13, ECtHR, 20.9.2022.

⁷⁵⁴ იქვე.

⁷⁵⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/4791-18, გვ.12.

⁷⁵⁶ გორის რაიონული სასამართლოს 3.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/927-16, გვ.22.

⁷⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.6.2021 განჩინება საქმეზე Nას-253-2021, §16; 26.8.2021 განჩინება საქმეზე Nას-645-2019, §30.

⁷⁵⁸ იქვე.

საკანონმდებლო ცვლილებებით გამოსწორება. რაც შეეხება სასამართლო აქტების დასაბუთების ხარვეზებს, ნაშრომში განხილული სტანდარტები და მათთან პრაქტიკის შეუსაბამობის ანალიზი ეროვნულ სასამართლოებს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებასა და ადამიანის უფლებების კონვენციის შესაბამისად უზრუნველყოფაში დაეხმარება.

8. ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტები

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში

8.1. ზოგადი პრობლემის აღწერა (საკანონმდებლო ხარვეზები)

საკონსტიტუციო კონტროლი სხვადასხვა ფორმით ყოველთვის არსებობდა, მაგრამ შესატყვისი სპეციალიზებული ინსტიტუტების ფორმირება, განსაკუთრებით, მე-20 საუკუნესთვის იყო დამახასიათებელი.⁷⁵⁹ საქართველოს სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა უმნიშვნელოვანეს მოვლენად ფასდება.⁷⁶⁰

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ბევრ გადაწყვეტილებას დემოკრატიული ქვეყნების საკონსტიტუციო კონტროლის ავტორიტეტული ორგანოების გადაწყვეტილებების გვერდით ღირსეული ადგილის დაკავება შეუძლია.⁷⁶¹ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე საკონსტიტუციო სასამართლოს თამაში ნაბიჯები აქვს გადადგმული.⁷⁶²

თუმცა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი საკონსტიტუციო სასამართლო, მართლმსაჯულების განმახორციელებელ საერთო სასამართლოებთან შედარებით, მაინც ახალგაზრდა ინსტიტუციად რჩება. საკონსტიტუციო სამართალწარმოების ბევრი ასპექტი საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიღმაა, რაც პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომებით ივსება. სამწუხაროდ, ზოგი მიდგომა გადამეტებული ფორმალიზმით ხასიათდება. ეს, განსაკუთრებით, ეხება დასაშვებობის

⁷⁵⁹ Harutyunyan G., Mavčič A., *The Constitutional Review and Its Development in the Modern World: A Comparative Constitutional Analysis*, Yerevan/Ljubljana: Hayagitak, 1999, 8.

⁷⁶⁰ ხეცურიანი ჯ., ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბილისი: სეზანი, 2006, 289.

⁷⁶¹ ლოლაძე ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოკლე კომენტარებით, ბათუმი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2010, 5.

⁷⁶² ერემაძე ქ., დემოკრატიის გამოწვევები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიის ძიების პროცესში: კანონის წინაშე თანასწორობა, როგორც თავისუფლების გარანტია, თბილისი: იურისტების სამყარო, 2015, 3.

ეტაპს, რომლისთვისაც კანონმდებლობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების არც ვალდებულებას და არც უფლებას არ ადგენს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ირღვევა, როცა მისი რეგლამენტაცია აღარ ემსახურება სამართლებრივი სიცხადისა და მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების მიზნებს და აბრკოლებს პირს, მისი საქმე არსებითად განიხილოს უფლებამოსილმა სასამართლომ.⁷⁶³ სასამართლოს ხელმისაწვდომობის წართმევას გათანაბრებული გადამეტებული ფორმალიზმის აკრძალვა ვრცელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზეც.⁷⁶⁴

ქვემოთ განხილულია ზედმეტი ფორმალიზმის, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი სიცხადის პრინციპის დარღვევის და საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს მიდგომასთან შეუთავსებელი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მაგალითები საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასაშვებობის ეტაპზე.

8.1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ევროპული კონვენციის გამოყენება

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (შემდგომში „ორგანული კანონი“) საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ევროპული კონვენციის/ევროპული სასამართლოს როლს სამ კონტექსტში ითვალისწინებს.

პირველ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს „უფლება“ აქვს, მიმართოს ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისთვის.⁷⁶⁵ მეორე კონტექსტია მოთხოვნის საფუძვლიანობის დადასტურების თვალსაზრისით, კონსტიტუციური

⁷⁶³ *Hasan Tunç et autres c. Turquie*, no. 19074/05, ECtHR, 31.1.2017, §33.

⁷⁶⁴ *Dos Santos Calado et autres c. Portugal*, nos. 55997/14, 68143/16, 78841/16, ECtHR, 31.3.2020, §130.

⁷⁶⁵ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 21³.1.

სარჩელის/წარდგინების ტექსტში ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე მითითების „შესაძლებლობა“.⁷⁶⁶ მესამე კონტექსტი ეხება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს „შესაძლებლობას“, ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასებისას, გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს რელევანტური განმარტებები.⁷⁶⁷ სამივე კონტექსტში, ორგანული კანონი გულისხმობს კონვენციის/სასამართლოს მექანიზმის გამოყენების დისკრეციას.

პირველი კონტექსტი, ანუ ორგანული კანონის ჩანაწერი იმ ნაწილში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის მიღების მოთხოვნით მიმართვის შესაძლებლობას და არა ვალდებულებას შეეხება, კონვენციის მე-16 ოქმის პირველ მუხლს შეესატყვისება და პრობლემური არ არის. შესაბამისად, პირველი კონტექსტი ნაშრომში არ არის განხილული.

მეორე კონტექსტში, სიტყვა „შესაძლებლობა“ მიემართება კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების ავტორს. ფორმულირება ხარვეზიანია კონსტიტუციური წარდგინების ავტორის „შესაძლებლობის“ ნაწილში.

ფიზიკურ/იურიდიულ პირს, რომელიც თავისი უფლების/თავისუფლების დასაცავად კონსტიტუციური სარჩელით მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, ცხადია, კანონი ნორმის არაკონსტიტუციურობის დასასაბუთებლად ევროპულ კონვენციაზე მითითებას არ უნდა ავალდებულებდეს. მით უმეტეს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, კონვენციის 35.1 მუხლის მნიშვნელობით, უფლების დაცვის ქმედითი საშუალება არ არის და ევროპულ სასამართლომდე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა არ არის აუცილებელი, შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებების ამოწურვის მიზნით.⁷⁶⁸

სხვა საქმეა მოსამართლის მიერ კონსტიტუციური წარდგინებით საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა. ამ შემთხვევაში, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენება სავალდებულო უნდა იყოს, სუბსიდიარობის პრინციპიდან

⁷⁶⁶ იქვე, მუხლი 31.2.

⁷⁶⁷ იქვე, მუხლი 26.3.

⁷⁶⁸ *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, ECtHR, 28.11.2006, §§46-47.

გამომდინარე. ეს დასკვნა საერთო სასამართლოების მიერ კონვენციის გამოყენების ვალდებულების ნაწილში განვითარებული მსჯელობის ლოგიკური გაგრძელებაა.

მესამე კონტექსტი არის ორგანული კანონის 26.3 მუხლის ფორმულირება, რომ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს „შეუძლია“ და არა ვალდებულია, სადავო ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან, მის ნამდვილ აზრსა და ნორმის გამოყენების პრაქტიკასთან ერთად, დამატებით გაითვალისწინოს ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები.

ორგანული კანონი არღვევს სუბსიდიარობის პრინციპს იმით, რომ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების არსებითი განხილვის ეტაპზე არ ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულებას, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებით იხელმძღვანელოს. საკონსტიტუციო სასამართლო, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფო უწყება, ვალდებულია, უზრუნველყოს კონვენციით გარანტირებული უფლებები და მიუღებელია, რომ ორგანული კანონი მას კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებას, მისივე კეთილი ნების საფუძველზე ანიჭებს. ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციაა კონსტიტუციური უფლებების დაცვა,⁷⁶⁹ იდეაში, განამტკიცებს ამ ვალდებულებას, რადგან დაუშვებელია, ადამიანის უფლებები განსხვავებულად იყოს განმარტებული, იმისდა მიხედვით, თუ რომელ აქტშია ეს უფლებები გარანტირებული – კონვენციასა თუ კონსტიტუციაში. ეს დასკვნა ადამიანის უფლებათა უნივერსალური განმარტების დოქტრინას ემყარება.⁷⁷⁰ ორგანული კანონის მითითებული რეგლამენტაცია შეუთავსებელია აგრეთვე *pacta sunt servanda* და საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ეროვნულ სამართალზე მიმართვის დაუშვებლობის პრინციპებთან.

⁷⁶⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 1.1.

⁷⁷⁰ იხ. Vienna Declaration and Programme of Action, World Conference on Human Rights, 25.6.1993, <www.ohchr.org>[22.2.2024].

რაც შეეხება დასაშვებობის ეტაპზე კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენებას, ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, ამ თვალსაზრისით, არამცთუ ვალდებულებას, უფლებასა თუ შესაძლებლობასაც კი არ ადგენს. ამიტომ, ნაშრომი საკონსტიტუციო სამართალწარმოების აღნიშნული ეტაპის კონვენციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე კონცენტრირდება.

2007 წლის კვლევაში, გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს სასამართლოებს შორის, საკონსტიტუციო სასამართლო ყველაზე აქტიურად იყენებდა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.⁷⁷¹ წინამდებარე ნაშრომი აფასებს არა კონვენციის გამოყენების სიხშირეს, არამედ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების ხარისხს, რაზეც *inter alia*, კონვენციის სავალდებულო გამოყენების თვალსაზრისით ორგანული კანონის ზემოაღნიშნული ხარვეზიც ახდენს ზეგავლენას.

ქვემოთ კრიტიკულად გაანალიზებულია რამდენიმე საოქმო ჩანაწერსა და განჩინებაში განვითარებული მსჯელობის ევროპული სასამართლოს განმარტებებთან შესაბამისობა. ყველა განხილული კონსტიტუციური სარჩელის ავტორია საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელებით მიმართვის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, არაკონსტიტუციურობის მოთხოვნის დასაბუთებლად, თანმიმდევრულად იყენებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. სახალხო დამცველის აპარატში შექმნილია სტრუქტურული ერთეული, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში სტრატეგიულ სამართალწარმოებას ახორციელებს.⁷⁷² აქედან გამომდინარე, დემონსტრირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებით მაქსიმალურად გამყარებულ კონსტიტუციურ სარჩელებთან მიმართებით.

⁷⁷¹ ჭელიძე ლ., საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 223.

⁷⁷² იხ. <<https://ombudsman.ge/geo/191018045904sammartvelos-shesakheb>>[22.02.2024].

8.2. კონსტიტუციური სარჩელის შინაარსობრივი შესაბამისობის შეფასება

8.2.1. ფორმალისტური მიდგომა და წინასწარგანჭვრეტადობის პრობლემა

კონსტიტუციური სარჩელების დასაშვებობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმალისტური მიდგომა განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება სადავო ნორმის უფლებამზღუდავი ხასიათის შეზღუდვითი გრამატიკული განმარტების გამოყენებაში. ამ დროს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან დაშორებულ ინტერპრეტაციას ემყარება.

დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტში, სახალხო დამცველმა გაასაჩივრა პატიმრობის კოდექსის⁷⁷³ 17³.1. მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ქალ მსჯავრდებულებს და ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევს ქალ ბრალდებულებს და მამაკაც მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს. ნორმა გასაჩივრდა კონსტიტუციის მე-11.1 მუხლთან (თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა) და მე-15.1 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) მიმართებით.⁷⁷⁴

მსჯავრდებულ ქალებსა და ბრალდებულ ქალებს შორის განსხვავებული არასახარბიელო მოპყრობა ხორციელდება საპროცესო სტატუსის ნიშნით, ქალ მსჯავრდებულებსა და მამაკაც მსჯავრდებულებს შორის – სქესის ნიშნით, ქალ მსჯავრდებულებსა და მამაკაც ბრალდებულებს შორის – საპროცესო სტატუსის და სქესის ნიშნებით.⁷⁷⁵ კონსტიტუციური სარჩელის მართებული პოზიციაა, რომ არაკონსტიტუციურად განმარტავს არა სადავო ნორმას, არამედ მის ნორმატიულ შინაარსს. ამით საკონსტიტუციო სასამართლო არ დგება დილემის წინაშე, არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს ეს ცალსახად დისკრიმინაციული ნორმა, რომელიც იმავდროულად, ქალი მსჯავრდებულებისთვის ოჯახური ცხოვრების

⁷⁷³ ძალადაკარგულია - 15.12.2023, N3988.

⁷⁷⁴ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 13.10.2022 N1737 კონსტიტუციური სარჩელი.

⁷⁷⁵ იქვე, II-8.

დაცულობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოწესრიგებას ითვალისწინებს, ან ზუსტად ამ გარემოების გამო, საერთოდ უარი თქვას მის არაკონსტიტუციურად გამოცხადებაზე.⁷⁷⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა საოჯახო პაემნის განსაზღვრებას ითვალისწინებს. უფლება დადგენილია ქალი მსჯავრდებულებისთვის და „იგი საერთოდ არ არეგულირებს და არ განსაზღვრავს ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ფარგლებს ბრალდებული ქალებისა და ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცებისათვის პატიმრობის პირობებში.“⁷⁷⁷

„სასამართლო არ უარყოფს, რომ სადავო ნორმა დასახელებულ პირებს გამორიცხავს ზუსტად ისეთი ოჯახური პაემნის შესაძლებლობიდან, როგორც მსჯავრდებული ქალებისთვის არის დადგენილი“, მაგრამ ეს მხოლოდ თანასწორობის უფლებას ეხება.⁷⁷⁸

„ქალი მსჯავრდებულებისათვის დაწესებული პრივილეგიის ... სხვა კატეგორიის პატიმრებზე გაუვრცელებლობა, საკუთრივ, ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევადაც კი შეიძლება არ იქნეს მიჩნეული ამ პირთა მიმართ. ანუ დიფერენცირების ფაქტი ოჯახურ პაემანთან მიმართებაში ავტომატურად არ გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას პატიმრების ოჯახური ცხოვრების უფლებასთან მიმართებაში.“⁷⁷⁹ ბოლო საკითხის განმარტება სასამართლომ მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვნად არ მიიჩნია. „განსახილველი საქმის ფარგლებში სადავოდ გამხდარი ნორმა, თავის არსით, უფლებადმჭურველი ხასიათისაა საოჯახო პაემანთან მიმართებაში და იგი არ ადგენს აკრძალვებს ოჯახური ცხოვრების უფლებასთან მიმართებაში.“⁷⁸⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რადგან სადავო ნორმა მხოლოდ ითვალისწინებს გარკვეულ გარანტიას მსჯავრდებული ქალებისთვის, ნორმა სხვა კატეგორიის პატიმრების პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში

⁷⁷⁶ იბ., *mutatis mutandis*, *Khamtokhu and Aksenchik v. Russia* [GC], nos. 60367/08, 961/11, ECtHR, 24.1.2017, concurring opinion of Judge Sajó.

⁷⁷⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.2.2023 N1/3/1737 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

⁷⁷⁸ იქვე.

⁷⁷⁹ იქვე.

⁷⁸⁰ იქვე.

ჩარევას არ აწესებს. მართალია, ნორმა კომპარატორ პატიმრებს „გამორიცხავს“ მხოლოდ მსჯავრდებული ქალებისთვის უზრუნველყოფილი საოჯახო პაემნის შესაძლებლობიდან, სასამართლომ სადავო ნორმაში ვერ ამოიკითხა „ის შინაარსი, რომელსაც გააჩნია, ერთი მხრივ, ბრალდებული ქალის, ხოლო, მეორე მხრივ, ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცების ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის პოტენციალი.“⁷⁸¹ ამ ლოგიკით, კონსტიტუციური სარჩელი არც კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებით უნდა ყოფილიყო მიღებული.

სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საოჯახო პაემანი არის დამატებითი უფლება, რომელიც მსჯავრდებული ქალების გარდა სხვა პატიმრებს არ გააჩნიათ და მაინც გამორიცხა სადავო ნორმატიული მოწესრიგების უფლებაშემზღუდავი ხასიათი.⁷⁸² მსგავსი არათანმიმდევრული და ალოგიკური მსჯელობით საკონსტიტუციო სასამართლო აზიანებს სამართლებრივი სიცხადის პრინციპს და თვითნებური განმარტების შესაძლებლობას იმკვიდრებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სახალხო დამცველის დეტალური მტკიცება გენდერული სტერეოტიპების/სტატუსის/სქესის საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ „აბსტრაქტული“ იყო: „სხვა კატეგორიის პაემნებით სარგებლობის ფონზე (რომლის ფარგლებშიც ვიზიტორ პირთა წრედ, კანონმდებლობის თანახმად, ოჯახის წევრები და ნათესავები ისედაც მოიაზრებიან), მაინცდამაინც ქალი მსჯავრდებულებისათვის უზრუნველყოფილი „საოჯახო პაემნის“ გარეშე ბრალდებული ქალის, ისევე როგორც ბრალდებული/მსჯავრდებული მამაკაცის დატოვება, რატომ გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას.“⁷⁸³

ფორმალისტური მიდგომით, იმის ნაცვლად, რომ პოზიტიურ დისკრიმინაციად შენიღბული სავარაუდო პირდაპირი დისკრიმინაცია გამოეკვეთა, საკონსტიტუციო

⁷⁸¹ იქვე.

⁷⁸² იქვე, II-9-10.

⁷⁸³ იქვე, II-9.

სასამართლომ კომპარატორი პატიმრებისთვის ოჯახთან და ნათესავებთან შეხვედრების შესაძლებლობების მიმოხილვა გამოიყენა, რომ ეჭვქვეშ დაეყენებინა მტკიცება პატიმრების უფლების დარღვევის თაობაზე.⁷⁸⁴

კონსტიტუციურ სარჩელში მითითებულია საქმეზე – *ეცის ლატვიის წინააღმდეგ*,⁷⁸⁵ რომელიც ლატვიის კანონმდებლობით მამაკაცი პატიმრებისთვის დახურული დაწესებულებიდან ხანმოკლე გასვლის უფლებაზე ბლანკეტურ აკრძალვას ეხებოდა. ევროპულმა სასამართლომ სქესის ნიშნით განსხვავებული არასახარბიელო მოპყრობა კონვენციის მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევად შეაფასა. სარჩელში მოყვანილია ევროპული სასამართლოს მსჯელობიდან ამონარიდი: „სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ გენდერული თანასწორობისკენ სვლა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია და რომ, აქედან გამომდინარე, სქესის ნიშნით პირთა დიფერენცირების კონვენციასთან შესაბამისობის მტკიცებისათვის საჭიროა განსაკუთრებული არგუმენტაცია. კერძოდ, მითითებები კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ტრადიციებზე, ზოგად შეფასებებზე ან გაბატონებულ სოციალურ განწყობებზე, ცალკე აღებული, ვერ ჩაითვლება დიფერენცირებული მოპყრობის გამამართლებელ საკმარის არგუმენტად.“⁷⁸⁶ ეს არის უფლებებში ჩარევის არაკონსტიტუციურობის დასაბუთება, რომელიც ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ეფუძნება.

აღნიშნულ საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, წამყვანი მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში მხოლოდ მაშინ ექცევა ეროვნული სასამართლოს მსჯელობა, როცა კონვენციის დასაბუთების რელევანტურ სტანდარტებს ეფუძნება. ამის ნაცვლად, საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის მიერ განხილული საქმე, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სახელმწიფოს შესატყვის ვალდებულებებზე, არც კი განიხილა. საოქმო ჩანაწერის აღწერილობით ნაწილში ზოგადად მითითებულია, რომ კონსტიტუციური

⁷⁸⁴ იქვე, II-10.

⁷⁸⁵ *Ēcis v. Latvia*, no. 12879/09, ECtHR, 10.1.2019.

⁷⁸⁶ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 13.10.2022 N1737 კონსტიტუციური სარჩელი.

სარჩელის ავტორი, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, მიუთითებს ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე.⁷⁸⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს დანარჩენი მსჯელობაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან დისტანცირებულია. კონვენციის მე-14 მუხლით აკრძალულია დისკრიმინაცია კონვენციით გარანტირებულ უფლებასთან მიმართებით, ხოლო მე-12 ოქმის პირველი მუხლით – ზოგადად კანონით გათვალისწინებულ უფლებასთან მიმართებით. ორივე შემთხვევაში თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა არ არსებობს ამა თუ იმ კონვენციური თუ კანონიერი უფლების გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო დისკრიმინაციის აკრძალვას და თანასწორობას განიხილავს განყენებულად, ამა თუ იმ უფლებაში ჩარევის გარეშე, რადგან დაადგინა, რომ მართალია, არსებობს სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართება, მაგრამ ჩარევა არ ხდება კონსტიტუციის მე-15.1 მუხლით გარანტირებულ პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში.⁷⁸⁸

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, თუ სხვა საშუალებები არსებობს პირადი და ოჯახური ცხოვრების რელიზაციისთვის, საოჯახო პაემნის მხოლოდ ქალი მსჯავრდებულებისთვის გათვალისწინება სხვა პატიმრებისთვის ამ უფლების დარღვევას არ ნიშნავს. ამით საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს, რომ პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა შესაძლებელია მხოლოდ მისი სრული აკრძალვით. ფაქტობრივად, საკონსტიტუციო სასამართლო უგულებელყოფს და უმნიშვნელოდ მიიჩნევს უფლებაში ჩარევას მისი დიფერენცირებული შეზღუდვის შემთხვევაში. ეს მსჯელობა განსაკუთრებით სახიფათოა იმის გათვალისწინებით, რომ სახალხო დამცველი კონსტიტუციურ სარჩელში ასაბუთებდა დისკრიმინაციულ შეზღუდვას, მათ შორის, გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე და საკონსტიტუციო

⁷⁸⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.2.2023 N1/3/1737 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I-15.

⁷⁸⁸ *Vide supra*.

სასამართლოსგან მოითხოვდა, თავისი წვლილი შეეტანა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაში, სადავო დისკრიმინაციული ნორმატიული შინაარსის გაუქმებით.

პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში, სახალხო დამცველმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს და გაუპატიურების შედეგად ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის რეგლამენტაციის არაკონსტიტუციურობაზე იდავა.⁷⁸⁹ სადავო ნორმა⁷⁹⁰ გასაჩივრდა კონსტიტუციის მე-11.1 მუხლთან (თანასწორობის უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა), მე-12 მუხლთან (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 15.1 მუხლთან (პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება) მიმართებით.

სადავო ნორმით, გაუპატიურების მსხვერპლ ქალს აბორტის უფლება მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენით გაუპატიურების დადგენის შემდეგ აქვს, მაგრამ გაუპატიურების საქმეების სამართალწარმოება არამცთუ აბორტისთვის ნებადართულ საკანონმდებლო ვადას, ორსულობის სრულ პერიოდსაც კი აღემატება. სადავო ნორმის არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსის გამო, „უმრავლეს შემთხვევაში“, ქალები აბორტს დადგენილ ვადაში ვერ იკეთებენ.⁷⁹¹

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელი, როგორც დაუსაბუთებელი, არსებითად განსახილველად არ მიიღო,⁷⁹² რადგან მისი აზრით, სადავო ნორმა აბორტის

⁷⁸⁹ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 6.5.2022 N1701 კონსტიტუციური სარჩელი.

⁷⁹⁰ „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართის - „12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენებათა ჩამონათვალის“ „ა“ პუნქტი: „ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ჩვენებებს, რომელიც კავშირში არ არის სამედიცინო მდგომარეობასთან, წარმოადგენს: ა) ორსულობა, სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად.“

⁷⁹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.5.2023 N2/7/1701 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 5.

⁷⁹² იქვე, II-8.

შესახებ გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების უფლებას არ ზღუდავს. სადავო ნორმა აწესებს „საგამონაკლისო სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც ნორმის ადრესატს, ძალადობის მსხვერპლ ქალს, კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ანიჭებს 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტის უფლებას.“⁷⁹³

„საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი“ განჩინებაში არ ჩანს, თუმცა ეს ბლანკეტური ფრაზა არის ის, რაზე დაყრდნობითაც სასამართლომ დაასკვნა, „რომ სადავო ნორმას გაუპატიურების მსხვერპლ ქალთა მიმართ გააჩნია მხოლოდ უფლებადმჭურველი შინაარსი და უშვებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ზოგადი უფლებამზღუდავი წესისგან გამონაკლისს, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ დადგინდება, რომ ორსულობა გაუპატიურების შედეგია.“⁷⁹⁴

მხოლოდ იმის გამო, რომ სადავო ნორმის გრამატიკული განმარტებით მასში შეზღუდვა არ იკითხება, დაუშვებელია, უგულებელყოფილი იქნეს ნორმის რეალური შინაარსი. საკონსტიტუციო სასამართლომ ფორმალისტური და ზედაპირული პასუხი გასცა სახალხო დამცველის დასაბუთებულ მსჯელობას და დაასკვნა, რომ კონსტიტუციური სარჩელის მოთხოვნა სადავო ნორმის არასწორ აღქმას ეფუძნებოდა და არგუმენტაცია გასაჩივრებულ დებულებას არ მიემართებოდა.⁷⁹⁵

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მოცემულ კონტექსტში, სახელმწიფოს ვალდებულებები ინიდივიდის უფლების დაცვის რეგულაციური ჩარჩოს უზრუნველყოფას და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.⁷⁹⁶ საკონსტიტუციო სასამართლო ამ ვალდებულებებს არც კი განიხილავს განჩინებაში.

⁷⁹³ იქვე, II-7.

⁷⁹⁴ იქვე.

⁷⁹⁵ იქვე.

⁷⁹⁶ *A. B. and C v. Ireland* [GC], no. 25579/05, ECtHR, 16.12.2010, §249.

ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ აბორტის მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისად სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესის სათანადოდ გათვალისწინებას უზრუნველყოფდეს.⁷⁹⁷ საქმეზე *P. და S. პოლონეთის წინააღმდეგ*, რომელიც გაუპატიურების მსხვერპლი გოგონას აბორტზე უფლების პრაქტიკაში შეზღუდვას ეხებოდა, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების დაცულობაში იგულისხმება გადაწყვეტილებები როგორც შვილის ყოლის, ისე არყოლის შესახებ.⁷⁹⁸ აბორტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების სპეციფიკური ხასიათის გამო, დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და სამართალწარმოებამ მისი რეალიზება ქმედითად უნდა უზრუნველყოს. პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ორსულობის შეწყვეტის უფლებას, მაგრამ კანონით გათვალისწინებული აბორტის უფლება პრაქტიკაში ვერ განხორციელდა, რაც სახელმწიფოს შეერაცხა ბრალად. ევროპულმა სასამართლომ პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა დაადგინა.⁷⁹⁹

ზემოაღნიშნულ მსჯელობას უშუალო შემხებლობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე დაყენებულ საკითხთან. ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლით კონკრეტული საპროცესოსამართლებრივი მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ამ მუხლით უზრუნველყოფილი უფლებების რეალიზებისთვის გამიზნული სამართალწარმოება შესაბამის ინტერესებს ქმედითად უნდა იცავდეს.⁸⁰⁰ ევროპული სასამართლო ამომწურავად ვერ ჩამოთვლის, რა საპროცესოსამართლებრივი მოთხოვნები გამომდინარეობს მე-8 მუხლიდან, მაგრამ ის, რომ ევროპული სასამართლო სამართალწარმოების მეშვეობით გარანტირებული უფლებების ქმედითად უზრუნველყოფას მოითხოვს, გულისხმობს, რომ ეროვნულ დონეზე, საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციით აღჭურვილმა ორგანომ უნდა

⁷⁹⁷ *P. and S. v. Poland*, no. 57375/08, ECtHR, 30.10.2012, §111.

⁷⁹⁸ იქვე.

⁷⁹⁹ იქვე.

⁸⁰⁰ იქვე, §99.

გამოასწოროს სადავო ნორმატიული შინაარსის ხარვეზი და შემდგომ კანონმდებელსაც ექნება ვალდებულება, სათანადო ფორმულირება გაითვალისწინოს. ამის ნაცვლად, საკონსტიტუციო სასამართლომ მხოლოდ გრამატიკული განმარტებით დაასკვნა, რომ სადავო ნორმას უფლებაშემზღუდავი ხასიათი არ ჰქონდა და ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის შემოწმებას თავი აარიდა.

სხვა საქმეზე, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების უზრუნველყოფის ნეგატიური ვალდებულებების კონტექსტში, სახალხო დამცველმა ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკანში ოფიციალური დოკუმენტების შენახვის მარეგულირებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი დააყენა კონსტიტუციურ სარჩელში,⁸⁰¹ რომელიც საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დაუშვა არსებითად განსახილველად.⁸⁰²

სადავო ნორმები დოკუმენტს, განსაზღვრული გამოწვევების გარდა, აკრძალულ ნივთად განიხილავდა, რომლის შემენა, შენახვა, ტარება, მოხმარება, სარგებლობა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს ეკრძალებოდათ და დარღვევის შემთხვევაში, მათ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევდა.⁸⁰³ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა მართებულიად იყო გამოკვეთილი კონსტიტუციის მე-12 მუხლთან (პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება) და 31.3 მუხლთან (დაცვის უფლება) მიმართებით.⁸⁰⁴

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის პრობლემური იყო, რომ სადავო ბრძანებების ნაწილის შემთხვევაში სადავოდ იყო გახდილი მთლიანი პუნქტი – „ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა (ერთ ეგზემპლარად), ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაწყვეტილებით სხვა

⁸⁰¹ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 12.11.2019 N1460 კონსტიტუციური სარჩელი.

⁸⁰² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.12.2020 N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

⁸⁰³ იქვე, 1.1.

⁸⁰⁴ *Vide infra*, დამატებით, 8.2.2. *Jura novit curia*.

ოფიციალური დოკუმენტების, არაუმეტეს 100 ფურცლის გარდა)“, ხოლო ნაწილის შემთხვევაში – მხოლოდ ამ პუნქტის შემდეგი სიტყვები: „ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაწყვეტილებით სხვა ოფიციალური დოკუმენტების, არაუმეტეს 100 ფურცლის გარდა“. ⁸⁰⁵

საკონსტიტუციო სასამართლომ იმდენად კარდინალურად მნიშვნელოვნად მიიჩნია ეს განსხვავება, რომ სადავო აქტების მეორე ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო. სასამართლოს აზრით, 100 გვერდამდე დოკუმენტაციის ფლობის შესახებ ნორმა აღმჭურველი ხასიათის იყო და დაწესებულებაში დოკუმენტის ფლობის ზოგადი აკრძალვიდან საგამონაკლისო წესს შეადგენდა. ⁸⁰⁶

ეს მიდგომა გაუგებარი და ალოგიკურია. 100 ფურცელზე მეტი ოფიციალური დოკუმენტაციის ფლობა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს და სწორედაც რომ შემზღუდველი დატვირთვა აქვს და არა აღმჭურველი. სადავო აქტების პირველ ნაწილში მთლიან პუნქტზე მითითება არაფერს ცვლის, რადგან არც მთლიან პუნქტში წერია აკრძალვასა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაზე. აკრძალვა თავად პენიტენციური დაწესებულებების დანართების სათაურშია მითითებული და პუნქტებში მითითებულია იმ ნივთების ფლობაზე, რომლებზეც ეს აკრძალვა ვრცელდება. ამ შემთხვევაში „ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა (ერთ ეგზემპლარად)“ და „ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაწყვეტილებით სხვა ოფიციალური დოკუმენტების, არაუმეტეს 100 ფურცლის გარდა“ არის თანაფარდი დატვირთვის ცნებები და ამაზე მათ შორის „ასევე“ კავშირიც მიუთითებს.

საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გასაგები იყო კონსტიტუციურობის თვალსაზრისით დასმული პრობლემა, რადგან თავად აღნიშნა „მოსარჩელე მხარისათვის

⁸⁰⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.12.2020 N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

⁸⁰⁶ იქვე.

პრობლემურია ის ფაქტი, რომ ჩამონათვალში შეტანილია ნებისმიერი დოკუმენტი, აკრძალულ ნივთთა კატეგორიას მიეკუთვნება „ნებისმიერი დოკუმენტი (სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ასლების, შესანახად ჩაბარებული ფულის, ნივთებისა და ფასეულობების ქვითრის გარდა (ერთ ეგზემპლარად), ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაწყვეტილებით სხვა ოფიციალური დოკუმენტების, არაუმეტეს 100 ფურცლის გარდა“.⁸⁰⁷

საკონსტიტუციო სასამართლომ, ფორმალისტური და ალოგიკური მსჯელობის საფუძველზე, სადავო აქტების ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღო. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა თვითნებურსაც ემსგავსება, რადგან სხვა შემთხვევაში, აღმჭურველი ნორმის შემზღუდველი ხასიათი არ გამოირიცხა.⁸⁰⁸

კეთდება დასკვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო უშვებს იმ შედეგს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უარს ამბობს განიხილოს კონსტიტუციით/კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა ეროვნულ დონეზე და სამართლებრივ დაცვაზე პირის ერთადერთ იმედად რჩება ევროპული სასამართლო. ისიც იძულებულია შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქციის გარეთ, ევროპული სასამართლოს წინაშე განსხვავებულ ფორმატში იდავოს იგივე საკითხზე. ასეთი მიდგომა სუბსიდიარობის პრინციპს ეწინააღმდეგება და იწვევს ევროპული სასამართლოს გადატვირთვას არა მარტო იმ საქმეებზე, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის (ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის კონსტიტუციურობის შეფასება), არამედ იმ საქმეებზეც, რომლებიც კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ გამგებლობაშია. ამ საქმეებზეც, ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევების პრეტენზიებზე პასუხის გაცემა ეროვნულ კი არა, ევროპულ სასამართლოს უწევს.

⁸⁰⁷ იქვე, II-8.

⁸⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.4.2020 N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-10.

8.2.2. *Jura Novit Curia*

ორგანული კანონის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელი ... დასაბუთებული უნდა იყოს. აუცილებელია, კონსტიტუციურ სარჩელში ... მოყვანილი იყოს ის მტკიცებულებები, რომლებიც, მოსარჩელის ... აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის ... საფუძვლიანობას.“⁸⁰⁹ საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად არ იღებს კონსტიტუციურ სარჩელს, რომელიც, *inter alia*, შინაარსით არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს.⁸¹⁰

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის თვალსაზრისით აუცილებელი მოთხოვნაა, რომ „დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“.⁸¹¹ აუცილებელია, დასაბუთებაში იკვეთებოდეს „აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება“ სადავო ნორმასა და კონსტიტუციის შესაბამის დებულებას შორის.⁸¹² საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელის დასაშვებობისთვის აუცილებელ მოთხოვნად მიიჩნევს, რომ არსებობდეს შინაარსობრივი მიმართება როგორც სადავო ნორმასა და სადავო ნორმების კონსტიტუციურობის კონტექსტში მოყვანილ მტკიცებულებებს შორის, ისე სადავო ნორმასა და კონსტიტუციურ დებულებას შორის, რომლებთან მიმართებითაც კონსტიტუციურობის საკითხია დასმული.⁸¹³ თუ საკონსტიტუციო სასამართლო დაასკვნის, რომ რომელიმე ეს მოთხოვნა არ არის დაცული, კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად არ მიიღებს.⁸¹⁴

⁸⁰⁹ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, მუხლი 31.2.

⁸¹⁰ იქვე, მუხლი 31³.1ა).

⁸¹¹ იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.12.2020 N2/8/1481 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

⁸¹² იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.12.2017 N1/23/824 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

⁸¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 21.9.2011 N2/1/499 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გვანცა ჭელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

⁸¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3.2.2023 N1/1/1718 განჩინება საქმეზე „ნოდარ ჩავლეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-1.

შესაბამისად, თუნდაც სწორად იყოს იდენტიფიცირებული და დასაბუთებული ნორმის სავარაუდო არაკონსტიტუციურობა, სადავო ნორმის ანდა კონსტიტუციური დებულების არასწორად მითითების შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღება.⁸¹⁵ კვლევა აჩვენებს, რომ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შინაარსობრივი შეუსაბამობა არის ის უპირატესი მიზეზი, რომლის გამოც არ მიიღება კონსტიტუციურ სარჩელთა უმრავლესობა.⁸¹⁶

კანონმდებლობის ამდაგვარი განმარტება და პრაქტიკაში ჩამოყალიბებული ხისტი მიდგომა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოებისგან განსხვავდება. როცა განმცხადებელი არასწორად უთითებს კონვენციის მუხლს, რომელსაც მისი აზრით, სახელმწიფოს ქმედება არღვევს, სასამართლო თავად მიუთითებს კონვენციის შესაბამის მუხლს, რადგან სასამართლომ იცის სამართალი – *jura novit curia*. მაგალითად, საქმეზე *გერა და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, სასამართლომ აღნიშნა, რომ *jura novit curia* პრინციპიდან გამომდინარე, განაცხადი განიხილა იმ დებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც განმცხადებელს არ მიუთითებია.⁸¹⁷ სასამართლომ, მე-10 მუხლის ნაცვლად, მე-8 მუხლით განიხილა განაცხადი, განმარტა რა ორივე მუხლით გარანტირებული უფლებების შინაარსი და აღწერილ ფაქტებს შესატყვისი მუხლი მიუსადაგა.⁸¹⁸

ევროპულმა სასამართლომ, თავისი პრაქტიკის განმავლობაში, ეს მიდგომა შეინარჩუნა და კვლავაც აღნიშნავს, რომ *jura novit curia* პრინციპის ძალით, შებოჭილი არ არის განმცხადებლის მიერ კონვენციის მუხლის მითითებით.⁸¹⁹ განმცხადებელი მის წინააღმდეგ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე ჩატარებულ სისხლის სამართალწარმოებაზე ჩიოდა კონვენციის მე-6 მუხლით, რადგან მიიჩნევდა, რომ დაერღვა გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლება, თუმცა ევროპულმა სასამართლომ საქმე გადააკვალიფიცირა კონვენციის მე-3 მუხლზე, რადგან მიიჩნია, რომ

⁸¹⁵ ბარამაშვილი თ. და მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები: პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი: ევროპის საბჭო, 2021, 30.

⁸¹⁶ იქვე, 28.

⁸¹⁷ *Guerra and Others v. Italy* [GC], no. 14967/89, ECtHR, 19.2.1998, §44.

⁸¹⁸ იქვე, §53 *et seq.*

⁸¹⁹ *Badalyan v. Armenia*, no. 28215/11, ECtHR, 13.6.2023, §49.

განმცხადებლის მიერ მოყვანილი ფაქტები ამ მუხლის საპროცესოსამართლებრივი ასპექტით უნდა განეხილა.⁸²⁰ ევროპულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფოს არგუმენტი, რომ საქმე უნდა წარემართა განმცხადებლის მიერ მითითებული მე-6 მუხლით და განაცხადი არსებითად განსახილველად არ უნდა მიეღო, რადგან მე-6 მუხლის მოქმედება, ევროპული სასამართლოს პრაქტიკით ასეთ სამართალწარმოებაზე არ ვრცელდება.⁸²¹

ანუ, ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის შეცდომა გამოასწორა, კონვენციის მე-6 მუხლი გადააკვალიფიცირა მე-3 მუხლზე, რადგან სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, სისხლის სამართალწარმოების ნაწილში, ვრცელდება ბრალდებულზე და არა დაზარალებულზე, ხოლო, კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესოსამართლებრივი ასპექტი არასათანადო მოპყრობის, მათ შორის, გონივრულ ვადაში ქმედითად გამოძიების ვალდებულებას მოიცავს.⁸²² ევროპულმა სასამართლომ განმცხადებლის შეცდომის გამო უარი არ თქვა განაცხადის არსებითად განხილვაზე და მისი სამართლებრივი დაცვა ქმედითად განახორციელა.

ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანის უფლებათა დარღვევის პრეტენზიების განხილვისას, რადგან სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, სწორედ ეროვნული სასამართლოა ვალდებული განიხილოს უფლების სავარაუდო დარღვევა და საერთაშორისო სასამართლო მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებს. მოცემულ შემთხვევაში კი, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი სასამართლო ორგანო, რომელიც ექსკლუზიურად არის უფლებამოსილი ნორმატიული აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, უარს ამბობს, გადააკვალიფიციროს სარჩელში მითითებული კონსტიტუციის დებულება, მიუხედავად იმისა, რომ „სასამართლომ სამართალი იცის“.

⁸²⁰ იქვე, §48, 51.

⁸²¹ იქვე.

⁸²² მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 401 *et seq.*

ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ იგივე პრინციპის ძალით, არ არის შეზღუდული ფაქტების განმცხადებლისეული შეფასებით.⁸²³ თუ ევროპული სასამართლო აძლევს სამართლებრივ კვალიფიკაციას განმცხადებლის პრეტენზიას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმის შეფარდებას უკავშირდება, საკონსტიტუციო სასამართლოც არ უნდა იყოს შეზღუდული იმით, რომ განსაზღვროს სადავო ნორმა, თუ ა) მოსარჩელე მას სწორად ვერ უთითებს, ბ) ვერ უთითებს ყველა სადავო ნორმას, რომელიც სავარაუდო არაკონსტიტუციურ მოწესრიგებას ითვალისწინებს.

ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს *jura novit curia* პრინციპის გამოყენებას არ უკრძალავს. ეს პრინციპი არა მხოლოდ საერთაშორისო სასამართლოს, არამედ, ზოგადად, სასამართლოს კომპეტენციას შეეხება და არც საკონსტიტუციო სასამართლო უნდა ამბობდეს უარს მის გამოყენებაზე.

ქვემოთ აღნიშნულია რამდენიმე უფლების კონტექსტი, რომლებთან მიმართებითაც კონსტიტუციურობის საკითხის დაყენება მიზანშეწონილი იქნებოდა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებიდან გამომდინარე, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს ეს ხარვეზები არ შეუვსია.

პატიმრის გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში აღსანიშნავია კონსტიტუციური სარჩელი, რომელიც ეხებოდა დოკუმენტის აკრძალულ ნივთად განსაზღვრის და დარღვევის შემთხვევაში პატიმრისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების არაკონსტიტუციურობას.⁸²⁴ კონსტიტუციური სარჩელის განსაკუთრებით პროგრესული ასპექტია საკანში დოკუმენტების ფლობის რესოციალიზაცი-რეაბილიტაციის და შესაბამისად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჭრილში განხილვა. რეაბილიტაციის, ანუ საზოგადოებაში რეინტეგრაციის უფლება,⁸²⁵

⁸²³ *Guerra and Others v. Italy* [GC], no. 14967/89, ECtHR, 19.2.1998, §44.

⁸²⁴ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 12.11.2019 N1460 კონსტიტუციური სარჩელი.

⁸²⁵ ევროპული სასამართლოსთვის რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია თანაფარდოვანი ტერმინებია, იხ. *Murray v. the Netherlands* [GC], no. 10511/10, ECtHR, 26.4.2016, §102.

პირდაპირ არ არის გარანტირებული კონვენციით, მაგრამ ევროპული სასამართლოს განმარტებით, მსჯავრდებულებს ეს უფლება აქვთ.⁸²⁶ მაგალითად, საქმეზე *იანკოვსკის ლიეტუვას წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ განათლების მიღებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მსჯავრდებულის რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში შემდგომი რეინტეგრაციისთვის იყო მნიშვნელოვანი.⁸²⁷

კონსტიტუციურ სარჩელში განმარტებულია ის მნიშვნელობა, რაც სხვადასხვა დოკუმენტს შეიძლება ჰქონდეს პატიმრისთვის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.⁸²⁸ დამაჯერებლად და დეტალურად არის ნაჩვენები სადავო ნორმების კონსტიტუციით გათვალისწინებულ საპროცესო გარანტიებთან მიმართება და დასაბუთებულია ჩარევის არაკონსტიტუციურობა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო სადავო ნორმების მიმართების გამოკვეთა არა მარტო სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებასთან, არამედ გამოხატვის თავისუფლებასთანაც. კონვენციის მე-10 მუხლი კრძალავს პირის უფლების შეზღუდვას, მიიღოს ინფორმაცია, რომლის მისთვის მიწოდებაც სხვებს სურთ ან შეიძლება სურდეთ.⁸²⁹ საქმე *ქალდა ესტონეთის წინააღმდეგ* ეხებოდა სამართლებრივი ინფორმაციის შემცველი ვებგვერდების ხელმისაწვდომობაზე მსჯავრდებულისთვის დაწესებულ შეზღუდვას. ჩარევა ნებადართული იყო კანონით და ემსახურებოდა სხვათა უფლებების დაცვას და დანაშაულის პრევენციას.⁸³⁰ სასამართლომ განმარტა, რომ თავისუფლების აღკვეთა გარდაუვლად იწვევს პატიმრის უფლებების შეზღუდვას, ინფორმაციის მიღების შესაძლებლობის ჩათვლით. ვებგვერდები სამართლებრივ ინფორმაციას შეიცავდა, პატიმრების უფლებებზე. მსგავსი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და უფლებათა დაცულობას.

⁸²⁶ მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019, 436.

⁸²⁷ *Jankovskis v. Lithuania*, no. 21575/08, ECtHR, 17.1.2017.

⁸²⁸ იქვე.

⁸²⁹ *Kalda v. Estonia*, no. 17429/10, ECtHR, 19.1.2016, §42.

⁸³⁰ იქვე.

პატიმრისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული უსაფრთხოების გამოწვევების მიუხედავად (რაც გაცილებით აღმატება საკანში ას გვერდზე მეტი მოცულობის დოკუმენტის შენახვა/გამოყენების სირთულეს) ევროპულმა სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა.

საქმეზეც *რამაზან დემირი თურქეთის წინააღმდეგ*, სასამართლომ პატიმრის გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა და სამართლებრივი ინფორმაციის პატიმრის რეაბილიტაციისთვის მნიშვნელობაზე მიუთითა, რაშიც პატიმარს გაუმართლებლად შეეშალა ხელი.⁸³¹ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების აღნიშნული სტანდარტი დოკუმენტების შეუზღუდავ ხელმისაწვდომობასა და პატიმრის რეაბილიტაციას და გამოხატვის თავისუფლებას შორის მიმართებას გამოკვეთს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველი საკითხის ცენტრალური ასპექტია.

ზემოაღნიშნული საქმეები ინფორმაციის მიღების უფლებას ეხება, რაც გამოხატვის თავისუფლების ერთი ასპექტია. რაც შეეხება ინფორმაციის გაცემას, გარდა იმისა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში, დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მართებულად არის დაკავშირებული უფლებების დასაცავად სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებასთან, ევროპული სასამართლო პატიმრის უფლებას, იჩივლოს ადმინისტრაციულ უწყებაში, ასევე გამოხატვის თავისუფლებად განმარტავს. საქმეზე *შაჰანოვი და პალფრეიანი ბულგარეთის წინააღმდეგ*, მსჯავრდებულები იუსტიციის მინისტრთან ჩივილისთვის დისციპლინურ პასუხისმგებლობას დაექვემდებარნენ.⁸³² ევროპულმა სასამართლომ მსჯავრდებულთა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა დაადგინა. სხვა საქმეზე, გამოხატვის თავისუფლებად დაკვალიფიცირდა პენიტენციური დაწესებულების პერსონალის წინააღმდეგ პროკურორთან ჩივილიც.⁸³³ ორივე საქმეზე, ევროპულმა სასამართლომ მოწყვლადი პატიმრის უფლებების დასაცავად ადმინისტრაციულ უწყებასთან ჩივილის შესაძლებლობასა და მნიშვნელობაზე იმსჯელა. საკონსტიტუციო სასამართლოს

⁸³¹ *Ramazan Demir c. Turquie*, no. 68550/17, ECtHR, 9.2.2021.

⁸³² *Shahanov and Palfreman v. Bulgaria*, nos. 35365/12, 69125/12, ECtHR, 21.7.2016.

⁸³³ *Marin Kostov v. Bulgaria*, no. 13801/07, ECtHR, 27.7.2012.

საქმეშიც, სადავო ნორმები ამ უფლების რეალიზებას უშლიდა ხელს და მიზანშეწონილი იყო მათი კონსტიტუციურობის შეფასება კონსტიტუციის მე-17 მუხლთან მიმართებითაც.

სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ სახალხო დამცველის უაღრესად პროგრესულ სარჩელს, სადავო ნორმებსა და კონსტიტუციურ დებულებებს შორის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისი მიმართების დადგენის თვალსაზრისით, საკუთარი მხრიდან, დამატებითი ღირებულება არ შესძინა და არ გამოკვეთა სადავო ნორმის მიმართება კონსტიტუციის მე-17 მუხლთანაც, ინფორმაციის მიღების და გაცემის მნიშვნელოვანი ასპექტების განმარტებით.

საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში, აღსანიშნავია კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც სახალხო დამცველმა მოითხოვა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „მაუწყებლობის კანონი“) 63.2 მუხლის ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობა. სადავო ნორმატიული შინაარსი არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას კრძალავს. კონსტიტუციურობა მართებულად გასაჩივრდა კონსტიტუციის მე-17.1 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლთან მიმართებით, რადგან პოლიტიკური რეკლამის აკრძალვა პოლიტიკურ გამოხატვაში ჩარევას შეადგენს.

სადავო ნორმატიული შინაარსი ვრცელდება როგორც უფასო, ისე ფასიან პოლიტიკურ რეკლამაზე და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) პრაქტიკაში არაწინასაარჩევნო პერიოდში ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსება მაუწყებლობის კანონის 63.2 მუხლის დარღვევად განიმარტება.⁸³⁴ შესაბამისად, ფასიანი რეკლამის აკრძალვა, შესაძლოა, ასევე ერეოდეს მაუწყებლის საკუთრების უფლებაში და არსებობს სადავო ნორმის მიმართება საკუთრების უფლებასთანაც.

⁸³⁴ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 25.11.2021 გადაწყვეტილება საქმეზე Nგ-21-18/634, <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions>>[22.2.2024].

მაგალითად, საქმეზე *შპს პანონ პლაკატი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ*,⁸³⁵ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გზისგასწვრივ გარე რეკლამის აკრძალვით სახელმწიფო ჩაერია განმცხადებელი კომპანიების საკუთრების უფლებაში. განმცხადებელი კომპანიები საქმიანობდნენ გარე რეკლამის სექტორში და გზისგასწვრივი სარეკლამო ბიზნესისთვის სპეციალური სარეკლამო დაფები ჰქონდათ. განმცხადებლების საკუთრების უფლებაში ჩარევა დადგინდა რამდენიმე ფაქტორის გამო:

1) რეკლამის აკრძალვის შედეგად, კომპანიები იძულებული იყვნენ, დაესრულებინათ/შეეცვალათ დადებული ხელშეკრულებები კლიენტებთან, რომლებიც პროდუქციას განმცხადებელი კომპანიების გზისგასწვრივ დაფებზე უწევდნენ რეკლამას.⁸³⁶ აკრძალვამ გავლენა იქონია კომპანიების ბიზნესზე იმით, რომ აიძულა ისინი, დაესრულებინათ/შეეცვალათ რეკლამის დამკვეთებთან სახელშეკრულებო ურთიერთობები.⁸³⁷ 2) კომპანიებმა დაკარგეს შესაძლებლობები ბაზარზე, შემცირდა მოგების მიღების შესაძლებლობა, რაც გამოიხატა აქციების/წილების ღირებულების შემცირებაში.⁸³⁸ კომპანიის აქციებს/წილებს ეკონომიკური ღირებულება აქვს და ითვლება „ქონებად“, კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით.⁸³⁹

ეს ფაქტორები რელევანტურია მაუწყებლისთვის პოლიტიკური რეკლამის არაწინასაარჩევნო პერიოდში ეთერში გაშვების აკრძალვის კონტექსტშიც, რომელიც კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული და მას კომისია ბუნდოვანი სადავო ნორმის შინაარსში მოიაზრებს.

კონვენციის საფუძველზე ზემოაღნიშნული დასაბუთების სტანდარტებზე დაყრდნობით, სადავო ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა უნდა გამოკვეთილიყო საკუთრების უფლებასთან მიმართებითაც, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს

⁸³⁵ *Pannon Plakát Kft and Others v. Hungary*, no. 39859/14, ECtHR, 6.11.2022.

⁸³⁶ იქვე, §43.

⁸³⁷ იქვე, §53.

⁸³⁸ იქვე, §44.

⁸³⁹ *Marini v. Albania*, no. 3738/02, ECtHR, 18.11.2007, §164.

ვალდებულებაა *jura novit curia* პრინციპის ძალით, თუმცა სასამართლოს ეს არ გაუკეთებია.⁸⁴⁰

პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების კონტექსტში, აღსანიშნავია კონსტიტუციური სარჩელი, რომლითაც სახალხო დამცველმა იდავა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის (შემდგომში „დაგეგმარების კოდექსი“) 141.23 მუხლის და 141⁶.1 მუხლის კონსტიტუციურობაზე, კონსტიტუციის მე-10.1 მუხლის პირველ წინადადებასთან (სიცოცხლის უფლება), მე-11.4 მუხლთან (შშმ პირთა უფლებები) და 29-ე მუხლთან (გარემოს დაცვა) მიმართებით.⁸⁴¹

სადავო ნორმებმა საგამონაკლისო წესი დაადგინა დაგეგმილ მშენებლობებზე. 2027 წლამდე გამოირიცხა მშენებლობათა ფართო წრეზე სამშენებლო ვალდებულებების გავრცელება, რომლებიც „უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოს, შშმ პირთა მისაწვდომობის უფლების რეალიზებას.“⁸⁴² თუმცა ზემოაღნიშნულ სამ კონსტიტუციურ უფლებასთან ერთად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე, იკვეთება სხვა უფლებებთან მიმართებაც.

სიცოცხლის უფლების ნაწილში კონსტიტუციური სარჩელი ახსენებს „ადამიანის ჯანმრთელობისთვის და სიცოცხლისთვის საფრთხეს.“⁸⁴³ ევროპული სასამართლოს განმარტებით, ჯანმრთელობას დამუქრებული ყველა საფრთხე კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში არ ხვდება. სიცოცხლეს დამუქრებული საფრთხე უნდა იყოს მძიმე,⁸⁴⁴ რეალური და მყისიერი, რათა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების

⁸⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.12.2023 N1/7/1753 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁸⁴¹ „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 23.8.2022 N1724 კონსტიტუციური სარჩელი.

⁸⁴² იქვე.

⁸⁴³ იქვე.

⁸⁴⁴ *Brincat and Others v. Malta*, nos. 60908/11 *et al.*, ECtHR, 27.7.2014, §82.

ამოქმედება გამოიწვიოს კონვენციის მე-2 მუხლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვრცელდება კონვენციის მე-8 მუხლი.⁸⁴⁵

შშმ პირთა მისაწვდომობის უფლების ნაწილში არ ჩანს გონივრული მისადაგების ტესტის განხილვა, რაც გულისხმობს აუცილებელი ცვლილებების განხორციელებას, რაც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შშმ პირთა უფლებების რეალიზებას.⁸⁴⁶ უნდა შეფასდეს, რამდენად განხორციელდა სათანადო ღონისძიებები, რათა შშმ პირს ჰქონოდა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების სხვებთან თანასწორად რეალიზების შესაძლებლობა და „აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების განხორციელება“ ხომ არ აკისრებს სახელმწიფოს „დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს“.⁸⁴⁷ ანუ, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას დისკრიმინაციის აკრძალვაც ემატება და მიზანშეწონილია შესატყვის კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართების გამოკვეთა.⁸⁴⁸

გარდამავალი დებულებები ზღუდავს ხმაურისგან დაცვის პირობების უზრუნველყოფის ვალდებულებას. კონსტიტუციის 29-ე მუხლთან ერთად, არსებობს მიმართება კონსტიტუციის მე-15.2 მუხლით დაცულ უფლებასთან პირადი სივრცისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის შესახებ. საცხოვრისის დაცულობის უფლება მხოლოდ ფიზიკური შეღწევისგან არ იცავს პირს და შეიძლება მასში ჩარევა დადგინდეს არაფიზიკური ზემოქმედების შემთხვევებშიც (ხმაური, სუნი და მისთ.), ზემოქმედების ინტენსიურობის, ხანგრძლივობის, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზეგავლენის გათვალისწინებით.⁸⁴⁹

⁸⁴⁵ *Fadeyeva v. Russia* (dec.), no. 55723/00, ECtHR, 16.10.2003, the Law, §1.

⁸⁴⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენცია, მუხლი 2.

⁸⁴⁷ *Arnar Helgi Lárusson v. Iceland*, no. 23077/19, ECtHR, 31.5.2022, §60.

⁸⁴⁸ იქვე, §60 *et seq.*

⁸⁴⁹ *Kapa and Others v. Poland*, no. 75031/13 *et al.*, ECtHR, 14.10.2021; მჭედლიძე ნ., საცხოვრისის დაცულობის უფლება: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019, 37 *et seq.*

N1724 კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.⁸⁵⁰ წარსულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, *jura novit curia* პრინციპი ისევ არ იქნება გამოყენებული, კონსტიტუციური უფლებების განმარტების ზემოთ განხილული ხარვეზების შესავსებად.

არსებობს მოსაზრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს „შეზღუდულ უფლებამოსილებაზე“, რადგან ის საკონსტიტუციო კონტროლს და არა ზედამხედველობას ახორციელებს.⁸⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლო თავადაც ავიწროვებს ამ შეზღუდულ უფლებამოსილებას, რაც მათ შორის, სადავო ნორმის შეზღუდვითი გრამატიკული განმარტებით და *jura novit curia* პრინციპის უგულებელყოფაში გამოიხატება. საკონსტიტუციო სასამართლო სათანადოდ არ განმარტავს ადამიანის უფლებებს და არ ასაბუთებს თავის გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის სამართლებრივი სიცხადისა და წინასწარგანჭვრეტადობის თვალსაზრისით და არაპირდაპირ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს საერთო სასამართლოების დასაბუთების ხარისხზე.

⁸⁵⁰ კვლევა დასრულდა 22.2.2024.

⁸⁵¹ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი: ფავორიტი, 2016, 19.

9. დასკვნები და რეკომენდაციები

ნაშრომში განხილული იქნა საქართველოს სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება სისხლის, სამოქალაქო და საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში. კვლევის შედეგად გაანალიზდა, თუ რამდენად სწორად ხდება მთელ რიგ უფლებებთან მიმართებით ეროვნული სასამართლოების აქტების დასაბუთება ევროპული კონვენციის საფუძველზე.

წინამდებარე ნაშრომში ეროვნული სასამართლოს მრავალი აქტია განხილული, სადაც ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილება მოძიებულია, მაგრამ სტანდარტის ციტირება ისეთივე სტერეოტიპული ხასიათსაა, როგორც ყოველგვარი შეფასების გარეშე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების ციტირება. ზოგჯერ გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები მოდიფიცირებულია იმ თვალსაზრისით, რომ მათი ჭეშმარიტი დატვირთვა არასწორად არის გადმოცემული, ან სტანდარტები იზოლირებულია ფაქტების შეფასებისგან და მათ შორის არანაირი ლოგიკური ბმა ეროვნულ სასამართლოს არ აქვს დადგენილი. ცხადია, სტანდარტის მსგავს ციტირებას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს დასაბუთებულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამის საპირისპიროდ, ნაშრომში გამოკვეთილია კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების გამოყენების სანიმუშო მაგალითებიც, რომელთა სხვა სასამართლოების მიერ გაზიარება გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხის ზრდას და ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტის მიხედვით დაცვას შეუწყობს ხელს.

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სტადიასთან დაკავშირებით გამოიკვეთა როგორც კანონმდებლობის, ისე სამართალწარმოების პრობლემები. ზოგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ევროპულ კონვენციაზე უფრო მაღალ სტანდარტს ითვალისწინებს, თუმცა პრაქტიკაში დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების გამო პირის თვითნებობისგან დაცვის ხარისხი მაინც შეიძლება დაბალი იყოს.

ევროპული სასამართლოს განმარტებასთან შედარებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფლების პრეზუმფციის ფარგლები უფრო ვიწროა. მართალია, ფორმულირების ხარვეზს კოდექსის კომენტარი ავსებს, მიზანშეწონილია საკანონმდებლო ცვლილება, რათა თავისუფლების პრეზუმფციის ნორმატიულ დონეზე განმარტება ევროპული სასამართლოს სტანდარტთან მოვიდეს შესაბამისობაში.

კონვენციის თანახმად, საფუძვლიანი ეჭვის არსებობა საკმარისია იმისთვის, რომ პირის წინააღმდეგ წარმოებდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და საფუძვლიანი ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, პატიმრობის აუცილებელი ერთ-ერთი წინაპირობაა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცებულებით სტანდარტს ამკაცრებს სამართალწარმოების განმავლობაში და დასაბუთებულ ვარაუდს ალბათობის მაღალი ხარისხით ანაცვლებს. თუ ეს სტანდარტი არ დაკმაყოფილდება, წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება. ცხადია, უქმდება აღკვეთის ღონისძიებაც. ამის მიუხედავად, პრაქტიკაში მაინც არის პრობლემები პატიმრობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. პრობლემურად რჩება ეროვნული სასამართლოს მსჯელობა, რომ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერება ბრალად წარდგენილი ქმედების სიმძიმეს, დანაშაულის ხასიათს ან სასჯელის სიმკაცრეს უკავშირდება. აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისას, დანაშაულის ხასიათსა და მტკიცებულებებზე მითითება აბსტრაქტული მსჯელობაა. მიზანშეწონილია, რომ ეროვნულმა სასამართლომ საბოლოოდ თქვას უარი აღკვეთის ღონისძიების ამ გარემოებებით დასაბუთებაზე.

სანიმუშოა თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები, რომლებითაც შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და გაუქმდა აღკვეთის ღონისძიება, ვინაიდან მტკიცებულებათა ერთობლიობა არ იყო საკმარისი და ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლეოდა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ პირს ჰქონდა ჩადენილი ბრალად წარდგენილი ქმედება. ეს განჩინებები ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცებულებითი

სტანდარტი, რომელიც კონვენციის მე-5.3 მუხლით მოთხოვნილ სტანდარტს აღემატება, პრაქტიკაშიც შეიძლება ითვალისწინებდეს დაცვას ბრალდებულისთვის. მიზანშეწონილია, სასამართლოებმა ამ მიმართულებით უფრო თანმიმდევრულად შეამოწმონ საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

კანონმდებლობაში და პრაქტიკაში იკვეთება ევროპულ სტანდარტთან წინააღმდეგობა გირაოს ოდენობის განსაზღვრის ნაწილში. ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გირაოს ოდენობა განისაზღვრება ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობით და იმ პირებთან მისი ურთიერთობით, რომლებიც თანახმა არიან, გადაიხადონ გირაოს თანხა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან ერთად, მოიხსენიებს დანაშაულის სიმძიმესაც, ხოლო სასამართლოები, გირაოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ განხილული განჩინებების უმეტესობაში, მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიყენებულ ზიანზე, რომლის მიხედვითაც განსაზღვრავენ გირაოს ოდენობას. მიზანშეწონილია ხარვეზიანი საკანონმდებლო ჩანაწერის შეცვლა. ცვლილებებამდე საერთო სასამართლოები უნდა იყენებდნენ კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტს, რომლის თანახმადაც, გირაოს მიზანია, უზრუნველყოს არა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არამედ ბრალდებულის შესატყვისი ქცევა.

სამწუხარო ტენდენცია იკვეთება გირაოს თანხის განსაზღვრისას, როცა სასამართლო აღნიშნავს, რომ ითვალისწინებს ბრალდებულის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებები რეალურად არ ფასდება, ხოლო გირაოს გადახდაზე ნების გამომხატველი მესამე პირების ქონებრივი მდგომარეობა და მათი ბრალდებულთან ურთიერთდამოკიდებულება არ მოწმდება. გირაოს მესამე პირების მიერ შეტანასთან და გირაოს ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოკვეთილია ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან შესატყვისი მსჯელობის მაგალითებიც, რომლებიც სახელმძღვანელო უნდა იყოს ეროვნული სასამართლოებისთვის. კერძოდ, გირაოს ოდენობის განსაზღვრისას, პრაქტიკაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა და მისი

გადახდის შესაძლებლობა. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს გირაოს გადახდაზე ნების გამოხატველი მესამე პირების რეალური ქონებრივი მდგომარეობა და მათი ბრალდებულთან ურთიერთდამოკიდებულება. დასაშვებია სანოტარო აქტით უფლება-მოვალეობის განმარტების შესაძლებლობა, იმ პირობით, თუ დოკუმენტი ცალსახად მიუთითებს, რომ ქონების მესაკუთრეს სრულად განემარტა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი უფლება-მოვალეობები და ბრალდებულის მიერ გირაოს პირობების დარღვევის შედეგები კონკრეტულად მისთვის. საკითხები პროკურორმა სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვამდე უნდა გაარკვიოს, რადგან შუამდგომლობაში გირაოს თანხა და მისი შეტანის ბოლო ვადა მიეთითება. ქონებრივი მდგომარეობის მხედველობაში მიღება პროკურორს უნდა ევალუბოდეს როგორც გირაოს ოდენობის, ისე გირაოს თანხის შეტანის ვადის მითითებისას.

გირაოს, რომელსაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, ვერანაირი შემაკავებელი და ქცევის უზრუნველყოფი ეფექტი ვერ ქნება ბრალდებულისთვის. შესაბამისად, ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, ამტკიცოს, რომ ბრალდებულს თანხის გადახდა შეუძლია და თავს არიდებს. პროკურორმა უნდა გაარკვიოს მიზეზები, რამაც გამოიწვია გირაოს გადაუხდელობა, რათა დაადგინოს, ბრალდებულმა შეგნებულად არ გადაიხადა თანხა, თუ ობიექტური მიზეზების გამო ვერ გადაიხადა. იმისთვის, რათა გირაო, როგორც აღკვეთის ღონისძიება ფორმალურად და „შეფარულ პატიმრობად“ არ იქცეს, მოსამართლეს ეკისრება ვალდებულება, გულდასმით შეაფასოს საკითხი პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას.

ნაშრომში მიმოხილულია თავისუფლების უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების შეჯერება ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ და ამ მიმართულებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესული მსჯელობა, რომელმაც დროს გაუსწრო. საკონსტიტუციო სასამართლომ ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული თანაზომიერების პრინციპის თავისუფლების უფლებაში ჩარევის კონსტიტუციური მართლზომიერების შეფასების სისტემაში ინტეგრირება მოახდინა. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მსჯელობა უნდა იყოს

სახელმძღვანელო საერთო სასამართლოებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას და საფუძველი თავად საკონსტიტუციო სასამართლოს შემდგომი პრაქტიკისთვისაც, რომელიც შეეხება თავისუფლების უფლების მიზნებსა და მნიშვნელობას, შინაარსს, მოცულობას და უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებას.

სისხლის სამართალწარმოების არსებითი განხილვის სტადიაში საერთო პრობლემაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული მტკიცებულებითი სტანდარტის ევროპული სასამართლოს მტკიცებულებით სტანდარტთან აღრევა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობის დასადგენად შემუშავებული გონივრულ ექვს მიღმა სტანდარტის განხილვა ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეფასებისას, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფციის ჭრილში. ევროპული სასამართლო არ განმარტავს, რომ პირის ბრალეულობა აუცილებლად „გონივრულ ექვს მიღმა“ სტანდარტით უნდა იყოს დაკმაყოფილებული და მტკიცების ტვირთის განაწილება არ გულისხმობს კონკრეტულ მტკიცებულებით სტანდარტს. საკასაციო სასამართლოს მსგავსი მსჯელობა ლეგიტიმაციას უკარგავს მართლმსაჯულების განმახორციელებელი უზენაესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და არასწორ მიმართულებას აძლევს ქვემდგომ სასამართლოებს, რადგან მისი მსჯელობა ფაქტობრივად და სამართლებრივად დაუსაბუთებელია. მიზანშეწონილია, რომ საერთო სასამართლოებმა უარი თქვან აღნიშნულ მცდარ პრაქტიკაზე.

უზენაესი სასამართლო მართებულად განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის, რელევანტურობის განსაზღვრა ეროვნული სასამართლოების პრეროგატივაა, თუმცა მტკიცებულებების ერთობლიობაზე სტანდარტის მითითებისას გამოტოვებულია მითითება მტკიცებულების მტკიცებით ძალაზე და მსჯელობა ლოგიკური შეცდომის კატეგორიაში ხვდება. დადებითი ფაქტია, რომ სხვა სასამართლოები ამ განმარტებას არ იმეორებენ. მიზანშეწონილია, უზენაესმა სასამართლომაც უარი თქვას მსგავს დასაბუთებაზე.

მტკიცებულებების შეფასების კონტექსტში კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს მართებულად განმარტავს და იყენებს თბილისის საქალაქო სასამართლო. კომპლექსური განმარტებებია მოცემული „ჩადებული“ მტკიცებულებების, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის, დანაშაულის პროვოკაციის და ოჯახში ძალადობის საქმეებზე. თბილისის საქალაქო სასამართლო, იმის საფუძველზე, თუ როგორ განიხილა ევროპულმა სასამართლომ სხვა ქვეყნების სასამართლოების დასკვნები, კონვენციის დასაბუთების სტანდარტების ჰორიზონტალური ძალით მსჯელობს მტკიცებულებების შეფასებისას თავის ვალდებულებებზე. საერთო სასამართლოები მსგავს მიდგომას უნდა იჩენდნენ არსებითი განხილვის სტადიაზე. მათ შორის, ყურადღება უნდა მიექცეს ბრალდების მოწმეთა ჩვენებების ხარვეზებს, სხვა მტკიცებულებებთან თანხვედრას, ვიდეოჩანაწერის არსებობას, უნდა შეფასდეს სხვადასხვა მტკიცებულების მტკიცებითი ძალა. ეროვნულმა სასამართლომ უნდა გამორიცხოეს ყოველგვარი ეჭვი მტკიცებულებების „ჩადების“, გაყალბების და დანაშაულის პროვოკაციის შესახებ.

ნაშრომში განხილულია სანიმუშო მსჯელობა, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლო ავითარებს ოჯახში ძალადობის საქმეებზე და კონვენციით გარანტირებული უფლებების საპროცესოსამართლებრივი ასპექტის კონტექსტში და მიზანშეწონილია იგივე მიდგომა გამოიყენონ საერთო სასამართლოებმა მტკიცებულებების რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით შეფასებისას.

ამის საპირისპიროდ, რეკომენდებულია, რომ 2016 წლის 28 ივლისის განაჩენი (N2კ-128აპ.-16), რომელშიც საკასაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა *რამანაუსკასი ლიეტუვას წინააღმდეგ* საქმე და მცდარად განმარტა დანაშაულის პროვოკაციისთვის პასუხისმგებლობის საკითხი, აღებული იქნეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემიდან.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში პრობლემად იდენტიფიცირებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ციტირების შეცდომები: საქმის ორიგინალი დასახელების ქართულად არასწორი და არათანმიმდევრული ტრანსლიტერაცია, ორიგინალი

დასახელების არასწორად მითითება, გადაწყვეტილების რეკვიზიტების გამოტოვება, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის საქმეების მოძიებას. შესაბამისად, რეკომენდებულია, **ეროვნულმა სასამართლომ ციტირების ტექნიკური ხარვეზები გამოსწოროს.**

ციტირების შინაარსობრივი პრობლემები განხილულია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების თემის მაგალითზე. ეროვნული სასამართლო გაცილებით თავისუფლად ეკიდება ადვოკატისთვის დაკისრებული ხარჯების ანაზღაურებას, ვიდრე ევროპული სასამართლო. მიდგომებში სხვაობა თავისთავად პრობლემა არ არის, რადგან საქმე ეხება სხვადასხვა – ეროვნულ და ევროპულ დონეზე წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურებას. პრობლემაა ის, რომ ეროვნული სასამართლო თავის მიდგომას ასაბუთებს ევროპული სასამართლოს სტანდარტების არასრული და არასწორი გამოყენებით და ზოგჯერ არარსებულ საქმეზე მითითებითაც და ამით აზიანებს გადაწყვეტილების ლეგიტიმაციას და დასაბუთების ხარისხს. რეკომენდებულია სტანდარტის ევროპულ მიდგომასთან შესაბამისობაში მოყვანა, ან მითითების მოშლა, რომ მიდგომა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ეფუძნება.

ოჯახში ძალადობის დანაშაულში სამართალდამცავი და პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობის დეტალური შეფასებისას პოზიტიური ტენდენციაა სახალხო დამცველის რეკომენდაციების გათვალისწინება. თუმცა ეროვნული სასამართლოს მსჯელობის მნიშვნელოვანი ხარვეზია, რომ არ აფასებს, თავად კანონიერი ვალდებულებების შეუსრულებლობა ხომ არ იყო განპირობებული გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. მნიშვნელოვანია, სამომავლოდ ამ ხარვეზის გამოსწორება პირის უფლებრივ მდგომარეობაში შეძლებისდაგვარად სრულად აღდგენის მიზნით.

როცა დაზარალებულს აქვს უფლება, მოითხოვოს კომპენსაცია გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობისას, მოსამართლე ვალდებულია დაიცვას უდანაშაულობის პრეზუმფცია და ამ მხრივ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ევროპული სასამართლოს სტანდარტს დეტალურად განიხილავს. ამ დროს დაშვებული შეცდომა, რომ მოსამართლე იყენებს სისხლის სამართლის ტერმინოლოგიას, მიზანშეწონილია სამომავლო პრაქტიკაში გამოსწორდეს. ამის

საპირისპიროდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ზედაპირული მსჯელობა, რომ ევროპული სასამართლო დარღვევას არ ადგენს გამამართლებელი განაჩენის დადგენისას კომპენსაციის დაკისრებაზე, დასაბუთების სტანდარტებს სრულად არ ასახავს და მიზანშეწონილია, ეროვნული სასამართლო მოერიდოს შესატყვისი დეტალების განხილვის გარეშე მსგავს განზოგადებულ დასკვნებს.

ეროვნული სასამართლო ლეგიტიმურ მოლოდინსა და კომპენსაციის უფლებაზე მსჯელობისას ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ რელევანტურ გარემოებებს არ აფასებს. სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი საჭიროების ინტერესსა და კერძო ინტერესს შორის სამართლიანი წონასწორობის დამყარების კონტექსტში, ეროვნულმა სასამართლომ საქმის გარემოებები უნდა შეისწავლოს და შესაბამისი დასკვნები გადაწყვეტილებაში ასახოს. მნიშვნელოვანია, სასამართლომ გამიჯნოს დამატებითი ოქმის პირველი მუხლის სამი წესი და კომპენსაციის საკითხი შესაბამისად გადაჭრას, კომპენსაციის თანხის გონივრულობის შეფასების ჩათვლით. პრობლემურია სასამართლოს მითითება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, კერძო მესაკუთრისა და საზოგადოების ინტერესს შორის კონფლიქტის არსებობისას, ზოგადი ინტერესის მიმართ წინასწარ დადგენილ უპირატესობაზე. მიზანშეწონილია, ეროვნულმა სასამართლომ ამ არასწორ შეფასებაზე უარი თქვას.

ეროვნული სასამართლო არასწორად იყენებს კონვენციას, როცა მე-6.1 მუხლის მოქმედებას ავრცელებს მოქალაქეობის შესახებ დავებსა და პასპორტზე უფლებაზე. მიუხედავად ევროპული სასამართლოს ადრეულ პრაქტიკაში არსებული განმარტებებისა, მოქალაქეობის შეწყვეტისა თუ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თაობაზე მიღებული საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებს არ იყენებს. არ არის გათვალისწინებული, მით უმეტეს, არც ბოლოდროინდელი შეჯერებული პრაქტიკა. მაშინაც, როცა ეროვნული სასამართლო მოქალაქეობის თვითნებურ ჩამორთმევას განიხილავს, სასამართლოს მსჯელობის საფუძველია არა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტი, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით

გათვალისწინებული საქმის გარემოებათა გამორკვევის ვალდებულება. მიზანშეწონილია ამ ხარვეზების გამოსწორება მითითებული დასაბუთების სტანდარტების პრაქტიკაში თანმიმდევრული გამოყენებით.

მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენცია, საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არ არის მოხსენიებული. მიზანშეწონილია, რომ საქართველოს სასამართლოებმაც იხელმძღვანელონ ამ კონვენციის დებულებებით.

კონვენციის მე-8 მუხლი „შრომით უფლებას“ არ ითვალისწინებს და სამსახურიდან დათხოვნაზე, დაქვეითებაზე და მსგავს ღონისძიებებზე მისი მოქმედება ავტომატურად არ ვრცელდება, როგორც ამას ეროვნული სასამართლო განმარტავს. ეროვნული სასამართლო პროფესიულ საქმიანობაზე მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელებას უნდა აფასებდეს ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელ პრაქტიკაში შეჯერებული მიზეზზე ანდა შედეგზე დაფუძნებული მიდგომებით.

მაშინაც, როცა ეროვნული სასამართლო მართებულად ადგენს შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში დაკისრებული ღონისძიებით პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას, უფლების დარღვევა-არდარღვევის საკითხი „კანონშესაბამისობით“ ფასდება. ამის გამო, კონვენციის მე-8 მუხლის ციტირება და ევროპული სასამართლოს საქმეებზე მითითება მხოლოდ დეკორაციულ მნიშვნელობას იძენს. იგივე პრობლემაა გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, სადაც ეროვნული სასამართლო უფლების შეზღუდვის კანონიერების შემოწმებით შემოიფარგლება. უფლებაში ჩარევის კანონიერების შეფასების შემდეგ, ჩარევის ლეგიტიმური მიზნისა და ჩარევის დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის შეფასება გადამწყვეტი კომპონენტია კვალიფიციური უფლებების კონვენციის შესაბამისად დასაცავად და მიზანშეწონილია ეროვნულმა სასამართლომ გამიჯნოს კანონიერება მართლზომიერებისგან.

შეცდომაა ღირსების, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელ ნაწილად მოაზრება. რეკომენდებულია, ეროვნულმა სასამართლომ უარი თქვას ამ მცდარ განმარტებაზე, რომელსაც ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში საფუძველი არ აქვს.

შრომით დავებში დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე მტკიცების ტვირთი არასწორად განიმარტება. რეკომენდებულია ევროპული სასამართლოს და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის სტანდარტის გამოყენება, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეებზე.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში საერთო პრობლემად იდენტიფიცირებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ნაწილობრივ ციტირება, რომლის თანახმადაც, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ეროვნული სასამართლოს მიერ თითოეულ არგუმენტზე პასუხის გაცემას არ გულისხმობს. ძირითად არგუმენტებზე პასუხის გაცემის ვალდებულებაზე მითითების დროსაც, აქცენტია ამონარიდზე, რომელიც სასამართლოს მხარეთა არგუმენტებზე პასუხის გაცემის ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ციტირების ასეთი წესი დასაბუთების ხარისხს მნიშვნელოვნად აზიანებს. საერთო სასამართლოები ნაშრომში დეტალურად განხილულ გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტს სრულად უნდა უთითებდნენ და მისით ხელმძღვანელობდნენ.

როდესაც სამართალწარმოება, მაგალითად, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას ან პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას ეხება, დასაბუთების ვალდებულებაზე მითითება კონვენციის მე-6 მუხლით არასწორია, რადგან მე-10 და მე-8 მუხლები *lex specialis* არის და მათზე არსებული პრაქტიკით დასაბუთების ვალდებულება ეკისრება ეროვნულ სასამართლოს. კვალიფიციურ უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასების გარეშე, კონვენციური უფლება დაცულად ვერ ჩაითვლება და რეკომენდებულია, საერთო სასამართლოებმა შეცვალონ მცდარი პრაქტიკა.

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონს მნიშვნელოვანი ხარვეზები ახასიათებს. ფაქტის აღსანიშნად ტერმინი „განცხადება“ არასწორია, რადგან განცხადება შეიძლება შეფასებით მსჯელობასაც შეიცავდეს. განცხადების განმარტებაში გამორჩენილია ძირითადი მახასიათებელი, რომ ფაქტი მტკიცებას ექვემდებარება. შეფასებითი მსჯელობის განმსაზღვრელი ტერმინიც შეცდომაში შემყვანია, რადგან „აზრი“ კონვენციის მე-9 მუხლის დაცვის სფეროში შედის. საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, საერთო სასამართლოები ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას ხშირად

არასწორად/არასრულად იყენებენ გამოხატვის ფაქტად თუ შეფასებით მსჯელობად კვალიფიკაციისას. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა ცილისწამებას ურევს ფაქტში. საერთო სასამართლო ზოგჯერ შეფასებით მსჯელობას უწოდებს „ღირებულ მოსაზრებებს“, რაც არასწორია, რადგან შეფასებითი მსჯელობა შეიძლება „არაღირებულ“ მოსაზრებებსაც შეიცავდეს. უმჯობესია, ამ ფორმულირებაზე საერთოდ უარი ითქვას. რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვროს და ეროვნულმა სასამართლომაც თანმიმდევრულად გამოიყენოს ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული ტერმინების შესატყვისი თარგმანი (ფაქტი და შეფასებითი მსჯელობა).

მტკიცების ტვირთის და მტკიცებულებითი სტანდარტის რეგლამენტაცია კონვენციას ეწინააღმდეგება. „უტყუარი მტკიცებულებების“ სტანდარტი სამოქალაქო სამართალწარმოებას არ შეესაბამება. ფორმულირებები „შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ“ და „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“ ნორმატიულ დონეზე უპირატესობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების საპირწონედ და არ შეესაბამება ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

გამონაკლისი, რასაც ეროვნული სასამართლო ითვალისწინებს, შეეხება დანაშაულის დაბრალებას. პრობლემატურია ის, თუ მხოლოდ დანაშაულის დაბრალებისას რატომ ხდება სპეციალური კანონით დადგენილ წესზე უარის თქმა. ეროვნული სასამართლოს არგუმენტი, რომ მოთხოვნა, პირმა დანაშაულის არჩადენა ამტკიცოს, უდანაშაულობის პრეზუმფციას ეწინააღმდეგება. მსგავსი ბლანკეტური მითითება კონვენციის საფუძველზე დასაბუთების რელევანტურ სტანდარტს არ ასახავს.

მიზანშეწონილია საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორება. შესატყვისი ცვლილებების განხორციელებამდე, ეროვნულმა სასამართლოებმა, სუბსიდიარობის პრინციპიდან და

კანონმდებლობის მიმართ კონვენციის უპირატესი ძალიდან გამომდინარე, უარი უნდა თქვან სპეციალური კანონის ხარვეზიან მოწესრიგებაზე და გამოიყენონ სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის დადგენილი მტკიცების ტვირთი და მტკიცებულებითი სტანდარტი, არა მხოლოდ დანაშაულის დაბრალების საქმეებზე, არამედ ყოველთვის, როცა პირი ავრცელებს ფაქტის შემცველ განცხადებას.

შეფასებითი მსჯელობის აბსოლუტური პრივილეგიით დაცვა კონვენციას ეწინააღმდეგება. ეროვნული სასამართლოს მიერ ხარვეზიანი საკანონმდებლო ნორმების გამოყენება და კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე ყოველგვარი ანალიზის გარეშე ამ საქმეებზე ევროპული სტანდარტის მითითება, სტანდარტის დეკორაციულ ფუნქციაზე მიუთითებს. საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება, რომ შეფასებით მსჯელობას განესაზღვროს მოთხოვნად ფაქტობრივი საფუძველი და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყოს გამოხატვის ავტორზე პასუხისმგებლობის დაკისრება. საკანონმდებლო ცვლილებამდე ეროვნული სასამართლო უნდა იყენებდეს კონვენციის საფუძველზე დასაბუთების შესაბამის სტანდარტებს და რეალურად უსადაგებდეს მათ საქმის გარემოებებს. თანმიმდევრულად უარი უნდა ითქვას შეფასებითი მსჯელობისთვის გათვალისწინებული აბსოლუტური პრივილეგიით დაცვაზე კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების შესაბამისად.

მართალია, ეროვნული სასამართლო თავის პრაქტიკაში განმარტავს, რომ „ორივე უფლება – გამოხატვის თავისუფლებაც და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაც – თანაბარ დაცვას იმსახურებს,“ რეალურად მოქმედებს ყველა ის შიდასახელმწიფოებრივი დებულება, რომელიც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების საპირისპიროდ, გამოხატვის თავისუფლების ნორმატიულ დონეზე უპირატესობას ადგენს. მიზანშეწონილია მსგავს პრაქტიკაზე უარის თქმა.

ამის საწინააღმდეგოდ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ფარგლებში გამოხატვის თავისუფლების საწინააღმდეგო ინტერესისთვის (სასამართლოს ავტორიტეტი და მიუკერძოებლობა) აშკარა ნორმატიული უპირატესობის დაწესება საშიშ ტენდენციას აჩვენებს და არასწორ მიმართულებას აძლევს საერთო სასამართლოებს თუ ნორმის

შემფარდებელ სხვა ინსტიტუციებს. ეს ისეთივე არასწორი ტენდენციაა, როგორც გამოხატვის თავისუფლებისთვის ნორმატიული უპირატესობის მინიჭება პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების საპირწონედ. ამ მსჯელობით, საკონსტიტუციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის როგორც კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტთან, ისე საკუთარ პრაქტიკასთანაც და რეკომენდებულია ამ ტენდენციის აღმოფხვრა მომავალში მიღებულ გადაწყვეტილებებში.

სამოქალაქო სამართალწარმოებაში პრობლემურია გადაწყვეტილებები ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაზე, სადაც კონვენციასა და ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე ზედაპირული მითითება ფაქტობრივი გარემოებების შეფასებასა და სასამართლოს არსებით მსჯელობაში რეალურად ინკორპორირებული არ არის. ამასთან, თავად სტანდარტიც ხშირად არასრულად/არასწორად არის მითითებული. რეკომენდებულია ნაშრომში საწინააღმდეგო მიჩნეული მსჯელობის მსგავსად სხვა სასამართლოებმაც, ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალურად შეფასებასთან ერთად, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სხვა პირთა უფლებებზეც იმსჯელონ, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებზე დაყრდნობით.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, „არაოფიციალური“ ოჯახის ურთიერთობა ქონებრივ უფლებებსაც მოიცავს. შესაბამისად, განსხვავებული არასახარბილო მოპყრობა რეგისტრირებულ და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირების მიმართ თანასაკუთრების რეჟიმთან მიმართებით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად ობიექტურად და გონივრულად გამართლებულია.

ეროვნული სასამართლო არასწორად განმარტავს ინფორმირებული თანხმობის საკითხს, როცა მას ექსკლუზიურად კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში მოიაზრებს. რეკომენდებულია, ეროვნულმა სასამართლომ შეაფასოს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებით დაცული პირის ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევის სიმძიმე და შესაბამისი კვალიფიკაცია მისცეს ინფორმირებული თანხმობის გარეშე ჩატარებულ სამედიცინო პროცედურას. ზიანის ანაზღაურების თანხა, შესაბამისად, უნდა განსხვავდებოდეს.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სამართალწარმოებას, სადისერტაციო ნაშრომში განხილულია როგორც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, ისე სამართალწარმოების პრაქტიკული ასპექტები. გამოკვეთილია გადამეტებული ფორმალიზმის, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი სიცხადის პრინციპის დარღვევის და საბოლოო ჯამში, ევროპული სასამართლოს მიდგომასთან შეუთავსებელი სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვის მაგალითები საკონსტიტუციო სამართალწარმოების დასაშვებობის ეტაპზე.

ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ევროპული სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის მიღების მოთხოვნით მიმართვის შესაძლებლობას და არა ვალდებულებას ითვალისწინებს. აღნიშნული კონვენციასთან შესაბამისობაშია.

პირს, რომელიც თავისი უფლების/თავისუფლების დასაცავად მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს, ევროპულ კონვენციაზე მითითება მართებულად არ ეკისრება. თუმცა სუბსიდიარობის პრინციპს ეწინააღმდეგება ის, რომ სავალდებულო არ არის მოსამართლის მიერ კონსტიტუციურ წარდგინებაში კონვენციის გამოყენება. მიზანშეწონილია, ეს ხარვეზი გამოსწორდეს საკანონმდებლო ცვლილებით და ცვლილებამდე შესატყვისი პრაქტიკით.

სუბსიდიარობის პრინციპს, ადამიანის უფლებების უნივერსალური განმარტების პრინციპს, *pacta sunt servanda* და საერთაშორისო ხელშეკრულების შეუსრულებლობის გასამართლებლად ეროვნულ სამართალზე მიმართვის დაუშვებლობის პრინციპებს არღვევს ის, რომ კონსტიტუციური სარჩელის/წარდგინების დასაშვებობის და არსებითი განხილვის ეტაპებზე არ არის გათვალისწინებული საკონსტიტუციო სასამართლოს ვალდებულება, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებით იხელმძღვანელოს. პრობლემის გამოსწორება რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებით და ცვლილებამდე შესატყვისი პრაქტიკით.

ხარვეზიანი რეგლამენტაციის გარდა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ბევრი ასპექტი მოწესრიგების გარეშეა, რაც პრაქტიკაში ზოგჯერ გადამეტებული

ფორმალისტური მიდგომებით ივსება. მაგალითად, სასამართლოს განჩინებებში ნორმის უფლებამზღუდავ ხასიათთან დაკავშირებით შეზღუდვითი გრამატიკული განმარტება ევროპული სასამართლოს პრაქტიკისგან დაშორებულ ინტერპრეტაციას ემყარება. სამართლებრივ დაცვაზე პირის იმედად რჩება ევროპული სასამართლო. ასეთი მიდგომით სუბსიდიარობის პრინციპი ირღვევა. როცა საკონსტიტუციო სასამართლო აღმჭურველი ნორმის უფლებამზღუდავ ხასიათს არ გამორიცხავს, პრაქტიკა თვითნებურ ხასიათს იღებს, რადგან განსხვავება სადავო ნორმების ფორმულირებებს შორის არ არსებობს. რეკომენდებულია, საკონსტიტუციო სასამართლომ თანმიმდევრულად უარი თქვას სადავო ნორმის უფლებამზღუდავ ხასიათთან დაკავშირებით შეზღუდვითი გრამატიკული განმარტების გამოყენებაზე.

პრობლემაა *jura novit curia* პრინციპის უგულებელყოფა. თუნდაც სწორად იყოს იდენტიფიცირებული და დასაბუთებული ნორმის სავარაუდო არაკონსტიტუციურობა, სადავო ნორმის ანდა კონსტიტუციური დებულების არასწორად მითითების შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღება. მიზანშეწონილია, ევროპული სასამართლოს მსგავსად, საკონსტიტუციო სასამართლომაც გაიზიაროს სამართალწარმოების აღნიშნული პრინციპი. ამ პრინციპის ძალით, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას უნდა გამოკვეთდეს თავისი ინიციატივითაც, კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებზე დაყრდნობით.

ნაშრომში იდენტიფიცირებულია საკონსტიტუციო სასამართლოს არათანმიმდევრული მსჯელობა კონსტიტუციური უფლებების შინაარსსა და მოცულობაზე, რაც აზიანებს სამართლებრივი სიცხადის პრინციპს და თვითნებური განმარტების შესაძლებლობას ამკვიდრებს. რეკომენდებულია, სასამართლომ უარი თქვას არათანმიმდევრულ განმარტებებზე და დაადგინოს ერთგვაროვანი პრაქტიკა კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტებზე დაყრდნობით.

ხშირ შემთხვევაში, სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით გამყარებულ არგუმენტებს არ პასუხობს. ისეთი

კვალიფიციური სუბიექტის კონსტიტუციურ სარჩელსაც, როგორიცაა საქართველოს სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი დამატებით ღირებულებას უნდა სძენდეს ადამიანის უფლებების განმარტების თვალსაზრისით.

ხშირ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები სათანადოდ არ არის განმარტებული არც სარჩელის ავტორისთვის და არც სამომავლო სარჩელების ავტორებისთვის, რაც მნიშვნელოვან პრობლემას იწვევს სამართლებრივი სიცხადისა და წინასწარგანჭვრეტადობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იდენტიფიცირებული ხარვეზები თანმიმდევრულად აღმოფხვრას.

ცხადია, ნაშრომში ყველა საკითხი, რაც კონვენციის შეფარდებას შეიძლება უკავშირდებოდეს, ვერ იქნებოდა განხილული. ნაშრომში გაანალიზებულია კონკრეტული შერჩეული საკითხების მიხედვით წინააღმდეგობა თუ შესაბამისობა დასაბუთების სტანდარტების თვალსაზრისით და გამოკვეთილია ის გარემოებები, რომლებიც ევროპული სასამართლოს მიერ ასეთ შემთხვევებში მიჩნეულია „რელევანტურად“ და „საკმარისად“. შეუსაბამობის თუ შესაბამისობის მაგალითების განხილვის მიზანია პრობლემების თუ პოზიტიური ასპექტების წარმოჩენა საქართველოს სასამართლოების დასაბუთების სტანდარტებში, რათა ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებას და ლეგიტიმაციის ზრდას, ადამიანის უფლებების დაცვას ევროპული კონვენციის საფუძველზე დასაბუთების სტანდარტების შესაბამისად და საბოლოო ჯამში, საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს მიმართ.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ნორმატიული აქტები

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია.
2. სახელშეკრულებო სამართლის შესახებ 1969 წლის ვენის კონვენცია.
3. ბავშვის უფლებების შესახებ 1989 წლის კონვენცია.
4. ევროპის 1996 წლის სოციალური ქარტია (შესწორებული).
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების 2006 წლის კონვენცია.

საქართველოს საკანონმდებლო აქტები

6. საქართველოს კონსტიტუცია, 24.8.1995.
7. საქართველოს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი №4137-სსმI, №3, 11.01.2007წ.
8. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, 31.1.1996.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26.6.1997.
10. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997.
11. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 10.12.1997.
12. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 20.2.1998.
13. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25.6.1999.
14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22.7.1999.

15. „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, 24.6.2004.
16. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი, 23.12.2004.
17. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 9.10.2009.
18. პატიმრობის კოდექსი, 24.3.2010.
19. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, 20.7.2018.
20. „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 7.10.2014 N01-74/ნ ბრძანებით დამტკიცებული N5 დანართი - „12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენებათა ჩამონათვალი“.

სამეცნიერო ლიტერატურა

21. ალადაშვილი ი., ჩიხლაძე ნ., ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენების მონიტორინგი 2007-2008 წლებში, თბილისი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2009.
22. ბარამაშვილი თ., მაჭარაშვილი ლ., კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები: პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი: ევროპის საბჭო, 2021.
23. ბერიძე ი., ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი, თბილისი: ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2012.
24. ბოხაშვილი ბ., კორკელია კ., პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები, თბილისი: იურისტების სამყარო, 2017.

25. გოცირიძე ე., გამოხატვის თავისუფლება ღირებულებათა კონფლიქტში: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით, თბილისი: ჯისიაი, 2008.
26. გოცირიძე ე., მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, თბილისი: ჯისიაი, 2006.
27. ერემაძე ქ., დემოკრატიის გამოწვევები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიის ძიების პროცესში: კანონის წინაშე თანასწორობა, როგორც თავისუფლების გარანტია, თბილისი: იურისტების სამყარო, 2015.
28. ზარანდია თ., მჭედლიძე ნ., საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, პროფესორ ლადო ჭანტურიას 60 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თ. ზარანდიას და ბ. ზოიძის რედაქტორობით, თბილისი, 2023, 191-219.
29. თევზაძე ლ., დასაბუთებული განაჩენი, როგორც ჯეროვანი მართლმსაჯულების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, მართლმსაჯულება და კანონი, 4(60)2018, 7-21.
30. იზორია ლ., ძირითადი უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივი დოქტრინა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 7-30.
31. კორკელია კ., საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
32. კორკელია კ., საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი საქართველოს სამართლებრივ სისტემაში, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, კ. კორკელიას და ი. სესიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2001, 62-82.

33. კორკელია კ., მჭედლიძე ნ., ნალბანდოვი ა., საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2005.
34. კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში, თბილისი: პეტიტი, 2004.
35. კორკელია კ., ქურდაძე ი., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი: პეტიტი, 2004.
36. კორკელია კ., სამოსამართლო აქტივიზმი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გავლენა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაზე, <<https://clr.iliauni.edu.ge/index.php/journal/article/view/57/92>>[22.2.2024].
37. მარია-ლადვეგი ი., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა სავალდებულობა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 94-113.
38. ლოლაძე ბ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები მოკლე კომენტარებით, ბათუმი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2010.
39. მაკოვეი მ, პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, ნ. მჭედლიძის რედაქტორობით და კომენტარებით, თბილისი: პეტიტი, 2004.
40. მაღლაკელიძე ლ., ბრალდების უცვლელობის პრინციპის გაგება ქართული და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი, 2017, 75-79, <<https://www.dgstz.de/storage/documents/pEc1W1kEc5a4XPTs4pJ1ufJPdQr8ws6pCOCUhB6C.pdf>>[22.2.2024].

41. მჭედლიძე ნ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი განჩინებები ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ განაცხადების დაუშვებლობაზე, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიას და თ. ზარანდიას რედაქტორობით, თბილისი, 2023.
42. მჭედლიძე ნ., მუხიგულაშვილი ა., გამოხატვის თავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოწვევები საქართველოში და მათი გადაწყვეტა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, თბილისი, უფლებები საქართველო, 2021, <<http://rights.ge/ka/accountnew/17>>[22.2.2024].
43. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების გამოყენება პატიმრობის შეფარდებისას, სამართლის ჟურნალი, 2, 2020, 261-272.
44. მჭედლიძე ნ., შრომითი უფლებები: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019.
45. მჭედლიძე ნ., საცხოვრისის დაცულობის უფლება: საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა, თბილისი: EMC/EU4Justice, 2019.
46. მჭედლიძე ნ., სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტებზე, თბილისი: ფავორიტი, 2019.
47. მჭედლიძე ნ., საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების სტანდარტები, თბილისი, ევროპის საბჭო, 2017, <<https://rm.coe.int/168070a54c>>[22.2.2024].
48. მჭედლიძე ნ., საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, თბილისი, ევროპის საბჭო, 2015, <<https://rm.coe.int/16803034e7>>[22.2.2024].

49. მჭედლიძე ნ., დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა ECtHR სტანდარტებთან, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 128-141.
50. ნაკაშიძე გ., საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საერთაშორისო ხელშეკრულების *ex post* საკონსტიტუციო კონტროლი, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1.2022, 105-144.
51. პაპუაშვილი ს., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების ბუნება, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 127-139.
52. პატარაია დ., საერთაშორისო საჯარო სამართალი, წიგნი პირველი, თბილისი: თსუ, 2023.
53. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 1.10.2015 მდგომარეობით, თბილისი: ABA, 2015.
54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევისა და ანალიზის ცენტრი, საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში, თბილისი, 2017.
55. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სახელმძღვანელო წინადადებები: სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015.
56. ტრექსელი შ., ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, რედაქტორები: კ. ვარძელაშვილი, ლ. ფაფიაშვილი, მ. ნარინდოშვილი, ნ. მჭედლიძე, გ. მელაძე, თბილისი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2009.

57. უფლისაშვილი თ., რასისტული დამოკიდებულების გამოხატვა ინტერნეტში – საერთაშორისო და ევროპული გამოცდილება, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 114-26.
58. ფაფიაშვილი ლ., ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიები თავისუფლებადკვეთილი პირების მიმართ, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი: 2002, 229-246.
59. ფირცხალაშვილი ა., ადამიანის უფლებათა უნივერსალურობის თეორია, მართლმსაჯულება და კანონი, 2/41/2014, 71-86.
60. ფუტყარაძე ი., საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და მოქალაქეთა პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ადამიანი და კონსტიტუცია,“ 3/1998, 5-15.
61. ქურდაძე ი., საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის შესახებ მეცნიერული კონცეფციების განვითარების ეტაპები და თანამედროვეობა, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1/2008, 7-17.
62. ხატიაშვილი გ., საქართველოს საერთო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, თბილისი: USAID, 2019.
63. ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი: ფავორიტი, 2016.
64. ხეცურიანი ჯ., ნოვაციები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობაში, დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბილისი: სეზანი, 2006.

65. ჭანტურია ლ., იურისდიქცია და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, პროფესორ ბესარიონ ზოიძის 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ლ. ჭანტურიას და თ. ზარანდიას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 63-74.
66. ჭელიძე ლ., საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სასამართლო პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2007, 140-223.
67. ჯალაღანია ლ., ჩუთლაშვილი ქ., ოჯახში ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე, თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2018.
68. ჯორბენაძე ლ., სახელის უფლება და პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა, ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2015, 302-311.
69. ჰაინრიხი ბ., ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, გ. თუმანიშვილის, ბ. ჯიშკარიანის, ე. შრამის რედაქტორობით, თბილისი, 2019, 94-131.

საქართველოს საერთო სასამართლოების აქტები

ამბროლაურის რაიონული სასამართლო

70. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N090310019003209435.

71. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 23.5.2019 განაჩენი საქმეზე N090100119002967628.

ახალქალაქის რაიონული სასამართლო

72. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 28.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N15021-0-9-0331-341.
73. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2.3.2020 განაჩენი საქმეზე N150100118002775166.
74. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 6.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N150210019003117493.
75. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 20.7.2018 განაჩენი საქმეზე N150100118002531415.

ახალციხის რაიონული სასამართლო

76. ახალციხის რაიონული სასამართლოს 18.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2967932-3/069-19.
77. ახალციხის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლე ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 24.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N231210019002905582-2/044-19.
78. ახალციხის რაიონული სასამართლოს 27.11.2019 განაჩენი საქმეზე N120100119002798260.
79. ახალციხის რაიონული სასამართლოს 4.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2156582-2/061-17.

ბათუმის საქალაქო სასამართლო

80. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 13.1.2015 განჩინება საქმეზე N10/ა-12/15.

81. ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 21.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/194-18.
82. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100120003430860.
83. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 3.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100120003465531.
84. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 10.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100119003076699.
85. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 25.7.2019 განაჩენი საქმეზე N010100119003052769.
86. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1.8.2019 განაჩენი საქმეზე N010100119003065899.
87. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.1.2018 განაჩენი საქმეზე N010100116001215534.
88. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 30.1.2018 განაჩენი საქმეზე N010100115001183591.

ბაღდათის მაგისტრატი სასამართლო

89. ბაღდათის მაგისტრატი სასამართლოს 28.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N831210019003238589.

ბოლნისის რაიონული სასამართლო

90. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 30.9.2019 განაჩენი საქმეზე N160100119002873906.
91. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 7.3.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N160210018002260994.

გორის რაიონული სასამართლო

- 92. გორის რაიონული სასამართლოს 3.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/927-16.
- 93. გორის რაიონული სასამართლოს 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე 140210018002322491.
- 94. გორის რაიონული სასამართლოს 5.12.2019 განაჩენი საქმეზე N140100119003068903.

ზესტაფონის რაიონული სასამართლო

- 95. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 18.1.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/844-2018.

ზუგდიდის რაიონული სასამართლო

- 96. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 21.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/1032-18.

თბილისის სააპელაციო სასამართლო

- 97. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 4.10.2017 განჩინება საქმეზე N1გ/1199-17.
- 98. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 8.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ/19.
- 99. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 23.1.2015 განჩინება საქმეზე N1გ-71.
- 100. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 5.12.2014 განჩინება საქმეზე N1გ/1234.
- 101. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 8.5.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002336040.

102. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N330310018002472677.
103. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.5.2019 გადაწყვეტილება ციტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 5.5.2023 განჩინებაში საქმეზე Nზს-192(2კ-23).
104. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.6.2016 გადაწყვეტილება საქმეზე Nზბ/1474-15.
105. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.11.2022 განჩინება ციტირებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინებაში საქმეზე Nას-57-2023.
106. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.2.2020 განჩინება საქმეზე N330210019002917050.
107. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.5.2019 განჩინება საქმეზე N330210013214841.
108. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 24.4.2018 განჩინება საქმეზე Nზბ/6598-17.
109. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.7.2018 განჩინება საქმეზე Nზბ/1633-18.
110. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.11.2017 განჩინება საქმეზე Nზბ/5750-17.
111. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210018002381504.

თბილისის საქალაქო სასამართლო

112. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.1.2015 განჩინება.
113. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 7.2.2016 განაჩენი საქმეზე N1/3050-15.
114. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 5.6.2016 განაჩენი საქმეზე N004291115003.
115. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 27.2.2014 განაჩენი საქმეზე N1/5319-13.
116. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 29.9.2017 განჩინება.
117. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.6.2020 განაჩენი საქმეზე N1/20-20.
118. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 18.1.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002542614.
119. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.1.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002635033.
120. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 8.2.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002699764.

121. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 22.2.2019 განაჩენი საქმეზე N330100118002639521.
122. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 24.1.2018 განაჩენი საქმეზე N1/2512-17.
123. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 3.8.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002262387.
124. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 15.3.2018 განაჩენი საქმეზე N1/3111-13.
125. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 25.7.2018 განაჩენი საქმეზე N1/860-18.
126. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 14.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002668941.
127. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 14.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002559647.
128. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 4.12.2018 განაჩენი საქმეზე N330100118002543082.

129. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 23.8.2017 განაჩენი საქმეზე N1/799-17.
130. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N3/9706-19.
131. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/357-18.
132. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.9.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/4545-16.
133. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 24.2.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N2/25829-19.
134. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210018002742600.
135. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 10.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019002807295.
136. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 29.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019003108719.
137. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 22.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N330210019002996658.
138. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 7.11.2019 გადაწყვეტილებები საქმეებზე N330210018002657986 და N330210019003051812.
139. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.3.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N213-14.

140. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 8.11.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/7092-17.

141. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/4791-18.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო

142. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 17.1.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002757352.

143. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 13.2.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002654418.

144. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 14.2.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002561488.

145. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 18.6.2019 განაჩენი საქმეზე N170100118002720362.

146. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 20.6.2019 განაჩენი საქმეზე N170100119002915679.

მცხეთის რაიონული სასამართლო

147. მცხეთის რაიონული სასამართლოს 29.5.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N3/27-18.

ოზურგეთის რაიონული სასამართლო

148. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2.7.2015 განჩინება.

149. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.7.2015 განჩინება.

150. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 17.1.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019003231134.

151. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 10.3.2020 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019003127959.
152. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 21.11.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N050210019002888234.
153. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 24.12.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N050210119003104766.
154. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 31.1.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2-836-17.

რუსთავის საქალაქო სასამართლო

155. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 21.11.2015 განჩინება საქმეზე N10ა-236-15.
156. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 12.8.2014 განჩინება საქმეზე N10დ-328-14.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

157. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 1.4.2020 განჩინება საქმეზე N763აპ-19.
158. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 19.5.2020 განჩინება საქმეზე N2კ-892აპ.-19.
159. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 15.7.2020 განჩინება საქმეზე N567აპ-19.
160. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 21.7.2020 განჩინება საქმეზე N140აპ-20.
161. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 6.8.2020 განჩინება საქმეზე N186აპ-20.

162. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
25.2.2019 განჩინება საქმეზე N541აპ-18.
163. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
31.7.2019 განჩინება საქმეზე N827აპ-18.
164. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
4.11.2019 განჩინება საქმეზე N2კ-374აპ.-19.
165. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
28.7.2016 განაჩენი საქმეზე N2კ-128აპ.-16.
166. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
26.1.2023 განჩინება საქმეზე Nზს-478(კ-22).
167. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
22.2.2023 განჩინება საქმეზე Nზს-49(კ-21).
168. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
22.2.2023 განჩინება საქმეზე Nზს-544(კ-22).
169. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
26.4.2023 განჩინება საქმეზე Nზს-1099(2კ-22).
170. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
5.5.2023 განჩინება საქმეზე Nზს-192(2კ-23).
171. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
10.2.2022 განჩინება საქმეზე Nზს-27(კ-21)10.
172. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
22.2.2022 განჩინება საქმეზე Nზს-739(კ-21).
173. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
17.3.2022 განჩინება საქმეზე Nზს-243(კ-20).

174. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2.3.2022 განჩინება საქმეზე Nზს-129(კ-19).
175. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
25.3.2022 განჩინება საქმეზე Nზს-1096(კ-19).
176. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
21.6.2022 განჩინება საქმეზე Nზს-416(კს-22).
177. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
18.10.2022 განჩინება საქმეზე Nზს-376(კ-22).
178. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
1.11.2022 განჩინება საქმეზე Nზს-770(კ-21).
179. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
11.12.2022 განჩინება საქმეზე Nზს-1164(კ-20).
180. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
26.1.2021 განჩინება საქმეზე Nზს-1112(კ-18).
181. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
10.3.2021 განჩინება საქმეზე Nზს-1281(2კ-19).
182. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
2.6.2021 განჩინება საქმეზე Nზს-684(2კ-20).
183. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
17.6.2021 განჩინება საქმეზე Nზს-1234(კ-19).
184. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
22.7.2021 განჩინება საქმეზე Nზს-37(2კ-21).
185. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
16.1.2020 განჩინება საქმეზე Nზს-1155(2კ-18).

186. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
21.3.2020 განჩინებები საქმეებზე Nბს-268(კ-19), Nბს-1233(კ-18).
187. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
13.5.2020 განჩინება საქმეზე Nბს-122(კ-20).
188. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
25.2.2020 განჩინება საქმეზე Nბს-6(კ-20).
189. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
25.2.2020 განჩინება საქმეზე Nბს-13(კ-20).
190. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
27.5.2020 წლის განჩინება საქმეზე Nბს-220(2კ-20).
191. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
14.7.2020 განჩინება საქმეზე N2020-07-14.
192. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
15.7.2020 განჩინება საქმეზე Nბს-791-791(კ-18).
193. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
17.9.2020 განჩინება საქმეზე N ბს-473(2კ-19).
194. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
1.10.2020 განჩინება საქმეზე Nბს-845(კ-19).
195. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
17.1.2019 განჩინება საქმეზე Nბს-809-805(3კ-17).
196. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
7.2.2019 განჩინება საქმეზე Nბს-432-429(2კ-17).
197. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის
14.3.2019 განჩინება საქმეზე Nბს-1531(კ-18).

198. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.2019 განჩინება საქმეზე Nზს-974(კ-18).
199. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.2019 განჩინება საქმეზე Nზს-1076(კ-18).
200. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.10.2018 განჩინება საქმეზე Nზს-874(2კ-18).
201. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.12.2018 განჩინება საქმეზე Nზს-1158-1152(3კ-17).
202. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2018 განჩინება საქმეზე Nზს-798(კ-18).
203. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 11.4.2017 განჩინება საქმეზე N759აპ-16.
204. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.5.2017 განჩინება საქმეზე Nზს-918-910(კ-16).
205. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 8.6.2017 განჩინება საქმეზე Nზს-246-244(კ-17).
206. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 8.6.2017 Nზს-274-272(კ-17).
207. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.6.2017 განჩინება საქმეზე Nზს-239-237(კ-17).
208. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.7.2016 განჩინება საქმეზე Nზს-776-768(2კ-4კს-15).
209. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 18.2.2014 განჩინება საქმეზე Nზს-463-451(კ-13).

210. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 28.2.2013 განჩინება საქმეზე Nზს-367-363(კ-12).
211. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.4.2013 განჩინება საქმეზე Nზს-468-463(კ-12).
212. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.6.2013 განჩინება საქმეზე Nზს-106-99(კ-13).
213. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 24.1.2003 განჩინება საქმეზე N3გ-ად-275-კ-02.
214. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.1.2024 განჩინება საქმეზე Nას-1389-2023.
215. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 17.5.2023 განჩინება საქმეზე Nას-57-2023.
216. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.5.2021 განჩინება საქმეზე Nას-697-651-2017.
217. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.6.2021 განჩინება საქმეზე Nას-253-2021.
218. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.8.2021 განჩინება საქმეზე Nას-645-2019.
219. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.4.2020 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1366-2019.
220. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 26.7.2017 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1011-972-2016.
221. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 1.10.2014 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-179-172-2012.

222. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 20.2.2012 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1278-1298-2011.

223. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 3.4.2012 გადაწყვეტილება საქმეზე Nას-1477-1489-2011.

საჩხერის რაიონული სასამართლო

224. საჩხერის რაიონული სასამართლოს 7.9.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/124-2018.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო

225. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 15.10.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/104-19.

226. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 4.12.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/78-18.

ფოთის საქალაქო სასამართლო

227. ფოთის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 22.6.2019 განაჩენი საქმეზე N030100119002947152.

228. ფოთის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 15.11.2019 განაჩენი საქმეზე N030100119003227672.

229. ფოთის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 30.12.2019 განაჩენი საქმეზე N030100119003311703.

230. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.8.2018 გადაწყვეტილება საქმეზე N2/407-2017.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო

231. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 22.2.2020 განაჩენი საქმეზე N030100118002418258.

232. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 26.3.2020 განაჩენი საქმეზე N080100118002682283.
233. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 3.4.2020 განაჩენი საქმეზე N010100119002904547.
234. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 20.5.2019 განაჩენი საქმეზე N020100118002497182.
235. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 11.10.2019 განაჩენი საქმეზე N060100119002963109.
236. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 17.12.2019 განაჩენი საქმეზე N020100116001664514

ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოს

237. ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოს 10.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/4-19.
238. ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოს 10.7.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N2/42-19.

ცაგერის რაიონული სასამართლო

239. ცაგერის რაიონული სასამართლოს 11.2.2020 განაჩენი საქმეზე N040100119003151115.
240. ცაგერის რაიონული სასამართლოს 2.10.2019 განაჩენი საქმეზე N040100119003035609.
241. ცაგერის რაიონული სასამართლოს 27.12.2019 განაჩენი საქმეზე N040100119003295168.
242. ცაგერის რაიონული სასამართლოს 30.12.2019 განაჩენი საქმეზე 040100119003057365.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო

243. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 14.6.2019 გადაწყვეტილება საქმეზე N820210018002743033.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები

244. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.2.2023 N1/3/1737 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
245. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 14.12.2023 N1/7/1753 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
246. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.4.2020 N1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
247. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.12.2020 N2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.
248. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.12.2020 N2/8/1481 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
249. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3.2.2023 N1/1/1718 განჩინება საქმეზე „ნოდარ ჩავლეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.
250. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.5.2023 N2/7/1701 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

251. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.12.2017 N1/23/824 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
252. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 21.9.2011 N2/1/499 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გვანცა ჭელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
253. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.7.2023 N1/4/1394 გადაწყვეტილება საქმეზე „ზვიად კუპრავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
254. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30.9.2016 N1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
255. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 22.2.2015 N1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
256. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 27.12.2010 N1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები ‘ახალი მემარჯვენეები’ და ‘საქართველოს კონსერვატიული პარტია’ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
257. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 6.4.2009 N2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
258. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 10.11.2009 N1/3/421,42 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

259. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 18.5.2007 N2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.
260. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 7.11.2003 N2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეები – ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელები, რეკომენდაციები და ანგარიშები

261. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 6.5.2022 N1701 კონსტიტუციური სარჩელი.
262. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 23.8.2022 N1724 კონსტიტუციური სარჩელი.
263. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 13.10.2022 N1737 კონსტიტუციური სარჩელი.
264. „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 12.11.2019 N1460 კონსტიტუციური სარჩელი.
265. საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 27 დეკემბრის N08/17745 რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისადმი, <<https://ombudsman.ge>>[22.02.2024].
266. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2022.
267. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2021.

268. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2020.
269. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2019.
270. საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში, თბილისი, 2015.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აქტი

271. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 25.11.2021 გადაწყვეტილება საქმეზე Ng-21-18/634, <<https://www.comcom.ge/ge/legal-acts/solutions>>[22.2.2024].

საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მონაწილე საქართველო არ არის

272. Convention on the Protection of the Environment through Criminal Law, Council of Europe, 4.11.1998, <<https://rm.coe.int/168007f3f4>>[22.2.2024].
273. European Convention on Nationality, Council of Europe, 6.11.1997, <<https://rm.coe.int/168007f2c8>>[22.2.2024].

დეკლარაციები, რეკომენდაციები, რეზოლუციები, პოლიტიკის დოკუმენტები

274. Universal Declaration of Human Rights, United Nations General Assembly Resolution 217 A, 10.12.1948, <www.un.org>[22.2.2024].
275. Vienna Declaration and Programme of Action, World Conference on Human Rights, 25.6.1993, <www.ohchr.org>[22.2.2024].
276. Responsibility of States for Internationally Wrongful Acts, UNGA Res 56/83, 12 December 2001, UN Doc A/RES/56/83, <<https://www.un.org/>>[22.2.2024].
277. Council of Europe, Brighton Declaration, High Level Conference “On the Future of the European Court of Human Rights”, 2012, Brighton, <www.coe.int.org>[22.2.2024].

278. Council of Europe, Reykjavík Declaration, Reykjavík Summit of the Council of Europe: “United Around Our Values”, CM(2023)57, 2023, Reykjavík, <www.coe.int.org>[22.2.2024].
279. Council of Europe, Brussels Declaration, High-level Conference: “Implementation of the European Convention on Human Rights, Our Shared Responsibility”, 2015, Brussels, <www.coe.int.org>[22.2.2024].
280. Council of Europe, Copenhagen Declaration, 2018, Copenhagen, <www.coe.int.org>[22.2.2024].
281. Committee of Ministers of the Council of Europe, Decision CM/Del/Dec(2022)1428ter/2.3 on Consequences of the Aggression of the Russian Federation Against Ukraine, Procedure under Article 8 of the Statute, 16.3.2022, <https://search.coe.int/cm/pages/result_details.aspx?objectid=0900001680a5d7d9>[22.02.2024].
282. Committee of Ministers of the Council of Europe, Resolution CM/Res(2022)3 On Legal and Financial Consequences of the Cessation of Membership of the Russian Federation in the Council of Europe, 23.2.2022 <<https://rm.coe.int/resolution-cm-res-2022-3-legal-and-financial-conss-cessation-membershi/1680a5ee99?msclkid=60a33447ab8d11ec9c8f9bc54d5831c1>>[22.02.2024].
283. Parliamentary Assembly of the Council of Europe, Opinion 300 (2022) on Consequences of the Russian Federation's Aggression Against Ukraine, 15.03.2022, <<https://pace.coe.int/en/files/29885/html>>[22.02.2024].
284. Recommendation Rec(2006)13 of the Committee of Ministers to Member States on the Use of Remand in Custody, the Conditions in Which It Takes Place and the Provision of Safeguards Against Abuse, 27.9.2006, <<https://pjp-eu.coe.int/>>[22.2.2024].

285. European Commission against Racism and Intolerance, General Policy Recommendation N°7 (revised) On National Legislation to Combat Racism and Racial Discrimination, adopted on 13.12.2002, revised on 7.12.2017.
286. Explanatory Report to Protocol No. 15 amending the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Council of Europe Treaty Series No. 213, Strasbourg, 2013.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამუშაო დოკუმენტები

287. Plenary Court of the European Court of Human Rights, Rules of Court, as of 22.1.2024, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/rules_court_eng>[22.2.2024].
288. President of the European Court of Human Rights, Practice Directions, as of 1.2.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/pd_institution_proceedings_eng>[22.2.2024].

სამეცნიერო ლიტერატურა

289. Baxi U., The Future of Human Rights, 2nd ed., Oxford/New York: Oxford University Press, 2003.
290. Bedford D., Key Cases on Human Dignity under Article 3 ECHR, European Human Rights, 2/2019, 185-194.
291. Council of Bars and Law Societies of Europe, The European Court of Human Rights Questions & Answers for Lawyers, Brussels: CCBE, 2020, <<https://www.ccbe.eu>>[22.2.2024].
292. Florczak-Wątor M., The Role of the European Court of Human Rights in Promoting Horizontal Positive Obligations of the State, International and Comparative Law Review, 17/2/2017, 39-53.

293. Görlitz F., Hubert J, Kucher J., Scheffer M., Wieser P., “Tatprovokation”, The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions, Cambridge University Press, 20/4/2019, 496-509.
294. Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to Liberty and Security, Council of Europe, 22.8.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_5_eng>[22.2.2024].
295. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights, Right to a Fair Trial (Criminal Limb), Council of Europe, 31.8.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/guide_art_6_criminal_eng>[22.2.2024].
296. Guide on Article 1 of Protocol No. 1 to the European Convention on Human Rights, Protection of Property, Council of Europe, 31.8.2022, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Guide_Art_1_Protocol_1_ENG>[22.2.2024].
297. Guide on Cultural Rights in the Case-law of the European Court of Human Rights, Council of Europe, 17.1.2017, <https://www.echr.coe.int/Documents/Research_report_cultural_rights_ENG.pdf>[22.2.2024].
298. Harris D.J., O’Boyle M., Bates E.P., Buckley C.M., Law of the European Convention on Human Rights, 4th ed., Oxford: Oxford University Press, 2018.
299. Harutyunyan G., Mavčič A., The Constitutional Review and Its Development in the Modern World: A Comparative Constitutional Analysis, Yerevan/Ljubljana: Hayagitak, 1999.
300. Lindstone K., Palmer K., The Investigation of Crime: A Guide to Police Powers, 2nd ed., London: Butterworths, 1996.
301. McBride J., Human Rights and Criminal Procedure: The Case Law of the European Court of Human Rights, 2nd ed., Strasbourg: Council of Europe, 2018.

302. McBride J, Rights of the Detained Persons While Reviewing Lawfulness of Detention, Council of Europe, <<https://rm.coe.int/coe-turkey-round-table-jeremy-mcbride/16809fda1a>>[22.2.2024].
303. McBride J., the Case Law of the European Court of Human Rights on Evidentiary Standards in Criminal Proceedings, Council of Europe, <<https://rm.coe.int/council-of-europe-georgia-european-court-of-human-rights-case-study-ev/16807823c3>>[22.2.2024].
304. Mchedlidze N., Modern Challenges to Freedom of Expression: Need for Recalibration of the ECtHR Approach to Facts and Value Judgments, Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung, 4/2023, 28-36.
305. Mchedlidze N., Overview of the Case-Law of the European Court of Human Rights Regarding Media's Influence on Court Proceedings, South Caucasus Law Journal, 08/2017, 280-289.
306. Orakhelashvili A., Akehurst's Modern Introduction to International Law, 9th ed., London/New York: Routledge, 2022.
307. Orakhelashvili A., *Al-Dulimi v. Switzerland*: Notes, American Journal of International Law, 110/4/2016, 767-774.
308. Orakhelashvili A., The Idea of European International Law, The European Journal of International Law, 17/2/2006, 315-347.
309. Patariaia D., International Law: Text, Cases and Materials, London/New York: Routledge, 2022.
310. Goodhart M., Universalism, The Essentials of Human Rights, R.K.M Smith and C. Van den Anker (eds.), London: Hodder Arnold Publishing, 2005.
311. Schmalenbach K., Article 26. *Pacta Sunt Servanda*, Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, O. Dörr and K. Schmalenbach (eds.), Berlin, Heidelberg: Springer, 2012, 427-452.

312. Schmalenbach K., Article 27. *Internal Law and Observance of Treaties*, Vienna Convention on the Law of Treaties: A Commentary, O. Dörr and K. Schmalenbach (eds.), Berlin, Heidelberg: Springer, 2012, 453-476.
313. Tomuschat C., *Human Rights: Between Idealism and Realism*, Oxford/New York: Oxford University Press, 2003.
314. Van Dijk P., Van Hoof F., Van Rijn A., Zwaak L., *Theory and Practice of the European Convention on Human Rights*, 4th ed. Antwerpen, Oxford: Intersentia, 2006.
315. Vicente, M. N., Property Rights and Legitimate Expectations Under United States Constitutional Law and the European Convention on Human Rights: Some Comparative Remarks, *Comparative Law Review*, 26/2020, 51-96.
316. Zarandia T., Mchedlidze N., Protection of the Right to Property under Georgian Legislation and the European Convention on Human Rights, *TalTech Journal of European Studies*, 1/2024, 53-70.

ელექტრონული ბმულები

317. <www.hudoc.echr.coe.int>[22.2.2024].
318. <<https://www.supremecourt.ge/ka/cases>>[22.2.2024].
319. <<https://ecd.court.ge/Decision>>[22.2.2024].
320. <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts>>[22.2.2024].
321. <www.matsne.gov.ge>[22.2.2024].
322. <<https://ombudsman.ge>>[22.02.2024].
323. <<https://ombudsman.ge/geo/191018045904sammartvelos-shesakheb>>[22.02.2024]
324. <https://info.police.ge/page?id=786&parent_id=102>[22.02.2024]
325. <<https://www.coe.int/>>[22.2.2024].

326. <www.coe.int/en/web/conventions>[22.2.2024].
327. <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168065309b>>[22.2.2024].
328. <https://rm.coe.int/1680707df1>,
<http://supremecourt.ge/print/?page=news&id=1408&lang=geo>>[22.2.2024].
329. <https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/461-adamianis-uflebata-evropuli-konvecia-da-misi>[22.2.2024].
330. <https://www.hsoj.ge/geo/media_center/news/treningi-adamianis-uflebata-evropuli>[22.2.2024]. <https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/722-trenerta-treningi-adamianis-uflebebis-temaze>[22.2.2024].
<https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/691-2016-03-22-european-convention-of-human-rights>[22.2.2024].
331. <https://www.hsoj.ge/eng/media_center/news/456-adamianis-uflebata-evropuli-konvencia-da-misi/>[22.2.2024].
332. <<https://www2.humboldt.edu/act/HTML/tests/fallacy1/review.html>>[22.2.2024].

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები

333. *A and B v. Georgia*, no. 73975/16, ECtHR, 10.2.2022.
334. *A. B. and C. v. Ireland* [GC], no. 25579/05, ECtHR, 16.12.2010.
299. *Abdu v. Bulgaria*, no. 26827/08, ECtHR, 11.3.2014.
300. *Abeberry c. France*, no. 58729/00, 21.09.2004.
301. *Ahmadov v. Azerbaijan*, no. 32538/10, ECtHR, 30.1.2020.
302. *Ahmed and Others v. the United Kingdom*, no. 22954/93 ECtHR, 2.9.1998.
303. *Al-Dulimi and Montana Management Inc. v. Switzerland* [GC], 5809/08, 21/06/2016.
304. *Alim v. Russia*, no. 39417/07, ECtHR, 27.9.2011.

305. *Al Nashiri v. Romania*, no. 33234/12, ECtHR, 31.5.2018.
306. *Allan v. the United Kingdom*, no.48539/99, ECtHR, 5.11.2002.
307. *Andelković v. Serbia*, no. 1401/08, ECtHR, 9.4.2013.
308. *Andrey Smirnov v. Russia*, no. 43149/10, ECtHR, 13.2.2018.
309. *Anguelova v. Bulgaria*, no. 38361/97, ECtHR, 13.6.2002.
310. *Annen v. Germany (no. 6)*, no. 3779/11, ECtHR, 18.10.2018.
311. *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, ECtHR, 28.11.2006.
312. *Arnar Helgi Lárusson v. Iceland*, no. 23077/19, ECtHR, 31.5.2022.
313. *Austin and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 39692/09 et al., ECtHR, 15.3.2012.
314. *Ayetullah Ay v. Turkey*, nos. 29084/07, 1191/08, ECtHR, 27.10.2020.
315. *Azadliq and Zayidov v. Azerbaijan*, no. 20755/08, ECtHR, 30.6.2022.
316. *Badalyan v. Armenia*, no. 28215/11, ECtHR, 13.6.2023.
317. *Bannikova v. Russia*, no. 18757/06, ECtHR, 4.11.2010.
318. *Barberà, Messegue and Jabardo v. Spain* [Plenum], no. 10590/83, ECtHR, 6.12.1988.
319. *Bărbulescu v. Romania* [GC], no. 61496/08, ECtHR, 5.9.2017.
320. *Boldea v. Romania*, no. 19997/02, ECtHR, 15.2.2007.
321. *Bouyid v. Belgium* [GC], no. 23380/09, ECtHR, 28.9.2015.
322. *Bozano v. Italy*, no. 9990/82, ECtHR, 18.12.1986.
323. *Brincat and Others v. Malta*, nos. 60908/11 et al., ECtHR, 27.7.2014.
324. *Brosa v. Germany*, no. 5709/09, ECtHR, 17.4.2014.
325. *Burlya and Others v. Ukraine*, no. 3289/10, ECtHR, 6.11.2018.
326. *Bykov v. Russia* [GC], no. 4378/02, ECtHR, 10.3.2009.
327. *Caballero v. the United Kingdom* [GC], no. 32819/96, ECtHR, 8.2.2000.
328. *Carson and Others v. the United Kingdom* [GC], no. 42184/05, ECtHR, 4.11.2008.
329. *Cheltsova v. Russia*, no. 44294/06, ECtHR, 13.6.2017.
330. *Chraidi v. Germany*, no. 65655/01, ECtHR, 26.10.2006.
331. *Cumpănă and Mazăre v. Romania* [GC], no. 33348/96, ECtHR, 17.12.2004.

332. *Gachechiladze v. Georgia*, no. 2591/19, ECtHR, 22.7.2021.
333. *Damayev v. Russia*, no. 36150/04, ECtHR, 29.5.2012.
334. *Denisov v. Ukraine* [GC], no. 76639/11, ECtHR, 25.9.2018.
335. *Depalle v. France* [GC], no. 29/03/2010, ECtHR, 29.3.2010.
336. *Dereci v. Turkey*, no. 77845/01, ECtHR, 24.5.2005.
337. *Dervishi v. Croatia*, no. 67341/10, ECtHR, 25.9.2012.
338. *Donadzé c. Géorgie*, no. 74644/01, ECtHR, 7.3.2006.
339. *Döry v. Sweden*, no. 28394/95, ECtHR, 12.11.2002.
340. *Dos Santos Calado et autres c. Portugal*, nos. 55997/14, 68143/16, 78841/16, ECtHR, 31.3.2020.
341. *Drousiotis v. Cyprus*, no. 42315/15, ECtHR, 5.7.2022.
342. *Ēcis v. Latvia*, no. 12879/09, ECtHR, 10.1.2019.
343. *Egill Einarsson v. Iceland*, no. 24703/15, ECtHR, 7.11.2017.
344. *El-Masri v. the Former Yugoslav Republic of Macedonia* [GC], no. 39630/09, ECtHR, 13.11.2012.
345. *Fabris v. France* [GC], no. 16574/08, ECtHR, 7.2.2013.
346. *Fadeyeva v. Russia* (dec.), no. 55723/00, ECtHR, 16.10.2003.
347. *Fadeyeva v. Russia*, no. 55723/00, ECtHR, 9.6.2005.
348. *Farzaliyev v. Azerbaijan*, no. 29620/07, ECtHR, 28.5.2020.
349. *Fernández Martínez v. Spain* [GC], no. 56030/07, ECtHR, 12.6.2014.
350. *Former King of Greece and Others v. Greece* [GC], no. 25701/94, ECtHR, 28.11.2002.
351. *Freitas Rangel v. Portugal*, no. 78873/13, ECtHR, 11.1.2022.
352. *Gábor Nagy v. Hungary*, no. 73999/14, ECtHR, 11.4.2017.
353. *Gafà v. Malta*, no. 54335/14, ECtHR, 22.5.2018.

- 354. *Gaidukevich v. Georgia*, no. 38650/18, ECtHR, 15.6.2023.
- 355. *Genovese v. Malta*, no. 53124/09, ECtHR, 11.10.2011.
- 356. *Georgia v. Russia (II)* [GC], no. 38263/08, ECtHR, 21.1.2021.
- 357. *Gharibashvili v. Georgia*, no. 11830/03, ECtHR, 29.8.2008.
- 358. *Gorgievski v. the Former Yugoslav Republic of Macedonia*, no. 18002/02, ECtHR, 16.7.2009.
- 359. *Grbac v. Croatia*, no. 64795/19, ECtHR, 16.12.2021.
- 360. *Groni v. Albania*, no. 25336/04, ECtHR, 7.7.2009.
- 361. *Grzęda v. Poland* [GC], no. 43572/18, ECtHR, 15.3.2022.
- 362. *Guerra and Others v. Italy* [GC], no. 14967/89, ECtHR, 19.2.1998.
- 363. *Guiso-Gallisay v. Italy* [GC], no. 58858/00, ECtHR, 22.12.2009.
- 364. *Guja v. Moldova* [GC], no. 14277/04, ECtHR, 12.2.2008.
- 365. *Gusinskiy v. Russia*, no. 70276/01, ECtHR, 19.5.2004.
- 366. *H. v. Belgium*, no. 8950/80, ECtHR, 30.11.1987.
- 367. *Hämäläinen v. Finland* [GC], 37359/09, 16.7.2014.
- 368. *Hassan v. the United Kingdom* [GC], no. 29750/09, ECtHR, 16.9.2014.
- 369. *Hasan Tunç et autres c. Turquie*, no. 19074/05, ECtHR, 31.1.2017.
- 370. *Hirst v. the United Kingdom (no. 2)* [GC], 74025/01, 06.10.2005.
- 371. *Horvatić v. Croatia*, no. 36044/09, ECtHR, 17.10.2013.
- 372. *Hristova c. Bulgarie*, no. 60859/00, ECtHR, 7.12.2006.
- 373. *Humpert and Others v. Germany* [GC], nos. 59433/18 *et al.*, ECtHR, 14.12.2023.
- 374. *Hurbain v. Belgium* [GC], no. 57292/16, ECtHR, 4.7.2023.
- 375. *I.E. v. Moldova*, no. 45422/13, ECtHR, 26.5.2020.
- 376. *Ilgar Mammadov v. Azerbaijan (no. 2)*, no. 919/15, ECtHR, 16.11.2017.

377. *Ivanova v. Bulgaria*, no. 52435/99, ECtHR, 12.4.2007.
378. *Iwanczuk v. Poland*, no. 25196/94, ECtHR, 15.11.2001.
379. *James and Others v. the United Kingdom* [Plenum], no. 8793/79, ECtHR, 21.2.1986.
380. *Janiashvili v. Georgia*, no. 35887/05, ECtHR, 27.11.2012.
381. *Jankovskis v. Lithuania*, no. 21575/08, ECtHR, 17.1.2017.
382. *Jarzyński v. Poland*, no. 15479/02, ECtHR, 4.10.2005.
383. *Jgarkava c. Georgie*, no. 7932/03, ECtHR, 24.2.2009.
384. *Jishkariani v. Georgia*, no. 18925/09, ECtHR, 20.9.2018.
385. *K.U. v. Finland*, no. 2872/02, ECtHR, 2.12.2008.
386. *Kadura and Smaliy v. Ukraine*, nos. 42753/14, 43860/14, ECtHR, 21.1.2021.
387. *Kalda v. Estonia*, no. 17429/10, ECtHR, 19.1.2016.
388. *Kapa and Others v. Poland*, nos. 75031/13 *et al.*, ECtHR, 14.10.2021.
389. *Karassae v. Finland* (dec.), no. 31414/96, ECtHR, 12.1.1999.
390. *Kasabova v. Bulgaria*, no. 22385/03, ECtHR, 19.4.2011.
391. *Katamadze c. Georgie* (dec.), no. 69857/01, ECtHR, 14.2.2006.
392. *Khamtokhu and Aksenchik v. Russia* [GC], nos. 60367/08, 961/11, ECtHR, 24.1.2017, concurring opinion of Judge Sajó.
393. *Khan v. the United Kingdom*, no. 35394/97, ECtHR, 12.5.2000.
394. *Khudobin v. Russia*, no. 59696/00, ECtHR, 26.10.2006.
395. *Kılıçdaroğlu v. Turkey*, no. 16558/18, ECtHR, 27.10.2020.
396. *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, nos. 5095/71, 5920/72, 5926/72, ECtHR, 7.12.1976.
397. *Kolaković v. Malta*, no. 76392/12, ECtHR, 19.3.2015.
398. *Konstantin Markin v. Russia* [GC], no. 30078/06, ECtHR, 22.3.2012.
399. *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, ECtHR, 28.9.2004.

- 400. *Kotilainen and Others v. Finland*, no. 62439/12, ECtHR, 17.9.2020.
- 401. *Krachunova v. Bulgaria*, no. 18269/18, ECtHR, 28.11.2023.
- 402. *Kroon and Others v. the Netherlands*, no. 18535/91, ECtHR, 27.10.1994.
- 403. *Kudeshkina v. Russia*, no. 29492/05, ECtHR, 26.2.2009.
- 404. *Kurt v. Austria* [GC], no. 23452/94, ECtHR, 15.6.2021.
- 405. *Lagutin and Others v. Russia*, nos. 6228/09, 19123/09, 19678/07, 52340/08, 7451/09, ECtHR, 24.4.2014.
- 406. *Lakatos v. Hungary*, no. 21786/15, ECtHR, 21.6.2018.
- 407. *Lavents c. Lettonie*, no. 58442/00, ECtHR, 28.11.2002.
- 408. *Layijov v. Azerbaijan*, no. 22062/07, ECtHR, 10.4.2014.
- 409. *Lingens v. Austria* [Plenum], no. 9815/82, ECtHR, 8.7.1986.
- 410. *Lisica v. Croatia*, no. 20100/06, ECtHR, 25.2.2010.
- 411. *Lithgow and Others v. the United Kingdom*, nos. 9006/80, 9262/81 *et al.*, EctHR, 8.7.1986.
- 412. *López Ribalda and Others v. Spain* [GC], nos. 1874/13, 8567/13, ECtHR, 17.10.2019.
- 413. *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania* [GC], no. 76943/11, ECtHR, 29.11.2016.
- 414. *M.S.S. v. Belgium and Greece* [GC], no. 30696/09, ECtHR, 21.1.2011.
- 415. *Magnin c. France*, no. 26219/08, ECtHR, 10.5.2012.
- 416. *Malininas v. Lithuania*, no. 10071/04, ECtHR, 1.7.2008.
- 417. *Mangouras v. Spain* [GC], no. 12050/04, ECtHR, 28.9.2010.
- 418. *Marckx v. Belgium* [Plenum], no. 6833/74, ECtHR, 13.6.1979.
- 419. *Marin Kostov v. Bulgaria*, no. 13801/07, ECtHR, 27.7.2012.
- 420. *Marini v. Albania*, no. 3738/02, ECtHR, 18.11.2007.

- 421. *Matayeva and Dadayeva v. Russia*, no. 49076/06, ECtHR, 19.4.2011.
- 422. *Mattoccia v. Italy*, no. 23969/94, ECtHR, 25.7.2000.
- 423. *Meladze v. Georgia* (dec.), no. 30635/09, ECtHR, 2.10.2018.
- 424. *Melich et Beck c. République tchèque*, no. 35450/04, ECtHR, 24.7.2008.
- 425. *Merabishvili v. Georgia* [GC], no. 72508/13, ECtHR, 28.11.2017.
- 426. *Merčep v. Croatia*, no. 12301/12, ECtHR, 26.4.2016.
- 427. *Mikalauskas v. Malta*, no. 4458/10, ECtHR, 23.7.2013.
- 428. *Mikulić v. Croatia*, no. 53176/99, ECtHR, 7.2.2002.
- 429. *Milinienė v. Lithuania*, no. 74355/01, ECtHR, 24.6.2008.
- 430. *Mont Blanc Trading Ltd and Antares Titanium Trading Ltd v. Ukraine*, no. 11161/08, 14.1.202.
- 431. *Morice v. France* [GC], no. 29369/10, ECtHR, 23.4.2015.
- 432. *Mugoša v. Montenegro*, no. 76522/12, ECtHR, 21.6.2016.
- 433. *Murray v. the Netherlands* [GC], no. 10511/10, ECtHR, 26.4.2016.
- 434. *Muşuc v. Moldova*, no. 42440/06, ECtHR, 6.11.2007.
- 435. *Nachova and Others v. Bulgaria* [GC], nos. 43577/98, 43579/98, ECtHR, 6.7.2005.
- 436. *Nada v. Switzerland* [GC], no. 10593/08, ECtHR, 12.9.2012.
- 437. *Naimdzhon Yakubov v. Russia*, no. 40288/06, ECtHR, 12.11.2015.
- 438. *Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey* [GC], no. 13279/05, ECtHR, 20.10.2011.
- 439. *Neulinger and Shuruk v. Switzerland* [GC], no. 41615/07, ECtHR, 6.7.2010.
- 440. *Neumeister v. Austria*, no. 1936/63, ECtHR, 27.6.1968.
- 441. *NIT S.R.L. v. the Republic of Moldova* [GC], no. 28470/12, ECtHR, 5.4.2022.
- 442. *N.Ts. and Others v. Georgia*, no. 71776/12, ECtHR, 2.2.2016.
- 443. *Ochelkov v. Russia*, no. 17828/05, ECtHR, 11.4.2013.
- 444. *Oleksandr Volkov v. Ukraine*, no. 21722/11, ECtHR, 9.1.2013.
- 445. *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, ECtHR, 30.11.2004.

- 446. *Opuz v. Turkey*, no. 33401/02, ECtHR, 9.6.2009.
- 447. *Osman v. the United Kingdom* [GC], no. 23452/94, ECtHR, 28.19.1998.
- 448. *Osmanoğlu and Kocabaş v. Switzerland*, no. 29086/12, ECtHR, 10.1.2017.
- 449. *Osmanyan and Amiraghyan v. Armenia*, no. 71306/11, ECtHR, 11.10.2018.
- 450. *P. and S. v. Poland*, no. 57375/08, ECtHR, 30.10.2012.
- 451. *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, ECtHR, 8.2.2005.
- 452. *Pannon Plakát Kft and Others v. Hungary*, no. 39859/14, ECtHR, 6.11.2022.
- 453. *Papastavrou and Others v. Greece*, no. 46372/99, ECtHR, 10.4.2003.
- 454. *Pătraşcu v. Romania*, no. 7600/09, ECtHR, 14.2.2017.
- 455. *Paun Jovanović v. Serbia*, no. 41394/15, ECtHR, 7.2.2023.
- 456. *Petropavlovskis v. Latvia*, no. 44230/06, ECtHR, 13.1.2015.
- 457. *Petrovic v. Austria*, no. 20458/92, ECtHR, 27.3.1998.
- 458. *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, ECtHR, 15.11.2007.
- 459. *Pincová and Pinc v. the Czech Republic*, no. 36548/97, ECtHR, 5.11.2002.
- 460. *Popov v. Russia*, no. 26853/04, ECtHR, 11.12.2006.
- 461. *Pyrantienė v. Lithuania*, no. 45092/07, ECtHR, 12.11.2013.
- 462. *Ramishvili v. Georgia*, no. 48099/08, ECtHR, 31.5.2018.
- 463. *R.B. v. Hungary*, no. 64602/12, ECtHR, 12.4.2016.
- 464. *Ramadan v. Malta*, no. 76136/12, ECtHR, 21.6.2016.
- 465. *Ramanauskas v. Lithuania* [GC], no. 74420/01, ECtHR, 5.2.2008.
- 466. *Ramanauskas v. Lithuania (no. 2)*, no. 55146/14, ECtHR, 20.2.2018.
- 467. *Ramazan Demir c. Turquie*, no. 68550/17, ECtHR, 9.2.2021.
- 468. *Regner v. the Czech Republic* [GC], no. 35289/11, ECtHR, 19.09.2017.
- 469. *Ringvold v. Norway*, no. 34964/97, ECtHR, 11.2.2003.

- 470. *Rusishvili v. Georgia*, no. 15269/13, ECtHR, 30.6.2022.
- 471. *Saghinadze v. Georgia*, no. 18768/05, ECtHR, 27.5.2010.
- 472. *Sakit Zahidov v. Azerbaijan*, no. 51164/07, ECtHR, 12.11.2015.
- 473. *Saribekyan and Balyan v. Azerbaijan*, no. 35746/11, ECtHR, 30.1.2020.
- 474. *Šečić v. Croatia*, no. 40116/02, ECtHR, 31.5.2007.
- 475. *Sergey Smirnov v. Russia*, no. 14085/04, ECtHR, 6.7.2006.
- 476. *Shabani v. Switzerland*, no. 29044/06, ECtHR, 5.11.2009.
- 477. *Shahanov and Palfreeman v. Bulgaria*, nos. 35365/12, 69125/12, ECtHR, 21.7.2016.
- 478. *Shiksaitov v. Slovakia*, nos. 56751/16, 33762/17, ECtHR, 10.12.2020.
- 479. *Skalka v. Poland*, no. 43425/98, ECtHR, 27.5.2003.
- 480. *Skrobol v. Poland*, no. 44165/98, ECtHR, 13.9.2005.
- 481. *Slivenko and Others v. Latvia* (dec.) [GC], no. 48321/99, ECtHR, 23.1.2002.
- 482. *Söderman v. Sweden* [GC], no. 5786/08, ECtHR, 12.11.2013.
- 483. *Sokurenko v. Russia*, no. 33619/04, ECtHR, 10.1.2012.
- 484. *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, nos. 7151/75, 7152/75, ECtHR, 23.9.1982.
- 485. *Svilengacánin and Others v. Serbia*, nos. 50104/10, 50673/10, ECtHR, 12.1.2021.
- 486. *Tchokhonelidze v. Georgia*, no. 31536/07, ECtHR, 28.6.2018.
- 487. *Teixeira de Castro v. Portugal*, no. 25829/94, ECtHR, 9.6.1998.
- 488. *Telfner v. Austria*, no. 33501/96, ECtHR, 20.3.2011.
- 489. *Timakov and OOO ID Rubezh v. Russia*, nos. 46232/10, 74770/10, ECtHR, 8.9.2020.
- 490. *Tkhelidze v. Georgia*, no. 33056/17, ECtHR, 8.7.2021.
- 491. *Toshev v. Bulgaria*, no. 56308/00, ECtHR, 10.8.2006.

492. *Trade Union of the Police in the Slovak Republic and Others v. Slovakia*, no. 11828/08, ECtHR, 25.9.2012.
493. *Tyrer v. the United Kingdom*, no. 5856/72, 25.4.1978.
494. *United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, nos. 1828/06, 34163/07, 19029/11, ECtHR, 30.1.1998.
495. *Usmanov v. Russia*, no. 43936/18, ECtHR, 22.12.2020.
496. *V.C. v. Slovakia*, no. 18968/07, ECtHR, 8.11.2011.
497. *Vallianatos and Others v. Greece* [GC], nos. 29381/09, 32684/09, ECtHR, 7.13.2013.
498. *Valverde Digon v. Spain*, no. 22386/19, ECtHR, 26.1.2023.
499. *Vanyan v. Russia*, no. 53203/99, ECtHR, 15.12.2005.
500. *Vardosanidze v. Georgia*, no. 43881/10, ECtHR, 7.5.2020.
501. *V.D. and Others v. Russia*, no. 72931/10, ECtHR, 9.4.2019.
502. *Veselov and Others v. Russia*, nos. 23200/10, 24009/07, 556/10, ECtHR, 2.10.2012.
503. *Vogt v. Germany* [GC], no. 17851/91, ECtHR, 26.9.1995.
504. *Wagner and J.M.W.L. v. Luxembourg*, no. 76240/01, ECtHR, 28.6.2007.
505. *Wemhoff v. Germany*, no. 2122/64, ECtHR, 27.6.1968.
506. *Willis v. the United Kingdom*, no. 36042/97, ECtHR, 11.6.2002.
507. *Y.P. v. Russia*, no. 43399/13, ECtHR, 20.9.2022.
508. *Yüksel Yalçınkaya v. Türkiye* [GC], no. 15669/20, ECtHR, 26.11.2023.
509. *Yüksel Yalçınkaya v. Türkiye* [GC], no. 15669/20, ECtHR, 26.11.2023.
510. *Zayidov v. Azerbaijan*, no. 11948/08, ECtHR, 20.2.2014.
511. *Zinatullin v. Russia*, no. 10551/10, ECtHR, 28.1.2020.
512. *Zolotas v. Greece*, no. 38240/02, ECtHR, 2.6.2005.